

114
1950

საქართველოს
ბიბლიოთეკა

მნათობი

7

ნაწილი



1950



მნათობი

სოციალ-დემოკრატიული რევოლუციური-მხარგრული
და საზოგადოებრივ-კოლტიკური ჟურნალი

საქართველოს საბოტო მფარლების კავშირის ორგანო

წელიწადი ოცდამეხუთედი

7

*

ი ვ ღ ი ს ი



19

თბილისი
სახელგაში

50

1967-12
5815

საყვარელი სახელი



ჩვენში ამ სახელს იმეორებს ყველა მოხუცი
ჩვენში ამ სახელს იმეორებს ბავშვი ყოველი!

გადაგვიარა მეცხრამეტე წელმა გრიალით
და ხალხის სისხლით შეიღება ველი ტრიალი.
მაგრამ დაიძრნენ ჩრდილოეთის გრიგალნი ძლევით:
— გამოიღვიძეთ! — ხმა გაისმა იმედის მფრქვევი, —
აღსდგე, ხალხო, დაჩაგრულო, აღიძარ ბრძოლად,
შეიარაღდი სისხლისმწოველ მტრის ჩასაქოლად!
და მონადეჭმნილი, ნაწამები ხალხი ჩაგრული
მეის გამოფხიზლდა, სიმართლის ხმამ აუნთო გული.
აღსდგა სამშობლოს ტყვეობისგან გამოსახსნელად,
მედგარი ბრძოლა გააჩალა მთასა და ველად.
აღმართეს დროშა აღისფერი — დროშა ძლევისა
პარტიზანებმა სახელოვან კიმ-ირ-სენისა!
ამ დროს გაისმა ჩემი ქვეყნის მთასა და ბარად
სახელი იგი საყვარელი, ძვირფასი მარად!
გაისმა ყველგან, მისწვდა ქარხნებს მძაფრი კვეთებით —
სად დიდ ბორბლებზე გაქიმული შავი ღვედები
სველია მუშის მკერდით დაღვრილ ოფლის წვეთებით.
მისწვდა შავტუხა მეთევზეებს — ბინადართ ზღვების,
სტიქიონებთან მედგრად მებრძოლთ თავგამეტებით.
მისწვდა ბნელ საყნებს, გადალაზა ცის თალი ვრცელი,
და ჩემი ქვეყნის დამშეული ხალხი მშრომელი —
იმეორებდა ძვირფას სახელს სიამით, შვებით,
როგორც სიმბოლოს გამარჯვების, თავისუფლების!
სახელი იგი უძღურს ძალას კმატებდა ბრძოლის,
გულიდან-გულში სიყვარულით იღგამდა ფესვებს,
ალად აქცედა გაღვივებულ ცეცხლის ნაკვერჩხლებს.
იგი ხდებოდა მჩაგვრელთ რისხვად, სამსალად გულის,
და გამარჯვებად სიმართლისა და სიყვარულის.

ამ დროს ჯალათნი — სამურაის ხმლით შეკუთრვილნი
დაძრწოდნენ შიშით და ლამობდნენ ჩაეჭროთ ძალით
კორეელ ხალხში ამბოხების ძლიერი აღი.
თან გაპყვიროდნენ: — „სთქვით სახელი — იგი ვინ არის?“
პასუხის ნაცვლად მათ ესმოდათ, დამცემი ზარის,

მებრძოლთა გულით აღმომხდარი გმობა საზარი!
 მაგრამ აღსრულდა... აგვისტოს მზეს მოჰყვა ცისკარი,
 და დამონებულ კორეის მთასა და ველად
 გამოჩნდა ჯარი საბჭოეთის იმედად, მხსნელად!
 და აღისფერად გაბრწყინებულ დროშებზე მაშინ,
 ხალხმა პირველად დაინახა სახე დიადი —
 გამაქრობელი მონობის და მზარავ წყევლიადის,
 და მახარობელს გამარჯვების და სიხარულის,
 მყის მიესალმნენ ალტაცებით და სიყვარულით
 მებადურები, გლეხები და მალაროელნი,
 დაღუწეს ბნელი ციხეების რკინის კარები,
 და აგუგუნდა ბრძოლის ენით და მღელვარებით
 ქება- დიდება სახის — მსგავსის მზის ელვარების.
 იმეორებენ დღეს ამ სახელს მოხუცნი შვებით,
 იმეორებენ დღეს ამ სახელს ღიმილთ ბავშვები,
 ჩვენს მიწაზე რომ აღმობრწყინდა აკაშკაშებით!

იქ კი... ტყვედქმნილი ჩემი ქვეყნის სამხრეთის მხარე,
 მჩაგვრელთა სუსხით შეხუთული კენესის, მწუხარე.
 ძველ მტარვალთაგან იანკები განირჩევიან.
 მარტოდენ კანით და მედიდურ სახის იერით,
 დათარეშობენ ჩემს მიწაზე — გადამთიელნი,
 დილეგში ჰკლავენ მებრძოლ გმირებს, გულმანკიერნი,
 მაგრამ იქაც ჰქუხს ამბოხების ცეცხლი ძლიერი!
 უსამართლობის დასამხობად იბრძვიან ძმები,
 ირგვლივ საბრძოლო მოწოდების გაისმის ხმები,
 იზრდება რისხვა და გმირები საყვარელ სახელს
 იმეორებენ, ვით სიმბოლოს მზის გამომსახველს!

მამ კვლავ იქროლე, ჩრდილოეთის ძლიერო ქარო,
 სამხრეთის მხარეს მტარვალები არ გაახარო!
 იქროლე მედგრად, რომ ჩვენ შევძლოთ მთლიან კორეის
 მზის ქვეშ ვიგემოთ ჩვენი ქვეყნის მძლე სიხარული,
 ვემღეროთ ჰიმნი შშვილობისა და სიყვარულის —
 იმ დიად კაცზე — სხივოსანი ვისი სახელიც
 ხალხებისათვის ძვირფასია, ვიდრე ჰაერი,
 სასურველია პურზე მეტად, მზეზე — ნათელი!

თარგმანი ხარიტონ ვარდოშვილისა.

მეხილობა



კმარა,
რამდენი უმანკოთა დაიქცა სისხლი,
რამ დაიტია ნეტავ მაინც დედების ცრემლი?
გინდ იყოს წარღვნა,
დალუპვისგან მსოფლიოს იხსნის
და გზას გაიკვლევს, როგორც მუდამ, ვარსკვლავი კრემლის.
ამ უნაპირო დედამიწის ყოველ მხარეში
გაიდგა ფესვი მუხასავით სტალინის სიბრძნემ.
შორს ავსტრალიის ბედზე მუშის მბეჭუტავ თვალებშიც
ჩამდგარა სხივი და ძარღვებმა სიცოცხლე იგრძნეს.

ჩინეთი ხარობს,
ვიეტნამშიც გაშალა მკლავი...
საკვდილი იმათ, ვინც სიმართლეს ყუმბარებს ესვრის.
გულიდან გულში პოლ რობსონის სიმღერა ჰყვავის
და საპყრობილის თაღებს არღვევს პიქმეთის ლექსი.
დარეკა ეამმა,
მწაგვრელთათვის თენდება შავად,
დღეს სულ სხვა დროა,
ხალხს უპყრია მახვილი მკრელი.
გაცოფებული ლი სინ მანი საფლავს თხრის თავათ
და ხალხს ჯალათს სამარცხვინო სიკვდილი ელის.

კმარა სისხლის ღვრა,
მოთმინების აივსო თასი,
შორს ბოროტება, ამოდ რომ სიცოცხლეს ზღუდავს.
საუკუნეთა წარუშლელი ბეჭედი აზის,
ხალხს ომი არ სურს,
ხალხს მარადი მშვიდობა უნდა.
აბა, შეხედეთ, რა შექურა მოადგა ტატნობს...
იქ კი, წყვედიაღში,
თეთრი სახლი შავ-ბნელად ხრჩოლავს.
დოლარი მეფე?!
ფულმა უნდა ქვეყანა მართოს?
მეფე შრომაა
და ეს შრომა დაამხოვს დოლარს.



ხალხი ამდგარა,
 გამარჯვებებს სწერს ისტორია,
 ვიყავით მარტო,
 უთვალაენი გავმხდარვართ ახლა.
 ხალამი ყველას,

მაო ძე დუნს,
 ტორეზს,

ტოლიატს,

თავისუფლების დროშა ვისაც უკირავს მაღლა.

მშვიდობა!

ხალხი არ ასცდება მშვიდობის გზიდან...

მტრებო, რას ღმუით,

დაგებერთათ თვალთა გუგები.

აბა, გაბედეთ, ვისაც ომის ხანძარი გინდათ,

თქვენივე ხელით ამ ხანძარში ჩაიბუგებით.



ფოლადი

რომანი*



XII

ხელმძღვანელი

პირდაპურული დღე იყო. სუსხიანი ქარი ჰქროდა. კვამლსადენიდან ამომავალი ბოლი დაწეწილ ღრუბლებში ინთქმებოდა.

თბოელექტროცენტრალის წინ, ამონათხარი მიწით გასწორებულ მოედანზე, ფართო ტრიბუნა მოაწყეს. მდლობზე რუპორი დადგეს. თბოელექტროცენტრალის პირველი რიგის ამუშავების გამო საზეიმო მიტინგი იყო მოწყვეული.

თანდათან მოდიოდნენ მშენებლები, ქალაქის მოსახლეობა, მასწავლებლები და მოწაფეები, მოდიოდნენ ფეხით, მანქანებით.

ტრიბუნის მახლობლად მემუსიკენი მოთავსდნენ.

დროშებს ქარი აფრიალებდა. გრძელ პლაცატზე ეწერა: „შევცეთ სამშობლოს ქართული ფოლადი“.

მოწაფეებთან, თეოლინესა და ნათის გვერდით, დარეჯანი იდგა. ყველა შეამჩნევდა, რომ იგი ჯერ აქ უცხო იყო. ყველაფერს განცვიფრებით აკვირდებოდა; ხშირად თითქოს რაღაცამ შეაყრთოო, შუბლს შეიყრავდა, სახე ეღრუბლებოდა.

მართლაც-და, ამდენი თხრილები, ზეინულები, ტალახიანი გზა, ჩონჩხელები, მილები, სამშენებლო მასალები, ეს დაუშთავრებელი საამქროები და

უამრავი ბალავრები მძიმე შთაბეჭდილებას ახდენდნენ მასზე. უნდოდა გარკვეულიყო ამ რთულ გარემოცვაში, მაგრამ ძალა არ შესწევდა. იცოდა კი, რომ მისი მომავალი აქ იყო.

თეოლინემ რამდენჯერმე ახედდახედა დარეჯანს, მიხვდა, რა გუნებაზედაც იყო სოფლიდან მოსული ახალგაზრდა ქალი; ალერსით შეახო მხარზე ხელი, მიესიყვარულა:

— შენ, შეილო, მარტო ამ შენობებსა და რკინებს კი ნუ უყურებ, იმათ შეხედე, ვინც ყოველივე ამას სულს უდგამს და ამოქმედებს...

ამ დროს რუპორიდან გაისმა მკუქაჩე ხმა:

— მთავრობის თავმჯდომარემ ლენტი გადასჭრა... ტურბოგენერატორი ჩართულია...

ასრულდა თეოლინეს სიტყვა. ახლა დარეჯანის თვალში თბოელექტროცენტრალის ვარდისფერმა შენობამ და ირგვლივ აღმართულმა წაგებობებმა სულ სხვა იერი მიიღო, ენა ამოიღგა, ყველაფერს ნათელი მოეფინა.

თეოლინემ დროშებს შეავლო თვალი, ქარში მოშრიალე დროშებს... ჰო, როდის იყო ეს? სირმით ამოქარგა ყაყაოსფერ აბრეშუმზე მომწოდებელი სიტყვები. პირველი მაისის დილა გათენდა. შურაბთან ერთად მიდიოდა ფრთაშესხმული...

ტრიბუნაზე მთავრობის, პარტიისა და მშენებელთა წარმომადგენელი ავიდნენ. ქარი მათ სახეში სცემდა.

თეოლინემ ტრიბუნაზე ტარიელი დანახა. მიალერსება მოსწყურდა. ნათიას მოხვია ხელი, გვერდზე მიიხუტა, მეორე ხელით დარეჯანს მისწვდა, გადაულაპარაკა:

— ა, შეილო, ესენი არიან ამ ქარზნის სულისჩამდგმელნი. ნურაფერი გაფიქრებს, ამათი იმედი ჯკონდეს.


მიტინგი გრიგოლ ამირანიძემ გახსნა და პირველი სიტყვა ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელს მისცა.

ტრიბუნის მოაჯირს დააყრდნო ხელი მაღალმა ვაეკაცმა, საღ კლდესავით მტკიცედ გამოკვეთილმა. მის ბაგეთაგან ახალი საქართველო მეტყველებდა, აღორძინებული საქართველო, თავისი დიდებული წარსულითა და ბრწყინვალე მომავლით.

„რამდენ ასეთ ნაპირტახვე ადგილს დაადგა თვალი, — სთქვა მან, — დიდი სტალინის თანამებრძოლმა, ქართველი ხალხის საამაყო შეილმა ლავრენტი ბერიამ! რამდენი ჭაობი დაშრა და ბაღად იქცა, რამდენი ეკლნარი და გვიმრნარი გაიწმინდა, ნარინჯებისა და ჩაის პლანტაცია აბიბინდა, რამდენი ვაზნარი გაიფურჩქნა... აი, ეს საამქროები, ეს ახალი ქალაქი, თქვენი შემოქმედი შრომით შექმნილი, ყოველივე ეს ჯერ მხოლოდ საძირკველია იმ გიგანტისა, რომლის გულმაც ეს არის, ახლა დაიწყო ძვერა და სინათლის ნაკადი მოგვცა“...

რუპორი მოლაპარაკის ხმას შორს ავრცელებდა. სიტყვის დამთავრებისას მუსიკა უკრავდა. ისეთი შთაბეჭდილება იყო, თითქოს ტურბოგენერატორის მიერ წარმოშობილი სინათლე ორატორების სიტყვებში ენთებოდა და ირგვლივ იფრქვევოდა.

თეოლინე ტარიელის ამხანავს თითქმის ყველას იცნობდა, მაგრამ, აგერ, ტრიბუნაზე გადმოდგა ერთი და მას ლაპარაკის დროს რაღაც მიემატა, ახალი იერო მიეცა. იგი უბრალო ადამიანთა წრიდანაა, მშრომელი გლეხის შეი-

ლია; დღეს კი იმდენი ძალა შესძენია, რომ წინასწარმეტყველებით შორს იხედება, ხალხს რაზმებს წინამძღოლის...


— დეიდა თეოლინე, ეგ ვინ არის, ტარიელის გვერდით რომ დგას, მხარმარჯვნივ?

— მაგი, დედა, მთავარი ხელმძღვანელია...

უნდოდა კიდევ ეთქვა რაღაც დარეჯანისათვის, მაგრამ უცებ ტაშმა იერილა და თეოლინე სხვებს შეუერთდა.

ქალაქში დიდი მანქანით დაბრუნდნენ მასწავლებლებთან და მოწაფეებთან ერთად.

დარეჯანმა თავისი ოთახის კარი შეაღო, ელექტროღუმელი შეუერთა. გაიოზი ახლა სამსხმელო საამქროში მუშაობდა, ამ საღამოს კრებას უნდა დასწრებოდა.

წიგნი აიღო დარეჯანმა, მაგრამ არ გაუშლია, ფანჯარას მიადგა, რომ აღძრულ ფიქრებში გარკვეულიყო.

ქარი ისევ უბერავდა ახალგაზრდა ხეებს ხრიდა; ქუჩის ნაპირებში მოჩანდა დამსხვრეული ქვების ზვინულები, უფრო მოშორებით კი — პირლია ძველი საფლავები.

მეტად დიდი იყო დღეს მიღებული შთაბეჭდილებანი, მაგრამ მათ გამაერთიანებელი მშვენება აკლდათ. თითქოს გადათხრილ ეზოში უდიდესი შენობის ნაწილები აქა-იქ აწყვიტაო, რაღაც ამგვარი სურათი ედგა თვალწინ. უნდოდა უკვე სავსებით დამთავრებული ეხილა იგი, მაგრამ იმდენად უზარმაზარი იყო, რომ თვალი ვერა სწვდებოდა, ამიტომ თავისი თავით უქმყოფილო იყო. გრძნობდა, რომ აქ უქმი მეთვალყურე ნათლად ვერ დანახავს იმას, რასაც ყოველდღიურ შრომაში ჩაბმული ხედავს. ნატრობდა იმ დღეს, როცა აქაურ სკოლაში მასწავლებლად დაიწყებდა მუშაობას.

წიგნი მაგიდაზე დადო. ბინაში მიმოიხედა. საქმე არა ჰქონდა რა, თეოლინესთან არბინა.

— მოდი, შვილო, — მიეგება თეოლინე, — შენ იქ რაღაცას შეკითხებოდი და მე ვეღარ გიპასუხე.

— მთავარ ხელმძღვანელს მაგნობ-დით.

— ჰო, შვილო, ახლა გამახსენდა. მარა ჯერ... ამაზე ბევრი მიფიქრნია. თუ ადამიანსა და საზოგადოებას მტკიცე ხელმძღვანელი არა ჰყავს, ისე არავითარი კეთილი საქმე არ გაკეთდება. მარა არ იკითხავ როგორი ხელმძღვანელი? უწინარეს ყოვლისა ხალხის მოყვარული, ხალხისათვის თავდადებული. ასეთ ხელმძღვანელს შეუძლია ყველა ამოქმედოს, ყველას სული ჩაუღვას... მერე კიდევ ნიჭი, ნიჭის პატივისცემა. ნიჭიერი ადამიანი მაშინაა ქვეყნის დამაშვენიებელი, როცა იგი ამ ნიჭს ქვეყნის საკეთილდღეოდ იყენებს, კეთილ საქმეს ახმარს, თორემ ისე უფრო მავნებელია იგი. მაგისტანა ნიჭი წყალსა და მეწყერს წაუღია... ჰოდა, შვილო, ხელმძღვანელებს, ამ ჩვენი მშენებლობის წინამძღოლებს მთელი ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის დიდი სიყვარული ამოქმედებთ. ესენი უკან კი არ იყურებიან, ან მარტო დღევანდელი დღით კი არ კმაყოფილებიან, წინ იხედებიან, აღმასივით გამჭირაბი თვალები აქვთ... ზომ მოისმინე, რა მოკლედ, რა ძლიერად თქვა ხელმძღვანელმა: ჩვენ ეს გავაკეთეთ, ამას ვაკეთებთ, მარა კიდევ უფრო მეტს გავაკეთებთ. ეს უბრალო სიტყვა კი არ იყო, შვილო, ძვალრბილში გამჯდარი რწმენა იყო...

ყურს უგდებდა დარეჯანი თეოლინეს, სახეზე აცქერდებოდა. სიტყვებზე უფრო ამ დედა-ქალის შინაგანი ძლიერება იზიდავდა, თითქოს მისი თოვლივით თეთრი თმა არა სიბერეს, არამედ სულიერ სიფაქიზეს ცხადყოფდა.

უქმად თეოლინე არასოდეს არ დადგებოდა, მუდამ რამეს აკეთებდა. აი, ახლაც ელექტრონის უთრადო სველი თითით სიმხურვალე გაუსინჯა და ნათიას კაბის გაუთოებას შეუდგა.

XIII

როგორ კრისტალდებოდა

სალამოდანვე უხვად თოვდა. ახალგაზრდა ხეებს სქლად დაფიფქული ტოტები ძირს დაეხარათ. ელექტრონის შექში ფანტელები ციმციმებდნენ, დაუსრულებელი ლივლივით ძირს ეშვებოდნენ. იშვიათად მანქანა თუ გაიქრიალებდა, თორემ ისე სრული მყუდროება სუფევდა.

ტარიელს ბავშვობიდანვე უყვარდა ასეთ წყნარ თოვაში სიარული. მილიონდა, ძალ-ღონის განახლებას გრძნობდა; სულ არ ახსოვდა, რაც დღეს ჯაფა ვადახდა.

გარს ეხვევოდა მაზი ფანტელები, უალერსებდა, ახალისებდა.

თვალს ახელდნენ ამომავალი დღეები, იმპუნებოდნენ, ტარიელს უღიმოდნენ: შენ გეტრფითო, ეუბნებოდნენ, შენ გიხმობთო, შენს სიცოცხლეს შეეხარითო; უნდა იდღეგრძელო, უნდა აშენო, რომ ახალ თაობებს გზაზე ია და ვარდი ეფინოთო... არა, სიბერეს ჯერ შენთან რა უნდა! ქაღარა რომ გაგერია, ეგ სიბრძნეს ნიშნავს. ზომ ხედავ, რა უზარმაზარი საქმე გაქვს, რა მოვალეობა გაწევს. სიცოცხლის ყველა საუნჯე უნდა გამოავლინო, გულში არ უნდა ჩაიკლა შენ ზომ განდევილი არა ხარ, ახალი ცხოვრების შემოქმედი ხარ. მხოლოდ ძუნწებს სხვევიათ ოქროების დაგროვება და ჯურღმულში შენახვა. შენ კი ყველაფერი უნდა მისცე ქვეყანას, ისე უნდა მისცე, რომ სულის არც ერთი სხივი აღნთებელი არ დაგრჩეს...

ასე ეჩურჩულებოდნენ თითქოს თო-

ვაში მიმავალ ტარიელს ამომავალი დღეები.

დაუსრულებლად ციმციმებდნენ ელექტრონის შუქში ფანტელები, ლივლივებდნენ...

ნელინელ დახუკეს თვალი ამომავალმა დღეებმა. გულის სიღრმეში მიუჩუჩებულმა ტყვიელმა გაიღვიძა; მოაგონდა, რაც აკლდა, რაზედაც ფიქრს გაუბრბოდა.

ჰო-და, ცახცახით სცივია ფანტელები, გაცრეცილ სახეზე ეფრქვევა კუბოში ჩასვენებულ ზურიკოს... მერე კი, რა სიცარიელე და მზაკვრობაა, მაცდური თვალების რა ცბიერი გაელვება...

სვლა დაუმძიმდა. რამდენჯერმე სახეზე ფანტელი მიეფინა. არ უგრძენია.

ორიოდე თვის წინათ დამთავრებულ ორსართულიან სახლს მიუახლოვდა, ვიდაცის სიახლოვე იგრძნო, შესასვლელ კარს მიხედა.

— საიდან მოდიხარ, ტარიელ ზურაბოვიჩ?

ხმაზე იცნო მარინა სერგეევნა. გამოცოცხლდა, მიაშურა, ხელი ჩამოართვა.

— ვერ წარმოიდგენთ, როგორ მიქყვარს ასეთ სუფთა თოვანში სიარული. — უთხრა გახარებულმა მარინა სერგეევნას. — სიყრმე მომაგონდება ზოლმე, ისეთ გუნებაზე ვდგები, თითქოს რაც კი რამ კარგია ქვეყანაზე, ყველაფერი ხელმისაწვდომი იყოს.

— ეგ თქვენ ძალიან გახასიათებთ, — სთქვა მარინა სერგეევნამ, — ასეთ თოვანში, განსაკუთრებით პირველი თოვლის დროს, მაგრე ემართება ყველას, ვინაც ფაქიზი სული აქვს და ლამაზი ოცნების უნარი გააჩნია.

ტარიელმა ცოტა უხერხულობა იგრძნო; ქათინაური, პირში მიფერება არ უყვარდა, რადგან მის უკან ანგარება ეჩვენებოდა, მაგრამ ახლა მყისვე დას-

ძლია ეს გრძნობა და მარინას მადლობა გადაუხადა.

— კარგია, თუ ჩემზე ასეთი მუხედულებისა ხართ, — დასძინა მერე.

— იცით რა, ტარიელ ზურაბოვიჩ, — მეგობრულად, შინაურულად მიმართა მარინა სერგეევნამ, — შემოიარეთ ჩემთან თუ ძალიან არ გეჩქარებათ, ნახეთ ჩემი ბინა. მართალია, შინ მეც ახლა მივდივარ, ოთახში სიცივე დაგვხვდება, მაგრამ ზომ მოგეხსენებათ, სადაც კეთილი გულია, იქ სითბოც გაჩნდება.

ტარიელმა ტანისამოსი გაიფერთხა, მარინას აპყვა მეორე სართულზე. აქ ვიწრო ტალანში შევიდნენ და მარინამ თავისი ოთახის კარი შეაღო.

პალტო და კეპი შესასვლელთან ჩამოჰკიდა ტარიელმა, ოთახში მიმოიხედა. კოხტად დალაგებული საწოლი, ერთი პატარა მაგიდა, წიგნები, ორიოდე სკამი და სისუფთავე.

— დაბრძანდით, — მიმართა მარინამ, ელექტროლუმელი შეუერთა, კედელზე თეთრი ფარდის ქვეშ ჩამოკიდებული სამოსი ჩამოიღო და მეორე პატარა ოთახში თუ სამზარეულოში გავიდა.

ტარიელმა კვლავ მიმოატარა თვალი და ისეთივე სიამე იგრძნო, როგორსაც პირველად თოვანში მიმავალი განიცდიდა: ამ მარტოხელა ქალის სულიერი ცხოვრებაც უთუოდ ისევე უმტვეროა, ისევე წმინდა, როგორც ეს კრიალა ბინა... მაგრამ როგორ სძლებს ასე მარტოდ, ასე უთვისტომოდ?! იჭნება სავსებით აკმაყოფილებს ის, რასაც აცთებს. მართლაც ძალიან მოქმედი ქალია, ნიჭიერი, მაგრამ განა ეს საემათა სიცოცხლით სავსე ადამიანისათვის?...

„შენ კი, — შეეკითხა თავის თავს, — შენ არაფერი გაკლია?“ „ჩემი მდგომარეობა სულ სხვაა, — უპასუხა: — დედა, ნათია“.

— არ მოიწყინოთ, გეთაყვა. ჩაიღანი დაეადგი, მალე იქნება.

ტარიელმა განცვიფრებით ახედა მარინას: მისი გარეგნობაც და ხმაც შეცვლილი ეჩვენა: თივთიკის ზალათი ეცვა, მტრედისფერი; ეს უფრო ამღლებდა, უფრო აჩენდა მის ტანკენარობას, სახეც უფრო განათებოდა, დიდრონ ცისფერ თვალებს იღუმალი კაემნის ბინდბუნდი ოდნავ შერჩენოდა; საუცხოოდ უხდებოდა ლბილი, მუქი წაბლისფერი თმა, ხოლო ხმა... სახის გამომეტყველება... მიმოხვრა... ყველაფერში მაამებელი ძალა, მიმზიდველი სულიერი სიფაქიზე გამოსკვივოდა... აი, ასეთი ქალი უნდა შეხვედროდა ტარიელს, ასეთი ძლიერი, შრომის უნარით უხვად დაჯილდოებული... ბედს კი არა, უბრალო შემთხვევას შეუძლია დაამახინჯოს ადამიანის ცხოვრება... რა ბედნიერი იქნებოდა იმ ცბიერ დედაკაცს რომ არ გადაპყროდა.

გაივლო ეს გუნებაში და კიდევ უფრო მშვენიერი მოეჩვენა მარინა. ერუანტელმა დაუარა; ასე ეგონა, გულის სიღრმიდან დაიძრა შეუქად ქცეული გრძნობების ნაკადი და ქალს გარს შემოეხეია ისე, ვით ამომავალი მზის სხივი აყვავებულ მცენარეს... ირგვლივაც იფურჩქნება ყველაფერი, მზეს შეჰხარის, იფურჩქნება და ტკება სიცოცხლის მარადი მგზნებარებით... ამდენი ხნის კაცია ტარიელი და არასოდეს არ განუცდია ასეთი მძაფრი მღელვარება. ახლა თითქოს პირველად აეხილა თვალი, პირველად ნახა იგი, სულის ჩამდგმელი, ისე ახლობელი, ისე აუცილებელი, როგორც საკუთარი გულის ძგერა.

მარინამ ქალური ალღოთი იგრძნო ტარიელის მღელვარება, წარბები ოდნავ შეიკუმხნა, სახეზე ძლივს შესამჩნევი ჩრდილი დაეფინა.

— აი, ესაა ჩემი ცხოვრება, — ჩაილაპარაკა მარინამ და მაგიდის მახ-

ლობლად ჩამოჯდა სკამზე, სევდით დაბინდული თვალი იქვე კედელზე ჩამოკიდებულ სურათს მიაბყრა.

ტარიელმაც ახედა იმ სურათს, ბუნდოვანად დაინახა მარინა, პატარა ბავშვი და მხედრულად გამოწყობილი ჰაბუკია... უცებ, თითქოს წყალი ასხურესო, გონს მოვიდა, და... მხოლოდ ერთი სიტყვის თქმა მოახერხა:

— ესენი...

— დიახ, ჩემი ქმარი და შვილია. — უპასუხა მარინა სერგეევამ. — ესენი შეადგენენ აქ ჩემ საზოგადოებას, ამათთან ვცხოვრობ...

ახლა ხმაშიაც სევდა გამოუკრთა მარინას, უძირო სევდა, სახეზედაც განუკურნებელი წყლულის ანარეკლი აღებეჭდა.

ტარიელს გულში ჩასწვდა მარინას მწუხარება, ამასთანავე შურიც აღეძრა იმ ქაბუკისა და ნორჩი ბავშვისადმი, რომელთა ტყვეობაშიაც ეს ჯერ კიდევ ახალგაზრდა ქალი იმყოფებოდა.

— რომ იცოდეთ, ტარიელ ზურაბოვიჩ, რა შესანიშნავი ადამიანი იყო ჩემი ქმარი, — იმავე ხმით განაგრძობდა მარინა სერგეევანა. — რა წმინდა, რა მოყვარული გული ჰქონდა, რა განათლებული იყო. ორ წელიწადს ვცხოვრობდით ერთად და ჩვენი სიყვარული დღითი-დღე ღრმავდებოდა. ბავშვი რომ შეგვეძინა, იმდენად გავიზარდენით, მთელი ქვეყანა ჩვენი გვეგონა... ალიოშას, ე. ი. ჩემ ქმარს, ისეთი სამუშაო ჰქონდა, რომ შეეძლო ფრონტზე არ წასულიყო, მაგრამ გულმა არ მოუთმინა, ორმოცდაორ წელს მე ბავშვიანად ურალისაკენ გამისტუმრა, თვითონ კი მოქმედ არმიაში წავიდა. ეს სურათი მაშინ გადავიღეთ. მერე აღარ მინახავს...

ღუმილი ჩამოვარდა. მარინას თვალი გაუმტერდა, სახე გაუფითრდა.

ტარიელს მანამდე ვერ წარმოედგინა, თუ შესაძლებელი იყო სხვის ცხოვ-

რებაში ასე ღრმად ჩახედვა: თვალნათლივ ხედვდა, თუ როგორ უხმობდა ახლა მარინა საყვარელ ადამიანს, სულზე უტკებეს, მარად დაუვიწყარს. ერთმანეთისათვის გაჩენილან ესენი, შესისხლხორცებულან...

— ბავშვი გზაში გამოცივდა, — განაგრძო მარინა სერგეევნამ, — ტვინის ანთებით დამელუპა... უცებ არ მომკვდარა, ნემსებით ვაბრუნებდით. თავს ვადექი მომაკვდავს და... განა შეიძლება ენით გამოითქვას, თუ რას განვიცდიდი იმ უძილო ღამეებში?... მაგრამ მაინც, წარმოიდგინეთ, ბავშვი რომ სამარეში დავტოვე და მარტო დავრჩი, მთლად აუტანელი არ იყო ეს მარტოობა, რადგან აღიოშა ცოცხალი შეგულებოდა. მხოლოდ ბავშვის ცოდვა მკლავდა: ისეთი ნორჩი, ისეთი უსუსური და მარტოდმარტო ცივ სამარეში!

ცრემლით აევსო თვალი მარინას, ბავშვები აუთრთოლდა.

ტარიელს გული შეეკუმშა, ნერწყვი ძლივს გადაყალბა, თვალი მოკჭუტა, განზე მიიხედა, კედელი გაიხსნა თითქოს და თოვანში პატარა კუბო ამოტივტივდა, ზურიკოს გაცრეცილი სახე მოეჩვენა...

— მერე მივიხედ-მოვიხედავდი და სული შემეხუთებოდა: რა ვუთხრამეთქი აღიოშას, როცა დაბრუნდება, გული როგორ მოეუკლა-მეთქი ნაომარს... მაგრამ გავიდა წლები... არა, რამდენი რამის ატანა შესძლებია ადამიანს!... ცუდი როდია ეს, მაგრამ კაცის არსებაში მაინც ტყდება რაღაცა, ის ნიადაგი იბზარება, რომელზედაც სიცოცხლის მთავარი ყვავილი ხარობს... ქმრის დაღუპვა გვიან გავიგე, ორმოცდახუთი წლის დასაწყისში. კარგა ხანი იყო, წერილს არ ვღებულობდი, მაგრამ იმედს არ ვკარგავდი. იმ დროს აზოვსტალში ვმსახურებდი... სწორედ ამან მიშველა: ვერაფერი ვერ ამუშებებს გულის წყალულს ისე, რო-

გორც საქმე, თავდადებული შრომა... ჩემი მთავარი დასაყრდენი მამა იყო, ძველი მეტალურგი. ისინი აზოვსტალში მუშაობდა... დედა მე არ მახსოვს, ადრე გარდაამეცვალა. მამა ომში დაეკარგე, გასულ წელს მამაც დაეასაფლავე, მამა და სულიერი შეგობარი, დიდი ადამიანი... რაღა მრჩებოდა მარიუპოლში?... თქვენ ყოფილხართ იქა?

ტარიელმა თავი დაუქნია.

— ხომ ლამაზი ქალაქია? მაღლობი, ზღვა, მდინარით შემოსაღტული აზოვსტალი, ბრძმელები და მარტენის საამქროდან ამომავალი კვამლი... ამას კიდევ დაუმატეთ სიყრმის მოგონებანი... მაგრამ მე მაინც, როცა აქეთ წამოსვლა შემომთავაზეს, უშაღვე დაეთანხმდი... რა ვიცი, ადამიანის გული იმდენად ხარბია, რომ ყოველთვის, რაწირ მდგომარეობაშიაც არ უნდა იყოს, ცხოვრების განახლებას ელტვის, არც გონიერებას დაგიღვეს, არც შესაძლებლობას, იღუმალად სთხზავს ახალ ოცნებას... მაგრამ, ტარიელ ზურაბოვიჩ, ამა წარმოიდგინეთ, რამდენი საფეხური უნდა ათაროს ჩემს ბედში ჩავარდნილმა ადამიანმა, რომ პირადი ცხოვრების ხელახლა დაწყება შესძლოს!

ტარიელს გული სთხოვდა, ეთქვა რაიმე საიმედო, ისეთი რამ ეთქვა, რაშიაც სრული სიწრფელე იქნებოდა, მაგრამ ხმის ამოღება გაუძნელდა, თვალი ისევ იმ მწუხარების მომგვრელ სურათს მიიპყრო.

„როგორ შეიძლება მათი გათიშვა, — გაივლო გუნებაში: — ეს ერთი ქვეყანაა, ერთი საყვარელით შეკავშირებული. უხამსობა იქნება, ამ წმინდა ქვეყანაში რომ სხვა ვინმე შეიჭრას“...

ეს ფიქრი იმდენად მძაფრი იყო, რომ საუბარი უჭირდა ტარიელს.

მარინა სერგეევნამ ჩაი დაასხა. ტარიელს მოწყენა შეატყო, უნდოდა ლაპარაკით გაერთო, მაგრამ თვითონაც თავს ისე გრძნობდა, თითქოს უზომო

ტვირთი მოეზიდოს და ახლა ენის დაძვრა უჭირდეს უწყალოდ დაღლილს.

ტარიელი მიმოდგა წამოდგა და მარიანას დამე ნებისა უსურვა.

გარეთ რომ გამოვიდა, აღარ თოვდა. ცაზე აქა-იქ შექცემილი ვარსკვლავები გამოჩენილიყვნენ და ცივად დაჟურებდნენ თოვლით გადათურებულ მთებსა და ველებს.

შინ მისვლამდე გზის პირად ტრიალ მინდორს გაჰყვა. დამამშვიდებელი მყუდროება და უსაზღვრო სისუფთავე სუფევდა ირგვლივ. ფეხქვეშ რომ თოვლი შრიალებდა, ისიც სრულიად უმწყევლო იყო.

და ისეთ გუნებაზე დგებოდა ტარიელი, თითქოს თვალნათლივ სჭვრეტდა შორს მიმავალი, თუ როგორ კრისტალებოდა მის სულში უწყმინდესი გრძნობა სიყვარულისა.

XIV

მაცდურნი

თედო კორფამე მცირე სადგურის ბაქანზე გავიდა. შატარებელს ელოდა. ნელიმ დაუბარა, დამხვდით.

ხომ ისეთი გულდიდი იყო ნელი, ამპარტავანი, თავი ისე ეჭირა, თითქოს არაფრის წინაშე ქედს არ მოიხრისო, მაგრამ საოცარი მშინარა იყო, მხდალი, ბნელში მარტო ვერ გაივლიდა; თუ სადმე მიდიოდა, მეტადრე უცხო ადგილას, უთუოდ ვინმე უნდა გაჰყოლოდა.

შატარებელი მალე ჩამოვდა. თედო ნელის მიეგება, უნდოდა ავტობუსში ჩაესვა, მაგრამ იქ უკვე ხალხი შეჯგუფებულიყო და ნელის მათ შორის ვერ გაატარებდა.

წარბშერქმნით გახვდა ნელიმ არიშს. წინათ რამდენჯერმე იყო აქ მაგრამ ახლა, ამ ღრუბლიან საღამოს ბინდში კიდევ უფრო არ მოეწონა იგი. თოვლი იმ დღეს გადნა, გზები ატალახდა, შხრიალით მიმომავალი მანქანები ირგვლივ ლაფის შხეფებს აფრქვევდნენ.

— ესაა, თედო, თქვენი აწმენებული სამოთხე? — დამცინავდა ნელი. — ამას აკლავთ თავს?

თედომ შიშით მიმოიხედა. მერე ნელი შეათვალა. წინათ არ მიუქცევია ყურადღება, ახლა მოხვდა თვალში: არავის, ახლომახლო მიმავალს არა ჰგავდა იგი. არც მორთულობით, არც გამომეტყველებით. უბრალოდ ჩაცმული მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები ბინებისაკენ მიიჩქაროდნენ, საქმიანი ადამიანის იერით იყვნენ მოსილი. ეს კი...

— რანაირი ხარ, ნელი! — გადაულაპარაკა კორფამე, — ცოტა მიიხედ-მოიხედე, ჩაუყვირდი. რაც ენაზე მოგადგება, ყველაფერი კი არ უნდა სთქვა, სიფრთხილეა საჭირო. მერე კიდევ, ხომ ზედავ, როგორ აწეწილია ჩვენი საქმე? შენ თუ რამენაირად ტარიელის გული არ მოიგე, ყველაფერი წყალში ჩაივია.

— კარგი ერთი, — შეესიტყვა ნელი, — შენ გეუბნები, სხვას ხომ არა? აბა ერთი შეხედე, რას ჰგავს აქაურობა, რა ტალახია, რა სიბინძურე! განა კულტურულ ადამიანს შეუძლია აქ ცხოვრება?

— მოიცა, — შეაჩერა თედომ, — რისი იმედი გაქვს, რომ არ ვიცი! რითი გინდა შეუვიწროებლად იცხოვრო? შენ თუ...

უნდოდა ეთქვა: „იმ ცუდლუბტი ლარიძისაგან მოელი წყალობას, იმას თავისთავისათვისაც ვერ დაუყრია ხეირი და შენ რა უნდა მოგცესო“, მაგრამ თავი შეიკავა.

ნელი მაინც მიხვდა. შუბლი შეიკრა, იუკადრისა.

— ენა რათ დაგება, სთქვი ბარემ!

— გული ნუ მოგდის, ნელი! ხომ გაგიგონია „რომელ ქვეყანაშიაც შეხვიდე, იქაური ქუდი დაიხურეთ“. დროა აწი, უნდა შეეგუო...

ნელის გაეცინა, თედოს შინაურულად ახედა.

— შენ მეუბნები ამას, შე ეშმაკო? შენ თვითონ ხარ შესაგუებელი, თორემ მე რა, ჩემთვის სულერთია, ოღონდ კარგად მაცხოვრე...

კორფაძემ ნაცნობი შოფერი დაინახა, მანქანა გააჩერებინა, ნელი ტარიელის ბინამდე მიაცილა.

კარი ნათიამ გაუღო; სახტად დარჩა გოგონა, რადგან ნელის სრულიად არ მოელოდა თვითონაც არ იყო გარკვეული, თუ რატომ არ უყვარდა იგი, რატომ აწინებდა მისი ცივი გამოხედვა.

— აჰ, ნათია, როგორა ხარ, გენაცვალე, ხომ აღარ აუადმყოფობ? — მიეაღერსა ნელი, თავზე ხელი გადაუსვა.

ნათიამ თვალი დახარა, პასუხის გაცემა გაუჭირდა.

ნელიმ იცოდა, რომ ტარიელი ამ დროს შინ არ იქნებოდა, მაინც იკითხა:

— ტარიელი ხომ არ მოსულა?

ნათიამ თავი გაიქნია, უნდოდა კიბე აერბინა, თეოლინესათვის ნელის მისვლა ეცნობებინა, მაგრამ ნელი დაწინაურდა, შესასვლელთან ბოტები გაიხადა და ოთახის კარი შეაღო.

თავი ისე ეკირა, როგორც მგზავრობიდან შინ დაბრუნებულ დიასახლისს შეჰფერის.

კუთხეში, დივანზე თეოლინე იჯდა და რაღაცას ქსოვდა; კარის გაღებაზე თავი არ აუწევია, წარბებქვეშ გახედა; შეკრთა, ფერი ეცვალა.

— დედა, შენი ჰირიმე, რაეა მყავს შენი თავი? — მიეხმატკბილა ნელი, მიაშურა, გვერდით მიუჯდა, ხელის მოხვევა დააპირა.

თეოლინე წამოხტა, სათვალე კინალამ ჩამოუვარდა, საქსოვი ხელში შერჩა, ყოველგვარ უტიფრობას მოელოდა ნელისაგან, მაგრამ ეს მის წარმოდგენას აღემატებოდა. მრისხანებამ აიტანა, უნდოდა ისეთი რამ ეთქვა ამ „მზავარი დედაკაცისათვის“, რომ მიწასთან გაესწორებინა, მაგრამ ჯერ შესაფერი სიტყვა ვერ ეპოვნა.

ნელი მიხვდა, რომ მოფერებით მის გულს ვერ მოიგებდა, თავის შემბრალეზა მოიწადინა.

— რა მოგივიდათ, ყველა რომ შესაკმელად მიყურებთ? — ცრემლიანი ხმით ჩაილაპარაკა საცოდავად, ცხვირსახოცი ამოიღო, თვალზე მიიფარა, ატირდა.

— რა გატირებს, ქალო? როგორ გაბედე აქ მოსვლა? — ამოიღო ენა თეოლინემ. ფერმკრთალი ლაწევები წამოგზნო, სათვალე მოიძრო.

ნელის იმდენი მრისხანება მოესმა თეოლინეს ხმაში, რომ წამსვე ქვითინი შესწყვიტა, თვალებზე მიფარებული ცხვირსახოცი მოიშორა და ონაერულად შეაშტერდა მოხუცს. მერე ნელა გასწორდა წელში, მზერა გაამახვილა, თითქოს ვეფხვი ნახტომისათვის ემზადებოდა.

— როგორ მიბედავ ასე ლაპარაკს, შე გლახის შეილო? — გველური სისინით წამოიძახა ნელიმ: — სულ შენი ბრალია ეს, კაცს გული გაუფუჭე. ვინ იცის, რას არ ეჩურჩულებოდი... ახა ჩემზე, აღრე უნდა გამეგდე სახლიდან...

თეოლინე კარგად იცნობდა თავის ყოფილ რძალს, იცოდა, რომ მასთან ლაპარაკით ვერაფერს ვახდებოდა, ერთის ნაცვლად ათს ეტყოდა, არც უშვერ სიტყვებს დაერიდებოდა. ამიტომ დემილი არჩია. ახლა იმაზე-ღა ფიქრობდა, რომ როგორმე ტარიელი არ შეხვედროდა მას აქ. თვალი ტელეფონისაკენ გაექცა, მაგრამ ნელიმ თითქოს იაზრა, რაც სურდა თეოლინეს, მაგიდასთან მივიდა, წიგნი გასწია, ტელეფონს ხელი შეახო, მერე თეოლინეს ახედ-დახედა, თვალთაგან თითქოს მომწუსხავი ნაპერწკლები გადმოცვივდა, ქედმაღლურად იკითხა:

— ერთი ეს მიბრძანე, ვინ არის ის ქალი, ტარიელს რომ დასდევს? შესახედავად თუ ვარგა მაინც?

თეოლინემ თავი ასწია, უნებლიედ აღმოხდა განცვიფრებულს:

— ვინ ქალი? რას ბოდავ?

— ვიცი მე, ყველაფერი ვიცი! — ქაღილით სთქვა ნელიმ: — ვიღაცა მაწაწალა მოთრეულა და კარგი ცხოვრება მოწადინებია. უკაცრავად, ვერ მივირთვი! მე ჯერ ცოცხალი ვარ, ჩემს უფლებას ასე ადვილად ვერავინ წამართმევს...

შინაურულად მიიხედ-მოიხედა, პალტო გაიხადა, ჩამოაკიდა, ფანჯრიდან ქუჩას გადაჰკრა თვალი, ნერე ისევე მაგიდასთან მივიდა, დაჯდა.

— აგერ ვარ მე და აბა ენახოთ, თუ ვინმე გამიყვანს აქიდან! — ჩაილაპარაკა მუქარით.

ტარიელს იმ დღეს შინ სადილად პისვლა დაუგვიანდა. ჯერ თავის კაბინეტში ძლივს გაართვა თავი დაგროვილ საქმეს, შემდეგ მთავარი ინჟინრის მიერ მოწვეულ თათბირს დაესწრო, ბოლოს სამსხმელო სამკროში შეიარა. აქ ახალი ზიდური ამწე იყო მოტანილი, იგი გათვალისწინებულზე ოდნავ გრძელი აღმოჩნდა. ახლა იმაზე ფიქრობდნენ, თუ როგორ ჩაედგათ იგი კედლებს შორის ისე, რომ ნაკლები შრომა დახარჯულიყო.

ხელმარცხნივ, კუთხეში, უკვე მზად იყო ასამუშავებლად ელექტრო-ლუმენი; ირგვლივ ცემენტის იატაკი დაესუფთავებინათ, სადნობი მასალა დაეგროვებინათ. ამ ღუმელში უმაღლესი ხარისხის ელექტროფოლადი უნდა გამოედნოთ.

ღუმელთან მისვლისთანავე ტარიელს მიამურა მეტად მკვირცხლმა ქერა ინჟინერმა, ელექტროფოლადის სპეციალისტმა, რომელსაც პირველსავე სიტყვაზე შეამჩნევდით, რომ იგი იმერელი იყო, თავაზიანი, პირმღიმიარე.

— ყველაფერი გათვალისწინებულია, — ეუბნებოდა იგი ტარიელს, — ფოლადის გამოშვებას ცვლამი ორჯე-

რაც მოვასწრებთ, მხოლოდ ნატეკრთვა დაგვაბრკოლებს. კარგად მოგეხსენებათ, ქარხნებში, სადაც საგლინავი საამქროები მუშაობენ, რკინაფოლადის პატარაპატარა ნაჭრები ბლომად მოეპოვებათ და მექანიკურად ჩატეკრთვას ნაწილობრივ ახერხებენ, აქ კი აგერ ეს მიხრილ-მოხრილი ნატეხები უნდა ჩაეყაროთ ღუმელში. ეს გააძნელებს მუშაობას, მაგრამ როგორმე დროს სხვა მხრივ მოვიგებთ...

სალამოს, შინ რომ მიდიოდა, არაერთი გადაუღებელი საქმე უტრიალებდა თავში ტარიელს, თვითეული მათგანი დიდ დროსა და ენერგიას მოითხოვდა, მაგრამ ეს იმდენად აღარ უმჭიმდა, დაჩვეული იყო შესაფერი გეზის მიცემას. დაღლილობას არა გრძნობდა. პირიქით, ისეთ ამაღლებულ გუნებაზე იყო, როცა კაცი მთელი არსებით შეზრდილია დიად საზოგადოებრივ წინსვლაში და ღრმად სწამს, რომ ვერავითარი დაბრკოლება ვერ გასტეხს.

ამ განწყობილებით აიარა კიბე და თავისი ბინის კარი შეაღო.

გულმოდგინედ ემზადებოდა ნელი ამ შეხვედრისათვის, მაგრამ პირველად მაინც შეერთა; გულის რომელიღაც კუნჭულიდან გამოკრთა გრძნობა დანაშაულისა და სახეზე ჩრდილად დაეფინა; მეტად მწვავედ დასუსხა ამ შეგნებამ, რადგან გაბო ლარძის გულიდან მოწყვეტა აზრადაც არ მოსვლია, ძველი მდგომარეობის აღდგენა სწაღდა მხოლოდ. ისევე თავისი მთავარი ბუნება — ცბიერება მოიშველია, წელში გაიმართა, ხელები გაშალა და ნახი, თაფლიანი ხმით მიეგება:

— ტარიელ, შენი ქირიმე...

ტარიელს ელდა ეცა, უკან კინალამ გაბრუნდა; უცებ აღძრულმა ზიზღმა შებოჭა; მერე თითქოს მწვერვალიდან ჯურღმულში დაეშვა, უნებურად მიხედა თეოლინეს, მისმა დედობრივმა თანაგრძნობამ წონასწორობა დაუბრუნა.

დინჯად უნდა ეჭიროს თავი, არ უნდა აპყვეს სულიერ მღვლეარებას. ხომ იცნობს ნელის, იცის, რაც ბუღობს მის არსებაში. ღირსეულად უნდა გაემიჯნოს...

— ნუ მომისპობ, ტარიელ, სიცოცხლეს. — ეუბნებოდა საცოდავად იგი, უახლოვდებოდა. — თორმეტი წელიწადი ვცხოვრობდით ერთად, აწი რაღა დროსია ჩვენი გამოშვება, ქვეყანა რას იტყვის...

ტანში ერთანტელმა დაუარა ტარიელს. ნუთუ მართლა, ამდენი ხანი იყო ამ შხამიანი არსების გვერდით? მთელი წლობით არ იყო ხოლმე შინ, მაგრამ შორს ყოფნის დროს ვანა თავისად არა სთვლიდა? რამ დააბრმავა, აქამდე რატომ არ აეხილა თვალი?

— ჩვენი საწყალი ბავშვი მაინც მოიგონე, ჩვენი ზურკო. — სთქვა ნელიმ და ტარიელს ხელი შეახო.

ამ სიტყვებმა აანთო ტარიელი, განზე გაიწია, მკაცრად ახედ-დახედდა ნელის. ბავშვის ხსენებამ ამ ვერაგ ქალს თითქოს გვერდით ამოუყენა ახალგაზრდა მგლოვიარე დედა, რომელიც მაშინ ისე ეცოდებოდა ტარიელს, თავს ევლებოდა, მაგრამ თვალის დახამხამებაში გაპქრა იგი; ტარიელის წინაშე ოჯახის სიწმინდის შემზღალავი, ნიღაბბდილი მაცდური იდგა.

— ამ გათახსირებას ის არა სჯობდა, მაშინ მომკვდარიყავი? აღამიანის სახე მაინც შეგჩებოდა! — ჩაილაპარაკა ტარიელმა. მეტისმეტი დაღლილობა იგრძნო, მაგიდასთან ჩამოჯდა, პაპიროსს მოუკიდა.

— ღმერთი არ გააბარებს იმას, ვინც შენ ჩემი თავი შეგაძულა. — წარმოსთქვა ნელიმ და აცრემლდა, სკამზე უმწეოდ დაეშვა, აქეთინდა.

ტარიელს უფრო შესძავდა იგი, მღვლეარებამ აიტანა.

თეოლინეს შვილი შეეცოდა, მივიდა, მოეფერა:

— დამშვიდდი, შვილო! მაგის ნურც ტირილი გჯერა და ნურც ^{წინა}გაღმშვმა... გაიგონა თუ არა ეს, ^{მყისვე}წმინსტა ნელი, სახე ბრაზით დაემანჭა, თავისი დამცირება, პატივმოყვარეობის შელახვა ვერ აიტანა.

— უყურე ახლა ამას, რას მიბედავს! შენი დასაწიხლავი ვარ მე, შე გლახის-შვილო? ის დღე რატომ არ დაიქცა, თქვენ რომ დაგიახლოვეთ!... გამწირეთ, ხომ? ახლა მე მიყურეთ. სასამართლოში წავალ, მთელ ქვეყანას შეგყრი... ის ვიღაც დედაკაცი მოთრეულა აქ, იმას შავ დღეს დაეაყენებ, არ გავაბარებ...

ტარიელი მაშინვე მიხვდა, ვის წინა აღმდეგაც იყო მიმართული ეს მუქარა; თავში სისხლი აუეარდა, გამანადგურებელი ხმით შესძახა:

— ხმა გაიკმიდე!...

არასოდეს ასეთი ხმა ტარიელისაგან არ გაუგონია ნელის, ამ ხმამ მყისვე გამოაცალა ის საფუძველი, რომელზედაც ასე მედიდურად იდგა; საშინელი უძლურება იგრძნო, ჩაიყეცა, მხრები აუცახცახდა.

ახლა მართლა ქეთინებდა იგი. დარწმუნდა, რომ მიზანს ვერ მიადწევდა, ამიტომ გლოვობდა გულწრფელად, თავისთავს დასტიროდა.

XV

მონადირენი

სანადიროდ გამოწყობილმა გაიოზმა გარაქიდან მანქანა გამოიყვანა.

განთიადი ახლოვდებოდა. არიშს ცისკრის ვარსკვლავი დაყურებდა. ზამთარი იყო ჯერ, სახლების სახურავებსა და მინდორზე ჭირხლი მოსჩანდა, ვრილი ნიავი უბერავდა, მაგრამ ჰაერი მაინც ისეთი ნაზი და დამტკბარი იყო, თითქოს მთელი ეს არე-მარე გაზაფხულს კარს უღებსო.

კვირა დილა თენდებოდა და ქალაქი

ჯერ არ იშმუშნებოდა. გაიოზმა პირველმა დაარღვია დუმბილი, ტარიელის ბინის წინ მანქანა გააჩერა და ორჯერ დააქირა თითი საყვირს.

ირლანდელმა სეტერმა, რომელიც წინა დღეს ავადმყოფი ინჟინრისაგან წამოიყვანა გაიოზმა, წკმუტუნე დაიწყა. გაიოზი გადაწვდა, თავზე ხელი მოუსვა. ძალმა წინა ფეხები ასწია, გაიოზს მკლავზე მოეხვია, თვალბში შეამტერა.

— კარგი, ბეგი, დამშვიდდი! — მოეფერა გაიოზი.

ბეგი აცქმუტდა, გაიოზისაკენ მიიწია.

ამ დროს ტარიელიც გამოვიდა ბინიდან. ცალ ხელში ბოხჩაში ჩადებული ორლულიანი თოფი ეჭირა, მეორეში — საგზლით სავსე ხალთა. მოკლე სათბურსქვეშ ახალვაზნებიანი ფალასკა ჰქონდა შემორტყმული, ქამარზე მაგარქარქაშიანი ნაღველი დანა ეკიდა, თავზე შემხმარი ბალახისფერი, ფართო ფარფლებიანი მხედრული საზაფხულო ქუდი ეხურა.

ბეგი თუმცა ტარიელს არ იცნობდა, მაგრამ მიახლოებისთანავე მისკენ გაიწია, ამოძრავდა, ცახცახი დაიწყა, მისწვდა, სანადირო სამოსი დაუყნოსა; ვინ იცის, რა არ შეივარსოვალტაყებულმა, რა ნადირი, რა ფრინველი, დაბურული ტყე და გაშლილი მინდორი, ლელი და ჯაგანარი. ტარიელი რომ მანქანაში მოთავსდა, ბეგი აიწია, მიეხუტა, თავი მხარზე დააყრდნო.

— კაი ძალლი ჩანს. — სთქვა ტარიელმა.

— ცოტა შორს ვარბისო, მითხრა პატრონმა, თორემ ისე ძალლი ვერა სჯობსო. — დაუდასტურა გაიოზმა და მანქანა დასძრა.

ნავებზე გადებულ ხიდზე ტალღისებური რხევით გავიდნენ. მტკვარზე აქაიქ ყინულის პატარ-პატარა ხორგები

მისცურავდა, წყალმიმღები სადგური ნაცრისფერ კლდესავით აღმართულიყო. ხოლო ხარაჩოებით შემოგარსული ახალი ხიდი გემზე ატანილი ვეშაბივით გაწოლილიყო ვეება ბურჯებზე.

რიყის მიღმა განთიადის ბინდბუნდში მაღალი ვერხვები ინაკვთებოდნენ; ქალას ოდნავ გამკვირვალე ბურუსი ეფინა.

აღმართს შეუდგნენ.


ადიოდნენ ზევით და მხარმარცხნივ ცის კიდურს ნარინჯისფერი ნათელი ეფინებოდა. შორს მთავრეხილზე თოვლი ციმციმებდა; დაბლობში, მტკვრის პირად, რკინიგზის ლიანდაგის გასწვრივ, არიშის ნათურები აქა-იქ ჯერ კიდევ ენთნენ; თბოელექტროცენტრალის მაღალი მილიდან ამომავალი ბოლი ცისიერში იშლებოდა, აღმოსავლეთისაკენ მიიწვავდა, მტრედისფერდებოდა, ნელინელ ინთქებოდა სივრცეში.

ახლომახლო, ფერდობებსა და ფლატებზე, ხმელ ბალახსა და ძეძვებზე ის იღუმალი ჩრდილები დაფაშფაშებდნენ, რომელნიც მონადირეს ათასგვარ ოცნებას აღუძრავენ ხოლმე.

გაიოზმა მანქანა ვიწრო მოსახვევიდან ციცაბო ნაპირზე გაატარა, უშიშარ გზაზე გავიდა, დარეჯანის შემფოთებული სახე წარმოუდგა. რამდენჯერ გაუმეორა მან, ფრთხილად იყავიო. პირველად ისტუმრებდა სანადიროდ და ათასი საშიშროება ეჩვენებოდა გამოუცდელს.

ასე სჩვევია სიყვარულს: გულის ტოლს რომ უცხო ადგილას უშვებს, ჰკრთის, ასე ჰგონია, უცებ მოვარდება რალაცნაირი ბნელეთი და ბედნიერების მომნიჭებელ ცას გადაეფარება.

გუნებაში გაელიმა გაიოზს: სიამოვნებდა ჰაბუკს, დარეჯანის ფიქრი და ზრუნვა რომ თან მიჰყვებოდა; ის შიშით სანთავად უშვებდა ასე ამშვენებდა მისივე უფლებას.



„დამწვიდდი, გულო, ნახე, როგორ ხელდამწვენიებული მოვალ საღამოს“. გაესაუბრა დარეჯანს გაიოზი და მყისვე ის ადგილი დაუდგა თვალწინ, სადაც ერთი თვის წინათ ისე მოულოდნელად წააწყდა კაკბის გუნდს. ახლა იცის გაიოზმა, როგორ უნდა მოიქცეს. ფრთხილად ჩაპყვება ხეეს, ერთ ქვასაც არ დააგორებს. ძეძვებს მოეფარება; თოფს მოიმარჯვებს. აგერ იფრთხილეს, ერთიმეორის მიყოლებით აფრინდნენ. გაიოზი ახლა გამოცდილია, არ ჩქარობს, მიზანში იღებს. გავარდა თოფი და კაკბი ცის სივრცეს მოსწყდა. წამსვე მეორეს უმიზნებს, ისიც ძირს ვარდება. გაიოზი მირბის, ჯერ ერთს იღებს, მცირე ხნის შემდეგ მეორესაც. რა ლამაზები არიან! მაგრამ ეს არ კმარა, ექვსიოდე მაინც უნდა აყინძოს თაიგულივით. როგორ გაეხარდება დარეჯანს! როგორ უხდება, სახე რომ გაუბრწყინდება და აღარ იცის, რა სიტყვით გამოსთქვას თავისი სიხარული...

სერზე ავიდნენ. ცის კიდურის მახლობლად საიდანაც ნაცრისფერი ღრუბლები გამოჩნდა, მზე მიეძალათ, კიდურებზე თითქოს ალი შეენთო. შორი მთების თხემები წყლისფერ ბურუსში გახვია.

ტარიელმა ამ დილით ჯერ კიდევ ვერ მოიშორა წინა დღიდან გამოყოფილი საზრუნავი. მოათავებდა ფექრს ერთ საგანზე, მეორე ამოტეტივდებოდა. ამიტომ ისეთ გუნებაზე იყო, როცა კაცი თითქოს თავის თავს არ ეკუთვნის, სადღეისო და სახვალის საქმიანთა გართული. მაგრამ აგერ ღრუბლების ნაპრალებიდან ამომავალი მზის სხივი გამოკრთა და მხარმარჯვნივ ქვემო-ქართლის მთებს მიეფინა; ტარიელმა ნაცნობ ადგილებს მოავლო თვალი და ისეთი გრძნობა დაებადა, თითქოს ამ გორებსა და ველებს პირველი ნახვისთანავე წამოეწყით ძველისძველი ამბავი და თხრობა ჯერაც ვერ დაემთავრებინათ.

ნათ. გარდა ამისა, ამ მიდამოებს ფითქოს რაღაც ისეთი ელფერი მკაფიან რავთ, გეგონება, ძველ შეგონებას უმკაფიურებ და გიკვირს, ასე როგორ გამოიკვალა იგი; ვინდა დაწერილებით მოისმინო მისი თავგადასავალი...

ბეგიმ დაიწყებუტუნა, მანქანაში მიმოტრიალდა, მერე ისევ საარკმელს მიადგა.

ტარიელმა ძაღლს დახედა, მისი წაბლისფერი ბალანი მოხვდა თვალში, მუხლზე დადებული თოფი შეიგრძნო და მონადირისათვის ჩვეული მოგონება აღედგა: სწორედ ბეგის ბალნისფერი იყო ის მამალი ხოხობი, რომელიც მდინარე დებედას გაღმა მაღალ ლელში აუფრინდა.

საღამო ახლოვდებოდა. დილიდანვე ბევრი იარა და თითქმის ხელცარიელი დარჩა. ჭაობის პირად ხმელ ლელს მიადგა. აქ ხოხობი ექნებაო, გაიფიქრა, მიჰყვა. ფეხს მაღლა სწევდა და ლელს მიაჩვევდა. ოფლიან სახეზე მოთეთრო ბუმბული ეფრქვევოდა. მიწას მძაღე სუნი ასდიოდა, ტარიელს გული აჩქარებით უტემა. ნაპირს მიადგა. ლელი შემეჩხერდა, ტყის პირი გამოჩნდა. ანაზღად იფრთხილა, შეკუმშული ალივით ამოეარდა ხოხობი, მამხალასავით ზეიქრა, წამსვე გასწორდა, გრძელი ბოლო გამოაჩინა და ისარივით გაემართა ტყისაკენ.

ტარიელი ხომ სულ ხოხობის აფრენას მოელოდა, მაგრამ სწორედ იმ წამს თითქოს სხვა რაღაცაზე ფექრობდა, შეკრთა, თოფი ინსტინქტურად მოიმარჯვა. გავარდა და ხოხობი მყისვე დაეშვა ძირს. ტარიელმა თავისუფლად ამოისუნთქა, საცაა ასაღებად უნდა გაიქცეს, მაგრამ ამ დროს ფრინველმა კვლავ ზევით აიწია, ფრთავამლით გასწია წინ. ტარიელისათვის ეს იმდენად მოულოდნელი იყო, რომ მეორედ სროლა ვეღარ მოისაზრა, გაუმეებელი უტყეროდა, თუ როგორ მიადგა ხოხობმა



ტყემლის და იქ დაეშვა ნარნარად. ახლა გამოერკვა, საშინლად დასწყდა გული. რა ზარალი უნდა ენახა, რომ ასეთი საწყენი ყოფილიყო, ასე მწვევედ განეცაღნა. გამობრუნდა და...

აგერ რამდენი ხანი გავიდა მას შემდეგ, მაგრამ ახლაც თვალწინ უდგას, ხოხობი რომ სივრცეს მოსწყდა და ძირს დაეშვა. მერე ისევ გამართა ფრთები და ტყეს მიეფარა.

მანქანა დაბლობისაკენ დაექანა. მზემ შემოჯარული ღრუბლები გაარღვია, ცის კილურზე ამოცურდა და რუხი მთების ფერდობები განათდა; შორს თოვლიანი მწვერვალები მეტის ბრწყინვალეობით დამშვენდა; შუაში ძველი ქართლის მეწინავე სადროშო გადაიშალა თავისი მდინარეებით: ალგეთით, ხრამითა და დებედათი.

— გვიან წამოვედიო, ახლა ხიდზე გასული უნდა ვიყოო. — ჩაილაპარაკა გაიოზმა.

— ნუ გეშინია, მოვასწრებო. — უთხრა ტარიელმა და ტაფობში ჩაიხედა, ქვიანმა ბორცვებმა მეტის სიციხადით დაანახა უთვალადო უდაბურობა ამ შემოგარენისა.

„არიშიც ასე გამოიყურებოდა მშენებლობის დაწყებამდე, — გაივლო გუნებში — ასეთივე რუხი გორაკები, ქვიანი ქალა და უსიცოცხლო ტრამალი... საქართველოს კარი იყო ეს... რამდენჯერ შემოუმტკრევია იგი მტერს, რამდენი სისხლი შეუშვრია ამ მიწას...“

ბარში მთელი სისწრაფით მიაქროლებდა გაიოზი მანქანას, მხოლოდ ერთ ადგილას შეანელა სელა: გზის პირად მტრედის გუნდს მოჰკრა თვალი, ტარიელს მიხედა.

ტარიელი მიუხვდა, თავი გაიქნია:

— გასწი, დროს ნუ კარგავ!

ნაცნობი კოლმეურნის სახლის წინ დააყენეს მანქანა. ბეგიმ ჩასვლისთანავე თავდავიწყებით გაინეარდა, ქათამს გაეთამაშა, თხრილზე ისკუპა, უკან გა-

მობრუნდა, გაიოზს შეახტა, ვერ იხსენებდა, ჩქარობდა.

გაიოზსაც მოთმინება არა ყოფნიდა. ტარიელმა პური და ძეხვი მიაწოდა, უგუნებოდ შექცა.

სათბურები გაიხადეს. გზას გაუღდგნენ. ბეგი ელვასავით მიმოჰქროდა; მოეფარებოდა, მალე მობრუნდებოდა, გაიოზსა და ტარიელს თვალს გაუსწორებდა, წამსვე შეტრიალდებოდა და წინ გაექანებოდა, ოქროსავით ელვარებდა მზის პირველ სხივებში.

მინდორზე, ტყის მახლობლად შედგა ტარიელი. აქ შეიძლებოდა ტყის პირს გაჰყოლოდნენ, იქნებ ხოხობი ან ტყისქათამი აფრენოდათ, მდინარეს მიადგებოდნენ, იხვზე ინადირებდნენ, მაგრამ გაიოზს მთისკენ გაექცა თვალი, ტარიელსაც ის ადგილი წარმოესახა, სადაც წინათ კაცების გუნდებს წააწყდნენ.

— კარგი, ავყევით ზევით. — სთქვა ტარიელმა.

— აბა, ჰა, ბეგი, შენ იცი ახლა! — წამოიძახა გახარებულმა გაიოზმა და ფრთაშესხმულივით გასწია მთისკენ. ამ წამს არაფერი მას არ ახსოვდა, არავითარი დარდი არ აწუხებდა, — იყო ეს ლალი ბუნება, ეს ველი ეს მთა, თვითონაც ამ გაშლილი მიდამოს ნაწილი იყო, ხალისიანი, სიცოცხლით სავსე.

ხევს მიადგნენ. ტარიელი ხელმარჯვნივ აჰყვა ფერდობს, ხოლო გაიოზი გაღმა გავიდა, ძეძენარისაკენ გაემართა.

ბეგი გაიოზს ვაჰყვა. გაიოზი გაუწყურა, ტარიელთან წადიო, უბრძანა, მაგრამ ბეგიმ რატომღაც არ ისურვა, თავი ჩაღუნა და წინ გაექანა.

— გაანებე თავი, შენთან იაროს! — ვასძახა გაღმიდან ტარიელმა.

რალა გაეწყობოდა, აგრე უნდა მოქცეულიყო, მაგრამ ეს მეტ პასუხისმგებლობას აკისრებდა გაიოზს. უნდა იმარჯვოს, არც ერთი შემთხვევა ხელიდან არ უნდა გაუშვას. თუ ბეგიმ ნაბული

გააკეთა, მაშინ ხომ ნაღდი იქნება, თუმცა ჯერ ძალით არ უნადირნია, სხვისთვის უცქერნია.

რამდენჯერმე გასძახა ბეგის; არ მოუხედა, ძეძვნარში შეიჭრა. ხომ შეიძლება, იქ ნაბული გააკეთოს; გაიოზმა როგორღა უნდა მიუსწროს?

ნაბიჯს აღჩქარა, აღმართს თითქმის არა გრძნობდა, არც არე-მარე, არც ცა არ იპყრობდა მის ყურადღებას, კაკებების აფრენას მოელოდა... აგერ ქვებთან გაიღანდა რალაც მოწაბლისფერო. აჰ, მელა! თოფი შემართა. მელა ჯაგს მოეფარა. გაიოზმა ზევით აირბინა, იქნება კბოდესთან თავი დაეუსწროო, მაგრამ ამაოდ, თვალი ვერსად მოჰკრა, გული კი ყელში მოაწვია, სუნთქვა შეეკრა ოფლში გაღვრილს, ჩაიმუხლა. ღრმად ამოისუნთქა. თვალი მიმოატარა. ბეგი არსად სჩანდა. ამ ღროს გავარდა გაღმა თოფი. ხემა ყრუდ გაიმეორა სროლის ხმა. „ტარიელმა უთუოდ მოჰკლა“. — გაიფიქრა გაიოზმა. შურიანი არ იყო, მაგრამ უნებლიედ დასწყდა გული, რომ თვითონ ხელცარიელი იყო.

აგერ ბეგი შორბის, სროლის ხმამ თუ მოაბრუნა. სისხლისფერი ენა გამოუგღია, ჰქელავს.

— მოდი, ბეგი, მოდი! — მოეფერა გაიოზი, თავზე ხელი გადაუსვა.

კვლავ გაისროლა ტარიელმა, ძალი წამოიჭრა, გაქცევა მოინდომა. საყელოში ჩაავლო ხელი გაიოზმა, არ გაუშვა.

— დაიცა, ნუ გეშინია, ჩვენც ვნახეთ, ოღონდ შენ მარჯვედ იყავი, შორს ნუ გარბინარ, მე დამიჯერე. — ეუბნებოდა გაიოზი. ამავე ღროს, თუმცა ტარიელი შორს იყო, ხევში ცერად აღმართულ კლდეს ეფარებოდა, მაგრამ გაიოზი ნათლად ხედავდა, თუ როგორ აიღო მან მოკლული კაკაბი, როგორ გასწვია თასმის მარყუევი და ზედ ჩამოჰკიდა.

— აბა, ბეგი! ქვეიანად მიიარ-მოიარე, დამიჯერე! ხომ გესმის, რას გუბ-

ნები? — ამხანაგურად დაიწყო ძალი და წამოდგა, ხალთის სავსე ვეფხვეფი ვაისწორა, თოფს რამდენჯერმე გახედა სამიზნოდ, წაივარჯიშა.

ფლატეს შემოუარა. მოზრდილი ქვა ხრიალით დაგორდა და ყრუ ხმაურით დაეცა ნიაღვრისაგან გარეცხილ ფსკერზე. ბეგიმ ყური სცქვიტა, შეჩერდა, უმაღლე მოსწყდა ადგილს და სერის მახლობლად ბუსუსა ბალახებში ჩარგო ცხვირი.

გაიოზი ნახნავთან შედგა, მიიხედ-მიიხედა: იქნებ შემოეუაროო. ფრთების ტყრციალი მოესმა, სერზე კაკბის გუნდს შეასწრო თვალი. ბეგიც თითქოს მიფრინავდა, ისე გამალებით მისდევდა.

— ბეგი! ბეგი! — გასძახა გაიოზმა და ნახნავი პირდაპირ გადასჭრა, იმედი მოეცა, თავში კი მხოლოდ ერთი ნატვრა უტრიალებდა: ნეტავი იქ ვყოფილიყავიო.

ბალახში რომ შევიდა, ბეგი მობრუნდა, სულს ძლივს ითქვამდა, გაიოზს არ შეხედა, თითქოს უკმაყოფილო არისო; აფრენილი გუნდისაგან დარჩენილი სუნი ეცა, ძებნას შეუდგა. ახლა არა ჩქარობდა, ხვეულად მიმოდიოდა. გაიოზი ვუხდაფხვ მიჰყვებოდა, მზად იყო, კუნთები დაჭიმული ჰქონდა.

ვერა იპოვნა რა. სერზე ავიდნენ. ენა-გამოგდებული ბეგიც შედგა, ჩაიმუხლა. გაიოზი ფერღობს დააცქერდა.

აგერ ძეძვნართან თავაწეული გარბის ერთი, ბუჩქს მოეფარა.

გაიოზმა ძალს საყელურში ჩაავლო ხელი, ქვევით დაეშვა. ის იყო, მიუახლოვდა ძეძვებს, ბეგს ხელი შეუშვა და კიდევაც იწყო აფრენა გუნდმა. გაიოზს თვალი აუჭრელდა: რომელს ესროლოს? ზედიზედ ამოდიან ბუჩქებიდან. არც შორს არიან, სადღა წაუვლენ. ამ იმედმა მოატყუა: დაუმინებლად მიაყოლა ორივე ლულიდან. არც ერთი არ ჩამოვარდა, ხელში კი ცარიელი თო-

ფი შერჩა. კაცებები შორს, ხევს გაღმა დაეშენენ დაბლობში. იქ რა ჩააღწევს!
 „თფუ! შეგკამა ტურამ“, ჩაილაპარაკა გულდაწყვეტილმა გაიოზმა თოფი გადახსნა, დაცლილი ვაზნები გამოიღო, საესე ჩააწყო.

ჩაპყვა ფერდობს, ძემენარში მიიხედ-მოიხედა. უცებ გული გაუნათდა: აგერ ხმელბალახიან ძემეთან ბევი ნახულზე დგას. მთელი ტანით წინ წაბრიალა, გრძელბალიანი კუდი გაშეშებია, ქანდაკებას დამსგავსებია. ახლა რაღა უშავს გაიოზს, კაკაბი ხელში უჭირავს, მაგრამ თავისდაუნებურად მღელვარება იპყრობს, ზედმეტი დამბულობისაგან გული ეკუმშება.

ბევის მიუახლოვდა, ძლივს გასაგონად უთხრა:

— ეცი!... ეცი! — აუწია ხმას. ძაღლი არ გაინძრა, თითქოს მართლა ქვედ ქვეულაო.

გაიოზს გული უკვე გამალებით უცემდა; მოლოდინი გამძაფრდა. სული მოითქვა, ბევის ფეხი ჰკრა. დაიძრა ძაღლი და მყისვე სულ ახლოს, ცხვირწინ ფრთების ტკაცანით აიჭრა მალა კაკაბი.

საოცარია, გაიოზისათვის თითქოს მოულოდნელი იყო ეს, შეერთა, წამსვე ესროლა ერთი, მეორე... კაკაბი აგერ მიფრინავს, შეუძლია კიდევ ესროლოს, მაგრამ თოფში ვაზნა აღარა აქვს.

მანამდის უმზირა, ვიდრე კაკაბი ხევს გაღმა, ძალიან შორს ჩაფრინდებოდა. მერე უმწეოდ მიიხედ-მოიხედა, თოფი ისე ჩაიქნია, თითქოს გადაგდებას უპირებსო. ჩაჯდა გულმოსული, სავსებით დაცარიელებული. ბეგიც მობრუნდა, გვერდით მიუწვა, საყვედურით საესე თვალებით ახედა.

გაიოზს შერცხვა, ძაღლს თვალი აარიდა.

შორს, ხევს სიღრმეში იხუვლა თოფმა, მალე მეორედ გავარდა.

„ტარიელია, — გაიფიქრა გაიოზ-

მა, — აქამდე სულ თითქოს მოვალა, მხოლოდ ახლა გაისროლა...“
 ვიფრინავს ერთი თოფი იქნება, მე კი... ძაღლი მყავს და ხელცარიელი ვარ... სირცხვილით როგორ ვეჩვენო ტარიელს? რას იტყვის?... არა, რამენაირად უნდა ვიპოვნო, ერთი მაინც უნდა ჩამოვადლო!...

ადგა, მხრები შეაჩხია, წელზე ფალასკა გაისწორა, სწრაფი ნაბიჯით დაეშვა დაბლობისაკენ.

თეთრ ღრუბლებში მზემ გაინაპირა, ჩამოცხა. გაიოზი სიცხეს არა გრძნობს, გაბრწყინდა შორი მთის თოვლიანი თხემი. მიიჩქარის, ზმირად იხედება იმ ადგილისაკენ, სადაც კაცებები ჩაფრინდნენ.

როგორც იყო, გავიდა გაღმა, რბილსა და მალალ ბალახს აყვა. მთიელებმა იციან ასეთი ნაცრისფერი ბალახის ქალამანი ჩაფენა.

ანაზღად რაღაც გაშრიალდა. გაიოზმა თოფი შემართა. გვიან მოჰკრა თვალი: კურდღელი მახლობლად დაყუდებული ლოდის ძირში გაძვრა.

გაიოზი გაშეშდა. „რა ეშმაკმა დამთარსა დღეს, რომ არ ვიცი!“ ბრანით ჩაილაპარაკა და სწრაფად შეტრიალდა, ბალახზე ფეხი დაუცურდა, დაეცა, თოფი კინალამ გაუვარდა. შესვენება მოუნდა. უმალვე კაცებები მოაგონდა, წამოხტა. აღმართი პირდაპირ ასკრა. დანიშნული ბუჩქნარი დაინახა. წელში მოიხარა, ბეგი ჩუმად მიიხმო.

ძაღლი გაიოზის მოძრაობამ ჩააფიქრა, შეჩერდა; მიახლოებულ გაიოზს წინ გაუძღვა.

აჰა, აფრინდა ერთი, მეორე მიჰყვა. გაიოზმა დამიზნება მოასწრო; გავარდა თოფი და კაკაბი ძირს დაეშვა, ფერდობზე დაეცა, გარბის.

— არიქა, ბეგი! მიშეუღე, ბეგი! — დაიყვირა გაიოზმა და გაიქცა. ძაღლმა მოასწრო, დაიჭირა.

გულამოვარდნილი მივარდა გაიოზი, ბეგის თავზე ხელი მოხვია, მზად იყო

ეკოცნა, იმდენად ახარებდა, პირში რომ კაკაბი ეჭირა. ფრთხილად გაუწია ყბა, გამოართვა მალლა ასწია; პაწია, მაგრამ უცნაურად მრისხანე თვალებში ჩახედა, კრელ მკერდზე ხელი დაუსვა, მოტეხილი ფრთა და სისხლისფერი ფეხები გაუსწორა.

ხელში თითქოს ერთი დაკრძალი კაკაბი როდი ეჭირა, თითქოს უთვალავი სიმდიდრე შეიძინა, უბე თვალმარგალიტით აევსო. ცალი ხელით მოხსნა თავი ხალთას, ფრთხილად ჩასვა შიგ კაკაბი.

იმდენად გატაცებული იყო, რომ აქამდე არავინ მოჰკონებია, მხოლოდ ახლა წარმოუდგა, თუ როგორ გაეხარდებოდა დარეჯანს, როცა ცოცხალ კაკაბს მიჰგვრიდა.

თვითონაც გაელიმა გაიოზს გუნებაში, დამშვიდდა, მსუბუქი ნაბიჯით აყვავა ციკაბო აღმართს.



ბუბაქართა მთის თხემზე აივაკა ტარიელმა, ხალთა და ნანადირევი მოიხსნა, ხმელ ბალახზე დააწყო. ოფლი მოიხოცა, ხევის პირთან მივიდა, რამდენჯერმე გადასძახა გაიოზს, აქ ამოდით. მერე ბარგთან მიბრუნდა, პირაღმა წამოწვა, თავი ხალთას მიადო.

თეთრი მარმარილოსფერი ღრუბლები მიმოფანტულიყვნენ ცაზე, ზოგან თითქოს ჰაეროვან ლეჩაქსა შლიანო, ისე იქსელბოდნენ, ზოგან ოქროსფერი ქობა შემოველოთ; ხოლო ცის გუმბათი, შიგადაშიგ ღრმად მჩინარე, ისეთი სუფთა იყო და ხასხასა, როგორც ახალამოსული ია.

და მყუდროება სუფევდა ირგვლივ, გეგონებოდათ, მთელი ქვეყნიერება გარინდებულაო ამომავალი დღეების მოლოდინში.

აგერ ფრთების შეურხევლად მოსცურავს ცისიერში ორბი. დაბლა კი,

მიწაზე, უფრო სწრაფად მოქცეულა მიწის ჩრდილი, სულ ახლოს დაეჭვებინა ტარიელს; ჩრდილი მიეფარა, ხოლო ორბი კვლავ ფრთებგამოლილი მინარჩარებს მეორე მწვერვალისაკენ.

თვალი მოსწყვიტა ტარიელმა ორბს, ისევ ცას მიაცქერდა. რამდენადაც ფიზიკურად ისვენებდა, ძალ-ღონეს იკრებდა, იმდენად უფრო თავისუფლდებოდნენ მოგონებანი და ოცნებანი, თავისთავად იწვევდნენ და სცელიდნენ ერთმანეთს, ტარიელს არას ეკითხებოდნენ, სიამეს ჰგვრიდნენ მხოლოდ.

...ქექსი თუ შვიდი წლისა იყო მამინ. არ დაეძინა მამის მოლოდინში, დედას გაჰყვა გარეთ, ბაილოვის მდლობიდან გახედა კასპიის ზღვას. ის იყო, სავსე მთვარე ამოღებულა, მოოქრული ზოლი მოჰვინა მოლივლივე ზედაპირს ზღვისას. ამ დროს გამოჩნდა მამა. პატარა ტარიელს მოეჩვენა, თითქოს შორიდან, ძალიან შორიდან მოდიოდა მამა და თან მოჰქონდა ამბავი იმ უცხო ქვეყნისა, რომელსაც ძლივს სწვდებოდა მთვარის ბრწყინვალე ზოლი.

— რატომ არ დაიძინე, შვილო?

— შენ გელოდი, მამიკო!

მამამ ჩაიხოქა, ხელი მოხვია, მკერდზე მიიხუტა...

მრავალი წელი გავიდა მას შემდეგ... ზურაბი ციმბირში დაიშარხა. ტარიელი კი ახლაც გრძნობს იმ ალერსის სითბოს.

...ჩრდილოეთ-კავკასიაში ორმოცდარი წლის შემოდგომაზე დანგრეული ხიდი უნდა აღედგინა ტარიელს. განუწყვეტლად ესმოდნენ თავს მტრის თვითმფრინავები, ყუმბარებს აყრიდნენ. რამდენიმე დღედაღამე არ უძინათ მესანგრეებს. ტარიელი ორჯერ ბეწვზე გადაჩნა. მაინც თავისი გაიტანა...

და როცა ხილზე ჩვენი ქვეყნები გაჰქონდათ, მამინ ამაყად ასწია ტარიელმა თავი და თითქოს პირველად ჰკიდა თვალი კავკასიონის სპეტაკ მწვერვალებს, რომელნიც მშობლიურად გადაწყურებ-

დნენ ბრძოლაში მიმავალ მხედრებს, რწმენას უორკეცებდნენ ეამთა სელაში გაკაეებულნი...

ამ მოგონებამ აიტაცა ტარიელი, ქვემო-ჭართლის ველს გახედა. დიმილით გაიმეორა ხალხის ნათქვამი: „წყალნი წაელენ და წამოვლენ, ქვიშანი დარჩებიანო“.

რა დღეში იყო ტარიელი ექვსიოდეწლის წინათ, ახლა კი ბუბაჭართა მთის მწვერვალიდან დაჰყურებს მშობელი ქვეყნის იმ მრავალგზის აოხრებულ მხარეს, რომლის განახლებასა და აღორძინებას არიშში ჩაეყარა უკვე საძირკველი...

ადგა. მხარმარჯვნივ, დებადას გამოღმა გაშლილ დაბლობს დააცქერდა, კარგა ხანს უმზიარა ძველი ციხე-სიმაგრის ნანგრევებს, მერე კლდოვან მთებს მიმოავლო თვალი, ალგეთის გასწვრივ, მარნეულის ველიდან ქციის სათავისაკენ გაექცა მზერა და ისე, როგორც დილით, ახლაც აღეძრა გრძნობა, თითქოს ამ მიდამოებს პირველი ნახვისთანავე წამოეწყათ ძველისძველი ამბავი და თხრობა ჯერაც ვერ დაემთავრებინოთ...

გაიოზმა ზეგანზე ამოაღწია. ბეგი დაწინაურდა, ნანადირევი დაყნოსა, ტარიელს მიელაჭუცა.

გაიოზს, უწინარეს ყოვლისა, ნანადირევისაკენ გაექცა თვალი. რა ბევრი რამ იყო ერთი კურდღელი და სამი კაკბი, მაგრამ იმ წამს მის თვალში იგი უამრავი გამოჩნდა; სწრაფად მივიდა, საითთაოდ შეახო ხელი.

— აი, ეს მესმის, ნამდვილი ნანადირევი! — აღტაცებით ჩაილაპარაკა და ტარიელს მორცხვად ახედა.

— შენი საქმე როგორაა? — ძმურად ჰკითხა ტარიელმა.

— ნულარ მკითხავთ, ტარიელ, თუ ხათრი გაქვთ მელასაც მოვარი თვალი, კურდღელსაც, მაგრამ რაი მერე! სასროლად ვერცერთს ვერ წავეყარე,

მერე კაკბებსაც ვესროლე, თქვენც გაიგონებდით სროლის ხმას, წაუხრი კაცი, არ იქნა და არა, ჯერ კიდევ ვერ შევეჩვიე მაგ წყუულზე ნადირობას. სოფელში ხეზე შამეს ადვილად ვეპარებოდი, ეს კი...

დაჯდა, ხალთა მოიძრო, თავი მოხსნა, კაკბი ფრთხილად ამოიყვანა.

— როგორც იქნა, ეს ერთი ჩამოვაგდე. — გულნაკლულად უთხრა ტარიელს, მაგრამ გუნებაში მაინც სიამაყე იგრძნო, როცა ცოცხალ კაკბას ზურგზე ხელი გადაუსვა.

— ეგ ერთი და სხვა ათასი! — გაამხნევა ტარიელმა. — მალე შეეჩვევი. თვალი გიჭრის და ტემპერამენტი არ გაკლია. როგორც ყოველ საქმეში, ნადირობაშიაც გულმოდგინება და გამძლეობაა საჭირო. გული არ უნდა ავივარდეს, ყოველ წამს მზად უნდა იყო, უნდა ელოდე. აუცილებლად შეგხვდება... ახლაც ეს კურდღელი შენ დაიკიდე, მაგის თრევის თავი მე არა მაქვს, მერე კიდევ, დედა-ჩემს პირივით ევაგრება.

— რას ბრძანებთ, ამხანაგო ტარიელ!...

— კარგი, თუ ძმობა გწამს, ნუ პატივობ. — სთქვა ტარიელმა და კურდღელი გაიოზს წინ დაუდო.

გაიოზს, როცა კურდღელს ხალთაზე აკრავდა, კვლავ დარეჯანი მოაგონდა. ახლა კი მართლა ხელდამშვენებული მოვალე, გაესაუბრა იღუმალად.



სალამოს, შინ რომ ბრუნდებოდნენ, ტარიელი დაღლას არა გრძნობდა, კარგ ხასიათზე იყო. მხოლოდ როცა მდლობიდან მთებს გახედა და ფიჭვი თბილისისაკენ გაექცა, მაშინ შეიკრა შუბლი. მთელი დღე ისე გავიდა, ისინი არ მოხგონებია ახლა კი... ცბიერი თვალეებით შემოჰყურებს ნელი და იმუქრება...

თედო კორფაძეც გვერდით უდგას... რას წრიალობენ ეს ბოროტი სულები? რამდენი ხანია, დადგა მათი აღსასრული, მაინც არ ჰქრებიან, იშხამებიან... მოშორდა მათ, მაინც არ შორდებიან, გველივით მოძვრებიან... ამოდ კი არ უთქვამს ხალხს: გველს თავი უნდა გაუსრისოო. საოცარია, ჯერ კვლავ ცოცხლობს მაგათი ჯილაგი, გესლს ავრცელებს...

მანქანა არიშის გასწვრივ დაეშვა დაღმართში. ტარიელმა ნაცნობ შენობებს გადახედა, ახალი ქალაქის ერთ უბანს უმზირა დიდხანს, შავნადვლიანი ფიქრი უქუაგდო.

XVI

პირველი ბაკვეთილი

დარეჯანს ამ დილით პირველად უნდა დაეწყო მუშაობა არიშის რეაწლიან სკოლაში.

ახალგაზრდა ქალებში ბევრი არიან ისეთნი, რომელთაც პედაგოგიური მოღვაწეობა მაინცდამაინც არ იზიდავთ, სანერვიულო საქმედ სთვლიან. დარეჯანს კი იმ თავითვე საამყოფდ მიაჩნდა მასწავლებლობა. ბუნებით დინჯი იყო, გულკეთილი, ბავშვები უყვარდა. მაგრამ ახლა, როცა სკოლაში უნდა გამოცხადებულყო და მასწავლებლებისა და ბავშვების წინაშე წარმდგარიყო, მღელვარებამ აიტანა, უხერხულობა იგრძნო.

ოთახი მილაგებულნი ჰქონდა, მაინც მიიხედ-მოიხედა, სამზარეულოში გავიდა.

ბევრი რამ ჩამოუტანეს სოფლიდან ფრიდონმა და ტერეზიმ, ალექსიმ და მელანომ, მაგრამ ჯერ კიდევ საკმაოდ მოწყობილი ვერ არის, ისეთი რამ აკლია, რაც ოჯახისათვის აუცილებელია.

აგერ, ეს გატყავებული კურდღელი. გაიოხმა გობზე დადო და ზედ წყალი დაასხა. რამდენი რეცხეს, წყალი მაინც გაწითლებულია სისხლისაგან. მოზრდილი ქვაბია საჭირო ამის გასაყეთებლად,

დარეჯანს კი ჯერ არა აქვს. ისევ უთუოდ ამხანაგებს დაპატროვნებულ ნახევარიც დღესვე უნდა გამზადდეს. არა უშავს რა, მოასწრებს, სკოლიდან აღრე განთავისუფლდება. გაიოხი ხომ საღამომდე ვერ მოვა, ელექტრო-ღუმელზე მუშაობს. დღესო, უთხრა დარეჯანს, უმაღლესი ხარისხის ფოლადის გამოშვება უნდა ავითვისოთო.

ოთახში შებრუნდა, სარკეში ჩაიხედა. მკრთალ ტუჩებს დააკვირდა. პოპადის წასმა ზედმეტად მიიჩნია, კარგად იცოდა, რომ შავშვების წინაშე არავითარი პრანცვაგრეხვა საჭირო არაა, არც ხელოვნური გალამაზება. წმინდა სისადავე, სიმართლე, უწინარეს ყოვლისა; ბავშვი გულთ იგრძნობს ამას, მიჰბაძებს.

პალტო ჩაიცვა, პორტფელი აიღო. ახლის შეკერვა ჯერ ვერ მოასწრო. ტექნიკუმშიც ამ ლურჯზოლიანი პალტოთი და პორტფელით დადიოდა. სწავლა ნაშუადღევს იწყებოდა. გაკვეთილი ყოველთვის მომზადებული ჰქონდა და ტექნიკუმში მისვლა უხაროდა.

გაუვლიდა ამხანაგებს და, როცა რუსთაველის პროსპექტისაკენ დაეშვებოდნენ, ხანდახან თითქმის სრულიად უმიზეზოდ აუტყდებოდათ სიცილი, მზარულებდნენ. გაერეოდნენ ხალხში პროსპექტზე და დადინჯდებოდნენ, ცნობისმოყვარეობით მიმოაგლებდნენ ხოლმე თვალს. ყველანი სოფლელები იყვნენ და დედა-ქალაქში ჯერ კიდევ ბევრი რამ საოცარი იყო მათთვის.

დარეჯანი ძალიან თავდაპირილი იყო, მოკრძალებული; მასწავლებლები კარგი თვლით უყურებდნენ, მაგრამ მაინც ერიდებოდა მათი.

რა დიდი ცვლილება მოხდა მას შემდეგ მის ცხოვრებაში! ახლა ქმარი ჰყავს, ახალ ოჯახს ჰქმნის. აგერ, სკოლაშიაც მიდის, ბავშვებს უნდა ასწავლოს...

ის იყო კარი უნდა მიეხურა, თეოლი-
ნემ მიაკითხა, ნათია მიიყოლია.

— მზად ხარ, შვილო, ხომ? ასე,
შვილო, ასე — მოეფერა თეოლინე და
ტანზე ახედ-დახედა, პალტოზე ქამარი
შეუსწორა, დახვეულ თმაზე ხელი
წეახო. — პირველად მიდის-მეთქი გავი-
ფიქრე და იმიტომ გამოგიარე. აგერ,
ნათიე გამოგყვება, ეს უკვე შეეჩვია
აჭაურბას... ხომ იცი თავი როგორ
უნდა გეჭიროს? უცხოობა არ შეიძინ-
ო. შენ ცოტა მორცხვი ქალი ხარ და
იმიტომ გეუბნები ამას გამოცდილება
მალაპარაკებს, შვილო, დიდი ქარცეცხ-
ლი გამოვიარე. ძველად სულ სხვა იყო,
ახლა ყველა შენიანია. ადამიანს ისე
უნდა უყურებდე, როგორც შენი ოჯახ-
ის წევრს. მახინჯი ოჯახშიაც გამოე-
რევა, იმას თავი არ უნდა გაუყადრო,
გასაქანი არ უნდა მისცე. ამასაც გამოც-
დილება მალაპარაკებს, შვილო... ასე,
შვილო, ასე. თქვენ უნდა ივარგოთ
აწი, თვარა მე უკვე სამარეში მიდგია
ფეხი. მაინც, ხომ ხედავ, რალაცას ქე
ვეათურობ...
ბაზრის გადასახვევამდე მიაცილა ასე
თეოლინემ; მერე ნათიამ გამოსდო ხელი
დარეჯანს და სკოლისაკენ გაემართნენ.

უღრუბლო დილა იყო. კარი ჯერ
არა ჰქროდა. მტკვარს ვაღმა რუხი მთა
შვის სხივებს შეეფერადებინა, ხოლო
რუს გასწვრივ მალალ ვერხვებს საგა-
ზაფხულო გამოცოცხლება ემჩნეოდათ.
გზის პირად, პატარა სახლების ეზოებ-
ში, აქა-იქ მიწა უკვე დაებარათ, დამ-
ლილ ბელტებს ქათმები სჩხრეკდნენ.

ქუჩის მოასფალტება ჯერ ვერ მოეს-
წროთ, ხრეშზე ზოგან მანქანებით გათ-
ქვეფილი ლაფი იდგა; ახალგაზრდა ხე-
ებს ტალახი შეშხეფებოდათ.

ნათიას ახალთახალი ბოტი ეცვა და
ტალახს ერიდებოდა, უნდოდა სკოლა-
ში ასევე კრიალა მიჰყოლოდა, მაგრამ,
როცა მთავარი გზიდან გადაუხვიეს,
გადანათხარ მიწაზე დაესვარა.

ქერა გოგონა იყო, პირსაცხე; წყენა
უმაღლე შეეტყო. საერთოდ მშვენილო
დროს მეტად მგრძობიარე შეიქმნა.
არიშში ჩამოსვლის შემდეგ დარწმუნ-
და რატომღაც, რომ მამას ვერასოდეს
ველარ ნახავდა. შვიდი წლისა იყო, რო-
ცა უკანასკნელად გააცილა ფრონტზე
მიმავალი. მას შემდეგ არაერთხელ დას-
წვა გული მგლოვიარე დედის ცრემ-
ლებში, თვითონაც სტიროდა, მაგრამ
აქამდე თურმე მაინც ელოდა, ვერ წარ-
მოედგინა, თუ მამამისი, ისეთი კეთი-
ლი, ისეთი საყვარელი ადამიანი ამ
ქვეყნად აღარ იარსებებდა. თეოლინეს
ხელში ამა რა უნდა მოჰკლებოდა! ტა-
რიელიც ხომ მამასავით ზრუნავდა მის-
თვის, მაგრამ მაინც რალაც აწუხებდა
გოგონას, თავს ობლად გრძობდა. ამას-
წინათ სკოლიდან შინ მიდიოდა. ამხანა-
გები თავიანთ ბინებში წავიდნენ. თვი-
თონ სახლების უკან გაჰყვა მინდორს,
განმარტოვდა. ცრემლი კინალამ მოერია.
ყველაფერი ეუცხოვა ირგვლივ, დედა
მოენატრა.

შინ რომ მივიდა, თეოლინემ ახედ-და-
ხედა, თვალი გაუსწორა.

— რა მოგივიდა, ბებიკო? — ჰკითხა
აღერსით და თავზე ხელი გადაუსვა.
სხივებად იქცა თითქოს თეოლინეს
მოსიყვარულე ხმა და მყისვე გალღვა
ცივი ნაღველი, ნათიას გულს რომ უმ-
ძიმებდა. თვალეზი დახარა, თეოლინეს
მიეხუტა და უნებლიედ ცრემლი გად-
მოსცივიდა.

ყოველივე იაზრა მოხუცმა თვითო-
ნაც ტუჩები აუთრთოლდა, მაგრამ უმა-
ღლე თავისი ძლიერი ნებისყოფა მოიშ-
ველია და აღერსით უთხრა ძმის შვი-
ლიშვილს:

— ნუ გეშინია, ბებიკო! ჯავრს რა
უნდა, გულო, შენთან? ია და ვარდი
ჰყენია, შვილო, შენს გზას...

უსმენდა ნათია თეოლინეს და გრძნო-
ბდა, რომ პატარა აღარ იყო უკვე, დი-
დი ქალი გამხდარიყო, მტკიცედ შედი-

ოდა ცხოვრებაში. ატყობდა გოგონას ეს შეგნება, გლოვას ავიწყებდა. ჯერ თუმცა ბევრი რამ ბუნდოვანი იყო მისთვის, მაგრამ თეოლინეს სიტყვების ძალა შორს ახედებდა, დიდ რწმენას უნერგავდა. ამიტომ მიენდო საესებით, თავი ასწია, გაიცინა; თვალებში ცრემლი უბრწყინავდა.

— ასე, ბებიკო, ასე! — მოუწონა გულგანათებულმა თეოლინემ, — შენთვის შენდება ყველაფერი, შენ უნდა გაუძღვე... რაც ჩვენ სიმწარე გვინახავს, სიხარულად უნდა აქციო, შეილო...

სკოლის წინ, მინდორზე, ნაბიჯი შეანელა დარეჯანმა, დაბალი და გრძელი შენობა შეათვალიერა. ახლა უფრო არ მოეწონა, რადგან იგი უბრალო ფარდულს მიაგმავდა.

ნათია მიუხვდა, მოზრდილი ქალიშვილისათვის შესაფერი ტონით უთხრა:

— ეს ხომ დროებითია, დეიდა დარეჯან! მალე ქართული სკოლისათვის საუკეთესო შენობას ააგებენ.

თვითონაც იცოდა ეს დარეჯანმა, მაგრამ ახლა ნათიასაგან თითქოს პირველად გაიგო. რამდენჯერ უთქვამს გუნებაში: აქ ბევრ რამეში ჯერ მხოლოდ ჩანასახს უნდა ხედავდეთ, მაგრამ ეს ავიწყდება ხოლმე, თავისი ბინის ეზოს გახედავს და ცუდ გუნებაზე დგება, რადგან იგი უსწორმასწოროდ არის გადათხრილი, აქ-იქ რიყის ქვები ყრია, თხრილებთან ბეტონის მილები აწყვიტა.

ერთხელ გაიოხმა უგუნებობა შეამჩნია დარეჯანს და გაამხნევა:

— შენ ამას კი ნუ უყურებ, ახლა რომ მიყრილ-მოყრილია ყველაფერი, მალე გალამაზდება აქაურობა, მცენარეები დაირგვება, გამწვანდება...

სკოლის ოთახებს შუაში გრძელი ტალანი ჰყოფდა; ტალანში სინათლე ნაკლები იყო, ოთახებს კი ფართო ფანჯარები ჰქონდათ.

მოწაფეთა რიცხვი ჯერ ცოტა იყო, ზოგ კლასში ათს არ აღემატებოდა.

ბავშვებმა ტალანში თამაში შესწყვიტეს, ნათიასთან მომავალი უცნობი ახალგაზრდა ქალი ცნობისმოყვარეობით შეათვალიერეს.

სამასწავლებლოში დარეჯანს სასწავლო ნაწილის გამგე დაუხვდა, გულთბილად მიეგება. ეს პირბადრი, ენერგიული ქალიც ახალი დამკვიდრებული იყო არიშში, ქმარი ინჟინერი ჰყავდა, მშენებლობაზე მუშაობდა.

ზარი დაირეკა.

სასწავლო ნაწილის გამგე მეორე კლასის მოწაფეებთან შეუძღვა დარეჯანს. ბავშვები ფეხზე აღგნენ; სულ ცხრანი იყვნენ, ხუთი გოგო და ოთხი ბიჭი.

— ბავშვებო, — მიმართა მათ სასწავლო ნაწილის გამგემ, — დღეიდან ეს იქნება თქვენი მასწავლებელი, — დარეჯან დარეჯანია. თქვენ იცით, როგორ ასახელებთ მასწავლებელსაც და სკოლასაც...

სრულიად არ მოელოდა დარეჯანი, ისეთი გრძნობა აღეძრა, როცა ბავშვებთან მარტო დარჩა.

ფანჯრიდან სივრცეს გახედა; ყველაფერს ბუნდოვანად ხედავდა, უფერულ სტანდარტულ სახლებსაც და გრძელკბიან ქალსაც, რომელიც მეწველ თხას მიდენიდა; თავისი არსებიდან ამომავალ ახალ აღამიანს აკვირდებოდა, — იგი უკვე აღმზრდელი იყო, წინამძღოლი.

აი, დღემილით უცქერიან ახლა მას ბავშვები, მის სიტყვას მოელიან, ზოლო ეს სიტყვა თითქოს გასადებია იმ უზარმალხარი ქვეყნისა, რომლის ნათელ კარგი-თანაც ისინი დგანან.

პირი მიიბრუნა, ბავშვებს გაუღიმა.

ბავშვებმა ერთმანეთს მიხედეს, მასწავლებლის ღიმილი ურთიერთს გადასცეს.



დარეჯანს მარცხნივ მჯდომარე პირ-
ხმელი, შავვერემანი გოგონა მოხედა
თვალში; პირველად მას მიმართა:

— შენ რა გვარი ხარ, გენაცვალე?

— ნანიკაშვილი.

— სახელი?

— ნანული.

— მამა სად მუშაობს?

— მამა არა მყავს, ომიდან არ დაბრუ-
ნებულა. აქ დედა მსახურებს.

— შეილო! — ხანდაშული ქალივით
აღმოხდა დარეჯანს წრფელი სიტყვა.
უნდოდა გამოეკითხა: როგორ პირობებ-
ში ცხოვრობენ, როგორი ბინა აქვთ, მაგ-
რამ ეს სამერმისოდ გადადო.

ასე სათითაოდ ვაესაუბრა, ვინაობა
გამოჰკითხა. მერე ყველას მიმართა:

— აბა, რომელმა იცის ლექსი ზე-
პირად?

ფერმკრთალი, ტანმორჩილი ბიჭი წა-
მოდგა, მერხი მკერდადვე სწვდებოდა.

— სთქვი, გენაცვალე!

ბავშვმა ზევით აიხედა, წკრიალა ხმით
დაიწყო:

„ვარდს გაეფურჩქნა კოკორი,
ვალახვეოდა იასა,
ხამბახსაც ვალვიძებოდა
და თავს უხზიდა ნიავსა.

ტორილა მალღა ღრუბლებში
წკრიალ-წკრიალით ვალობდა,
ბულბულიც გახარებულ
ნაზის ხმით ამას ამბობდა:

— აყვავდი, ტურფა ქვეყანავ,
იღბინე, ივერთ მხარეო,
და შენც, ქართველო, სწავლითა
სამშობლო გაახარეო!“

ლექსი რომ დაამთავრა, ყმაწვილს ფე-
რი მიეცა, გალამაზდა. დარეჯანმა ძა-
ლიან მოუწონა. სხვებსაც ათქმევინა,
რაც იცოდნენ. მერე გაკვეთილზე გადა-
ვიდა. იგრძნო, რომ უკვე გაება თბილი,
გულითადი კავშირი მასსა და ბავშვებს
შორის. ამან ძალა შემატა, თავისი მოვა-
ლეობის სიდიადე ძვალრბილში გაუჯდა.
მიდიოდა შინ და ჯერ კიდევ ბავშვე-
ბის სახეები ედგა თვალწინ, თვითეუ-

ლის ხასიათს აკვირდებოდა, ფიქრობდა
იმაზე, თუ რომელთან როგორ მიღწე-
მა აუკობებდა.

ქუჩის კუთხეში, პატარა დუქანთან,
მოაგონდა: ბაზარში უნდა შეეარნა. თი-
თქოს შეკრთაო, ისე მიმოიხედა. ახლა
შეატყო, რომ ძალზე ჩამობნელებული-
ყო, გაწვიმებდას აპირებდა. აჩქარდა-
ბაზარში არ დაყოვნებია, მცირე რამ
ჰქონდა საყიდელი. დუქნიდან პურიც
გაიძღვანია. სახლის შესასვლელთან შუ-
ბლი შეიკრა: ისევ ატალახებულიყო კი-
ბის საფენურები, მოაჯირზე ფეხი ჩა-
მოეხოცათ. თითქმის ყოველ დღე ა-უფ-
თავებდა დარეჯანი, მაგრამ არა გამო-
დიოდა რა: გზა დაუმთავრებელი იყო,
ეზოში ტალახი იდგა; ზოგი მობინადრე
ისე იქცეოდა, თითქოს საერთო შესასვ-
ლელში სისუფთავეის დაცვა მას არ ეკით-
ხებო.

შუქი მოსული დახვდა. ელექტრონის
ლუმელი შეუერთა. საშინაო ხალათი ჩა-
იცვა. სამზარეულოში ნავთურა აანთო.
არ დამჯდარა, პურს ისე მიატეხა. მერე
ვახშმის მზადებას შეუდგა. დედასავით
ხელმარჯვე იყო. გამოცდილება აკლდა
ჯერ მხოლოდ. კურდღელი რომ პატარა
ქებაში მოწეა, დაჭრილი ხახვის ჩაყრა
კინაღამ დაუგვიანდა.

შემდეგ მჭადი მოზილა, ნავთურაზე
დადგმულ ტაფაზე დააკრა. იცოდა, ამით
გაიოხს ასიამოვნებდა, რადგან მას მჭა-
დი უყვარდა.

დრო იმოვნა, უნდოდა წიგნი აეღო,
სახალიოდ გადასაცემი გაკვეთილი მო-
ეზადებინა, მაგრამ ამ დროს კარზე კა-
კუნი მოესმა.

— უკაცრავად, შეიძლება?

— მობრძანდით.

თბილისიდან ჩამოსული ნელი თედო
კორფაძემ გამოისტუმრა ავტობუსით,
თვითონ ვერ გამოჰყვა, საჩქარო საქმე
ჰქონდა. პირობა მისცა, მოიკითხავდა,
მშენებელთა ქუჩის კუთხეში დაუც-
დიდა.

დარეჯანმა გაკვირვებით შეათვალიერა უცნობი ქალი, კოხტად ჩაცმული, ქალბატონური იერით მოსილი.

— გაგიკვირდებათ, გენაცვალე, ჩემი მოსვლა. წვიმა დამესწრო და გზად შემოვიარე. თქვენ გაიოზის მეუღლე ხართ, ხომ!

— დიახ... დაბრძანდით!

— გმადლობთ, გენაცვალე... შესანიშნავი ყმაწვილია გაიოზი. ბევრჯერ ემგდარვარ მასთან მანქანაში. ბედი გქონიათ სწორედ...

დარეჯანი ჯერ კიდევ ვერ გარკვეულიყო, თუ ვისთან ჰქონდა საქმე. რა ეთქვა, არ იცოდა. არ მოეწონა რატომღაც იგი, უნებლიედ გაიფიქრა: „ამ ნებიერად აღზრდილ ქალს ისეთივე კრელი გული ექნება, როგორც თვალეები აქვსო“.

ნელიმ პალტო გაიხსნა, წვიმის წვეთები ჩამოირეკა, ოთახში მიმოიხედა, ქედმაღლურად შეიკრა შუბლი, მაგრამ წამსვე გაშალა, სკამზე ჩამოჯდა, დარეჯანს თავისი დიდრონი თვალეები შეანათა.

— თქვენ მე არ მიცნობთ, გენაცვალე. ტარიელ ბარველიძის ცოლი ვარ... გაგონილი გექნებათ ჩვენი ამბავი.

სიტყვა ეს და კვლავ მიხედა დარეჯანს, წამებული ადამიანის გამომეტყველება მიიღო, სამგზავრო ჩანთიდან ცხვირსახოცი ამოიღო, თვალეებზე მოისვა, თითქოს მოძალებული ცრემლი უნდა შეიკავოსო.

— ახლა ჩვენი ამბავი ყველას პირზე აკერი, გენაცვალე, — განაგრძო შემდეგ. — ყველა მე მიცოდებს... თქვენ თვითონ წარმოიდგინეთ, გენაცვალე: რალა დამრჩენია, ერთი ბავშვი მყავდა, და ისიც მომიკვდა, ახლა ქმარსაც მტაცებენ...

— ვინ გტაცებთ? — იკითხა განცვიფრებულმა დარეჯანმა.

— არ იცით? — წამოიძახა ნელიმ. — მართალია, დიდი ხანი არაა, რაც აქ ცხოვრებით, მაგრამ როგორ არ გაიგონებდით, ვინმე როგორ არ გეტყობათ!

აგერ თქვენი ბინის პირდაპირ ცხოვრობს ის ქალი.

— რომელი ქალი?

— ღმერთმა დასწყევლოს მისი სახსენებელი... ვილაც მაწანწალაა, მარინა სერგეევნას ეძახიან. ინეინერია. როგორ არ გეცოდინებათ, ალბათ, ყოველდღე ხედავთ...

— აჰ, მარინა სერგეევნა! — გაოცდა დარეჯანი.

— სწორედ ეგ არის, ეგ გველი! — აღმოხდა ნელის, მრისხანებამ აიტაცა. თვალეებში ონაერული ნაპერწკლები გამოუკრთა. თავი ვერ შეიკავა: — არაფერია, ცოტა მაცალოს, კორფაძის ქალი არ ვიქნები, თუ მაგი აქედან არ გავაძენსტულო!...

ამ წამს მართლა სჯეროდა ნელის, რომ თავის მუქარას შეასრულებდა; თავი მედიდურად ასწია, მტკიცედ დასძინა:

— არ მოვეშვები, სამარემდე მიყვები!..

მერე გამომეტყველება შეიცვალა, დარეჯანს მოეფერა:

— ახალგათხოვილი ქალი ხარ, გენაცვალე, და თქვენთვის ეს ძნელი გასაგებია. ღმერთმა ნუ მოგასწროთ, გაიოზს რომ ვინმე გადაეკიდოს... ჰო, რა მინდოდა...

ერთ წამს თითქოს ჩაფიქრდა. სამგზავრო ჩანთა გახსნა, ახალთახალი ასმინეთიანი შუაზე გაკეცა, მაგიდაზე დადო. მერე ალერსით მიაპყრო თვალი დარეჯანს:

— გაიოზი მე კარგად მიცნობს, გენაცვალე. იცის, ადამიანისთვის არაფერს დავიშურებ... თქვენ ახლა ოჯახდებით, ხელის შეწყობა გინდათ... ჯერ ეს იყოს და მერე მე ვიცი თქვენი პატივისცემა... ჰო, ერთი რამე უნდა გათხოვოთ, თქვენთვის ეს ადვილია... დააკვირდით, გამიგეთ როდის დადის მასთან ტარიელი.. მერე გამოგივლით და მითხარით. ახლა კი...



მაჯის საათზე დაიხედა, წამოდგა:

— მეტს აღარ შეგაწუხებთ, კაცი მელოდება, უნდა წავიდე...

ღარეჯანმა ნელის ახედ-დახედა. ბუნდოვანად იგრძნო, რომ ეს მედიდური ქალბატონი რაღაც სანიჟლარ ქსელში გახვევას უპირებდა. სახე გაუფითრდა, ფულს დასწვდა და აჩქარებით, თითქოს ეშინია არ გაასწროსო, პალტოს ჯიბეში ჩაუღო ნელის.

— რას შერები, ქალო! — გაოცდა ნელი. არაფერი ისე არ ფასობდა მის თვალში, როგორც ფული. ეს გაუთულები გოგო კი...

— უკაცრავად, ქალბატონო! ჩვენ არავითარი დახმარება არ გვეკირდება. ვერც თქვენს ბნელ საქმეში გამოგადგებით!

ეს ისეთი ტონით უთხრა, ისე ანიშნა თვალით კარები, რომ ნელიმ სხვა ვერა მოახერხა რა, თავი ამაყად ასწია, შუბლი შეიკრა, ქედმაღლურად გადახედა ღარეჯანს და ისე აუჩქარებლად გადადგა ნაბიჯი, როგორც ეს მის ღირსებას შეეფერებოდა.

XVII

ანდრეი კუზმინი

მატარებელი სტალინგრადს უახლოვდებოდა.

ახლგაღვიძებული ვასო სიამაშვილი ფანჯარას მიადგა. თვალუწვდენელი ტრამალის გასწვრივ გაზაფხულის მზემ ამონათა და სწრაფად მიმავალი მატარებლიდან მშინარე გარემო შექმნილ ზღვას დაემსგავსა, ფერად ზოლებად დასერილ ზღვას: სადაც ახალმოსული ჯეჯილი იყო, აქ მუქლურჯად ბიბინებდა, ხოლო ნახნავებს მოშავო ფერი გადაჰკრავდა, დაუმუშავებლად დარჩენილი ნაკვეთი კი არსად სჩანდა. რკინიგზის ლიანდაგის მახლობლად ომის დროს ყუმბარებით ამოთხრილ ორმოებს პირი მწვანე ბალახით მოშუშებოდათ.

აგერ, ვოლგისაყენ გამოჩნდა სოფელი, თეთრად შელესილი სახლები, ჯერ ვაჭურჩქნავი ხეები...

ვასოს გულმა შეჰკვენესა. სწორედ ასეთი დილა იყო, როდესაც გემიდან გადავიდნენ ვოლგის გაღმა. ნატაშა ფეხმძიმედ იყო, მაგრამ მსუბუქად მიაბიჯებდა; ორსულობის დროს სახეზე ამოფენილი ქორფლი აღარ აჩნდა, თვალეში უბრწყინავდა: ოქროსფერ კულულებს ნიავი უჩხევდა.

უცებ შეჩერდა ნატაშა, ვასოს შეამტერდა.

— ვასო, ერთი რამე უნდა გკითხო.

— რა, ძვირფასო?

— რა დავარქვით ჩვენს ბავშვს?

ვასო ჩაფიქრდა. სულ არ უფიქრია ამაზე.

— დედაშენს ზომ ასინეთი ჰქვია? — დაარღვია დუმილი ნატაშამ. — მოდი, ასე შეეთანხმდეთ: თუ ქალი იქნას, ასინეთი დავარქვით, ხოლო, თუ ვაჟი, მამაჩემის სახელი — ანდრეი.

ვასომ რაღაც უცხო, ჯერ განუცდელი სიხარული იგრძნო. კარგა ხანია იცოდა, რომ ნატაშა ფეხმძიმედ იყო, მაგრამ ახალი არსება ჯერ ნათლად ვერ წარმოედგინა, მხოლოდ ნატაშას მშვიდობით მოლოგინებაზე ფიქრობდა. ახლა კი ანაზღად თითქოს ბავშვმა თვალი გაახილა და დედ-მამის სიცოცხლე შეისისხლხორცა...

— აგერ იყოს, — დაეთანხმა ვასო, — მხოლოდ ანდრეი კი არა, ანდრო.

— რატომ?

— ჩვენში ასე ამბობენ.

— კარგი, ანდრო იყოს... მხოლოდ, იცი რა, თუ გოგო გვეყოლოს, საალერსოდ ასია დავუძახოთ...

სტალინგრადის გარეუბანში შეჩერდა მატარებელი. ვასო ფანჯარას არ შორდებოდა; გულის გადასაყოლებლად ნაცნობ ადგილებში მომხდარ ცვლილებებს აკვირდებოდა.

რა სწრაფად იმუშებს ღრმა კრილო-
ბებს უკვდავი დიდებით მოსილი ქალაქი!
გამრავლებულან თეთრი სახლები; აქა-იქ
მოსჩანს მხოლოდ ნანგრევი. ტანკების,
ჯავშნიანი მანქანების, ქვემეხების ნამ-
სხვრევებიც შემცირებულა, ქარხნების
ღუმელებს გადაუღვნიათ...

მიდის მატარებელი და ვასო თვალს
ვერ ამორებს ახალი სიცოცხლის ელვა-
რებას იმ აღორძინებულ რაიონებში, სა-
დაც რამდენიმე წლის წინათ ქვა ქვაზე
იყო დადუღებული...

ყოველდღეს ახალი მშვენიება მოაქვს
აქ, უბადლო გამირთა წმინდა სისხლით
გამრწყინებული მშვენიება. არც ერთი სა-
დიდებელი სიმი არ აედერდება ისე
მთელს საბჭოთა ქვეყანაში, რომ პირვე-
ლი ჰანგი სტალინგრადის გულს არ ეხმა-
ტებილებოდეს. რა არის პირადი ნაღვე-
ლი ამ აღორძინებასთან, ამ ცხოველყო-
ფელ ნათელთან შედარებით! კაცი ის
არის, ვისაც პირადი მწუხარება კი არ
აუძღურებს, ძალღონეს უორკეცებს,
რომ თავისი წილი ტვირთი მწვერვალზე
აიტანოს...

ამ განწყობილებით იყო გამსკვალუ-
ლი, როცა მატარებლიდან გადავიდა და
კარებთან ქალაქში მიმავალ ხალხს შეე-
რიბა. ხელში დიდი ჩემოდანი ეჭირა, ში-
ნიდან ანდრეი კუზმიჩისათვის მოსაკით-
ხი მიჰქონდა.

სადგურის უკან შეჩერდა, მუზეუმის
განახლებული შენობის წინ ბელადის
მონუმენტს შეავლო თვალი სიყვარუ-
ლით. წინათაც უნახავს იგი, მაგრამ ახ-
ლა უფრო მეტად შეიგრძნო ქანდაკება-
ში განსახიერებული მზიური ძლიერება.
მარადი მოძრაობა, მარადი წინსვლა,
მარადი გამარჯვება, და წინ, სულ წინ!—
აი ის ნათელი, ის რწმენა, რომელსაც
იგი უნერგავს სულში ადამიანს.

ჩემოდანზე ხელი მოინაცვლა ვასომ,
გზას გაჰყვა.

დაღუპულ მეტროპოლითა მოედანზე წე-
ლამდე შეთეთრებული ხეები გაკვირტ-

ვას ახლა იწყებდა, ირგვლივ საუცხოო
სისუფთავე იყო, გამირთა მუდღესზე წარ-
წერები კიაფობდნენ, ხოლო ბალის განა-
პირას დოლორეს იბარურის ვაეის სამა-
რე ისე იყო გვირგვინებით დამშვენებუ-
ლი, თითქოს აგერ ახლა დაუსაფლავე-
ბიათო.

ხელმარცხნივ უნივერსიტეტის მრავალ-
სართულიანი შენობა უკვე აღუდგენიათ.
ამ სახლის სარდაფში ჩაბარდა ტყვედ
ჩვენს სარდლებს გერმანიის არმიის მე-
თაური ფელდმარშალი პაულუსი თავი-
სი შტაბით. ამოსასვლელთან წარწერა
იყო, ახლა აღარა სჩანს.

ერთი წელიწადი სრულდება, ვასო
რომ სტალინგრადში არ ყოფილა, და
რა დიდი ცვლილება მომხდარა მას შემ-
დეგ! მხოლოდ აქა-იქ დარჩენილა შავად
დაყუდებული ნანგრევი, ყორნების სა-
ბუღარი.

ტრამვაიზე ავიდა, კუთხეში დაჯდა.
მიდიოდა, გარემოს ათვალეგრებდა,
მგზავრებასაც თვალს ადევნებდა, მაინც
წინაგანად რალაც დიდი მოლოდინით
იყო გაოგნებული. სასწაულს არ მოე-
ლოდა, იცოდა, რომ ნატამა რა გამოეგე-
ბებოდა, არ გაულიმებდა, არ შეანათებ-
და თავის ცისფერ თვალებს, არც პელა-
გია დიმიტრევა აცრემლდებოდა, დე-
ლობრთვად არ მოეფერებოდა, მაგრამ
მაინც მიისწრაფოდა, ეგონა, მივალ და
მძიმე ტვირთს იქ მოვიხსნიო.

აგერ, ქარხნის მაღალი მიწები. ყვე-
ლაში კვამლი ამოდის, ზოგში მურის-
ფერი, ზოგან მოშავო, ზოგან თეთრად
იგრავნება.

გააყოლა ვასომ თვალი ცაში ამავალ
კვამლს და ის დღე მოაგონდა, როცა
პირველად ქარხანაში შევიდა. ტანად-
ძლიერი ბიჭი იყო, სოფელში ვაქაცო-
ბას ჩემულობდა, თავის ტოლებში ბევრი
ვერ გაუმკლავდებოდა; უფროს ძმას,
მფრინავ მამუკას შენატროდა, უნდოდა
მასავეთ მოეხვეყნა ომში სახელი. აქ
კი... ამ ნანგრევებში, ამ დაცხრილულ

კედლებში როგორ უნდა ესახელნათაი!

დაღონდა მაშინ ვასო, რამდენსამე დღეს გულიანად არ გაუცინია. ყველაფერი ეუცხოვა, საერთო საცხოვრებელიც, საერთო სასადილოც. მხოლოდ ერთით ინუგეშებდა თავს: ან ომში წავალ, ან სწავლას განვაგრძობო.

ტრამვაი ხევისაკენ დაეშვა; ქარხნის გადმოღმა, კბოდზე წილის ბორცვი გამოჩნდა.

ვასო ქარხნის სიახლოე იგრძნო, ღუმელების აღმური მოხვედა თითქოს და გაიფიქრა: ამ წიდასავით უნდა მოიშოროს კაცმა დარდი. არაფრის მოცემა მას არ შეუძლია. ფოლადი ისე არ გამოიღნობა, თუ ხინჯი არ მოართვი...

რა ნელა მიდის ტრამვაი! ვასოც ისე იმზირება ირგვლივ, თითქოს ყოველ წამს არ უმძიმდებოდეს მოლოდინი.

ქარხნის გასწვრივ ვრცელ მოედანზე მომუშავეებს დააკვირდა და რამდენიმე მათგანი იცნო. ესენი მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები იყვნენ, ცვლაში მუშაობის დაწყებამდის აქ ნიადაგს სწმენდნენ დიდი ბალისათვის. ახალგაზრდები იყვნენ აქ, ხანდაზმულებიც. ზოგი მანქანას რეპარატორაა, ზოგი წერაქვით კედლების ნაშთს ანგრევდა.

ვასოსაც უმუშავენია ასე და იცის, რომ ესენი ჭეშმარიტი სტალინგრაძელები არიან, ღვაწლმოსილინი, შეუღრეკელნი. ამათ მეტად თავისებური, წმინდა სტალინგრაძელი სიღარბისლე შეენით. გეგონება, რაც აქ თავგანწირვის ცეცხლი გზნებულა, ყველა ამათში გადმოსულა, რომ იგი თაობიდან თაობას გადაეცეს.

მოსახვევში ჩამოვიდა ვასო ტრამვაიდან. ჩემოდანი ხელში ეჭირა, ყოყმანობდა. სად წავიდეს? ვაი თუ შინ არავინ დახვდეს. თანაც ძალიან უმძიმს ასე უცებ მისვლა... არა, ისევ ქარხანაში შე-

ივლის. ანდრეი კუზმიჩი, ალბათ, იქ იქნება.

ღუქნებთან მაინც შეჩერდა. კუთხეში ვიღაც ქალმა ჩაიარა, მას კი ნატაშა მოაგონდა. თავიდან ტერფამდის ეზრუნტელმა დაუარა, მერე უღმობელმა სინამდვილემ დასუსხა მწვავედ: ვერასოდეს, ვერასოდეს ველარ გაივლიან აქ ერთად, ველარ გაიგონებს მის ხმას...

„ენტავი შემეძლოს, ძვირფასო, — გაესაუბრა გუნებაში, — როგორმე გაგრძნობინო თუ როგორ ვიტანჯები უშენოდ. ძალიან ცდებოდი, ერთხელ რომ მითხარი: წახვალ სამშობლოში, გაერთობი და ადვილად დამივიწყებო. აბა, ახლა ჩამოიხედე ჩემს გულში. ვიცი გაიხარებ, ისე ცოცხლად მყავხარ, ჩემო ერთადერთო! რამდენი ხანია მოვისწრაფი აქეთ, ორი დღედაღამე გზაში ვარ, შენ კი მაინც შორსა ხარ, ხმას არ მაწვდი, ჩემო კეთილო!“...

თვალები დაენაშა ვაჟკაცს, გული დაემდულრა. შუბლი შეიკრა და მძიმე ნაბიჯით გაემართა ქარხნის კარებისაკენ.

ნებართვა აღო. ჩემოდანი იქვე დაუტოვა ნაცნობს.

ეზოში, ხელმარცხნივ, მოწინავე მუშების პორტრეტები იყო გამოფენილი. ერთ წამს შეჩერდა ვასო, აგერ, ეს ახალგაზრდა მეფოლადე ვასოსთან ერთად მუშაობდა, ისიც ანდრეი კუზმიჩის შეგირდი იყო. ხედავ, როგორ დაწინაურებულა! რა მალე დაეაქაცებულა, როგორ შეენის ეს დინჯი, საქმიანი გამომეტყველება! წინათ კი ცელქი იყო, დაუღმგარი.

ვასოს არც კი გაუგია, ისე მოუახლოვდა საქარხნო გაზეთის რედაქციის მდივანი. იგი მაღალი იყო, პირხმელი. ქარხანაში თითქმის ყველას იცნობდა, ქართველებს განსაკუთრებით მეგობრობდა, საქართველოში წამოსვლაზე ოცნებობდა.

— ამას ვის ვხედავ! — წამოიძახა მან

და ვასოს მხარზე ხელი დაადო, მოეხვია. — საიდან, ვასო, როგორ?

ვასოს ესიამოვნა ამ კაცის ნახვა, ის დრო გაიხსენა, როდესაც მან პირველად შეაქო ვაზეთში, საუკეთესო მეფოლადე დადგებოა, უწინასწარმეტყველა. ჩვენი ძველი ოსტატი ანდრეი კუზმიჩი ვასილ სიამაშვილზე დიდ იმედს ამყარებდა.

— სხვა, როგორაა საქმე არიში? — ეკითხებოდა მეგობარი. — როდის ფიქრობთ ქარხნის ამუშავებას?

— წელს ჩადგება მწყობრში ორი მთავარი საამქრო.

— ჩინებულა! მაშ, ჩვენს ილიასა და არჩილსაც წაგვართმევთ. ზომ იცით, ისევე აქ არიან, მთავარ დაზგაზე მუშაობენ. თავიანთ ოსტატს ეჯიბრებიან, წინ უსწრებენ. მგონი ამ ცვლაში უნდა იყვნენ, დაზგაზე ნახავთ...

— ანდრეი კუზმიჩი როგორ არის?

— ჰო, მართლა! არ გინახავს ჯერ?... ცოცხლობს, ძმაო, იბრძვის. ძალიან კი იმოქმედა ცოლის სიკვდილმა...

ვასოს სახეზე მწუხარება ამოიკითხა, ისევე დაადო მხარზე ხელი, მანუგეშებელი ხმით განაგრძო:

— ვიცი, ძმაო, ვიცი! შენც დაიჩაგრე, უდროოდ დაგვარგეთ ჩვენი ნატაშა, მაგრამ რა გაეწყობა. სტალინგრადელობა გემართებს. საღ ნახავ აქ ისეთ ოჯახს, რომ ძვირფასი არსება არ დაღუბოდეს, მაგრამ, ზომ ხედავ, რა ბრწყინვალე სიცოცხლე ბობოქრობს ახლა აქ. მთავარი ეს არის, ეს დაძაბული შრომა, ეს განახლება...

მარტენის საამქრომდის მიაცილა ვასო, მერე თავის საქმეზე გაეშურა.

ლუმელების ყრუ გუგუნმა მიიზიდა ვასო, სითბო შემოედინა.

მიწის მუშა ახალი ხნულის სურნელეზით სტკებდა; მეზღვე აღფრთოვანებით შეასწრებს თვალს, აყვავებულ ნერგს რომ დილის სხივი ვამბორება; მემანქანე, მფრინავი, მეორთქლმავლე თუ შოფერი, თავისი მანქანის რიტმულ ძგერას

შეიგრძნობს და გაიხარებს, ხოლო მეფოლადე მოვარეარე ცოცხლომუნდავს მზისფერი ძალთაძლის წარმოშობას.

მიადგა თუ არა კარებს, ვასოს სახე გაუნათდა, ამხანაგებს გაუღიმა.

— აა, ჩვენი ვასო! — წამოიძახა იმ ახალგაზრდა მეფოლადემ, რომლის პორტრეტიც შემოსასვლელთან იყო გამოფენილი, და ვასოს მიეგება. მას სხვებიც მიჰყვენენ.

აგერ, აპარატებთან დგას ანდრეი კუზმიჩი, თავზე ჩვეულებრივად ლურჯ-სათვალისანი კები ახურავს. მხრები ცვლივად გაშლილი აქვს, არ მოხრია, მხოლოდ ნაოქები გამრავლებია გამზდარ სახეზე, ღრმად ჩამგდარ თვალეში კი ისევე ის აღმასივით ბასრი სხივი გამოსკვივის.

ადგილიდან არ დაძრულა, მხოლოდ თავისი სქელი წარბები ასწია და ვასოს მიაცქერდა.

ვასომ მიამურა, მოეხვია.

— სულ მთლად დავობლდით, ანდრეი კუზმიჩ, აღარა გეყავს ჩვენი პელაგია დიმიტრიევნა! — მწუხარე ხმით მიუღამძიმრა სიმამრს.

ანდრეი კუზმიჩის თხელი ტუჩები შეეერხა, მიმოიხედა, შუბლი შეიჭრა. მერე თვითონ დააყრდნო სიძეს მხარზე ხელი სანუგეშებლად და ბრძნული სიმშვიდით უთხრა:

— აგრეა, შეილო... ვიცი!... შენ ეს მითხარი, მშობლები როგორა გყავს?

ვასოს პასუხის მიცემა დაუგვიანდა, განცვიფრებით შეაშტერდა ანდრეი კუზმიჩს. „გამოფიტულა საწყალი ამდენი უბედურებით, — გაიფიქრა, მაგრამ მყისვე სულ სხვა ამოიკითხა მის სახეში. — ხალხია აქ, თავს იჭერს, გრძნობებს იოკებს“...

ამან უფრო მეტი მოკრძალება და სიყვარული აღუძრა ანდრეი კუზმიჩისადმი, თვითონაც მწნეობა შეემატა.

— ყველანი კარგად არიან. დიდი მოკითხვა დამაბარეს. — უპასუხა მოხუცს. უნდოდა ბავშვის ამბავი ეკითხნა, მაგ-

რამ ჯერ რატომღაც უხერხულად მიიჩნია.

— ძალიან კარგი ჰქენი, შვილო, რომ მოხვედი. მენატრებოდა შენი ნახვა... მალე ჩემი დროც მოაღწევს... მინდოდა ჩვენი პატარა გოგოს გამო მეთქვა რამდენიმე სიტყვა...

ვასოს მღელვარებისაგან სახე გუფითრდა, სათქმელი არ დაამთავრებინა.

— ასია როგორ არის?

— კარგად, შვილო, კარგად... მე აგერ საამქროს უფროსთან შევევლი. შენ მანამდის მიიარ-მოიარე, ნაცნობები ნახე, მერე ერთად წავიდეთ შინ.

ვასო იმ ძველ ღუმელთან მივიდა, სადაც პირველად დაიწყო მუშაობა. მარტენის ახალ ღუმელებთან შრომის თითქმის მთელი პროცესი მექანიზებულია, აქ კი ძალ-ღონის დიდი დაჭიმვა საჭირო. ამიტომ გაუძნელდა პირველად ვასოს. მერე კი...

ამხანაგს სათვალე გამოართვა, მოგუგუნე ღუმელის ჰუჭურუტანაში ჩაიხედა. ოქროსფრად ვარვარებდა გამდნარი ლითონი, აქა-იქ კრთოდა მოყვითალო, მურეშა ზვირთი. ამ ფერების მიხედვით დასკვნა, თუ რა მდგომარეობაში იყო ფოლადის ხარშვა. ესია მოვნა, ამხანაგს ღმილით უთხრა:

— ერთ საათში მზად იქნება.

— სწორია. არ დაგვიწყნია, ძმაო, გამოცნობა, კარგი თვალი გაქვს... გახსოვს, როგორ ვწვალობდით პირველად?... ჰო, მართლა, სად არის ახლა ჩვენი გაიოზი?

— არიშშია. ცოლი შეირთო. სამსხმელო საამქროში მუშაობს. შემდეგ ახალ საამქროში გადმოვა.

— კარგი ბიჭია... გახსოვს, ერთხელ რომ გაგვეპარა?

— როგორ არა, ახალგაზრდები ვიყავით, გამოუცდელი. შინ წასვლა გვენატრებოდა.

— გაიოზს მაინც მეტისმეტად.

— ჰო... — გაეღიმა ვასოს და ნათლად

წარმოუდგა, სადგურთან რომ დგოვდნენ, ნანგრევში მიმალული გიგანოტეკა

ახალჩამოსული იყვნენ მაშინ. ბინების სიციწროვის გამო საერთო საცხოვრებელში ტევა არ იყო. ღამის ცვლიდან მოვიდნენ. დაიძინეს. ნაშუადღევს მიიხედ-მოიხედეს. გაიოზი არსად იყო. ვასომ გაიფიქრა: ის ბიჭი ნამდვილად გაიპარაო. ამხანაგი გაიყოლია, სამებრად გაეშურა. თუ საბარგოს არ გაჰყვა, სამგზავრო მატარებელი ჯერ გასული არ იქნებოდა და პირდაპირ სადგურისაკენ გასწიეს. მგზავრებს შორის მოჰკრეს თვალი, მაგრამ გაიოზმაც შეამჩნია ისინი და უმალვე მეორე კარებიდან გავიდა გარეთ; მახლობლად დიდი სახლის ნანგრევი იყო და იქ მიიშალა.

მატარებლის გასვლის დრო ახლოვდებოდა. ხალხი კარებთან ჯგუფდებოდა. ყველგან დაათვალიერეს, ბოლოს ვასომ იმ ნანგრევში შეიხედა. აგერ დგას გაიოზი. ადამიანის ფერი არა აქვს.

— არა გრცხვენია, ბიჭო?

გაიოზმა თავი დახარა. ხმა არ ამოუღია.

ვასო მიუახლოვდა, მკაცრად მიმართა: — რასა ჰგავს ეს, გაიოზ? მოგვეპერი თავი და ესაა...

გაიოზმა გაბუტული ბავშვივით მიიხედა განზე, მხრები შეერხა, თითქოს უნდა ატირდესო.

ვასოს შეეცოდა და ალერსიანად უთხრა:

— კარგი ახლა, წავიდეთ! ჩვენს მეტი ვერაიენ გაიგებს. მარტო შენ ხომ არ ხარ, ჩვენც გვენატრება სახლი, მაგრამ მოვალეობას არ ვიციწყებთ. ნუ გეშიინია, შინ წასვლის დროც მოაღწევს...

ამ ამხანაგურმა თანაგრძნობამ მოაღბო გაიოზი, გული აუჩუყდა, დარცხვენით ახედა ვასოს.

— გმადლობ, ვასო... სირცხვილს გადამარჩინე... რომ არ მოგესწრო, ნამდვილად წავიდოდი... მე თვითონ არ ვიცი,

რა მომივიდა... რალაც საშინელი რამ მეზმანა, აღრე გამომაღვიძა. თქვენ ყველას გეტყვით. ისე მომინდა შინაურების ნახვა, რომ ყველაფერი დამაფიქსელა. სანამდის უნდა ვიყო-მეთქი ამ დღეში, ეთქვი და...

მას შემდეგ მთელ კვირას ძალიან დარცხვენილბ იყო გაიოზი, ყველას თვალს არიდებდა. იმ ხანებში მამისაგან წერილი მიიღო. ფრიდონი ჯერ კიდევ ჯარში იყო, შეიღს არიგებდა, ყოჩაღად იყავი, არ შემარცხვინოო, სწერდა. მაშინ ამოიჭრა გულში გაიოზმა, არავითარი სიძნელის წინაშე უკან არ დაეხია, თავისი საქმის საუკეთესო ოსტატი გამხდარიყო. მერე მალე მიიბყრო ყურადღება, რადგან შრომის უნარი და ძალღონე საკმაოდ ჰქონდა.

ვასო კარგა ხანს დარჩა ღუმელთან; ამხანაგები შემოეხვივნენ, არიშის ამბები გამოჰკითხეს.

— ილიასა და არჩილს არ ნახე? — მიმართა ბოლოს ერთმა.

— როგორ არა, აქ არიან ახლა?

— ჰო, ამ ცვლაში მუშაობენ.

ბლუმინგი მარტენის ღუმელებთან ძალიან ახლოს იყო. ფოლადის ზოდების გასახურებელი „კები“ მთავარ დაზვის უკან ვარვარებდნენ. დაზგაზე ისეთი სიცხე იდგა, შეუჩვეველი ადამიანი იქ დიდხანს ვერ გასძლებდა.

ვასო დაზგაზე ასასვლელ მაღალ კიბეზე შედგა, მარტენის ღუმელებისაკენ გაიხედა.

პაპანების დროს რომ ცხელი ნიავი დაუბერავს, ისეთი ჰაერი მოდიოდა იქიდან. აგერ ზიდური ამწით „ვიდან“ ფოლადის ალისფერი ზოდი ამოიღეს, გორგოლაკებზე დაუშვეს. დაქანებული მდინარის მიერ მოტაცებული კუნძივით გამოსრიალდა ზოდი ბლუმინგის მთავარი დაზვისაკენ, საწინებ ლილეებთან ოდნავ შეფერხდა, შეღურჯებული კანი შემოეცალა და ლილეებში შხრიალით გაეღურდა, გაიწელა.

საქეებს აელებდნენ ხელს. ილია და არჩილი დაზგას რიტმულად ემუშავებდნენ. ჯერ ილია გაატარებდა ზოდს რამდენჯერმე ლილეებში, მერე არჩილი მიიღებდა და წელავდა, აგრძელებდა; ამასობაში ილიას უკვე მზად ჰქონდა შემდეგი ზოდი. ასე აწყობილად მუშაობდნენ ისინი, ვიდრე შემცველები მოვიღონდნენ.

ილიამ აიხედა და დაზგაზე ასული ვასო იცნო. სიცხისაგან წამოგზნებული მრგვალი სახე კიდევ უფრო გაუნათდა, სიხარულით წამოიძახა:

— აა, გამარჯობა, ვასო! საიღან, კაცო?

ხელი არ შეუჩერებია მუშაობას განაგრძობდა.

არჩილმაც ახედა ვასოს, აღტაცებით მიესალმა.

ილია ჩასკენილი, ჯემუხი კაბუცი იყო, შავთვალწარბა; არჩილს მოგრძო სახე ჰქონდა, წმინდა ქართველური იერი.

ილიამ საქე ხელქვეითს გადასცა, ადგა, ვასოს ხელი გაუწოდა, გაესაუბრა.

— სწვა, როგორაა ჩვენში საქმე?

— კარგად, მშენებლობა შეუფერხებლად მიმდინარეობს.

— ჩვენი საამქრო როდის დამთავრდება?

— ამ წლის ბოლოსო, დანამდვილებით ამბობენ, მაგრამ თქვენ, როგორც გატყობთ, ისე მოწყობილხართ აქ, ისე დაწინაურებულხართ, რომ მგონია არიშისაკენ გული არც კი მივიწვევთ.

— რას ამბობ, კაცო! — წამოიძახა ილიამ. — მოთმინება აღარ გვეყოფნის, ერთი სული გვაქვს, სანამ დაგვიძახებდნენ.

— ჩვენ აქ მართლა კარგად ვართ ახლა, — უთხრა ვასოს არჩილმა, — ბინაც კარგი გვაქვს, ხელფასიც კარგა ბლომად გამოგვდის, მაგრამ ვინც გამოგვგზავნა მას უნდა დავეუბრუნდეთ. თუ ძმა ხარ, როგორც კი ჩახვიდე, დანამდვილებით გაიგე და მოგვეწერე ყველაფერი...

ამათთან საუბრის შემდეგ ვასომ საგლინაე საამქროში შეიარა, აქაც ნახა ნაცნობები, მეტალურგიული ქარხნის ჩვეულმა ორომტრიალმა გაართო. მხოლოდ ლაბორატორიის მახლობლად შეკრთა, ნატაშას ამხანაგს მოჰკრა თვალი. სახე აარიდა, განზე გაუხვია, მეტი სიმწევათა განუახლდა ნაღველი.

რამდენჯერ გამოუვლია ვასოს აქ, შინ ერთად წასულან, ერთხელ ვასოს დააგვიანდა. მაშინ ხელმოწერილი არ იყვნენ. ნატაშამ მოაკითხა, მორცხვად შეიხვდა მარტენის საამქროში. რა ღრმა სიყვარული ამოკითხა მაშინ ვასომ მის თვალბში, როგორ უღიმოდნენ, როგორ უხმობდნენ!...

„ახლა სადა ხარ, გულო!“ — ამოიგმინა ვასომ და გზაზე ვავიდა, ისევე ჩაითრია მწუხარებამ. ირგვლივ თითქოს სიცარიელე იყო, მარტოოდენ გარდასულის სახე ედგა თვალწინ.

ქარხნის სამმართველოსთან უცდიდა ანდრეი კუზმიჩი. შინ მისვლამდე ზერეულედ ესაუბრებოდნენ ერთმანეთს. იკითხავდნენ რასმეს, მიიღებდნენ პასუხს და იგი წამსვე ავიწყლებოდათ მთავარი საგონებლით შეპყრობილთ.

თეთრი სახლის ეზოში შევიდნენ. ვასოს გული აუკენესდა. არავინ გამოეგებება — არც ნატაშა, არც პელაგია დიმიტრეენა.

გარეგნულად თითქოს მხნედ მიუძღვება წინ ანდრეი კუზმიჩი, მაგრამ მის არსებაშიც შეპარულა რღვევა.

— შემოდი, შეილო, შემოდი. — მიუბრუნდა კარებთან ანდრეი კუზმიჩი. — ეპ, როგორ გაინხარებდა შენი მოსვლით საბრალო პელაგია! ბევრჯერ გახსენა სიკვდილის წინ. კარგი ბიჭიაო, ნუ დაკარგავო, ბაღს მიხედოსო, დამიბარა...

სახლი სამი ოთახისაგან შესდგებოდა. პირველში ღუმელი იდგა. იგი უფრო საოჯახო იყო, მეორე დარბაზში ანდრეი კუზმიჩი და პელაგია დიმიტრეენა ცხოვ-

რობდნენ, ხოლო მესამე ნატაშასა და ვასოს ეკუთვნოდათ.

ახლა იმ ოთახიდან ანდრეი კუზმიჩის დის შეილიშვილი, მეცხრე კლასის მოწაფე ვალია გამოეგებათ.

ჩვეულებრივად კოხტად იყო დალაგებული ანდრეი კუზმიჩის საცხოვრებელი, კედელზე პორტრეტები ეკიდა, მაგრამ ვასოს თითქოს თვალით დაუბნელდა, ვერაფერს ვერა ხედავდა; ჩემოდანი კუთხეში დადო და მოსაყებულებით ჩამოჯდა სკამზე, თავი ჩაღუნა.

ანდრეი კუზმიჩსაც ენა დაება, უმწეოდ მიმოიხედა, მაგიდასთან მივიდა, წიგნები გაასწორა, მერე ვასოს დააცქერდა, ტუჩები შეერხა, გაბუტულივით განზე მიიხვდა.

ვალია კარგად იცნობდა ვასოს, უნდოდა რამე ეთქვა, მაგრამ ამ გლოვის წამში სიტყვის დაძვრა ვერ შესძლო; კართან იდგა, ხან ანდრეი კუზმიჩს შეავლებდა თვალს, ხან ვასოს.

— ჰო, ვალია, ჩემო გოგონი, — მიმართა უცებ ანდრეი კუზმიჩმა, — წადი, ასია მოიყვანე. მამა ჩამოუვიდა.

ვასომ თავი ასწია, პორტრეტს მიაცქერდა. გადაეგუფებინათ სურათები; წინათ სამი ვაჟკაცი იყო ჩამწკრივებული, ახლა შუაში პელაგია დიმიტრეენა პოეთავსებინათ, ირგვლივ კი ომში დაღუპული ვაჟები და ნატაშა.

პელაგია დიმიტრეენას ნაოჭიან სახეს კავშიანი იერი შერჩენოდა, სიცოცხლით სავესე შეილები კი მზიარულად გამოიყურებოდნენ და ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ ისინი ამ ქვეყნად აღარ არსებობდნენ. ნატაშას საზაფხულო ბლუზა ეცვა, ცისფერი; ხუჭუჭა თმის კულულები თეთრ მხარს ეხებოდა, ხოლო ტუჩებს, თვალბს, მთელ სახეს დიმილი უმწვენებდა.

... აი თითქოს ვასომ შეალო ოთახის კარი; ნატაშას შეხვეული ბავშვი უჭირავს ხელში; თავი ასწია, გაუღიმა,

სწორედ ისე, ახლა პორტრეტებიდან რომ ილიმება...

მწუხარებამ გააშმაგა ვასო, ადგა, გაიარ-გამოიარა.

— დამშვიდდი, შვილო, — ნაღვლიანად მიმართა ანდრეი კუზმიჩმა, — ახლა რაღას გავაწყობთ...

ვასო შეჩერდა, ანდრეი კუზმიჩს სახეზე დააჩერდა, მისი ღრმა, ენით გამოუთქმელი ნაღველი ამოიკითხა, გონს მოვიდა, უზომოდ შეებრაღა ეს დაობლებული მოხუცი. ჩემოდანი მაგიდისაკენ მისწია, მანდარინები, ვაშლები, ფორთოხლები ამოალაგა. ანდრეი კუზმიჩისათვის საგანგებოდ ჭაჭის არაყი ჰქონდა წამოღებული, იმასაც თავი მოხსნა. განჯინიდან ღვინის ჭიქა გამოიღო, დაასხა.

ანდრეი კუზმიჩმა არაყს გემო გაუცნო, მერე ერთბაშად გადაჰკრა.

— შენც დაისხი, შვილო, — მიმართა ვასოს, — გულს დაგიწმენდს... მე რომ ბედი მქონოდა, ჩემი ნატაშა ცოცხალი მეყოლებოდა, შენც არ დამივიწყებდი... ახლა კი... ეჰ!...

ამოიოხრა, და მეორე თვითონ დაისხა.

— შენ არ იცი, შვილო, — განაგრძო მერე, — რა ძნელია ბებრის ობლობა! ტყუილია, გული ქვავდებაო, რომ ამბობენ, არა, ბავშვივით მგრძნობიარე ხდება... იცის, კარგად იცის, რომ ამ ქვეყანას უნდა გაშორდეს, ამას თითქოს კიდევ ურიგდება, მაგრამ ვაი იმას, ვისაც არ მიჰყვება რწმენა, რომ ქვეყანასთან კავშირი მთლიანად არ გაუწყვეტნია, რომ თავისიანებში რჩება ის უჩინარი, მზის ნაწილივით მოელვარე სიმი, რომელიც თაობიდან თაობაში გადავა... რაც გინდა უწოდე ამას, გინდ ხსოვნა, გინდ ამაგი, სულერთია, ოღონდ თვალს რომ დახუჭავ, შენი სისხლ-ხორცის სახე უკანასკნელად უნდა აღიბეჭდოს შიგ.

ერთ წამს იყუჩა, შემდეგ არაეინ შედავებია, ისე წამოიძახა:

— დამაცა! ვიცი, მშობლიური ქვეყ-

ნისათვის ვმრომობთ, ისეა ჩვენც მძალედმულელები, ჩვენი მთავარი მსულისჩამდგმელი, ჩვენი სიცოცხლის წყარო, მაგრამ, განა შეგიძლია ისე გადაეჭლო რაიმეს, თუ მთავარი დამაკავშირებელი რგოლი არ გავაჩნია?... აი, მეფოლადე ხარ შენ... განა შეგიძლია გამოადნო კარგი ხარისხის ფოლადი ისე, თუ მას ერთერთი შემაღგენელი ნაწილი დააქლდა?... მოდგმაც ასეა, შვილო... ახლა შეხედე იმ პორტრეტებს... სადღა არიან ჩემი ვაჟკაცები? სადღაა ჩემი ნატაშა?.. დავცარიელდი, შვილო, სრულიად გამოვიფიტე...

ხმა აუთრთოლდა წრთობილ მეფოლადეს, თვალთაგან ცრემლები გადმოსცვივდა; ნერწყვი ძლივს გადაყლაპა. არაყი მოსვა.

— ჩვენ ხუთნი დავრჩით მშობლებს, — განაგრძო კვლავ. — იმათგან, ჩემს გარდა, ერთი დაა ცოცხალი, ვალიას ბებია, მძიმე გზა გამოვიარეთ. თექვსმეტი წლისა ვიყავი, როცა ქარხანაში მუშაობა დავიწყე. შემდეგ — ომი, პირველი რევოლუცია, რეაქცია, კვლავ რევოლუცია და, რაც მთავარია, სამოქალაქო ომი... შეილები მაინც დავხარდეთ... ახლა რაღა შემრჩა?...

კარს ვალია მოადგა, ხელში ასია ეკირა.

თითქოს უფსკრულის პირად იდგა ანდრეი კუზმიჩი, განუქვრეტელი ბნელეთი გარს ეხვევოდა, ნიადაგს აცლიდა, ხელმოსაკლობი კი არსად იყო. მაგრამ აგერ გამოჩნდა ასია, მაისის დილასავით ნათელი და ყვავილოვანი, არა ნორჩი არსება, არამედ ყოვლად ძლიერი, როგორც თვით სიცოცხლე, მარად ზეაღმავალი, სულის ჩამდგმელი, სასოების მომნიჭებელი.

მოხუცს ნელინელ გაუნათდა სახე, ღრმად ჩამჯდარ თვალებში სიხარულის სხივი აუკიაფდა, ხელები გაშალა:

— მოდი, ღვიძლო ჩემო!... ბავშვი დედას ჰგავდა სავსებით.



აბრეშუმეებით რბილ, ოქროსფერ თმაზე თითქოს თეთრი ბეჭელა აწისო, ფრთაგამოლილი. მოკლე კაბის ქვეშ ქვედა საცვალი უჩანდა.

ხელები მოხვია გოგონამ ანდრეი კუზმიჩს, მიეხუტა, მერე თავი ასწია და ვასოს მიაცქერდა თავისი ცისფერი თვალებით.

როგორც კი გამოჩნდა კარებში ასია, რაღაცამ შეჯაჭვა ვასო, გააჩინდა, რადგან მშვენიერება, რომლის ნათელიც ახლა იხილა, ბევრად აღემატებოდა ნაოცრებას; მოეჩვენა, თითქოს მარადიულ არსებად იქცა ნატამა, ჰეროვან არსებად, და ამ უმანკო ბავშვში განსახიერდა ამისი სახის ყოველი ნაკვთი, ტუჩების მოხაზულობა, ცხვირი, წარბები, თვალითა ეშხი, ყველაფერი ნაცნობია, და კიდევ რაღაც მეტია მასში, ის ყოვლის შემძლე მშვენიერებაა, რომელსაც სიკვდილიც ვერ ერევა. უნდოდა ადგარიყო. ბავშვი გულში ჩაეკრა, მაგრამ ვერ შესძლო. აგერ ახლაც, ბავშვი რომ გაოცებული უცქერის, უნდა ხელი გაუწოდოს, მიეაღეროს...

ანდრეი კუზმიჩმა ასია ზევით ასწია, გაუღიმა, მერე ვასოს მიმართა:

— ხომ დიდი გაზრდილა ჩვენი გოგო?

— დიახ... საოცრად დიდია... ანდრეი კუზმიჩ, უნდა გითხრა... ბავშვი მინდა წაიყვანო, თუ არ გეწყინებათ.

მოხუცმა ბავშვი მუხლზე დაისვა, თმის კულული გაუსწორა, ჩაფიქრდა:

— ბევრი ვიმსჯელებთ ამაზე ჩვენ, მე და პელაგია... შენს ადგილას სხვა რომ იყოს, ბავშვს არ გავატანდი. ჩვენს დროში ბავშვის გაზრდა ძნელი არაა; საბავშვო ბაღი, სკოლა, ყველაფერი მოგვეპოვება, მაგრამ იცი, რა, შვილო? ძალიან ძნელია ბავშვს თუ მშობლის თვალი არ უყურებს. ბუნებას ასე გაუჩენია. ცოდვია ბავშვი უმშობლოდ. ვიცი შენი გულის ამბავი, მზრუნველობას არ მოაკლებ. მე კი დიდი დრო აღარ დამრჩენია, თუმცა ჯერ არ გაეტეხილვარ, ვმუშაობ.

ამ შემოდგომაზე შეიძლება შევბუღება თქვენთან გავატარო... მზრუნველობას გთხოვ... ახალგაზრდა ვაკი ხარ, ცოლს შეირთავ, აუცილებლად უნდა შეირთო, დაგვიანება არ გარგია. ესეც ბუნების წესია, შვილო... ჰოდა, გეხვეწები, ოჯახში საქმე ისე დააყენე, რომ ჩემი ასია დედინაცვალს არ დააჩაგვრიხო...

სთქვა ესა და ხმა აუთრთოლდა მოხუცს, ბავშვს მიაცქერდა, ცრემლით დანამული თვალით მიუაღერსა, მერე ვასოს გადააწოდა.

— მიდი, მტრედო ჩემო, მამასთან მიდი!...

ასია ვასოს მუხლზე შედგა, ერთ წამს მკრთომარედ უმზირა, მერე ხელი ასწია და ნახად შეახო მამას ლაწვზე თავისი ჩვილი თითები.

XVIII

ოჯახის სიამაყე

კიშკარი შეაღო ვასომ. ოდის აივანზე არავეინ სჩანდა. ეზოში სრული სიწყყარე იყო.

მაღალი, ოცდაათი წლის წინათ დარგული ფორთოხლის ძირში შეჩერდა, ბავშვი მეორე მკლავზე გადაისვა, გარემოს თვალი მოავლო.

მწვანედ მოხასხასე სამოსით მოერთო გაზაფხულს გურიის გორაკები, მხოლოდ შორი მთის თხემზე კამკამებდა თოვლი.

მახლობლად, შეფენებებსა და ზეგნებზე, — უკვე აყვავებული მანდარინისა და ფორთოხლის ბაღები, გადაეუქუნებული ჩაის ბუჩქები, ქარსაფარ ზოლად ჩამწკრივებული, მოსწრებული წიწვიანი ხეები; აქა-იქ ლედვისფერი ტუნგობი ზოლო შიგადაშიგ, კორდებზე — კრამიტით დახურული ოდები, ნაირნაირად მობიბინე ეზოები.

ვახტანგ სიამაშვილს თავის საკარმიდამოში უმთავრესად ციტრუსები გაეშენებინა, ორას ძირამდე ვენახი ჰქონდა და ათიოდე სკა ფუტკარი ჰყავდა.

ოდის უკან მოზრდილი სამზარეულო იდგა, ხოლო განაპირას, შემოღობილნი — საქონლის სადგომი, რომელშიაც, მეწველ ძროხასთან ერთად, ერთი უღვლი საუკეთესო ხარი ება, კოლმეურნეობის მიერ მასზე გაპიროვნებული, გულდაგულ მოვლილი.

დილის ის დრო იყო, როცა შინ თითქმის არავინ რჩებოდა. ვახტანგი მერგოლური იყო, ყანას ხნავდა, მამუკას მეუღლეს — ტასოს ნახევარი ჰქეტარი ჩაის პლანტაციის ჰქონდა გამოყოფილი და იმას ამუშავებდა, ბავშვები — ჭოლა და უუჟუნა სკოლაში იყვნენ, ასინეთს ძროხა გადაედგნა საბაღახოდ.

ვასომ ბავშვი ოდის აივანზე აიყვანა. კუთხეში მიდგმულ სკამ-ლოგინზე დასვა, დაღლილი მკლავი გამართა.

მკვირცხლი, მოძრავი ასია წლისაც არ იყო, როცა ფეხი აიდგა. კარგა ხანია დაიწყო ლაპარაკი. ორი დღედაღამე გზაში იყვნენ და მამას შეეჩვია. მაინც ხშირად მოწყენა ემჩნეოდა.

აი ახლაც მოზრდილსავეით დინჯად წამოდგა, მოაჯირზე ხელი დააყრდნო და გაოცებულად მიმოაელო თვალი. დვინისფერი ქუდი ეხურა, ასეთივე პალტო ეცვა. ოქროსფერი ხუჭუჭა კულულები ყურებსა და ყელს უფარავდა.

— აჰში! — მოისმა ოდის უკანიდან ასინეთის ხმა.

ვასომ მოაჯირიდან გადაიხედა.

— დედა, შვილო! ჩემი ბიჭი მოსულა! — წამოიძახა ასინეთიმ და გამოეშურა, მსუბუქად აირბინა აივანზე. ასიას მოჰკრა თვალი. შეჩერდა, ვასოს მიხედა.

— აი ბალანაი ვისია, შვილო?! — გაკვირვებულად ჰკითხა, მყისვე მიხედა, ხელები გაშალა:

— შენი ჭირი შემეყაროს, ბებო, ჩემო ანგელოზო! რას მოვესწარი, შვილო, ამას? ჩემს ბიჭს მართლა ჰყოლია შვილი! ვერ წარმომედგინა, ზღაპარი მეგონა მე სასიკვდილეს! დედა, შვილო,

რა მშვენიერია! მოდი, ბები, ჩემთან მოდი, ნუ გეშინია, შემოგვედგინო ასიას არ ესმოდა რას ამბობდა ასინეთი, მაგრამ მოფერების კილო მაინც შეიგრძნო, მამას შეხედა, თითქოს მისგან ნებართვას იღებო, და ასინეთის მიენდო.

უფროს შვილზე, სახელოვან მამუკაზე გლოვით დამჰკნარი სახე წამოეფაკლა ასინეთის, ბავშვი ჩაიხუტა, აკოცა; მერე ჩამოჯდა, მუხლზე დაისვა, ქუდი მოხადა, თავზე ხელი გადაუსვა.

— დედა, რა მშვენიერია, რა ოქროსა!.. ნუ გეშინია, ბებიკო, მე შენ არაფერს გაგიპირებ. უბედური დედაშენი, შვილო, თვარა შენ ჩვენს ხელში არაფერი არ მოგაკლდება...

ნატაშას ხსენებაზე ვასოს მიუყჩებულო მწუხარება განუახლდა, ცრემლი მოეძალა; მიხვდა, რომ ახლოვდებოდა გამოგოვების, სამუდამოდ გამოთხოვების ეამი. პირველად იგრძნო ეს ასე ღრმად და მეტისმეტად ემწვავა, გული დაეთუთქა.

დედამ იაზრა შვილის კეჟმანი, დასამშვიდებლად უთხრა:

— მოდი შვილო, ჩამოგექი, დაღლილი ხარ... მოგიკვდეს ჩემი თავი, ამდენ ხანს ვერ ჩავიხედე, შვილო, შენს გულში. კი ამბობდი, მარა მაინც ვერ წარმომედგინა, თუ ამისთანა ოქრო ბალანაი გყავდა... დედა, შვილო! რა იქნებოდა ამის დედა, რა დიდებული ქალი იქნებოდა! ერთი მაინც მღირსებოდა მისი ნახვა! მოდი, შვილო, მოდი, ჩამოგექი! — კვლავ მიმართა ვასოს. ამ დროს უცებ მოაგონდა: — მართლა! ბალანაი მშვიერი იქნება, ნამგზავრია! ამდენ ხანს ვერ მოვისაზრე მე სასიკვდილემ. ახლავე, შემოგვევლე, ამ წუთას გაეაჩენ ყველაფერს.

* *

შუადღისას ბავშვები მოვიდნენ სკოლიდან. უუჟუნა ტანმორჩილი იყო, შავგერემანი, შავთვალწარბა; ჭოლა კი მამას



გვავდა, ისეთივე შალალი, ტანადი; კეხიანი ცხვირი და დიდრონი თვალები უკვე ვაქცატურ იერს ანიჭებდა.

ეუუუნა ცას ეწია, როცა ასია ხელში აიყვანა. ორიოდ სიტყვა რუსული იცოდა და წამსვე გამონახა ბავშვთან საერთო ენა. ასიაც გამხიარულდა, პირველად გაიცინა გულიანად; მერე ეზოში გაჰყვა ეუუუნას და მოლზე დაიწყო ბაჩუნი.

სალამოს მოვიდა სამუშაოდან ტასო, შავგვრემანი, შუა ტანის ქალი. შავ თმში აქა-იქ თეთრი გარეოდა. დაღუპულ ქმარზე მწუხარებას იშვიათად იმჩინებდა, მხოლოდ უსაქმოდ ვერ დგებოდა. კოლმეურნეობაში გულმოდგინედ მუშაობდა, საუკეთესო მეჩაიე იყო. ორჯერ მედალი მიიღო, ახლა ორდენზე იყო წარდგენილი.

ეუუუნამ დედას უკვე გამოძინებული ასია შეაგება;

— ა, ნენა, ვასოს ბაღანაი. ნახე, რა მშვენიერია!

თალხი სამოსი ეცვა ტასოს, არა დროებით სამგლოვიარო, არამედ უკურნებელი ნალექის ნიშანი; მისი გამომეტყველებაც გულჩათხრობილობას გამოხატავდა, მაგრამ ახლა, როცა ასია ხელში აიყვანა, სახე მეტად მიმზიდველი მადლით დაუმშვენდა, ისე გულიანად მოეფერა ბავშვს, რომ ასიამ მყისვე იგრძნო წმინდა დედობრივი აღერსი, ლოყით ლოყაზე მიეხუტა, ყელზე მკლავი მოხვია.

— ბედნიერი ქნას, შვილო, ბუნების ძალამ შენი მოსვლა. გაიზარდე შენი საწყალი დედის გასახარებლად. ნუ გეშინია, შვილო, ჩვენ აქ ობლობას არ გაგრძობინებთ. — ეფერებოდა ჩახტებულ ბავშვს და ოდის აივანზე აღიოდა.

თავისთავად, მოუფიქრებლად შეაღო სასტუმრო დარბაზის კარი, მამუკას პორტრეტს მიუახლოვდა, შავ ჩარჩოში

ჩასმულს, იმავე მოალერსე ხმით გაწავრო:

— ა, გენაცვალე, ჩემო არწივო, ვასოს ბაღანაი მოგიყვანე. ვიცი შენი გულის ამბავი, გაგიხარდება ძმისშვილის ნახვა. გახსოვს, ვასო ჯერ კიდევ სკოლაში იყო, შენ რომ საომრად დაფრინავდი. ახლა ხომ ხედავ, რამხელა ბაღანაი გაზრდია?... შენ სადა ხარ, ჩემო არწივო, როდის მოფრინდები? შენი ბაღნები მაინც რატომ არ გენატრება, გულო!...

ბუტბუტებდა ტასო და ცრემლი მიჯრით ეკინებოდა წამწამებზე. დიდხანია ეს არ მოსვლია, ვახტანგისა და ასინეთის ურადებოდა, ბავშვებს ჭფრთხილდებოდა, გული არ გაუფუჭდეთო. ახლა კი უნებურად აჰყვა გრძნობას, არა სალომბიეროს, არამედ გულში ჩადღუღებული ნალექის გამაღხვობელს, შვების მომნიჭებელს.

ანაზღად ბავშვის ხელის შეხება იგრძნო, გამოერყვა, ასიას გაუღიმა, მერე ზურგს უკან მდგარ, აცრემლებულ ეუუუნას მოეფერა:

— კარგი, შვილო! გული არ გეტკინოს. მამატიე, უნებლიედ მომივიდა, რა სკიბის, შვილო, მამამენს სატირალი! უკვდავია მისი სახელი. ჩვენში ერთ ვინმეს თუ ახსენებენ, იგიც მასთანაა. ა, შვილო, გაართე აი ბაღანაი, უცხოა ჯერე.

კვლავ მოეალერსა ასიას, მერე ეუუუნას გაუწოდა, თვითონ სამზარეულოსკენ გაეშურა, რომ ასინეთს ვახშმის დამზადებაში მიშველებოდა.

დღედღამე იყრებოდა, როცა ვახტანგმა ნამუშევარი ხარები მოიყვანა. კი არ მოდენიდა, წინ მოუძღვებოდნენ ქედმაგარნი, გრძელრქებიანნი. პირდაპირ სადგომს მიადგნენ, ერთი დაწინაურდა, მეორე უკან მიჰყვა.

ვახტანგმა საყვები მისცა, კისერი დაუწილა, ზურგზე ხელი გადაუსვა, სწორედ ისე, მამამისი საკუთარ ხარებს

რომ ეფერებოდა. ღარიბი გლეხი იყო ვახტანგის მამა, ის ერთი უღელი ხარი შეადგენდა მთელ მის სიმდიდრეს. ჰევარტლიან სახლში ცხოვრობდა, აზნაურის მიწას ამუშავებდა. მკადასა და ლობიოს საკმაოდ იწევდა, სხვა კი არა გააჩნდა რა, ბავშვები შიშველ-ტიტველი ჰყავდა.

ვახტანგი საქონლის სადგომიდან გამოვიდა, სამოსზე ხელი დიხსვა, ჩამოიბერტყა, რომ სახლში მტკერი არ შეკყოლოდა. მუშაობის დროსაც სუფთად ეცვა. არ უყვარდა, ზოგიერთი გლეხი რომ აჭრელებული, დაკერებული ტანსაცმლით გამოვიდოდა სამუშაოდ.

ნაცრისფერი შარვალი და ხალათი ემოსა, თავზე სვანური ქუდი ეხურა, წელზე ფართო ქამარი ჰქონდა შემორტყმული, ზედ ქარქაშიანი დანა ეკიდა.

ქოლა ოდაში იჯდა, თავის კუთხეში, გაკვეთილს სწავლობდა. თავი ასწია, საღამოს ბინდში შინ მომავალი ვახტანგი დაინახა, მყისვე წამოხტა, ბაბუას მიეგება.

კარგა ხანია ერთობ თავისებური ურთიერთობა დამყარდა ამათ შორის. ვახტანგს თავი ისე ეკირა ამ მეექვსე კლასის მოწაფის მიმართ, თითქოს იგი უკვე დეაფკაცებული ყოფილიყოს, მიფერებდას არ საჭიროებდეს; შეიძლებოდა მხოლოდ გამოცდილების გაზიარება, რჩევადარიგება, ხანდახან თათბირიც კი. ქოლაზე ეს დიდ გავლენას ახდენდა, თავი დინჯად ეკირა, ვახტანგი განსაკუთრებით უყვარდა, ყველაფერში მას ჰპაძავდა.

— ბაბუა, ვასო ჩამოვიდა, ბავშვი ჩამოიყვანა. — მიახარა ქოლამ ვახტანგს, გვერდით ამოუდგა, მხრებამდის მისწვდა.

— მართლა?... კარგი, კარგი! — ჩიილპარაკა ვახტანგმა და აუჩქარებლად გაჰყვან ოღისკენ.

ვასო მეზობლისას გადასულიყო, ასინეთი და ტასო სამზარეულოში საქმია-

ნობდნენ, ხოლო ვუუენას ოღის სასტუმრო დარბაზი ელექტრონის მუქით გაეჩირაღდნებინა, თავისგან ძველთა ხელმოტეხილი დედოფალა მოენახა, აბრეშუმის ნაჭერი ეშოვნა და პატარა კაბას ჰკერავდა. ასია გვერდით ეჯდა, ისიც თითქოს რალაცას აკეთებდა.

ვახტანგი კართად შედგა, ბავშვს დააკერდა.

ვუუენა წამოიჭრა, ალტაცებით წამოიძახა:

— ბაბუა, ხედავ, რა კაი ბალანაი გვყავს!

ასია შეერთა, შიშხამდგარი თვალებით შეამტერდა მალალ, მხარბეკიან უცნობს, რომელსაც თავზე რალაც საოცარი ქუდი ეხურა ტუჩები აუთრთოლდა ბავშვს, ადგა, ვუუენას მოეფარა და მაგრად მოეხვია.

— ნუ გეშინია, ჩემო კარგო! — რუსულად მოეფერა ვახტანგი. — მე შენი ბაბუა ვარ, ჩემო ძვირფასო.

ქუდი მოიხადა, ბავშვს მიუახლოვდა, ჯერ ხელი არ მოხვია, სათამაშოები დაათვალიერა, მოიწონა:

— ო, ეს კარგია, მაგრამ ჩვენ კიდევ უკეთესი დედოფალა უნდა ვუყიდოთ ჩვენს გოგონას, უკეთესი კაბა... აბა, ვნახოთ, შენ როგორი გაცვია. შენც უნდა გიყიდოთ, ჩემო კარგო!... მოდი ახლა ჩემთან, ნუ გეშინია, ბაბუ...

დამშვიდდა ვახტანგის მკლავზე ასე მალლა, ასე მოხერხებულად მოთავსებული ასია, თავი გადასწია და ვახტანგს სახეზე დააკვირდა; ვინ იცის, იქნებ ანდრეი კუზმიჩი მოაგონდა და გულლიად იმიტომ გაუღიმა.

ვასოს მეზობელი მოჰყვა, უბნის ბრიგადირი იპოლიტე დარჩია, რომელმაც წინა წელს უხვი მოსავლისათვის ლენინის ორდენი მიიღო. სამამულო ომის მონაწილე იყო იპოლიტე, ჯარშიაც მრავალჯონს დააჯილდოეს. სხვა ბრიგადებთან შეჯიბრებაში ყოველთვის პირველობისათვის იბრძოდა ეს

მკვირცხლი, გონიერი ვაჟკაცი. ენერგიული, თითქმის მკაცრი გამომეტყველება ჰქონდა, ხოლო როცა გულგამლით გაიღიმებოდა, ყველას იზიდავდა, იმასაც კი, ვისაც საქმის გამო სასტიკად მოეპყრო.

ბავშვი ხშირად პირველი შეხედვისთანავე შეიგრძნობს ადამიანის ხასიათს: როგორც კი გაუღიმა ასიას იბოლიტემ, წამსვე მიენდო, სრულიად არ შეაყრთო მისმა მკაცრმა შესახედაობამ.

ვახშმის გაწყობამდე ვასოს სტალინგრადის ამბები გამოჰკითხეს.

— მაშ ანდრეი კუზნიჩმა აქეთ წამოსვლა ისურვა? — მიმართა ბოლოს ვახტანგმა.

— ჰო, მამა. ქარხანაში ძალიან აფასებენ. შესანიშნავი ოსტატი, მაგრამ შინ რომ ობლად რჩება, დიდად საბრალოა სწორედ!

— იცი, რას გეტყვი, შეილო! — მოულოდნელად შესცვალა საუბრის საგანი ვახტანგმა. — არიშში ყოფნის დროს ტარიელმა მითხრა, რომ იქ შესაძლებელია საკუთარი სახლის აშენება. მთავრობა ფულს იძლევა, მგონი ათიათას მანეთს. ერთი ჯგუფი უკვე იწყებს მშენებლობას. შენც უნდა შეუერთდე მათ. არ გაგივირდება, აქედან ჩვენც დაგებ-მარებით... იცი, რატომ გეუნებები ამას? იქნება იმ მოხუცმა აქეთ დარჩენა ისურვოს, შეილიშვილის მახლობლად. მასეთი გამოცდილი ოსტატი თქვენ ხომ აუცილებლად გესაჭიროებათ... გარდა ამისა, შეილო, აწი დაფუძნების დროა, დამოუკიდებელი ბინა გექნება, პატარა ეზოც, ოჯახურად მოეწყობი...

ვასომ შებლი შეიკრა, გაურკვეველად ჩაილაპარაკა:

— ვნახოთ აგერ...

— არა, შეილო, ამ საქმის გადადება არ ივარგებს. ჩასკლისთანავე უთხარი ტარიელს. ახლა გაქვს დრო, მერე შენი საამქრო დაიწყებს მუშაობას და დატვირთული იქნები...

კარი გაიღო, დარბაზში სამამულო ოშში დაღუპული ვაჟის გულგახიზების ქერივი შემოვიდა, შინაგარეობაში მიესალმა ყველას.

— ო, შენი ნახვა კი გამეხარდა სწორედ, — შემოსვლისთანავე მიმართა იბოლიტემ, — რაფერაა, დესპინე, ჩაის საქმე?

— გვარიანად, შეილო, თუ ამინდმაც ხელი შეგვიწყო, გასხლვა და სასუქის შეტანა თავის დროზე დაურჩა. ხვალედან გვინდა დაეწყოს შერჩევითი კრეფა.

ხანდაზმული ქალი არ იყო დესპინე, მაგრამ ქმარი რომ დაეღუპა, მის შემდეგ თავის ხნის მამაკაცებსაც კი დედობით მიმართავდა. მუდამ ერთნაირი გრძელი კბა ეცვა; მეტინმეტად გამრჯე იყო, ოჯახსაც პატრონობდა და კოლმეურნეობაშიც სახელი ჰქონდა მოხვეცილი. მოსწრებული ქალ-ვაჟი ჰყავდა. ქალს — რუსიკოს ოცდასამი წელი უსრულდებოდა, ხოლო ვაჟი — ავთანდილი თბილისის უნივერსიტეტის პირველი კურსის სტუდენტი იყო. რუსიკოც სწავლობდა უმაღლესში, მხოლოდ დაუსწრებლად, ფილოლოგიური ფაკულტეტის მესამე კურსის ორი საგანი ჰქონდა კიდეც ჩასაბარებელი. ამავე დროს ჩაის განთქმული მკრეფავი იყო, ორგზის დაჯილდოებული.

დესპინე ჩამოჯდა, კუთხეში ქუქუქნასთან მოთამაშე ასია დაინახა, გაკვირვებით მიიხედ-მოიხედა, მერე იკითხა:

— ვისია აი მშვენიერი ბალანაი?

ვასომ თვალი დახარა, ვახტანგმა წარბები შეიკმუნხა, მოგვიანებით უპასუხა:

— ვასოს ქალიშვილია, სტალინგრადიდან ჩამოიყვანა.

— უი, რას ბრძანებთ! — აღმოხდა დესპინეს, მაგრამ უმაღვე თავი შეიკავა, ტუჩებზე ხელი მიიღო, ყრუდ ჩაილაპარაკა: — გაგიზარდოს, შეილო,

ღმერთმა! ოქროსავეთ ბალანაი ყოფილა სწორედ!...

გუნებაში კი მწარედ გაიფიქრა: „მართალი ყოფილა, რომ ამბობდნენ, ვასო ცოლ-შვილიანიო. მე სულელს კიდევ არ მჯეროდა. რამდენი ბიჭი წასულა რუსეთში, მარა ცოლ-შვილი არ ჩამოუყვანია... ჩემ სულელ გოგოს კი მაგაზე ამოდის მზეი, მაგას უცდის... მორჩა. აწი მე მიყუროს!“...

რძალ-ღედამთილმა ვახშამი შემოიტანეს. ასინეთმა ასიას გადახედა, დესპინეს თვალი მოარიდა, სახე მოეღრუბლა. ტასოსაც შეეკმუხნა წარბები. იპოლიტეს მეტმა ყველამ იცოდა, თუ რითი იყო გამოწვეული ეს უხერხულობა: რამდენი ხანია, ამ ოჯახის წევრებს რუსიკო სარძლოდ მიაჩნდათ. ასინეთი დესპინეს არწმუნებდა: ცოტა კიდევ მოითმინე, ამ საქმეს წინ არაფერი უდგასო. ახლა კი მოვიდა ასია და...

დესპინე წამოდგა, ბოდში მოიხანდა: — დიდი უკაცრავად ვარ, მაგრამ მეტს ველარ მოვიცილი...

— რატომ ჩქარობ, დაო? ცოტა რამე მიირთვი! — შეეპატიეა ტასო.

— დიდად გმადლობთ. თქვენსას პატივი არ მინდა, შინაური ვარ, მარა ნამეტარი მეჩქარება.

— კაი, კაი, მიეცეთ ნება! — ხუმრობის კილოთი სთქვა იპოლიტემ. — ხომ იცით, რანაირია ჩვენი დესპინე: თუ რამე სთქვა, მერე ვერასგზით ვერ გადაათქმევინებ.

სუფრა გაშალეს. ვიდრე საქმელს ხელს მიჰყოფდნენ, კარგა ხანია თავისთავად დამყარებული ჩვეულებისამებრ შინმოუსვლელთან სულიერი კავშირის წამმა იელვა.

ეს წამი ასე დაიწყო:

— ვაი შენს დედას, შვილო! — ხმამალლა ამოიგმინა ასინეთმა, მერე გუნებაში დასძინა: — აღარ მეღირსა, შვი-

ლო, შენი მოსვლა. მე მაინც კე ვარ ცოცხალი, ვათრევ ამ სამიწუ სულს...

ვახტანგმა პორტრეტს ირჩხად ახედა, თავისი უფროსი ვაჟის ვაჟკაცურ სახეში დიდი ადამიანური სიმტკიცე ამოიკითხა.

ტასო მწუხარებას არ იმჩნევდა, იღუპალად უხმობდა თავის საყვარელ არწივს.

ბავშვებიც ხმას გაკმენდნენ ხოლმე ამ დროს, თითქოს თვითმფრინავის შორეულ გუგუნს მოჰკერესო ყური.

და იმ წამს მათთან სულ ახლოს იმყოფებოდა ოჯახის სიამაყე, შინმოუსვლელი გმირი მამუკა.

XIX

რუსიკო

დესპინეს კიშკარში შესვლისთანავე ნაცრისფერი მურია შეეგება. იგი სამი წლისა იყო, როცა ოჯახის პატრონი ვანო გუჯაბიძე ჯარში გაიწვიეს. ახლა უკვე თერთმეტი წლისაა, ბერდება. ხშირად სახლიდან ყველანი მიდიან, ეზოში მართო რჩება, გუშავობს.

ესე გუნებაზე იყო დესპინე და მოლაქტეცე მურიას ყურადღება არ მიჰქცია, არ მოეფერა, არც სამზარეულოში შეიარა, ოდის მალალ კიბეს აძევა.

რუსიკო თავის ოთახში იჯდა, მეცადინებოდა. სამუშაო მაგიდაზე ელექტრონის ლამპა ედგა; მოგრძო, ოდნავ ფერმკრთალი სახე განათებოდა. დედამ რომ შევიდა, აღმაცერად ახედა, მერე ისევ კითხვა განაგრძო; წინადადება დაამთავრა და მხოლოდ მაშინ მიიღწია მის ცნობიერებამდე, რომ დედა კუშტად გამოიყურებოდა. თავი ასწია, გადაშვილდული წარბები შეარხია, მალალ შუბლზე მცირე ნაოჭი გაეხაზა.

— რა იყო, დედა?

დესპინემ თვალი მოარიდა, თავის-
თვის ჩაილაპარაკა:

— იკითხე შენ მასე, იკითხე. გამო-
ვიღამდება თვალეები...

— სთქვი დედა, რა მოხდა?

— რაი და... სანამღი გინდა, ცავ,
იყო ასე ქვეყნის სასაცილოდ?

ახლა მიხვდა რუსიკო, თუ რატომ
იყო გაჯავრებული დედამისი. ამ ბო-
ლოს ხშირად უსაყვედურებდა: შენი
ხნის გოგოები ყველანი გათხოვდნენო,
შენ კი ხელში ჩამაბერდებიო.

— კაი, ნუ იცი ასე უსაფუძვლოდ
გაჯავრება. შენ ხომ ჩემი კაი ნენაი
ხარ! — მიესიყვარულა რუსიკო.

— დამანებე თავი! ყბას ნუ მიქცევ,
ცეცხლი მეკიდება გულზე.

— კი, მარა... სთქვი, რა მოგივიდა?

— რაი და, ქვეყანას რომ მოღვევი,
ვასოს მეტს არავის გაეყვებიო, მას ვუც-
დიო, არც იგი შეირთავსო სხვას, ახლა
რას იზამ? ხომ მოგეპრა თავი, გამოვიწყ-
დით ქვეყანაში. ჩამეიყვანა ეგერ უშვე-
ლებელი ბალანაი...

რუსიკოს რამდენჯერმე გადაულაპა-
რაკეს: ვასო სტალინგრადში ვიდაც
ქალთან ცხოვრობსო, მაგრამ ეს ამბავი
გულს არ გააკარა. მთლიანი ბუნების
ადამიანი იყო, ეკვების აყოლა არ შეეძ-
ლო. სიყვარული მისთვის რწმენაც იყო.
მართალია ვასოსთან მიწერ-მოწერა არა
ჰქონდა; პირველსავე წელს მეორე წე-
რილზე რომ პასუხი ვერ მიიღო, ზედ-
მეტად მიიჩნია. გავა დრო და ყველა-
ფერი მოწესრიგდებო, სჯეროდა გუ-
ნებაში. აბეზარი ფიქრებისათვის არ
ეცალა, გულმოდგინედ სწავლობდა,
თავგამეტებით მუშაობდა. ხანდახან,
ათასში ერთხელ შემოენთებოდა სახ-
მილი, მაგრამ წამსვე აქრობდა თავისი
მტკიცე ნებისყოფით. ბოლოს, როცა ვა-
სო სტალინგრადიდან ჩამოვიდა, ისე
მოეწყო, რომ ცალკე სალაპარაკოდ ვერ
შეხვდა, მეორე დღეს თბილისში მოუ-
წია წასვლა საგნების ჩასაბარებლად.

ამასწინათ იყო და მხოლოდ საღამო მის-
ცა, ვასო მეტისმეტად დიდფრთხილად ეჩ-
ვენა და ძალიან შეეცდნენ, მისთვის კი
ვერ გამოჰკითხა, გულმა უქარნახა: ახ-
ლა დრო არ არისო.

ასე ელოდა და ზრდიდა სიყრმიდანვე
ჩანერგილ სიყვარულს. დედა რომ ეტ-
ყოდა, ბერდებო, სასაცილოდ არა
ჰყოფნიდა. ჯერ რა დროსია: შეჯიბ-
რებაში ახალ-ახალ წარმატებებს აღ-
წევს, უნივერსიტეტი უნდა დაამთავ-
როს. ამასობაში ვასოც მოიცილს, შეუ-
ძლებულია დაივიწყოს ის უკვდავი
გრძნობა, რომელიც ერთხელ ისე უსი-
ტყვოდ, მაგრამ ისე ცეცხლოვანად აღი-
ბეჭდა მათს არსებაში...

ახლა კი:

— რას ამბობ, დედა? ვისი ბალანაი
ჩამოიყვანა?

დესპინემ მოთმინება დაკარგა, სას-
ტიკად შეუტია:

— რა გპირს, ცავ, შენ? მიღღმნი
ასე გულუბრყვილო რაფერ უნდა იყო?
ამდენს სწავლობ, განათლებული ქალი
ხარ და ამას ვერ მიხვდი? ვისას ჩამეიყ-
ვანდა, თავისი ბალანაი ჩამეიყვანა...
მორჩა. გნახო აწი ერთი იქით გახედუ-
ლი და მე ვიცი! შენ თუ აყუევი, წყალ-
ში გადამაგდებ. რა აქვს ვანო გუჯაბი-
ძის თჯახს სხვისი სახვეწარი? თავი
რაიზა უნდა დავიციროთ? ოქროსავით
კაცი მეძლევა ეგერ. მოვრჩები საქმეს
და ისაა. სწავლის დამთავრებას მერეც
მოიწერები...

რუსიკოს მიწისფერი დაედო. ადგა.
გაიარ-გამოიარა, ფანჯარასთან შეჩერ-
და. არაფერს არა ზედავდა. გარეთ ღამე
იყო; მის სულშიაც ბნელოდა. იმდენად
გაოგნებული იყო, რომ აღარ ელოდა
რაიმე ნათელს, რომელიც მოჯადოებუ-
ლი წრიდან გამოსავალს უჩვენებდა.
ერჩია, ჩარაფერი დაენახა, თორემ მთე-
ლი ქვეყნისოდენა სიმძიმე დააწეებო-
და და ქვეშ მოიყოლებდა.

დღეს შეეცოდა თავისი ქალიშვილი, მხარზე ხელი დაადო, მოეფერა:

— კაი, შვილო, დამშვიდდი... თავს ნუ დეინაგრავ... მიკვირს: ასეთი ნიჭიერი, ასეთი ცოცხალი ხარ, ნენა, და ასე რამ დაგიზნო ქალური გრძნობა? შენს ტოლებს შვილები ჰყავთ. ახლა მაინც ხომ დარწმუნდი, რომ ცდებოდი? ჰო-ლა, ამეილე, შვილო, გულიდან ეგ ფიქრი, შენს თავს მიხედე... არაფერი წუნი არა აქვს იმ კაცს, ვასოს ბევრად სჯობს...

რუსიკომ მხრები შეარხია. გაფითრებული სახე დაეღრიჯა, განზე გაიწია. ხმა ძლივს დასძრა:

— თუ გიყვარდე, დედა, ახლა თავი დამანებე. არაფერი არ მითხრა, მაცალე...

— აბა, როდის, როდის? — სიმწრით წამოიძახა დესპინემ და დადუმდა, თავი შეიკავა. ერთხანს ისიც იდგა ჩუმად, მერე უმწეოდ ჩაიქნია ხელი და ოთახიდან გავიდა, რომ ოჯახის საქმისათვის მიეხედნა.

არასოდეს ასე არ გაქვავებია გული რუსიკოს. მამის დაღუპვა რომ შეიცხადეს, მაშინ განიცადა პირველად დიდი მწუხარება, მაგრამ ასეთ უსამელო ღოღად ის მაინც არ დასწოლია. გულამოსკენილი სტიროდა მამინ, მაგრამ ნუგეშის მცირე ნაპერწკალი მაინც უციმციმებდა სადღაც სულის სიღრმეში, რაკი კუმბოში ჩასვენებული ცხედარი წინ არ ესვენა, ვერ წარმოედგინა, რომ მამა ცოცხალი არ იყო, მხოლოდ შორს იყო იგი, ძალიან შორს, შინ მოსვლა არ შეეძლო... მერე სწავლა, შრომა და ენით გამოუთქმელი ბედნიერების მოლოდინი... ნუთუ მართლა მარტოდენი ზმანება იყო იგი და ახლა თვალსა და ხელს შუა ჰქრება, როგორც ბურუსი?!.. არა, ეგ შეუძლებელია, აქ რაღაც გაუგებრობაა...

ოთახში გაიარ-გამოიარა. ცოტა მოეშვა გულზე. წიგნის კითხვა სცადა, მაგრამ

ვერ შესძლო. აივანზე გავიდა, მოაჯირს დაეყრდნო ხელით.

ოდეს პირი ბახმაროს მთისაკენ ჰქონდა. ის იყო, საესე მთვარემ თეთრი ღრუბლები უკან მოიტოვა, გურიის ზეგანსა და ქალებს თავს გადმოადგა. გამკვირვალე ბინდმა მოიკცა ირგვლივ ყველაფერი; მუქლურჯად გამოკრთოდნენ მაღალი ხეები მცხრალ შუქში; მახლობლად ჩაის მწკრივებს შორის არეები არა სჩანდა, ბუნქები თითქოს გაერთიანებულიყვნენ, ფენაფენად გაშლილ ხალიჩას დამსგავსებოდნენ, სუროსფერი ხავერდით გუმბათოვნად ამოქარგულს.

რუსიკო გარემოს თვალს ავლებდა და მხოლოდ იმ ადგილებს ხედავდა, სადაც ვასოსთან ერთად ოდესმე გაუვლია.

ერთად იზრდებოდნენ, ერთად სწავლობდნენ. ვასო ბავშვობაში ძალიან ცუელი იყო, დაუდეგარი. ამ წუთას რომ მდინარეში ბანაობდა, მეორე წუთში ხის კენწეროზე მოექცეოდა. ჰიდაობა უყვარდა, ღონის გამოჩენა; ხალათი ხშირად დახეული ჰქონდა. ფიზკულტურულ ვარჯიშობაში ყველას ჯობდა.

რუსიკო თვითონ დინჯი იყო, ძალიან მორცხეი, მაგრამ ყმაწვილებში ყველაზე მეტად ვასო მოსწონდა, ახარებდა მისი სიუოჩაღე, ვაკეკური იერი. ვასოც ყურადღებით ეყრბობოდა რუსიკოს, ბავშვებში მფარველობდა, მხოლოდ ხანდახან რაღაც ჟინი მოუვლიდა და ულმობლად აჯავრებდა; მერე კი, როცა რუსიკო გაებუტებოდა, ერთი სული ჰქონდა, სანამ შეურიგდებოდა. ბოლოს, როცა წამოიზარდა და კომკავშირში მიიღეს, ვასომ შეიმშვენა სერიოზულობა. ომის წლები დადგა, სწავლასთან ერთად შრომაც იყო საჭირო.

ძნელი სათქმელია, როდის დაიწყო მათი მეგობრობა. რუსიკოს რაც თავი ახსოვს, ვასო მუდამ ახლობლად მიიჩნდა. ისე კი, რამდენი შემთხვევა იყო, როცა ვასომ საქმით დაუმტკიცა თავისი თავდადება.



ერთხელ... გვიანი შემოდგომის თბი-
ლი დილა იყო. რუსიკო უპალტოოდ წა-
ვიდა სკოლაში. მერე უცებ მოიღრუბლა,
თოვლნარევი წვიმა მოვიდა.

დამთავრდა სწავლა. გარეთ გამოვიდ-
ნენ. აქა-იქ უკვე მოეთეთრებინა თოვლს
გორაკების თხემები. სქლად გაბმულ
წვიმაში წყლიანი ფანტელები ირეოდნენ.

ვასომ მობუზულ რუსიკოს ახელ-
დახედა; ხმა არ ამოიღო, პიჯაკი გაიხა-
და და მიაწოდა.

— რა არის ეს? გეცვას, არ მინდა,
არა! — წყრომით შესძახა რუსიკომ.

ვასომ შეატყო, არ გამოართმევდა,
პიჯაკი ფეხებთან დაუვლო და ხალათის
ამარა მოჰკურცხლა წვიმაში...

გაკურებს ახლა რუსიკო მიდამოს და
წვიმაში მიმავალი ვასო უდგას თვალწინ.
მთვარის შუქი როდია ეს, ირველივ რომ
ქათქათებს, თოვლის ფანტელები ეფრ-
ქვევა ვასოს, მაგრამ იგი ვაქცაცია, არ
გაცივდება... სადაც არ უნდა იყოს რუ-
სიკო, რა გაჭირვებაც არ უნდა შეხვ-
დეს, ყველგან დაიფარავს იგი...

ოდის გვერდით ხეზე დაბუდული ქა-
თამი შეფართქალდა; მურიამ დაიყვია.
ზმანება ვაჭრა. ისევ სიჩუმე გაეფდა
ირველივ, ხოლო რუსიკოს არსებაში
კიდევ უფრო მწვავედ გაღვივდა რაღაც
დიდი უბედურების მოლოდინი. არასო-
დეს ასეთი მარტოობა არ განუცდია.
დღეა თავს ევლებოდა; ძმა, ვიდრე თბი-
ლისში წავიდოდა, ვაქცაციით გვერდით
ედგა, გულითადი მეგობრები ჰყავდა,
მუდამ საქმეში იყო გართული; ახლა კი
ყველანი შემოეცალნენ თითქოს, ყველა-
ფერმა აზრი დაკარგა და ობლად დგას
რუსიკო ამ უზარმაზარი ქვეყნიერების
წინაშე. არავითარი მიმზიდველობა არ
გააჩნია გარემოს, არც იმ ბებერ ცაცხვს
მალლობზე, რომელიც უმანკო სიყვარუ-
ლის დაბადების ბედნიერ წუთებს აგო-
ნებდა. რა გუნებაზედაც არ უნდა ყო-
ფილიყო, იმ ცაცხვს რომ გახედავდა,
გული გაუნათლებოდა, ღიმილი მოერე-

ოდა. აგერ, ახლაც მოსჩანს იგი მთვარის
მკრთალ შუქში, მაგრამ რუსიკოს კი
არ ამხნეებს, სასოების გაქარწყლებას
უქადის...

„ვაი, დედა!“ — ამოიკენესა და უაზ-
როდ მიაშტერდა ერთ წერტილს, აივნის
სვეტს მიეყრდნო მხარით.

მართალი სთქვა დედამ. საქვეყნოდ
მოექრა თავი. მერე ვისგან?! იმ აღამიან-
ნისაგან, რომელსაც ასე აღიღებდა, ყვე-
ლაფერს, რაც კარგია ქვეყანაზე, მას
აკუთვნებდა...

თავი გაიქნია, დამამცრებელი ფიქრი
უკუაგდო, სანუგეშებლად აჰყვა მოგო-
ნებას...

ეს იმ წელს იყო, როცა საშუალო სას-
წავლებელი დაამთავრეს. სკოლიდან
გამოვიდნენ და ისე აღტაცებით მიმოი-
ხედეს, თითქოს პირველად ხედავდნენ
მაისის ასეთ ბრწყინვალე დღეს. ყველა-
ფერი, ბახმაროს მთიდან მოყოლებუ-
ლი, გაზაფხულის ყვავილოვანი სამოსით
მორთულიყო და წარმტაცად კამკამებდა.

ერთმანეთს გაუღიმეს; შინ როდი წა-
ვიდნენ, მალლობისაკენ გაემართნენ.
სრულიად უბრალო რამეებზე ლაპარა-
კობდნენ და უმიზეზოდ იცინოდნენ.
გრძნობდნენ: ის კი არ იყო მთავარი, რა-
საც სიტყვებით გამოსთქვამდნენ, ან რა-
ზედაც ხამამალა გადაიხარხარებდნენ
ხოლმე, არა, მთავარი მათი სულის სიღ-
რმეში იყო და გამარჯვებას ზეიმობდა.
მიიწევდნენ წინ და ეს აღმართი თითქოს
ხიდი იყო, რომლითაც ურთიერთის სამ-
ყაროში შედიოდნენ. ყველაფერი მომ-
ხიბლავი იყო ამ ახალ ქვეყანაში: ეს ლა-
ქვარდი, ეს ბაღები, ეს წიწვიანი ხეები,
ეს ევკალიპტები, მზხინვარედ რომ
უფარფატებდათ ცისფერი ფოთლები...

ცაცხვის ძირას შეჩერდნენ, მსხვილ
ფესვებზე ჩამოსხდნენ, წიგნები მიწაზე
დააწვეეს და თვითონაც გაუკვირდათ,
სათქმელი რომ აღარაფერი ჰქონდათ,
ისედაც იცოდნენ ერთმანეთის გულის
ხვამიადი.

დუმილიც საამო იყო, რადგან ირგვლივ ყოველი არსი იღუმალად მეტყველებდა სიცოცხლის განახლებაზე.

შორს, გურია-აჭარის მთების თხემებზე აქაიქ დარჩენილ თოვლს დასავლეთისაკენ გადახრილი მზის სხივი ალაპლაპებდა, ცისიერში, საუცხოოდ გაშენებულ გორაკების გასწვრივ, თითქოს უპირავი და ნაირნაირი ყვავილების ანარეკლი ელვარებდა. მხარმარცხნივ ზღვა მოსჩანდა, თვალსაწიერამდე მუქლურჯად მოლივლივე.

— სოქევი რამე, ვასო! — დაარღვია დუმილი რუსიკომ.

— რა ეთქვა?... ხედავ, როგორ გაბარდნილია ეგერ ზანჭკოლა ახალგაზრდა ლიმონების ძირებში? გვეგონება, ყვეთლად ამოქარგული ნობი გაუფენიათო.

— ჰო... ნეტავი, ვასო, თუ შეიძლება ისეთი დრო დადგეს, რომ ჩვენ ერთმანეთი არ გვახსოვდეს?

— მე მალე მომიწევს შორს წასვლა. მაშინ ენახოთ, რას იზამ.

— რა, რუსიკო დაგივიწყებს შენ? ის დღე ნუ გამოთენებია!

— რა კარგი ხარ, რუსიკო! როგორ გიხდება, ახლა რომ შუბლი გამალე და თვალები გაგინათდა.

— შენ რა გშენის უფრო, იცი?

— რა?

— გულს რომ მომაყვანიებ და მერე შესარიგებლად გვაშიცინებ. რაცხა ისე დამშვენდები, შენზე უკეთესი თუ ქვეყანაზე ვინმეა, ვერ წარმომიდგენია. რა უნდა მაწყენიო ისეთი, რომ შენ არ გაპატიო...

ღაწეები დაუმშვენდა რუსიკოს, თავი მორცხედ დახარა. რაღაც ძლიერი, ენით გამოუთქმელი დაიძრა გულიდან და მთელ მის არსებას მოედო.

ვასოსაც მისწვდა რუსიკოსაგან მომდინარე ცხოველი სითბო; უნდოდა ეთქვა მისთვის რაიმე საალერსო, მაგრამ ვერ შესძლო, გაიღიმა მხოლოდ და ცის-

კიდურს გახედა. შორს მტრედისფრად გადასარკულ ზღვაზე რაღაც კრძაღვ მოძრაობდა. ბათუმისაკენ გემი თუ მიდიოდა...

— ვასო, გამოიხედე!

ვასომ ზღვაზე მოძრავ წერტილს თვალი მოსწყვიტა, რუსიკოს ანთებული მზერა დაიჭირა.

— შენ რომ სოქევი, შორს წასვლა მომიწევსო, მართლა, ვასო?

— აუცილებლად.

— ნახავ აგერ, შენ თუ არ დამივიწყებ!

— რას ამბობ, რუსიკო! მაშინ მე...

მოძალებულმა გრძნობამ სიტყვა ზედმეტად მიიჩნია, რუსიკოს მაჯაში ხელი ჩაავლო; წამოდგნენ, გულთანად გაიციინეს და სირბილით დაეშენენ დაღმართში...

წლები გავიდა მას შემდეგ, მაგრამ რუსიკოს ფიქრადაც არ მოსვლია, რომ ოდესმე მათი გზები გაიყრებოდა. ეს რწმენა, ეს გულს ჩანერგილი სიყვარული უორკეცებდა დაუცხრომელი შრომისა და სწავლის ხალისს. დღეს კი... ბავშვი ჩამოიყვანაო, უთხრა დედამ... არა, აქ რაღაც სხვა ამბავია, თვითონ ნახავს აგერ და გაიგებს.

*
*
*

დილით ჩვეულებრივად აღრე ადგა რუსიკო.

— მოგიკვდეს, შვილო, დედა! რანაირი ფერი გაქვს ამ დილას! — უთხრა დესპინემ. უნდოდა დაერიგებინა: დივიწყე ის ბიჭი, თავს მიხედეო, მაგრამ შეეცოდა, ტანზე კაბა გაუსწორა, მხარზე ხელი გადაუსვა, თითქოს პატარა გოგოა და პირველად უშვებსო სამუშაოდ.

რუსიკომ ფართოფარფლიანი ჭილის ქუდი დაიხურა, ორი ახალი კალათი აიღო და თავისი ნაყვეთისაკენ გასწია.

მზე მთის გადაღმიდან ამოიწვერა. გზის პირად ჩამწყრივებული კრიპტო-

მერიების წიწვებზე დაკიდებული ცერებ-
ბი აღმასივით აენტო. ეზოებში ყვავი-
ლებმა მზის ნათელი ფერადფერადად
შეისხივოსნა. ყოველი მხრიდან ჩიტე-
ბის ჭიკჭიკი მოისმოდა; ზოგი თავის
გალობაში სიტკბოსთან ერთად თითქოს
რაღაც ნაღვლიან კილოსაც აქსოვდა;
ზოგი გაბმულად კრიმანჭულობდა.

ჩაის პლანტაციის შიგნით რუსიკო;
ფრინველები იქაც განუწყვეტლივ ყრია-
მულობდნენ ქარსაფარ ზოლებზე.

ახალ გაფურჩქნილ ჩაის ბუჩქებზე
ნორჩი ღუყვები მოალისფროდ ბიბინებ-
და. ზღვით მონაბერ ნიავს გაზაფხულის
სურნელება მოჰქონდა.

ფარდულში შეიხედა რუსიკომ. ია-
ტაჟზე ნახერხი მოუყარნათ, ფიჭვის სუ-
ნი იღვა შიგ.

ძალე რგოლის სხვა წევრებიც მოვიდ-
ნენ. რუსიკოს მოსაზღვრედ მუშაობდა
ახალგაზრდა ქალი, ნატა, სამი შვილის
დედა, და სახელაქადა ქალიშვილი თეო.

ადრე გაზაფხულზე ჩაის ფოთლის
შერჩევით კრეფას დიდი მნიშვნელობა
აქვს ბუჩქების განვითარებისათვის.
მრგვლად შეგუშობათებულ ბუჩქზე აქა-
ი ამოზრდილან ჯერ გაუმლეული ღუ-
ყვები, რომელთაც ახალგამოჩეილი ჭუ-
ჭულის ფერი გადაჰკრავთ; ამოხვითქულ
ღეროზე ექვსი ნორჩი ფოთლიდან ოთხი
უნდა მოიწყვიტოს, ორი უნდა დარჩეს,
რომ ძალე ახალი წამოიზარდოს. ზოგი
სულმოკლეობას იჩენს და პირწმინდად
მიჰყვება, სამერმისოდ საქმეს იფუჭებს.

რუსიკოს გულდაგულ მოვლილი მა-
ღალი ბუჩქები წელამდე სწვდება, ორი-
ვე ხელით ჰკრეფს. თითქოს არა ჩქა-
რობს, თავს ძალას არ ატანს, არავითარი
ფუსფუსი არ ემჩნევა მის მიხრა-მოხ-
რას, პეშეები კი მალიმალ ევსება; საო-
ცარი სისწრაფით მოძრაობენ მისი მოქ-
ნილი თითები, თვალთაც წამსვე არ-
ჩევს, თუ რომელია ამდენ ფოთოლში
მოსაწყვეტი.

აი კალათი გადადგა, წამოიშართა,

წელში გასწორდა, მაღალი, ალვასავით
ტანადი; თვალი მიმოატარა და უშალვე
დაიხარა, კრეფა განაგრძო.

მზე მაღლა იწევს. ახლო-მახლოს ჩი-
ტები ჭიკჭიკებენ; მკრეფაეებს სავსე
კალათები ფარდულისაკენ მიაქვთ, მის-
აუბრობენ; საღდაც ორთქლმავალი
ხშიანობს, — რუსიკოს ყოველივე ეს ეს-
მის და არც ესმის, საქმეშია გართული;
დიდი ხანია შეისისხლხორცა, რომ ჩაის
ბუჩქების მოვლა და კრეფა უბრალო
საქმე როდია, არც მარტოოდენ პირადი
კეთილდღეობისათვის ესაჭიროება იგი.
არა, ეს დიდი, საპატიო მოვალეობაა,
დიდი სახალხო საქმე. გამალებით
ჰკრეფს და ამ წამს ისიც არ ახსოვს, რაც
წუხელის განიცადა, რაზედაც ამ დილით
ისე ნაღვლიანად ფიქრობდა. საღდაც,
გულის კუნჭულში, მიყუჩებულა მტკი-
ვნეული გრძობა, მიყუჩებულა და
ელის წამს, რომ უფრო მძლავრად იფე-
თქოს, მთელ სხეულს მოედოს. ახლა კი
მის მთავარ არსებას მხოლოდ ერთი მის-
წრაფება განაგებს: კრეფა დღეს დაიწყო,
ამთავითვე ისე ნაყოფიერად უნდა იმუ-
შაოს, რომ ნაყისრი ვალდებულება გა-
დაჰარბებით შეასრულოს.

და არა ფაციფუცით, არც ძალ-ღო-
ნის დამბევით, არამედ ურთიერთმეწყო-
ბილი სიმებივით მოძრაობენ მისი თი-
თები, თვალის დახამხამებაში გადადიან
ღუყვიდან ღუყვზე...

მისალმების ხმაზე გაიგო მხოლოდ,
კოლმეურნეობის თავმჯდომარე რომ
მიუახლოვდა. ფოთლები კალათში ჩა-
ყარა, თავი ასწია, თავმჯდომარეს გაუ-
ღიმა.

— როგორაა, რუსიკო, შენი საქმე?

რუსიკოს ანაზღად სახეზე აღმური
აენტო. მიყუჩებულმა ურვამ იღვჯა:
ყველამ იცის, ამასაც გაუგია, ვასომ
რომ ბავშვი ჩამოიყვანა. ამის გამო ეკი-
თხება. — რა უპასუხოს?...

— რა მოგივიდა, რუსიკო? — გაოც-
და თავმჯდომარე. — შენ მყავხარ აქ

მოწინავე, კრფაში ყველას სჯობნი და ახლა რამ შეგაშინა?

მეისვე დაშვდიდა რუსიკო, გული მოეცა.

— შესაშინებელი რა მაქვს, — ღიმილით უპასუხა თავმჯდომარეს, — ჩაიკარგად მოდის, თავისას მოგვეცემს.

— ასე სთქვი, შე კაი ქალო! შენ კი ისე წამოწითლდი, მეგონა, რაღაც გასაჭირი აქვს-მეთქი...

ტანმორჩილი კაცი იყო თავმჯდომარე, მკვირცხლი, მოძრავი. ჭერა სახეს გონიერების მაღლი უშვეწებდა. დიდი ხანია ხელმძღვანელობდა იგი ამ კოლმეურნეობას, რომელიც წლითიწლობით წინ მიიწევედა, მდიდრდებოდა. თავმჯდომარეც მასთან ერთად იზრდებოდა სწავლით, გამოცდილებით. ისეთი ნერვი არ მოიპოვებოდა ამ ვრცელსა და მრავალსახოვან მეურნეობაში, რომ მისი მზრუნველობა მოკლებოდეს. ყოველთვის, გულმოსული იყო იგი, კუმტად გამოიყურებოდა და ვისმეს სტუქსავდა, თუ თავისებური მიმზიდველი ღიმილით ჰქონდა სახე განათებული და ვისმეს კარგი მუშაობისათვის წრფელად აქებდა, კოლმეურნეები მის ხმაში ადამიანისადმი სიყვარულით სავეს გულის სითბოს გრძნობდნენ.

რუსიკოს გასაჭირის ხსენებაზე კვლავ გაჰკრა ბრტყალი მიყუჩებულმა ნაღველმა, მაგრამ ახლა, როცა თავმჯდომარე ასე თანაზიარად ესაუბრებოდა, მნელი არ იყო მისი დაძლევა.

— ნაეკლარზე გამოვიარე ახლა. თინა ხელაძე მიმდგარიყო და ჩაის პირწმინდად ჩხოტავდა, — ეუბნებოდა თავმჯდომარე. — ზოგს ჰგონია ამით გულმოდგინეობას იჩენს, იმას კი არ ხელავს, რომ ხელისათვის საქმეს იფუჭებს. ჩვენში ახლა ბავშვმაც კი იცის ჩაის კრფის წესი, მაგრამ მარტო ცოდნა თურმე არ ემარა, საქმეს გული უნდა, მოსიყვარულე გული...

დაიხარა, ბუჩქებს უფრო უმოკლესად — აი, ეს მესმის! მშვენიერად გიკრეფნია. ასე, ასე. წელს ისე უნდა წაიყვანო საქმე, რომ დიდი ჯილდო დაიმსახურო...

ოცდაათი კილო მოკრიფა იმ დღეს რუსიკომ. მზის ჩასვლამდე მივიდა შინ. ღესპინე ვახშამს ამზადებდა. სამზარეულოში არ შეუვლია; თავის ოთახში სამოსი გამოიცვალა, თავზე ქუდის ნაცვლად შარფი მოიხვია. ტანზე მუდამ სადად იცვამდა, ნაირნაირად მორთვა და კეკელობა არ იტაცებდა; სულ სხვაგან იყო გადატანილი მისი გულისყური: შრომა და სწავლა, — ამით მოსწონდა თავი, ამით იყო აღსავსე.

ამიტომ მშვიდად იფურჩქნებოდა მის გულში სიყვარულის ყვაილი, მშვიდად ელოდა. ახლა კი... თვითონ მივა აგერ და თავისი თვალთ ნახავს...

— დედა! — გასძახა ღესპინეს სამზარეულოში, — ცოტა ხნით მივდივარ, საქმე მაქვს. მალე მოვალ.

მთების მწვერვალებზე ჯერ კიდევ ელვარებდა ჩასული მზის ნათელი; ირგვლივ ქუფრად ხასხასებდა გორაკები და ჭალები; იღუმალი ფარფატით ეშვებოდა ნელინელ საღამოს ბინდი.

რუსიკომ ვახტანგ სიამაშვილის ეზოს კიშკართან ნაბიჯი შეაწეა, სული მოითქვა, რომ მღელვარება ცოტათი დაეცხრო. მესრებს შუა გააპარა თვალი და...

აგერ, ოდის წინ, მოლზე ეუფუნა ეთამაშება თმანტუტუა გოგონას. რა მშვენიერია! ესაა ნამდვილადა...

მოვარეულივით შეაღო კიშკარი, ბავშვს მიუახლოვდა.

— ხედავ, რუსიკო, რა კაი ბალანა გყავს! — მიახარა ეუფუნამ.

რუსიკოს ხმა არ ამოუღია, ასიას მოჯადოებულებით უცქეროდა.

— ამის დღეს მე უკვე ვასწავლე რამდენიმე ქართული სიტყვა, — განაგრძო ეუფუნამ და ბავშვს მიმართა:

— აბა, სოქვი, რა გქვია შენ?

ბავშვმა მორცხვად შეავლო თვალი რუსიკოსს, მერე ხმადაბლა სთქვა:

— ასია.

— რა გვარი ხარ? — კვლავ შეეკითხა ქუეყნა.

— სიამაშვილი. — უფრო გაბედულად უპასუხა ბავშვმა, გაიღიმა.

— აბა, ახლა ისიც მითხარი: ვისი შვილი ხარ?

ასია ჩაფიქრდა, ქუეყნას შეამტერდა.

— სოქვი, ჰო!

— ასია.

— არა, ეგ შენი სახელია. მე გეკითხები — ვისი შვილი ხარ?

— ვასოსი! — წამოიძახა გახარებულმა გოგონამ და ხელები გაშალა, ქუეყნას მოეხვია.

რუსიკო დაიხარა, ბავშვი აიტაცა, მიიხუტა. არასოდეს ასე ცხოველად არ უგრძნია ქალის ბუნებაში სიყრმიდანვე ჩანერგილი დედობრივი აღერსის ესოდენ ძლიერი, ესოდენ ცხოველი სიტკბოება. ბავშვს თავი გადაუწია, შებლზე აკოცა.

ვასო ამ დროს ოდაში იყო. ფანჯრიდან დაინახა, რუსიკომ რომ ასია აიყვანა და მკერდზე მიიკრა. გაფითრდა ვასო, თვალი გაუშტერდა. მერე თავს ძალა დაატანა და აივანზე გავიდა, თუმცა სრულიად არ იცოდა, თუ რა უნდა ეთქვა რუსიკოსათვის.

როგორც კი შეასწრო თვალი რუსიკომ, წამსვე ბავშვი ძირს დასვა და ერთხელაც არ მოუხედავს, ჩქარი ნაბიჯით გაემართა ჭიშკრისაკენ.

XX

მაისის დღით

ხარაჩოებით, ჩონჩხედებით, სამშენებლო ქვებითა და აგურებით, უამრავი მანქანების ნაწილებით შემოხერგილმა

არიშმაც დაიმშენა საპირველმაისტოკოკაშმულობა. ზოგ დაუმთავრებელ სახელზედაც კი აღისფერი დროშები აფრიალდა. ქუჩებმა სადღესასწაულო ელფერი მიიღო. ნორჩფოთლებიანი ახალგაზრდა ხეები ამ დილით თითქოს მეტის ეშხით გაბრწყინდა. ხოლო ჯერ სარეზბივით ჩამწკრივებული ახალი ნერგები აქა-იქ გამოღებულნი კვირტებით შეაკერდა გამკვირვალე ლაყვარღს.

დილით აღრე ნიკოლოზ პავლოვმა დაურეკა ტარიელს: ვიდრე მსვლელობა დიწყებოდღეს ახალი ხიდისაკენ გაიღსეირნოთო, აღიდებული მტკვარი ენახოთო.

— მზად ვარ, გამომიარეთ. — უპასუხა ტარიელმა.

თეოლინეს ჩვეულებად გადაექცა: საპირველმაისტოდ ისე ეშზადებოდა, როგორც ბავშვობისას აღდგომას ეგებებოდნენ მისი შშობლები. ყველაფერი წინაღობით დაამზადა, ხოლო ამ დილით მშის ამოსვლამდე გააწყო სუფრა.

კარზე დააკაუნეს.

— არა, მე ჩავალ, შენ შეიძლება გაგაწილოს. — შეაჩერა თეოლინემ ტარიელი და კიბეზე სწრაფად დაეშვა, კარი გააღო, ნიკოლოზ პავლოვს სიყვარულით მოხვია ხელი:

— ერთ წამს შემობრძანდით, ნიკოლაი პავლოვიჩ, დიდხანს არ გაგაჩერებთ.

ნიკოლოზი გულღია დიმილით დააკერდა სახეზე თეოლინეს და აღტაცებით უთხრა:

— რა ცოცხლად გამოიყურებით ამ დილას! ვინ იტყვის, რომ თქვენ სამოცდა ხუთი წლისა ხართ!

— მართლა? პირველი მაისია დღეს და გულით მოხუცება კაცს არ შეეფერება. — უპასუხა თეოლინემ და უკან ჩამოდგა, პავლოვი წინ გაუშვა.

ნათია უკვე მორთულიყო, ყავისფერი კაბაზე თეთრი წინსაფარი უქათქათებ-

და, ახალი ფესხაცმელი ეცვა და მოკლე წინდები, ყელმოქარგული; მოწაბლისფრო თმის გრძელ ნაწნავებზე მაგნოლის ყვავილისფერი ბაფთები ეცეთა; ოდნავ მზემოკიდებული სახე და ფართო, ყუყუნა თვალები უბრწყინავდა.

ტარიელი ახალ კოსტუმში იმდენად გაახალგაზრდავებული იყო, რომ საფეთქელთან შეპარული ქალარა ნაადრევი გეჩვენებოდათ.

ოთახშიაც ფაქიზი სისუფთავე და ოჯახური მყუდროება სუფევდა.

— დაბრძანდით! აი აქ დაბრძანდით! — მიუთითა პავლოვს შავიდასთან დადგმულ სავარძელზე თეოლინემ.

— არა, დაგვაგვიანდება, — სთქვა ნიკოლოზმა, კონიაკიანი ბოთლი აიღო, ჭიქა გაავსო. მერე ტარიელსა და თეოლინეს მიმართა: — თქვენც დაისხით... აგრე...

დინჯად მიმოიხედა ახოვანმა, ხანდაზმულმა მშენებელმა, შევერცხლილ თმაზე მარცხენა ხელი გადაისვა, კედელზე სტალინის პორტრეტს ახედა.

— პირველი მაისია დღეს და, უწინარეს ყოვლისა, ვის ეუსურვებთ დღეგრძელობას, თუ არა ჩვენს ბელადს...

ტარიელი აღტაცებით შეუერთდა. თეოლინეს თვალი გაუმტერდა, ეტყობოდა შესაფერ სიტყვას ეძებდა.

— როგორ უნდა ვთქვა, — დაიწყო გრძნობამორეული ხმით, — მთელი ჩემი სიცოცხლე, ჩემი ახალგაზრდობა, ჩემი დაუვიწყარი ზურაბის კაცური კაცობა, ეს დღე, ეს პირველი მაისი და მომავლის იმედი, — ყველაფერი სტალინთანაა დაკავშირებული. ჩემი ქმარი მისი მოწაფე იყო... მის დროშას, პირველ მაისს რომ აღვმართეთ, იმ დროშას შეეწირა, სამარცხვინოდ კი არ მომკვდარა, ხალხის კეთილდღეობისათვის დასდო თავი... ავერ გვერდით რომ ამხელა კაცი მიდგას, ესეც მისი წყალობით მყავს... იცით, რა მინდა ვთქვა?... სტალინი მაისის დღით შობილი ნათელია, მთელ ქვეყნიერებას ეფინება,

ყველგან ახალ სიცოცხლეს აყვავებს, აღორძინებას იწვევს... გიგანობა

ნიკოლოზს ბევრჯერ ენახა თეოლინე, ამ ოჯახის წარსულიც კარგად იცოდა, მაგრამ ახლა ისე მიიზიდა ამ სპეტაკ-თმიანმა დედაქალმა, რომ თავი ვერ შეიკავა, თეოლინესთან მივიდა, თავზე ხელი მოხვია, შუბლზე ეამბორა.

— მიდიხართ? ცოტა კიდევ მოითმინეთ, რაიმე მიირთვიეთ!

— არა, დედა, დროა ახლა. მერე მოვალთ.

ესა სთქვეს და კიბეზე ისე მხიარულად ჩაიღინენ, თითქოს გართობას მოწყურებული ახალგაზრდებივით მინდორში უნდა გაინაგარდონო.

ახალმოსული შშის სხივებში ხასხასობდა ქვემო-ქართლის მთები. ზამთარ-ზაფხულ ყვითლად შერუჯული სერები მწვანე ხავერდით დამშვენებულიყო, ფლატეებს-ლა შერჩენოდათ ძველი ელფერი.

მთავარი ქუჩა გადასჭრეს. ხელმარჯვნივ, სულ რაღაც ერთ თვეში აღიმართა ახალი სახლები; ზევითაც, მტკვრის პირამდე, ჩამწყრივდა ჯერ შეუბათქამებელი ორსართულიანი შენობები, ზოგი აგურისფერი, ზოგი წითელმურა ქვისფერი. ცენტრშიაც ჩაუყრიათ აქა-იქ ბალავრები დღითი-დღე იზრდება ქალაქი. სახეს იცვლის.

კულტურის სახლს გასცილდნენ, ტაფობში, არხსა და კბოდეს შორის გამართულ სტადიონს გადახედეს. საგანგებოდ გაესუფთავებინათ სათამაშო მოედანი, გაუთელავი მოლით მოსილი: ადგილობრივი ფეხბურთელები ორ მაისს თბილისის ერთერთ გუნდს უნდა შეხვედროდნენ.

მტკვრის პირად დარჩენილი ძველისძველი ტყვე სამაისოდ მოკაზმულიყო; მაღალი ვერხვების სათუთი ფოთლები განუწყვეტლივ თრთოდა და კამკამებდა; ნელ ნიავს გაზაფხულის სურნელება მოჰქონდა.

მიდიოდნენ, მისაუბრობდნენ. ნიკოლოზ პავლოვი ტარიელზე ოდნავ მალაღობი იყო, წლოვანებას ჯერ ვერ დაემძიმებინა, მსუბუქად მიაბიჯებდა.

— საოცარია, — ჩაუბრალონ ნიკოლოზმა, — როგორ ცოცხლად წარმოიდგება ხოლმე დღეის დღეს ჩემი ბავშვობა! რაც არ უნდა მძიმე პირობებში გამეტარებინოს იგი, მაინც მკაფიოდ გამობრწყინდება, გამოვლილ გზას შორიდან გამოჰყურებს.

— თქვენ ხომ დონბასში დაიბადეთ?

— დიახ, დონბასში — უპასუხა პავლოვმა და ირგვლივ მიმოიხედა, მერე განაგრძო: — მშვენიერია, მზიურია საქართველო, მაგრამ... იცით რა? როდესაც მაკეევკიდან გახვალთ გაშლილ მდლობზე და ველს ცისკიდემდე გახედავთ, დაუღვეველი სანახაობა გადაიშლება. მინდვრები ყველგან გადახსულია, ან ჯეჯილი ბიბინებს; აქა-იქ შემაღლებულია მალაროებიდან გამოზიდული ძირაქანები, მოსჩანს მეტალურგიული ქარხნების კვამლსადენები, ელავს ბრძმედინიდან ამოვარდნილი მტერიანი ალის ნაკადი; შორს სადღაც ტყის ზოლი გაბარდნილა ქუფრად; შიგადაშიგ კი მიმოფანტულია შეგუფებული სოფლები, მუშათა უბნები, უკრაინული თეთრი სახლები და... რა სიხალავათე, რა დოვლათი, რა ბარაქა!... კარგია ჩვენი დიდი სამშობლო! ყოველ მხარეს თავისი სილამაზე აქვს... მაინც რამოდენა გზა გამოვიარეთ!... მამაჩემი მაკეევკაში მუშაობდა, ენობილ კორობოვთან, ბრძმედის სახელგანთქმულ ოსტატთან. ჯერ შავი მუშა იყო, რევოლუციის შემდეგ დაწინაურდა, მეზრძმედე გახდა. მახსოვს, მამაჩემმა პატარაობას თავისთან წამიყვანა ბარაკში. ეს იყო ორად გადატიხრული დიდი სახლი, ორივე ნაწილში ასასი კაცი ცხოვრობდა ისეთი სიბინძურე იყო შიგ, იმდენი ბაღლინჯო, რომ პირველ ღამეს სრულიად ვერ დავიძინე... იმ რაიონში, სადაც ახლა მუშათა უბა-

ნია, საშინელი ტალახი დგებოდა, ხანდახან ფეხს როგორმე ამოსწევდა, ჩქქქქი შიგ რჩებოდა... პო-და... უფველს ვეს გარდავქმენით, დაწვინაურდით. მერე ომმა დაგვანგრია, კვლავ აღვადგინეთ. ამასწინათ მაკეევკაში ვიყავ და იქ უკვე აღდგენილია არამარტო ის, რაც იყო, არამედ ბევრად უფრო გაუმჯობესებულია ყველაფერი... აი, ასეთი ხალხის შვილები ვართ, ძმაო, ჩვენ! მოდი და სიამაყით ნუ გახედავ შენს ბავშვობას!..

ახალ ხილს მიადგნენ. მძაფრი შრიალი მოესმათ, თითქოს კოკისპირული წვიმა მოუახლოვდათო. ეს აღიდებულ მტკვარი იყო. ირგვლივ კი სიწყნარე სუფევდა, მშენებლები სამუშაოზე არა სჩანდნენ, არც ხრეშითა და სამშენებლო მასალებით დატვირთული მანქანები მიმოსრილებდნენ. ვიწრო ლიანდაგზე პატარა ორთქლმავალში კვამლი არ ამოდებოდა.

ხილის მხოლოდ ერთ ნახევარზე დაეგოთ თეთრი ფიცრები, მეორე ნახევარი ჯერ ვერ დაემთავრებინათ.

ბარიერთან პატარა ჯიხური იყო მიდგმული. აქ შედგნენ ნიკოლოზი და ტარიელი, ჰალაში შტოდან შტომდის გაერთიანებულ მტკვარს დააცქერდნენ.

აქა-იქ სჩანდა მხოლოდ ჯებირი, დანარჩენი მღერიე წყალს დაეფარა. მრისხანედ მოიგრაგნებოდნენ თიხისფერი ტალღები; ზვირთები დუღდნენ, ბუყბუყებდნენ, ელვის სისწრაფით ინჩქრეოდნენ, ტრიალტრიალით მოაქანებდა ღვართქაფი ნაპირზე მოთხრილ ჩქოლას, ფესვგამხმარ კუნძებს, ნაირნაირ ხერბებს.

ხილზე გასვლისას რამდენჯერმე მოსკრა თვალი მდინარემ ტარიელსა და ნიკოლოზს, თითქოს მტკვარი კი არ მიღვლავდა საშინელი სისწრაფით, ხიდი მიიჩწეოდა ზევით, მინანობდა.

— იანგარიშეთ, რა სიმტკიცე უნდა ჰქონდეთ ბურჯებს, რომ ასეთ მიწოლას გაუძლონ!... ასე თოყავს ადამიანი

სტიქიოზის ბრმა ძალას. — ჩაილაპარაკა ნიკოლოზმა და ნაპირებში მაღალი ზვინულის დასაცავად ამოყვანილ რეინაბეტონის კედელს დააკვირდა. გააფთრებული ტლაშუნით ენარცხებოდა დაბვეული ჩქერები ნაცრისფერ კედელს, ყალბზე დგებოდნენ, ყირამალა გადადიოდნენ დორბლმორეულნი, ახალი ნახტომისათვის იკუმშებოდნენ, ვიდრე გადალექილ ნაპირზე ჩქრიალით არ გაიშლებოდნენ.

ტარიელმა მდინარეს თვალი მოსწყვიტა, ჭალის მიღმა გახედა ზეგანსა და ფერდობს. ეს ნარბევი მიდამოც ოღნავ შეემოსა მწვანით გაზაფხულს, მაგრამ იგი მაინც უსიცოცხლოდ გამოიყურებოდა; ტარიელმა კი ჩვეულებისამებრ წარმოისახა, თუ სად რა უბანი გაშენდებოდა, რა შენობები აღიმართებოდა, როგორ მოეწყობოდნენ აქ ქართველი მეტალურგები...

არის ზოლმე ადამიანის ცხოვრებაში ისეთი მომენტი, როცა იგი თვალს ავლებს, ღრმად სწვდება არამართო თავის ცხოვრებას, უკვე განვიღო გზას, სადღეისო სამოქმედოს, არამედ შორს იხედება, სურს განსჭვრიტოს თავისი მომავალი.

ასეთმა განწყობილებამ შეიპყრო ნიკოლოზ პავლოვი, ტარიელს მკლავი ამოსდო, ზვინულისაკენ გაიყოლია.

— რა უბრალოა, როცა აცვირდები, — დაიწყო მან, — აბა, გახედეთ კაცობრიობის მიერ გამოვლილ გზას, კულტურის განვითარებას! როგორი ნახტომებით მოიმართებოდა იგი, იქმნებოდა და ინგრეოდა! შემოქმედი ძალების ნამოქმედარზე მიწისძვრასავით მოვარდებოდა გამანადგურებელი ტალღა და ყველაფერს იავარად აქცევდა... შორს რად მივდივართ, აგერ ჩვენი არიში ავიღოთ, ძველ ნაქალაქებს, საფლავეებს, ციხე-დარბაზს მოვავლოთ თვალი. რა მწვერვალზე ასულან, რა კულტურა შეუქმნიათ თავისი დროის

მიხედვით! მერე?... მერე შემოვსწავნენ ბარბაროსთა ურდოებზე და ანგრევენ მშვენიერი ქალაქი და დარჩა ეს ნათორიაქალი, უდაბნოდ ქცეული ზეგანი და მინდორი. ახლა მოვედით ჩვენ, ვაშენებთ... თუ ფიზიკად არ ვიქნებით, ისევ შემოიჭრებიან, ქვას ქვაზე არ დასტოვებენ... ჰო-და, რა უბრალოა, როცა აცვირდები-მეთქი, რატომ ვთქვი? რამდენი ერი ცხოვრობს საპქოთა ქვეყანაში და აბა თუ შეგიძლია წარმოიდგინო, რომ ისინი ოდესმე შეესევნიან ერთმანეთს, შექმნილს გაანადგურებენ? არასოდეს! ასე იქნება მთელს ქვეყნიერებაზე, უთუოდ იქნება, ამის თავდები ჩვენი ქვეყანაა, ჩვენი უძლეველი პარტია... ამასწინათ ერთ მოანარქისტო ინტელიგენტს ვესაუბრებოდი, — წარმოიდგინეთ, რომ არა ჰფიქრობთ, ისე წააწყდებით მეშინაური განწყობილებით დაავადებულ ქონდრისკაცს. აქაო და, საზოგადოება არ უნდა ზღუდავდესო პიროვნებას... იცით, რა არის ეს? ძველებური უქნარას, ან არადა, საქაველი ეგოიზმით შეზღუდული ბატონკაცის მსოფლმხედველობაა. მიუშვი თავის ნებაზე მაგისტანა არამზადა, ფეხს ფეხზე შემოიდებს და მედიდურად გიბრძანებს — ესა და ეს მომართეო. ნურას უკაცრავად!... აგერ აბობოქრებულ მდინარეს გახედეთ... ხედავთ, როგორ ასკდება იგი წყალმიმღები სადგურის კედელს, მაგრამ ვერას ავლებს, დარჯჯაშია მოქცეული. ასე ვაძლევეთ ჩვენ მიმართულებას საზოგადოებრივ ძალებს. ჯერ კიდევ სჭირდება ეს ადამიანის ველური წარმოშობის ნაშთებს. შემდეგ კი თვითონ ადამიანი, მისი სულიერი სამყარო სავსებით შეეზრდება განსპეტაქებული, ამაღლებული საზოგადოების ინტერესებს, ძვალრბილში გაუჯდება კომუნისტური მორალი... დიახ, — ათმაღლა ხმა ნიკოლოზმა, — ჩვენი პარტია, ჩვენი ლენინი და სტალინი — აი ის ნათელი, დამარზმავი, წამყვანი ძალა,



რამელსაც ადამიანი თვალუწვდენელ მწვერვალზე აპყავს...

ტარიელს მიხედა ნიკოლოზმა, ღიმილი მოერია, მხარზე ხელი მოხვია.

— ჰო, რაზე მოუყევი ამას? — იკითხა და განაგრძო: — არა, ტარიელ ზურაბოვიჩ, პირველი მაისია დღეს და არ გაგვიტყუვნება ლამაზი ოცნებით გატაცება. რა ბრწყინვალე მომავალი აქვთ ჩვენს შვილებსა და შვილიშვილებს! კარგად სთქვა დღეათქვენმა: ჩვენი პარტია, ჩვენი სტალინი, სწორედ ეს არის ის მზიური ნათელი, რომელიც მთელ ქვეყნიერებას სწვდება, ახალ ცხოვრებას, დიად ადამიანურ ცხოვრებას უხსნის გზას...

საუბარში არ შეუშინევიათ: ხიდის ყურში მანქანა ამოსრიალდა, უცებ შეჩერდა. კაბინიდან მშენებლობის უფროსი ლევან სალაძე გადმოვიდა, საპირველმაისოდ თავის სამხედრო სამოსში გამოწყობილი, მკვრივად ჩასკვნილი, მკვირცხლი; წითელზოლიან სამხედრო ქუდს ქვემოთ შეჭირხლული თმა მოუჩანდა, მაგრამ მისი სახე, ახალგაზარსული ლაწივები ისე ელვარებდა, რომ მყისვე იგრძნობდით: არც ერთი სასიცოცხლო ნერვი არ მოდუნებულიყო მის მძლავრ არსებაში.

მეგობრებს მიესალმა, სწრაფად, შებრუნდა, აღიდებულ მტკვარს გახედა, ჯებირებისაკენ ხელი გაიშვირა:

— ხედავთ, — მიმართა ნიკოლოზსა და ტარიელს, — ველარ ეტევა, გადადის, მაგრამ არაფერია, მოვითოკეთ და ისევ მოვითოკავთ!

ეს რომ სთქვა, მკლავი ისე ენერგიულად მოღუნა, თითქოს მთელი ეს ვეება მდინარე ზედ დაიხვიაო. მერე მაჯის საათს დახედა:

— აბა, წავიდეთ, დროა! ავტოში ჩასხდნენ, მთავარი გზით გაემართნენ.

მაისის მზის სხივებში ბრწყინავდა ახალი ქალაქი, მეტალურგიული ქარხ-

ნის ვეება საამქროები, მაღლა აზიდული ჩონჩხედები, მშენებელთა სახელოსნოები; შრომის გუგუნი კი არსათი ისმოდა, ისვენებდნენ; მხოლოდ თბოელექტროცენტრალის კვამლსადენიდან ამოდიოდა მოთეთრო ბოლი, იგრავებოდა, ფერს იცვლიდა, გამკვირვალე ცისიერში ინთქებოდა.

მანქანა ფართო პროსპექტზე დაეშვა. მხარმარცხნივ, ვრცელ ფართობზე უკვე შეფოთლილიყვნენ ზამთარში დარგული მცენარეები; ხოლო ფართო, მოასფალტებული გზის ორივე მხარეს ნათლად ემჩნეოდა, თუ როგორ იფურჩქნებოდა მომავალი ხეივნები, იბარდნებოდა გაზონები, კვირტს იღებდა ყვავილნარები.

გასცილდნენ თუ არა იმ მოედანს, სადაც მთავარი სამმართველო უნდა ამენდეს, ლევან სალაძემ მეგობრებს ღიმილით მიხედა, წინა წელს გაშენებული ტყე ანიშნა თვალთ.

— ხედავთ, როგორ ბიბინებს ჩვენი ტყე!...

ამ სიტყვებში სიხარულიც იყო და სიამაყეც. რამდენმა ასეულმა წელმა განვლო, რაც ვერანად იქცა ეს მიდამო, უდაბნოს დაემსგავსა! ახლა კი საუცხოოდ გადაბიბინებულან ნაირნაირი მცენარეები, გაფურჩქნულან, აყვავებულან! ახალ სიცოცხლეს შეჰხარიათ ისინი თავიანთი ნორჩი ფოთლებით, ნიაჭვარს ეალერსებიან.

ქალაქის ცენტრალურ ქუჩაზე უკვე იწყებდნენ მსვლელობას მუშები და ინჟინერ-ტექნიკოსები. ამიტომ მანქანა მეორე გზით წაიყვანეს, მოედნის პირად აღმართულ ტრიბუნასთან მივიდნენ.

აგერ, უკვე მოემართებოდა რაზმეულები, წყრილებს მუსიკა, გუგუნებს სიმღერა.

და ამ საერთო ზეიმს ბანს აძლევს თითქოს იღუმალი ხმა:

„გიხაროდეს შენ, ძველო ჰერეთის მიწაო, სამშობლოსათვის თავდადებულ

ვაეკაცთა სისხლით მორწყულო, უკვდავი რუსთველის წმინდა აკვანო, პირმზე თამარის თვალთა ბრწყინვალეებით განათებულო, მრავალგზის გაპარტახებულო და ახლა კაცთა შორის ყველაზე უდიდესი აღმშენებლის — ბრძენი სტალინის მიერ მკვდრეთით აღდგენილო არიშ-ქალაქო!“

ლაღად მოწრიალობენ მეწამული დროშები და სამაისო ზეიმთან ერთად ეს ხმაც ესმით ტრიბუნაზე მყოფ ხელმძღვანელებს.

ღიმილით გასცქერის მხედრულად გამოწყობილი ლევან სალაძე მწყობრად მომავალ შრომის არმიას და იცის: მტკერის მდინარეებასავით დაუღვევლია მათი შემოჭმედი ენერგია, ერთს რომ დაამთავრებენ და მეორეს საძიროკველს უყრიან, მესამე უკვე ნათლად ინაკეთება.

შუაში, ტრიბუნის მოაჯირთან დგას საქალაქო კომიტეტის მდივანი, გრიგოლ ამირანიძე, წრფელსახიერი, სანდომიანი ვაეკაცი და ზეალმართული ხელით ესალმება წინ მომავალ მოსწავლე ახალგაზრდობას, უძლეველი, გამარჯვებათა შარავანდედით მოსილი პარტიის სახელით ესალმება და მაისის მზიან დღესავით ეღვარებს ნათელი, რომლი-

თაც ურთიერთს გადაქდებენ ერთმანეთს, აწმყო და მომავალი. *გ. ი. ლ. ი. თ. ე. ე.*

მოახლოვდნენ მშენებელთა რაზმეულები, შრომის დიდებით დაშვენებული ქალები და მამაკაცები. საღ არ ყოფილან ისინი! საბჭოთა ქვეყნის რომელ კუთხეში არ უმუშავნიათ, არ აღუღგენიათ მტრის მიერ დანგრეული, არ აუშენებიათ ახალი ქარხნები! მივლენ, ტიალ მინდორზე აღმართავენ სადგომს და მყისვე ახალი ცხოვრება წარმოიშვება!

ესენი კი, რომელთაც მომღერალი ქართველი კაბუეები მოუძღვით, მეტაღურგიული ქარხნის უამრავი დარგის ახალგაზრდა ოსტატები არიან.

მომღერალთა გუნდში მოაბიჯებენ ვასო სიამაშვილი და გაიოზ დარჯანია. კარგ გუნებაზეა, ეტყობა, ვასო. საზე წამოგზნებია ტანადს; მძლავრად უერთდება მისი ხმა ქართულ ვაეკაცურ სიმღერას.

ქალთა შორის, თეოლინესა და დარეჯანის გვერდით მოდის მარინა სერგეევინა, მომალლო, გულმკერდსავეს; ტრიბუნისაკენ. მიაპყრო მან თვისი ცისფერი თვალები და უწინარეს ყოვლისა ტარიელის მზერა დაიჭირა; გულლიად გაუღიმა.

პირველი ნაწილის დასასრული.

სამი ლექსი



კ ა ლ ო ზ ე

როგორც წითელი ავაზა, მზე შემოვარდა კალოზე,
თვალით წინჩხლები დაჰყარა მწიფე თავთუხის ხაოზე.
და გაშლილ მნების ტალღებზე კევრი დაიძრა ბარბაცით,
კალოზე ვშრომობთ ყველანი, ერთიც არა გეყავს ზარმაცი.
გიშერამ გაჰკრა, გაჰკვესა, კაეი გახელდა ტიალი, —
გასკრა და ბული ავარდა მალა ფიწულების ტრიალით.
ხან კევრზე ვდგევარ, ხან მარჯვედ ხელში მიჭირავს არნადი,
ხორბლის ასეთი სურნელი მე არ მიგრძენია აქამდის.
ხმა აიმაღლეთ, მითხარით, ეს ხორბალია თუ ლალი,
კევრი კი არა, კალოზე თითქოს ტრიალებს მზის თვალი...
გარინდებულან ხეები, არ შრიალებენ ჩრდილები,
თითქოს ფიქრებში წასულნი ცას მიბჯენილან თითებით.
დაიშუადლეს ხარებმა და შებებით ამოისუნთქეს,
დაღლილნი მეტს ვერ ირბენენ, შესვენებაც რომ არ სურდეთ.
ერთი ფოთოლიც არ იძვრის, სიცხე ჩამოდგა თაყარა,
მაგრამ გრუხუნებს მანქანა, გუგუნმა სივრცე დაფარა.
გახელდა რკინა ქართული და სულის მოთქმაც არ ნებავს,
რკინა გახელდა, არ უდრკის შუადლის პაპანაქებებს.
სალეწ მანქანას ვეშაპის ყბები ჰქონია ვეება,
ცხრა ძნა ერთბაშად ჩაჰყლაპა, მეათეს რიხით შეება.
ჩანს, შესვენება არ იცის, რკინამ — ქართულად ნაჰედმა,
ხმელი ფხის მტვერით ხეხილის მწვანე ფოთლები აჰრელდა.
აქეთ რომ კევრი ბარბაცებს, იქით მანქანა გრუხუნებს,
რაა, რომ ამ დიდ შრომაში გული რკინასაც უხურდეს!
კალოზე გრგვინავს მანქანა და დღედაღამეს ათენებს
და იქვე მისი შემყურე გიშერა თვალებს აფეთებს.
კალოს გარს უელის, უხარის სალეწი აღარ თავდება,
კალოზე პური კი არა, ეს ვარსკვლავები ხვავდება...
ხან კევრზე ვდგევარ, ხან მარჯვედ ხელში მიჭირავს არნადი,
ხორბლის ასეთი სურნელი მე არ მიგრძენია აქამდის...
ყანას ჩაფუტტი სისხამზე, წამიც არ დავაგვიანე,
კალო გავლეწე და ჯაერი ბზესავით გავანიავე.

ქედს გედგა ძელქვის უღელი



რკინის ტაბიკებს ღუნავდი, ქედს გედგა ძელქვის უღელი,
და ჯაფის შემდეგ სამყურის დამათრობელი სურნელით
სათიბში იზღაზნებოდი, როგორც ვეება ღრუბელი...

ხან მუხის ჩრდილში იწეჭი, მუხის კუნძივით ძვალმსხვილი,
ხან გუთნის კვალი გაგქონდა, გუთნის დედების ძაბილით,
ხან მლაშე კოდის წყალს სვამდი, საღამოთვამზე დაღლილი.

მუდამ ერთგულად მისდევდი საწუთროს აღმართ-დაღმართებს,
ცხოვრების ჭაპანს სვიმავდი, ჩვენ სამდურავი არ გემართებს.
შენი მაგარი ჩლიქები ცხელ შიწას ნალით დაღავდნენ...

დასაბამიდან სოფელში ქედს გედგა ძელქვის უღელი,
მწიფე ყანისთვის შრომობდი, გულ-დინჯი, ენაუთქმელი.
კვირა დღით კბილებს გკვეთავდა ნედლი ნეკერჩხლის ფურცელი.

იცოხნებოდი, სათიბის მწვანეში შუბლდაცკარული,
ღამით ვარსკვლავებს უცქერდი რქებზე ცა გედგა ქართული,
და ჯაფით გაგონდებოდა ურემი ლაფში ჩაფლული.

ხან იალაღზე იდექი, და ბარაქიან შემოდევს
მთებს შებლაოდი ზვიადი, რქებით გლეჯავდი ბეჭობებს,
და ბევრჯერ საესე ურემით კალოზე ღხენით შემოდექ.

კვლავ შენს ნამუხლარ ქალებში სიმწიფე შვევით ტარობს,
რკინით ვთესავთ და რკინით ვმკით, რაც ფოლადს დავეპატრონეთ.
დაპურებული ყანები მხოლოდ ბედელს-ლა ნატრობენ...

ხარს რკინა წამოგაშველეთ, გაბჟანტე დარდის ღრუბელი,
ტრაქტორის ოდენს ვერ გასწევს ეგ შენი მკვრივი მუხლები,
იუშდა კლდეს გლეჯდი, გაგქონდა ბოლომდე ძელქვის უღელი...

ჩვენ სხვა ეპოქის მკვიდრნი ვართ, რკინასთან დაგვაძმობილეს,
მთასა ვთხრით რკინის ეშვებით, ცოტა არ გვაკმაყოფილებს,
ჯილაგს ფოლადი გვიმაგრებს, ბუმბერაზებად შობილებს.

შემოდგომის მოლოდინში



ჩადგა სოფელში ხილვულის ტყბილი სურნელი,
 ვაზის ფოთლებში ვუმზერ მტევნებს ნათელ თვალებით
 და სიხარული მეუფლება ენით უთქმელი.
 შეთვალეზულან საფერავები.

წყრთიან-წყრთიანი ტაროები შვენით სიმინდებს,
 მწვანე ჭალებში მზე იღვრება ოქროს ნათელით.
 ირწყევა ყანა გლეხიკაცის დიდი სიმდიდრე,
 და მუხის ჩრდილში ხარობს ქართველი...

მზე აღარ ხუმრობს, აფერადდა მინდვრის ზავერდი,
 და მწიფე პური ოქროსფერად ღელავს დილიდან.
 იხარე, ყანავ, შენი მუშა სიმღერას გვედრის,
 ვინაც გთესა და ვინაც გივლიდა.

ცხელ მკათათვეში მინდორ-ველებს სიმწვანე სტოვებს;
 ტარო, თავთავი ჩვენს სალხენად მწიფდება ყველა.
 და შემოდგომის მოლოდინში ენახის შტოზე
 ცისფერ მტევნებთან ზის მწიფობელა.

ახალგაზრდა მწერალთა შემოქმელება

დავით გომიჯური

თეთრი ქალი

★

ის იყო, ახალგაზრდა ხევსური ცხენს მოახტა, რომ მასთან აქაქანებულმა ფოსტალიონმა მიიღებინა და ცისფერი ქალღივი გადასცა. ხევსურმა ცხენი შეაჩერა და სწრაფად წაიკითხა კომკავშირის რაიკომიდან გამოგზავნილი დეპეშა.

„შაბათს თქვენთან ჩამოვა ამხანაგო. მას დავალებული აქვს მოხსენების ჩატარება საბჭოთა ალპინიზმის შესახებ და მთაველელთა ჯგუფის შექმნა. მოეწყობა ასვლა მწვერვალ „საარწივეზე“, გაათრთხილეთ ორგანიზაციის წევრები, ადგილზე დახვდით“.

— შაბათი ხომ დღეს არის? — თქვა ცხენოსანმა. — საიდან მომავნო ფოსტალიონმა ამ სოფელში, რამ მოიყვანა ასე დილაადრიანად ამ სიშორიდან?

ბადა წუხელ გვიან გამოვიდა არხოტიდან. დიდი ხანია კახეთიდან ნათესაეები უთვლიდნენ — გვესტუმრეო. ძლივს მოიკალა წასასვლელად და ახლა შუაგზიდან უნდა დაბრუნდეს.

ულაყი ცმუკავდა, ეჩქარებოდა. ცხენი ადგილს მოწყდა, შურდულივით ჩაიქროლა იმავე დაღმართზე, რომელიც წუხელ ამოიბრინა და მალე არაგვისპირა გზა ხვეულებში გაუჩინარდა.

წყნარი, მოწმენდილი დღე დგებოდა, ღრმა ხეობიდან ზეწრისოდენად მოჩანდა ზაფხულის სუფთა ცა, რომელიც თითქოს მთებს შეეკავებინა დაბლა დაეცემისაგან. გაღმა-გამოღმა სერებზე ქერის ყანები შეფენილიყო. სახნაურების

ზევით კი, მწვანედ მობიბინე საძოვრებზე, კრელი ნახირი გაშლილიყო.

ულაყის ფლოქვების თქარუნი არაგვის გამაყრუებელ შხუილში ინთქებოდა. მიჰქროდა ცხენი და ხევსურთა სოფლებს, მათი ძველი კოშკებითა და ჯვარ-სალოცავებით, უკან იტოვებდა.

ბადას პირაქეთი ხევსურეთის უკანასკნელი სოფელი უნდა გაეცლო, რომ ამ დროს შუა სოფელში ხალხის ჯგუფი შეამჩნია. ჩოხამოსხმული ხევსური ბანზე გადმოდგა და მთელი ხმით გადმოსძახა:

— ბადა, ქალი მოდის, დაუცადე, ერთად იარეთ.

— მაგვიანდება, დათა, საჩქარო საქმე მაქვს. — უბასუხა ბადამ ისე, რომ ცხენი არ შეუჩერებია.

— მთამდე მაინც მიაცილე, ბიჭო, მარტოა.

ბადამ სადავეს მოსწია. ულაყიდან ჩამოხტა თვალი მოჰკრა ახალგაზრდა ქალს. იგი სასწრაფოდ გამოემშვიდობა მასპინძლებს და სამთო ფეხსაცმლის ბრახუნით ქვა-ტიხრიან ბილიკზე დაეშვა. ბადამ თვალთ მოზომა მთის მწვანე მკერდზე ნართის ძაფივით თეთრად ახვეული გზაწვრილზე, რომელიც შორს, რუხ კედლებში იკარგებოდა, მერე მომავალ ქალს გადახედა და სახე მოედუნა! „ჰმ, ამ მთებზე ივლის ქალაქელი ქალი? რაღა ახლა ამკიდეს, როცა ასე მეჩქარება!“ — გაიფიქრა წარბშეკრულმა.



ორიოდ წუთის შემდეგ სამგზავროდ გამოწყობილი ახალგაზრდა ქალი შედგა მის წინ. ტანთ ლურჯი შარვალ-ხალათი ეცვა, წვივებსა და მუჯებზე ღილებით შეკრული. ცალ მხარეზე პირამდე საესე სასაგზლე ჩანთა ეკიდა. მზედაკრულ სავეს სახეს ვეებერთელა თეთრი ქუდი უჩრდილავდა, რომლის ქვემოდანაც მშვიდად იცქირებოდნენ დიდრონი და კრიალა თვალები. მოშვილდული ხშირი წარბები და ოდნავ აეხიანი ქართული ცხვირი ვაჟკაცურ იერს აძლევდა.

— მე ძალიან მეჩქარება, ცხენზე ჯდომა არ იცი? — ჰკითხა ბადამ ისე, რომ ქალისთვის არც კი შეუხედავს.

— გმადლობთ, მე ფეხით გამოგყვებით, — უთხრა ქალმა და ჩანთა მოიხსნა. — ზოლო თუ ამ ჩანთას წამომიღებთ, ძალიან დამავალებთ.

ბადამ დამცინავად შეაელო ქალს თვალი.

— იმ მთას ხედავ? — ჰკითხა და არხოტის გადსასვლელისაკენ გაიშვირა ხელი. — აი, იმას უნდა გადაუვაროთ.

ქალს მთისაკენ არც კი გაუხედავს. მშვიდად შეხედა ბადას და სახეზე ღიმილმა გადაურბინა.

— რად გეცინება? ფეხით შენ არხოტს ვერ გადახვალ. თუ შეგიძლია, შეჯექი და მომყევი.

— კარგი, მომეცით ცხენი, — უთხრა ქალმა და აღვირი ჩამოართვა.

ბადამ მიშველება დააპირა, მაგრამ, ვიდრე ის ამას მოახერხებდა, ქალი ცხენს ზურგზე მოექცა.

— შემომიჯექით. — შესძახა ქალმა სახტად დარჩენილ ხევსურს.

ბადა ერთხანს უსიტყვოდ შესცქეროდა ქალს, თითქოს არც თვალს, უჯერებდა და არც ყურს.

— რას უტყდით? — ქალის თვალებში ეშმაკურმა ღიმილმა გაიელვა.

— იარე, მოგყვები. — თქვა უღებლივ წაილულულა ბადამ და გზისკენ წაიშინა.

ცხენი თრთოდა, ყალყზე ღებოდა. არ სურდა დამორჩილებოდა უცხო მხედარს და აღვირის წართმევას ცდილობდა. მაგრამ ქალმა მკვირცხლად მოსწია სადავეს, კისერი მოუგრიხა და მერე ერთბაშად მიუშვა.

— ბადავ, გამოუდექი, ბადავ! — გადასძახა ბანზე გადმომდგარი ხალხიდან ვიღაცამ და მისი სიტყვები ხალხის ხარხარმა დაფარა.

ბადა გამოერყვა. სახელეწილი შეტრიალდა და ჩქარი ნაბიჯით გააყვა გზას.



ყვავილოვან ქელს ზევით გაშლილ იალალზე დაეწია ბადა თავის თანამგზავს. ქალი ცხენიდან ჩამომხტარიყო, პირუტყვისათვის პირიდან ლაგამი გამოეცალა და სამოვარზე მიეშვა. თვითონ მშვანზე გაწოლილიყო, წინ საქართველოს რუკა გაეშალა და ზედ რაღაცას ზომავდა.

— თქვენ, მგონი, ძალიან გეჩქარებათ, ამიტომ ახლა თქვენ იარეთ ცხენით. მე კი ფეხით მინდა წამოვიდე. — უთხრა ქალმა ბადას და დაკეცოლო რუკა ჯიბეში ჩაიდო.

ბადას ქალის მარტო გაშვება ეუხერხულა და ორივემ ფეხით ვანაგრობა.

— ცხენი კი არა, არწივი ყოფილა თქვენი ლურჯა. ამოდენა აღმართი ისე ამოიქროლა, ერთხელაც არ შეჩერებულა. ხევსურული ცხენი მეტად მკვირცხლი და მოქნილია, ამ მხრივ მას ვერცერთი სხვა ჯიშში ვერ შეედრება.

ქალი ისეთი გატაცებით ლაპარაკობდა ცხენების ჯიშებზე, რომ მსმენელს გამოცდილი ცხენთმომშენებელი ეგონებოდა.

ერკონული
გინელოლოგია

ბაღას ბავშვობიდანვე ორი რამ იტაცებდა ყველაზე მეტად: დოღი და ნადირობა. თეში უბადლო მხედრისა და საუკეთესო მონადირის სახელი ჰქონდა მოხვეჭილი. მიუვალ კლდეებზე დასდევდა ჯიხვებს, ხოლო დოღში პირველი იყო ყოველთვის.

ქალი ისე გატაცებით და საინტერესოდ ჰყვებოდა დოღსა და სხვადასხვა ჯიშის ცხენებზე, რომ ბაღა მოჯადობებულავით უსშენდა.

ქალი გრძნობდა ამას, მხედრულ სახეს ხანგამოშვებით ვაეისაკენ მოიბრუნებდა მორჩილ და თაყვანისცემის გრძნობით აღსავსე თვალბში შეაქერდებოდა.

ვაეი შეცბუნდებოდა, უმაღვე თვალს მოარიდებდა, და მამინ ქალი, თითქოს კმაყოფილი, დაწინაურდებოდა. მსუბუქად და თავისუფლად გადადოდა ოღრო-ჩოღრო ბილიკებზე, არც დაღლას იჩენდა, არც წყურვილს.

შეუსვენებლად მიდიოდნენ წინ. რაც უფრო მალა მიიწვედნენ, მით უფრო უცხო და მომაჯადობელი ხდებოდა მიდამო. ყოველი მეტრის ასვლაზე კვლავ ახალი მწვერვალი წამოჰყოფდა თოვლიან თავს მთების გადაღმიდან. მარცხნივ რჩებოდა რომის ქაუზის გაუვალი ქუფრი კლდეები, ტახის ეშვებით ზეაზიდული ფიწალოებით. მარჯვნივ ხადუს მთას გაერღვია ცის ლაქვარდი და მზრუნველი მწვემსივით თავს გადმოსდგამოდა შიდახევესურეთს. ხოლო წინ არხოტის გადასასვლელი იყო — უსურვაზივით დახვეული ბილიკით.

ქალს მოთმინება აღარ ყოფნიდა, უნდოდა მალე ასულიყო გადასასვლელზე, თვალბში ცეცხლი ჩადგომოდა. სავსე გულმკერდით ღრმად სუნთქავდა მთის მსუბუქ ჰაერს და წინ, სულ წინ მიიჩქაროდა.

ჩაფიქრებული მისდევდა ბაღა.

ნამუადღევს გადასასვლელს მიაღწიეს. ქალი შედგა და დონჯემოყრილმა მდინარე ასას ხეობას გადახედა, მერე შემობრუნდა და გამოვლილი გზა ჩათვალავიერა. საღლაც შორს, დაბლა, მზის სხივებზე არავგი ლივლივებდა. ვიწრო ხეობაში შექვედილი ხევესურთა სოფლები ლაქებავით მოსჩანდა მთების მწვეანე ფონზე.

— კარგი იქნება, რომ აქ ცოტას შევისვენებდეთ, დიდებული სანახაობაა აქაურობა, — უთხრა ქალმა ბაღას.

— ნება თქვენი იყოს, დავისვენოთ, — უპასუხა ბაღამ და დასავლეთისაკენ გადახრილ მხეს გახედა. მერე ცხენს კაზმულობა მოხადა და ნაბადი მიწაზე გამალა.

დასხდნენ. ქალი ჩიკორივით ტრივლებდა გარშემო, ხან ერთ მწვერვალს უკირკიტებდა ქოგრიით და ხან მეორეს.

— აი, ის ზეავიანი მწვერვალი, ბორბალოდან ცოტა მოშორებით რომ მოჩანს, თებული უნდა იყოს, — უთხრა ქალმა და მთებიდან აზიდულ მწვერვალზე მიუთითა.

ბაღამ გაკვირვებით შეხედა ჯერ ქალსა და მერე თოვლისფაფახიან მწვერვალს.

— მართალს ამბობ, ის თებულია, მაგრამ შენ საიდან იცნობ მავ მწვერვალებს? — გაკვირვა ბაღამ. — მე იქ მინადირნია, მიუღვამელი და ცუდი სასიარულო ადგილებია. დღეს მთასვლელებს ველით თბილისიდან. ახლა იმიტომ მეჩქარება, ამ საქმეზე მოსული კაცი მიცდის სოფელში, ამ დღებში უნდა მოაწყოს მწვერვალზე... — ბაღამ სათქმელი ველარ დაამთავრა. უცებ ამოვარდნილმა ქარმა ქალს ქუდი მოსტაცა. წამოხტა ბაღა, მაგრამ ქარმა ქუდი



ქარაფებზე გადაფარფატა და უფსკრულისაკენ გადაუძახა.

ფერი დაჰკარგოდა ბადას, კლდის თავზე იდგა და გაშტერებული ჩაპყურებდა ქარაფზე ჩაკიდებულ ქუდს. უფრო ქვევით კი, კლდეთა არტახებში, მდინარე ასა მიჰყვებდა, ჰქუხდა, ცოფიანივით ღრიალებდა და თეთრ ღორბლს აყრიდა პიტალო ნაპირებს.

ქალმა ბადას სიცილით დაჰკრა მხარზე ხელი.

— ასეთ ადგილებში გივლიათ სანადიროდ? — შეეკითხა ქალი.

ბადას სახეზე აღმურმა გადაჰკრა და ქალის კითხვაზე პირდაპირი პასუხის გაცემა გაუძნელდა, ის ახლა რაიონიდან მიღებულ დეპეშაზე ფიქრობდა. აგვიანდება, უნდა იჩქაროს!

— ქალაუ, ვერ ამოვიტან დღეს შენ ქუდს, — უთხრა შეწუხებულმა ქალს.

— ვერ ამოიტან, ბიჭაუ?, — იმავე კილოთი ჰკითხა ქალმა და გაიღიმა.

ამ ღიმილში ბადამ დაცინვა ამოიკითხა. განაწყენებულს სიწითლემ გადაჰკრა სახეზე და, ის იყო, კლდეში ჩასასვლელად მოემზადა, რომ ქალი მკლავზე შეეხო.

— ნუ ჩახვალთ, თქვენ გეჩქარებათ. წადით. მე ნელნელა გამოგყვებით. მწვერვალების სურათი მინდა გადავიღო.

ბადამ აღარ იცოდა, როგორ მოქცეულიყო. ორ ცეცხლშუა იყო, თუმცა ხედავდა, ქალს არ უჭირდა მარტო სიარული. ბილიკი ასას ხეობას მისდევდა და პირდაპირ სოფელში შედიოდა. მაგრამ მაინც რას ეტყოდა ხალხი? თემის სტუმარი, და ისიც ქალი, გზაზე როგორ დასტოვეო. გადაწყვიტა ეს შერცხვენა არ დაემსახურებინა, მაგრამ უმალ სოფელი მოაგონდა. იქნებ უკვე ჩავიდა თბილისიდან გამოგზავნილი კაცი. წარმოიდგინა, რომ მას ადგილზე არავინ დახვედრია, ყველანი სადღაც წასულან. მთასვლელთა ჯგუფის ჩამო-

ყალიბება და ლექცია ჩაშლილა. ჩამოსული დაეძებს ბადას უკან ბრუნდება და ყველაფერს ამას რაიკომს მოახსენებს.

ასეთ ფიქრებში გართული ბადა კარგა ხანს იდგა გაყურებული. მერე უცებ ხელი ჩაიჭნია და ქალს მიუბრუნდა:

— კარგი, იარე, როგორც გენებოს, მხოლოდ დაიხსოვ: გზაზე არ შემოგალამდეს და სადმე არ გადაეარდე. გზის ძებნა არ დაგჭირდება, ცხენი თვითონ მიგიყვანს. — უთხრა და აღვირი გაუწოდა.



მთელ საღამოს ბადას სახლის ბანი სავეს იყო ახალგაზრდობით. ბადა ბორგავდა, ბოლთასა სცემდა და წამდაუწუმ გზას გაჰყურებდა. არავინ ჩანდა. ამასობაში მზემ ხეობიდან სხივები მოხვეტა და მიუვალ კლდეებს შეაფარა თავი. მათაა ჩრდილები რიგრიგობით ქალაში შემოიპარა. ცოტა ხანიც და მზის უკანასკნელმა სხივმა მოპირდაპირე მწვერვალზე გაითამაშა, წუთით ალაპლაპა მისი ყინულიანი შუბლი და ქვეყანას გამოორდა.

გრილი ნიავე დაიძრა მთებიდან და მსუბუქი ფრთების სავესავით გორგორებს ჩამოუარა, დეღებში მიმალული ნისლის ნაგლეჯები გააერთიანა და ისევ ხევხუეებს შეუსია.

ბადას ამხანაგებმა მხოლოდ მაშინ მიატოვეს ბინა, როდესაც ცა ვარსკვლავებით მოიჭედა.

მოლოდინით გაოგნებული ბადა ავლავ ბანზე იჯდა და უხმოდ გაჰყურებდა ხეობის ბნელ ხაზას.

— რატომ მოხდა ასე? ნუთუ აღარ მოვა? ამის გულისათვის კაცი გზიდან დავბრუნდი. — ჯავრობდა ბადა და თან იმაზელა ფიქრობდა, რომ დილით აღრე წასულიყო და ის ქუდი მაინც მოეტანა.

ამ ფიქრებში იყო, რომ უცებ მყუდროება ცხენის ტორების თქარათქურმა დაარღვია. ფლოქვეების თქრიალი თანდათან უახლოვდებოდა სოფელს.

მყუდრებმა ერთიმეორეს ხმა მისცეს და მომსვლელს სოფლის შემოსავალთან მიუბტნენ. ცხენის ლანდი თანდათან გამოეყო სიბნელეს და სახლისაკენ შემოუხვია. უმაღვე ქალის თეთრმა ქუდმაც გაიღვია.

გამტერებული ბადა თვალს არ უჯერებდა.

ცხენოსანი სწრაფად ახლოვდებოდა.

ბადამ არ დააყოვნა თავქვე დაეშვა. სახლებს ჩაურბინა და შარაზე მიეგება ქალს.

— შენა ხარ, ბადა? — ცხენი შეაყენა და ჰკითხა ქალმა. დაქვეითდა, აღვირი გადასცა. — გმადლობთ, — უთხრა და ლოყაზე ჩამოვარდნილ თმა ქუდში შეიკეცა.

ბადა არ სუნთქავდა. ალტაცებით შეკ-

ყურებდა ქალის მომხიბლავ სახეს და თან თვალი თეთრი ქუდისაკენ გაურზოდა.

ქალი გრძნობდა ამას. ღიმილი უთამაშებდა სახეზე.

— სად ცხოვრობს აქ კომკავშირის ორგანიზაციის მდავანი?

— მდივანი? — ბადა ისე შეამტერდა ქალს, თითქოს ახლა პირველად დაინახაო. — მე ვარ მდივანი.

— თქვენ? — მზიარულად გაეღიმა ქალს. — ბადა, მე თქვენი სტუმარი ვყოფილვარ.

— მაშ თქვენ... ისა ხართ, ის ალბინისტი? — წაიღულულა ბადამ და სწრაფად დაუმატა. — მობრძანდით! — ჩამოღვა, სტუმარი წინ გაუშვა.

ტანასხლეტილი ქალი მოქნილი რბევით მიაბიჯებდა. დარცხვენილი ბადა მორჩილად უკან მიყვებოდა.

სიბნელეში თეთრად ელავდა ქუდი.

მალა შავლაშვილი

ყანას მკიან ბიჭები

★

შამბნარში შაში ქახქახებს ტკბილი ლერწამის გულითა,
შემხმარი შაფხა შრიალებს, შრიალით საამურითა.
ბერი ქედნები ტყიანში მუხნარებს დაძლულუნებენ,
საყინძახსნილი მომკლები „ჰოპუნას“ დაჰგუგუნებენ...
ზეცას აღვიძებს „ჰერიო“, — მწყობრი ხმა გარიტრაეების,
ყანასა მკიან ბიჭები, ომგადახდილი ვაეები..
თავთავდახრილი თავთუხი ძირს ეფინება მძიმედა,
მარცვალი დაპურებული თავთავს ჰყიდა მძიმედად.
აფრინდა მწყერი ქვით-ქვითა, ჩასუქებული დედალი,
აფიცხებს ყანას შუადღე — ელვარე მზის ნალვერდალი.
ფხას არ შეიშლის ნამგალი — დაუღალავი მარჯვენა,
შეჯიბრებულან მომკლები, — იბრძვიან გასამარჯვებლად.
სამეულებად დააწყეს ძნები ზევაბარაქიანი,
გახურებული მკა არის, — მკერდს ოფლი მოსდის თქრიალით.
საქართველოა, — ყოველთვის პური და ღვინო ხომ არი,
სამხრობის დროა, გაშალეს სუფრა, აავსეს ხორავით.
ჩამოარიგეს კასპური შემონახული ზედაშით,
დასძახეს „მრავალეამიერ“, ტალა გაფრინდა ზეცაში.
ახლიჩეს ცივი დედალი, პური გატეხეს მახობლის,
თვალს უხარია, ზღვას რომ ჰგავს ყანა გამლილი, ნახობლი.
აქროლდა სამხრობის შემდეგ, სიგრილე მოაქვს თრიალეთს,
მზე გადახარა, ყანაში პერანგი დროშად ფრიალებს.
შებინდებამდე ვეფხვები დაჰგუგუნებენ „ჰერიოს“.
გრიგალში გამარჯვებულებს ყანები ვერ მოერიოს.

მარია ბაჰრაძე

სიხარული



თინამ საწერი მაგიდის უჯრა გამოა-
ლო. შუბლზე ჩამოვარდნილი კულული
შეისწორა. უჯრის კუთხეებში ობობას
ქსელი გახლართულიყო. მკიდროდ ჩა-
ლაგებულ წიგნებსა და ქაღალდებს
მტვერი დასდებოდა. ქაღალდები ისეთი
სიჩქარით ამოალავა, გეგონებოდათ,
ემინია არავენ მომისწროს და ხელი
არ შემოშალოსო. უწესრიგოდ გაფან-
ტულ ფურცლებს თვალი გააყოლა. უნ-
დოდა ნაკუწებად ექცია ისინი. სადღა
იყო მისი ყოველთვის მოცინარი ლამა-
ზი თვალები. გულმოსული გამოხედვა
სახესაც უქარგავდა სილამაზის იერს.

ოთახის ფართოდ გაღებულ ფანჯრე-
ბიდან მაზუთის სუნში არეული ნაადრე-
ვი გაზაფხულის სუნი უხვად იჭრებოდა.
ეზოს გასწვრივ ორმწკრივად ჩამდგარი,
ახლადშეფოთილი ხეების შრიალი
ქარხნის გუგუნში ინთქებოდა.

თინას გაჯავრებულ სახეს მოგონე-
ბათა ნათელი მოეფინა. ოდნავ სქელი,
პატარა ტუჩები ღიმილმა გაუპო.

...მაშინ ზამთარი იყო. ქადრისა და
აკაციის ხეთა ტოტები თოვლის სიმძი-
მეს ძირს დაეხარა. თოვლი ქრიალებდა
ფეხქვეშ. გული გამალებით უცემდა.
დიდიხნიდან მონატრებელი სურვილი
შეუსრულდა. „ქარხანაში ინეინრად“, —
მხოლოდ ეს ერთი აზრი უტრიალებდა,
როდესაც ქარხანაში დანიშნვის ქაღალ-
დი მიიღო.

მუშები უნდობლად შეხედნენ — „ამ
პატარა ქალმა რა უნდა გააკეთოსო?“

ამბობდნენ თავისთვის და ღიმილს ვერ
იკავენდნენ. მაგრამ მალე შეეცვალათ
აზრი. თინამ ისეთი სიყვარულით მოპ-
კიდა ხელი საქმეს, ისეთი თავდადება
და ცოდნა გამოიჩინა, რომ გამოცდილი
მუშებიც მასთან მოდიოდნენ რჩევის
საკითხავად. გულით შეიყვარეს ახალ-
გაზრდა ინეინერი. თინა გრძნობდა მუ-
შების სიყვარულს და უსაზღვრო სიხა-
რულს განიცდიდა.

ერთხელ თავის ოთახიდან გამოსული
თინა საამქროსაკენ მიდიოდა, დერეფან-
ში მიმავალ მუშებს გაუსწორდა შეუმჩ-
ნევლად.

— ჩვენი ინეინერი კარგია, ძალიან
კარგი. — ამბობდა ერთი მუშა.

— კარგია, მერე ვინ ამბობს კარგი
არ არისო, მაგრამ თამაზ შარაშენიძეს
ვერაინ შეეცვლის, ტყუილია. — ჩამო-
ართვა სიტყვა მეორემ.

— მართალია, მართალი! — თითქმის
ერთხმად წამოიძახა ოთხივე მუშამ. მათ
მეხტეთ მუშა წამოეწია, იმანაც რაღაც
სიტყვა თამაზის შესახებ, მაგრამ თინას
არ გაუგონია, თითქოს ცივი წყალი გა-
დაასხესო, სახეშეცვლილი შეტრიალდა
და საამქროში შევიდა.

— გამარჯვებათ, ამხანაგო თინა!

— დილამშვიდობისა, ამხანაგო ინეი-
ნერო!

მიესალმენ მუშები თინას და ჩვეუ-
ლებრივ მხიარული და სიყვარულით
სახეს გამოხედვა შეაგებეს.

ამის შემდეგ ერთი კვირა გავიდა და



თინას აღარ გახსენებია, ან უკეთ, არ უნდოდა გაეხსენებია ეს ამბავი. ახლა ის საწერ მაგიდასთან თავდახრილი, დაკეტილ უჯრას ჩაჰკირკიტებდა, უნდოდა გაეღო. კარგახანია წვალობდა, დაიღალა, მაგრამ ვერა და ვერ ვაძლო. ის იყო უიმედოდ ხელი ჩაიქნია, გაოფლიანებული შუბლი ცხვირსასოციტ მოიწმინდა, შეგროვილი გასაღებები გვერდზე გადასდო, რომ ოთახში დამლაგებელი შემოვიდა.

— უპ, დეიდა ფეფო, რა კარგ დროს შემოხვედი, აი ამ უჯრის გასაღები უნდა მომიძებნო, — უთხრა დამლაგებელს და მარჯვენა მხარეს, ზემოთა ყუთზე მიუთითა. — რამდენი ვეწვალე და ვერაფერი მოგუხერხე.

— მე როგორღა მოვახერხო, მაგის გასაღები მე ხომ არა მაქვს? — ცივად უპასუხა დამლაგებელმა.

— მამ ვის ექნება?

— ვის ექნება და თავის პატრონს.

— თავის პატრონს? ვინ არის პატრონი? — ღიმილი ჩაქრა თინას თვალებში. არ მოეწონა ფეფოს გამომწვევი ხმა.

— როგორ არ იცი? — ისე გაიკვირვა დამლაგებელმა, რომ თინას უნებურად გაეცინა.

— რა ვიცი, დეიდა ფეფო, აბა რა ვიცი.

— ვინ არის და თამაზი, — ამაყად სთქვა ფეფომ.

— თამაზი — მხოლოდ ამის თქმა მოახერხა თინამ.

„თამაზი, ისევ თამაზი, ნუთუ ყველგან თამაზი უნდა მიხსენონ? აი, თურმე, რატომ ელაპარაკებოდა ფეფო ასე ცივად, ასე გამომწვევად. ალბათ, მგეც ისე ფიქრობს, როგორც ის მუშები“.

ასე გაჯავრებული არასოდეს ყოფილა თინა. ვერც კი შენიშნა, როგორ გავიდა ოთახიდან გაკვირვებული ფეფო.

საყვირის ხმამ გამოაფხიზლა. საწერ

მაგიდაზე უწესრიგოდ დაყრილ ქაღალდებს გახედა.

— თინა, რომ გაჩერებულხარ, საყვირის ხმა არ გაიგონე, საუზმის დროა, წამოდი, — შემოსძახა კარებიდან, ქერათმიანმა ახალგაზრდა ქალმა.

— არა, თამარ, ვერ წამოვალ, შენ წადი, მე საქმე მაქვს. — დაიბნა თინა და უწესრიგოდ დაყრილ ქაღალდებს ხელის ჩქარი მოძრაობით გაზეთი გადააფარა.

— კარგი, შენ იცი, — გაჯავრდა თამარი, კარი გაიხურა.

თინას თამარისთვის ყურადღება არ მიუქცევია, ის თავის ფიქრით იყო გართული: „სად წაიღოს ეს ქაღალდები?“ — „არქივს ჩაეაბარებო“, — გაიფიქრა ქაღალდებს ორივე ხელით დასწვდა. ის იყო, მაგიდას უნდა მოშორებოდა, რომ მისი ყურადღება ორად მოკეცილმა რვეულის ფურცელმა მიიბყრო. ქაღალდებს ხელი შეუშვა. ფურცელი გაშალა.

„ძმაო სოლომონ!“ — ეწერა პირველ სტრიქონზე. წერილის ბოლოს დახედა, ხელს თამაზი აწერდა. წერილი ქარხნის პარტიუროს მდივნის სახელზე იყო დაწერილი.

პირველი გვერდი ჩაათვა. ლოყებზე თანდათან სიწითლე მოედო. ლოყებიდან ყურებზე გადავიდა, შუბლზე, მთელ სახეზე, საფეთქლები ისე უცემდა, თითქოს ჩაქუჩებს ურტყამენო. გულს მომეტებული სიძლიერით მოაწყდა სისხლი.

„ძმაო სოლომონ!“ — კითხულობდა თინა. — „დაღამდა, ჩემი თვალები ვერაოდეს იხილავენ დღის სინათლეს, ჩემი მარჯვენა ვერასოდეს იმოქმედებს“. — თინას გული გაუჩერდა. სახე გაუფითრდა. — „არ იფიქრო, წუწუნი უსწავლიაო“ — განაგრძობდა კითხვას თინა. — „არა სოლომონ, სად შეუძლია წუწუნი ადამიანს, რომელსაც მე-

გობრები ძმებსავით გვერდში უდგანან. მაგრამ ვწუხვარ, ძალიან ვწუხვარ, რომ არ დამცალდა. კიდევ ერთი წელი და მერე არასოდეს ვახსენებდი ჩემს უსინათლო თვალებს. ჩემი ოცნება განხორციელებული მენახა და არ შემაწუხებდა იმაზე ფიქრი, რომ მარჯვენას ძლივს ვამოძრავებ. რამდენჯერ სანგარში ფეხზე ჩამოძინებულს სიზმარში მინახავს, რომ ნახაზე მუშაობა დავამთავრე, ჩემი საყვარელი მანქანის ბორბლები ელვის სისწრაფით მოძრაობენ“.

ცრემლი მოადგა თვალებზე თინას. ვერ დაამთავრა წერილის კითხვა.

— შენ კიდევ აქა ხარ, ვერ ხედავ, დადამდა? — შემოესმა ხავერდისებური რბილი ხმა თინას და თითქოს, უცნაურად მძიმე ძილისგან გამოაღვიძესო, ფეხზე წამოიჭრა. მის წინ ქარხნის პარტიუროს მდივანი იდგა. დაბალი, მსუქანი, კეთილი თვალებით, იმ კეთილი და გულუბრყვილო ღიმილით, რომელიც თინას ასე უყვარდა.

— ჯერ არ წავსულვარ, საქმე მქონდა, — დაბნეულად წაილულულა ქალმა და ხელის უხერხული მოძრაობით წერილი მიმალა. ქალაღდებს შეწუხებული თვალი მოავლო და კაბაზე დაკერებულ ღილს ნერვიულად წვალეზა დაუწყო.

სოლომონის გამოცდილ თვალს არ გამოეპარა თინას უხერხული მოძრაობა, მაგრამ არ შეიმჩნია, უფრო მოხერხებულ დროსთვის გადასდო მიზეზის გამორკვევა.

— წამოდი, თინა, წამოდი, უკვე გვიან არის, როდემდე შეიძლება იმუშაოს ადამიანი?

ქალი თავის ფიქრში იყო გართული. გაუბედავად ასწია თავი და სოლომონს შეხედა.

— სოლომონ, სად არის ახლა თამაზი?

სოლომონი მიხვდა რად ლეღავდა თინა, მიხვდა, რომ მხოლოდ ახლა გაეგო თამაზის აბაგი.

— თამაზი სოფელშია, ^{სოფელში}
— სოფელში, ვისთან? ^{სოფელში}
— ღედასთან, მეც ხშირად ვნახულობ.

თინას გონება გამალებით მუშაობდა: „თამაზი ბრმაა, მარჯვენა ხელი გაფუჭებული აქვს, სამუშაო დაუმთავრებელი დარჩა. ნუთუ არაფერი ეშვება? ნუთუ მისი ოცნება ასე უნდა დაიღუბოს? არა, არ შეიძლება“.

— სოლომონ, შეიძლება მეც ვინახულო თამაზი?

— არა, თინა, თამაზმა მთხოვა, უცხო ამხანაგებს ნუ შოშიყვანო, მათთან შეხვედრა მიმიძისო.

თინამ სოლომონს თვალი აარიდა. „თამაზი. აი ვინ ყოფილა თამაზი. ის კი ეჭვიანობდა. ეგავრებოდა ეს უცნობი მეტოქე?“ შერცხვა, არ იცოდა რა ექნა, ასე ეგონა, სოლომონმა იცოდა ყველაფერი და თითქოს ქირადედა მას.

— მე კიდევ დაერჩები, სოლომონ... სამუშაო მაქვს! — უთხრა სოლომონს ენიც ბორძიკით.

სოლომონი წავიდა.

სულ სხვა თვალთ გადახედა ახლა თინამ მაგიდაზე გაფანტულ ქალაღდებს. ფრთხილად და სიყვარულით ალაგებდა. მტვერს სწმენდავდა. რამდენიმე ფიქრი, გრძნობა და სიყვარული იყო ამ ნაწერებში, ნახაზეში. და ის ადამიანი ვერასოდეს ვერ იხილავს მათ. „არა, მან უნდა ნახოს თავისი ოცნება ზორც-შესხმული. გაიგონოს მისი მანქანის ხმა. ხელით შეეხოს. თამაზ! უნდა დაბრუნდე, უნდა დაუბრუნდე შენს ქარხანას, შენს მანქანას!“

თვითუღ ფურცელს ისეთი სიფრთხილით ათვალერებდა, გეგონებოდათ, ძვირფასი განძი უჭირავს და, ეშინია, არ გაუტყდესო. ნახაზეები ზოგი წაშლილი იყო, ზოგი ახლადდაწყებული, ისევ წამოშლილი. მაგრამ ბევრი, ძალიან ბევრი იყო გაკეთებული.

დრო გადიოდა — დღეები დღეებს მისდევდა. თინამ არ იცოდა, რა იყო მოსვენება. ძილი არ ეკარებოდა მის თვალებს. ცოტახნით ჩაძინებულს, თამაზი ესიზმრებოდა. „თვალხილული თინას გვერდში ამოსდგომია. ეხმარება, უხსნის გაურკვეველ ადგილებს. ქალი იცინის, გულიანად იცინის. რა ადვილი ყოფილა, მე კი რამდენი წიგნი გადავიკითხე, რომ გამეგო. ვმადლობთ, თამაზ, ვმადლობთ,“ — ეუბნება ქალი და გარბის გარბის, რათა კვლავ ჩაუჯდეს სამუშაოს.

ხშირია დღეები, როდესაც თინა სულ ვერ მუშაობს. იმედს კარგავს, არ იცის, როგორ გადასწყვიტოს ესა, თუ ის საკითხი. მაშინ გამოცდილ სპეციალისტებთან მიდის, ბიბლიოთეკიდან წიგნები მოაქვს და კვლავ იმედით კვიდებს სამუშაოს ხელს.

გახდა, ფერი დაეკარგა, დიდრონი თვალეები კიდეც უფრო გაუდიდდნენ, სახე დაუგრძელდა, დაუწნოვდა, მაგრამ ვერ ამჩნევს, სარკეში ჩახედვის დროსაც ვერ პოულობს. ჩქარა, ჩქარა უნდა დაამთავროს ნახაზზე მუშაობა.

—

საამქრო ჩვეულებრივზე უფრო განათებული იყო. თამაზის უმოძრაო, ჩამქრალი თვალეები არ ხედავდა მოკაშკაშე ელნათურებს, მაგრამ გრძნობდა ძლიერ შუქს. არ ხედავდა მუშების, ინჟინრების, მანქანის მიმღებ კომისიის ნაცნობ სახეებს, მაგრამ ხმით ცნობდა მათ, გონების თვალით ხედავდა. აქ ყველაფერი ნაცნობი იყო მისთვის: ხალხი, მანქანები, ხმაური, რკინის, ფოლადისა და ზეთის სუნი.

„ნუთუ მე ისევ აქა ვარ“. ახლახან ყველაფერი ეს დაკარგულად ეჩვენებოდა. ახლა გაოცებით ფიქრობდა, როგორ გასძლო ამდენხანს უქარხნოდ. ნუთუ ამ ხნის განმავლობაში არ ხედავდა ამ სახეებს, არ ესმოდა ეს ხმები. არ

სუნთქავდა ქარხნის ჰაერით, არ ცხოვრობდა ქარხნის ცხოვრებით.

უცებ შესწყვიტა ფიქრი. სწრაფად უახლოვდებოდა ნაცნობი ნაბიჯების ხმა. მთავარ სამმართველოს ტექნიკური განყოფილების უფროსი ლევან მათურელი, სქელ-სქელი, მალალი, შუახნის მამაკაცი შემოსვლისთანავე თამაზისაკენ გაემართა.

— ვერ გაბატებთ, ჩემო კარგო! — ხელის მაგრად ჩამორთმევით უთხრა მან და მანქანისაკენ მობრუნდა. — ამდენი ხანი სადღაც უჯრაში ჩაკეტილი გქონდათ. ეს... ეს... იცით რა შექმენით, რა არის ეს? ორჯერ მეტი პროდუქცია, ათჯერ უფრო იაფად. როგორ გითმენდათ გული? გახიზნული სოფელში...

— რა შეგეძლო ბრმას, უსინათლოს ამხანაგო ლევან?

— რა შეგეძლო? მარტო იყავი? ვინ გითხრა უარი დახმარებაზე, ვის მიმართ? შეხედე ამ კოლექტივს. რატომ იფიქრე, რომ მარტო იყავი?

თამაზის სახეს სიწითლე მოედო. თინა იქვე, მის პირდაპირ იდგა და სახეში შესცქეროდა. შესცქეროდა აღელვებით, პატივისცემით.

მათურელმა შეხედა თამაზს:

— კარგი, საყვედურები შემდეგ. მაგრამ გახსოვდეს, ვერ გაბატებ, ჩემო კარგო. — მოუბრუნდა ქარხნის დირექტორს. — შეგვიძლია დავიწყოთ?

— დიახ!

— აბა, თამაზ. — უთხრა სოლომონმა თამაზს.

— რატომ მე? — თქვა თამაზმა და თინასაკენ მიიხედა.

გრძნობდა, იცოდა, სად იდგა თინა.

თინა სწრაფად მივიდა თამაზთან. მკლავზე ხელი მოკიდა:

— რასაკვირველია, თქვენ, თამაზ. იგრილა ტაშმა, გაისმა შეძახილები:

— თამაზმა!

— თამაზმა ჩართოს!

თამაზი იდგა გაფითრებული და სუნ-
თქვაშეკრული.

— რას უცდი, ჩემო კარგო? — მობ-
რუნდა ღიმილით მათურელი. — ხომ
გესმის. მთელი ქარხანა... — გაფითრე-
ბული იყო მათურელიც. არანაკლებ
აღდეღვა ამ შეძახილებმა.

გამოერკვა თამაზი. ჯოხი და ქუდი
თინას გადასცა. ჯერ გაუბედავად გა-
დასდგა ნაბიჯი. ერთი, ორი. ხელები
ოდნავ წინ ჰქონდა გაშვერილი. მერე
უცებ ჩამოუშვა და თითქოს თვალხი-
ლულიაო, გასწია სწრაფად, თითქმის
სირბილით.

უფრო ხმამაღლა აგრიალდა ტაში.

შედგა თამაზი ჩამრახთან, სული
მოითქვა.

შეწყდა ტაშის ხმა. სამარისებური სა-
ჩუმე დაეშვა მთელ საამქროში. თრთო-
ლვით ასწია დაშავებული ხელი თამაზ-
მა. შეაელო ჩამრახს და უცებ ჩართო.

მანქანა ჯერ ყრუდ ამუშავდა. შემდეგ
ხმა შეიმატა, გაძლიერდა. ცხელი ჰაერი
დატრიალდა საამქროში. აშალა თმები,
გაანათა დაჭიმული სახეები, შეატრია-
ლა პიჯაკისა და კაბის კალთები.

მანქანა სულ უფრო და უფრო ავი-
თარებდა სისწრაფეს.

— კიდევ, კიდევ. — იძახდა მათუ-
რელი. ცდილობდა დაეფარა მანქანის
ხმაური. აღდეგებული და გახარებული
გარშემო უვლიდა მანქანას.

მთელი საამქრო სიხარულით გუგუ-
ნებდა, როცა მანქანამ უკიდურეს სის-
წრაფეს მიაღწია და მოტორი მთელი
თავისი სიძლიერით დატრიალდა, თა-
მაშმა ჩამრახი გამორთო და უცებ ისე-
თივე სიწყნარე დაეშვა, როგორც მან-
ქანის ამუშავების წინ სუფევდა.

თამაზი მობრუნდა. მანქანის მო-
ჯირს დაეყრდნო. ხელი უთრთოდა.
გაფითრებულ სახეზე ოფლის წინწყლე-
ბი უბრწყინავდა. შესცქეროდა მისკენ
მიპყრობილ სახეებს.

— ხო... — თქვა ჩურჩულით, უნდო-
და კი ისე ეთქვა, რომ ყველას გაეგო-
ნა. — მე მარტო არ ვყოფილვარ...
ეცდებოდი... როგორ მივატოვე ყველა-
ფერი ეს. შევშინდი... არა, ასე არ აღუ-
ზღივარ მე ჩემს ქვეყანას. არ მქონდა
უფლება გავქცეოდი... — ღელავდა, ტუ-
ჩები უშრებოდა. — მაგრამ, პირობას გაძ-
ლევთ, გამოვისყიდი ჩემს დანაშაულს.
მე კიდევ საჭირო ვარ, თურმე. — მეტი
ვერაფერი თქვა. შეეშინდა, არ წასკდო-
მოდა სიხარულისა და ბედნიერების
ცრემლი. მოწყდა ადგილიდან, გაარღვია
ხალხი და სწრაფად გაემართა გასაველი-
საკენ.

გაყვა თინა.

ეს ისე უცებ მოხდა. რომ ხალხმა
გონს მოსვლა ვერ მოასწრო.

ეზოში უსიტყვოდ მიმავალ თამაზს
და თინას დიდხანს ესმოდათ საამქრო-
ებიდან ტაშის გუგუნე.

გარიგებები

ქველი და ახალი ჭიათურა

★

როგორც ვადმოძიეს, აკაკის მამა, როსტომ წერეთელი, ეტყოდა თურმე გლეხებს: „წირქვალის პური სხვა პურში არ აურიოთ, შიგ რაღაც შავი ქვა ურევია და პურს მიფუჭებსო“.

ახალგაზრდა აკაკის ყური მოუყარავს ამ სიტყვებისათვის. იქნებ მას გაგონილი, ან წაკითხული ჰქონდა ჭიათურის მარგანეცის შესახებ და ამიტომ მიაპყრო გულს ყური. ის განგებ წასულა იმ ადგილებში, სადაც ეს ქვაა და საკუთარი თვლით უნახავს, ჯეროვანი ყურადღება მიუქცევია და საუკუნეთა მანძილზე მთის გულში დაგროვებული მადანი მზის შუქზე გამოუტანია.

თუ ქალაქ ჭიათურიდან სამხრეთ-აღმოსავლეთით წახვალთ, გაივლით ყოფილ პატარა დაბას და ამეამალ კი რაიონულ ცენტრს — საჩხერეს, გაპყვებით ისევ აღმოსავლეთით და შეხვალთ სოფელ სხვიტორში, თვალში მოგხვდებათ მწვანე ტყით შეფუთვნილ მთის კალთაზე გადაკიმული როსტომ წერეთლის სასახლე. თუ შეტი არა, 160 წლის ისტორია მაინც აქვს ამ თავისებური სტილით ნაგებ შენობას.

ამ სასახლეში მოწყობილია აკაკი წერეთლის სახელობის მუზეუმი, რომელსაც ოცდათექვსმეტი წლის განმავლობაში სიყვარულით უვლიდნენ და თავს დაქანკალდებდნენ დღეს უკვე ღრმა მოხუცი, თმამთოვლილი ანა აბლუშელიშვილი და მისი მეუღლე განსვენებული კოტე აბლუშელიშვილი.

აქ დაიბადა და აქვე გამოგვემშვიდობა სამუდამოდ ჩვენი საყვარელი მგოსანი, ჩვენი აკაკი, ჭიათურის მიდამოებში მარგანეცზე მუშაობის პირველი წამომწყები. აკაკის როლს ამ დიდი საქმის თაოსნობაში, სხვა ფაქტთა შორის, მოწმობს ერთი წერილიც, რომელიც იმავე მუზეუმში ინახება.

ვინმე კონსტანტინე აბაშიძე სწერს აკაკის მამას, როსტომ წერეთელს:

— „მამო როსტომ. შენი შვილი რუსეთიდან რომ დაბრუნდა, ჩვენ ვეველი სიხარულით მივეგებეთ. გვეგონა ოჯახს ფეხზე დაყენებდა და ჩვენც, მისიანებსაც, ბევრად გვარგებდა, მაგრამ მის ნაცულად, რომ სამსახურში შესულიყო და წინ ბეჯი წაედგა, ან აღვკატობთ სხვებსაგვით მოგებება რამე, ეს დალოცილო მესტიერობას გამოუდგა და ლანძღვით ქვეყანა გადაიქცა. ახლა კიდევ აღჩემებია რაღაც შავი ქვა და თურმე გაიმახის: ქვეყანა უნდა გავამდიდროო... ქვეყანას თავს უხად აღვზინებს. ვე დალოცილი რას მივდმოვებდა, მტერს რაზე ახარებს? მისთანა რამეს რათ ამბობს, რომელიც არც ღვთისაა და არც კაცისა. ვებე ზემობს, მაგრამ რო აღარც ზემობასა ჰგავს? ქვეყანა დაიწინს, რიგი რას ამბობს, რიგი რას, ვერსად შევხვდით, თვარა ვაწყენინებ სწორედ. ურჩიე რამე.“

შენი კონსტანტინე.

შემდეგ ცნობილია, რომ მარგანეცის ნიშნულში პირველად აკაკის წაულია თბილისში გეოლოგ სიმონოვიჩთან გამოსარკვევად. ამის შემდეგ პეტერბურგში ბროშურაც კი გამოუცია. ისიც ცნობილია, რომ აკაკის ცამეტი წელიწადი უღევნია ამ საქმისათვის. ძილი არ ჰქო-

ნია და მოსვენება. შვებულებაში მას მუშაობის დაწყებაც უცდია და პირველს მას გამოუტანია მიწის წიაღიდან შავი ქვის მადანი.

პირველი წერაქვი სოფელ დიდ რვანში (ქიათურის ჩრდილოეთ-დასავლეთით) აბაშიძეების მამულში დაუკრავთ. პირველი მადარო, იქ გამოქვაბულს, ცამეტი წლის ჯახირის შემდეგ აკაკის ამ საქმისათვის თავი დაუხრებია ალბათ, ვეღარ გაუძლო, რადგან ეს საქმე უთუოდ დიდი კაპიტალის დაბანდებას მოითხოვდა და აკაკის კი საქმით თანხა არ გააჩნდა, მაგრამ, ის კი ცხადია, რომ საქმე განხორციელდა, რადგან მის პირველ ცდებს, უცხო კაპიტალისტები მოუხიდავს: მოსულან გერმანელები, ინგლისელები, ფრანგები და სხვ. მოსულან ბერძნებიც, ხოლო არა როგორც მრეწველები, არამედ როგორც მადაროების გამყვანი ოსტატები. გაშლილა დიდი მუშაობა. მთელი იმერეთი კალიასავით მისევია სამუშაოს:

წერეთლები, აბაშიძეები, გაფრინდაშვილები, მასხარაშვილები და მოდებაძეები მადნის პატრონები ყოფილან, კაპიტალისტებთან ამხანაგებად შესულან. ისინი ყოველ ნაბიჯზე ატყუებდნენ მადაროს მნგრეველებს, მზიდავებსა და ჩაღვადრებს, რასაც არაერთხელ გამოუწვევია ქიათურის მუშათა მღელვარება და გაფიცვები.

ამ ხანებში მთავრობას შორაპნიდან ქიათურამდე ვიწრო ლიანდაგიანი რკინიგზა გაუყვანია, რის შემდეგაც მადნის მისაღები ბაქნები გაჩენილა და ორ მთას შუა მიმდინარე ყვირილის ნაპირებზე პატარა ქალაქიც გაშენებულა. მადაროელთა უმეტესობას ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნი შეადგენდნენ.

ცუდად მოწყობილ მადაროებში მუშები იხოცებოდნენ, უჩნდებოდათ ანთება და უპატრონოდ კვდებოდნენ.

ეს ამბები ხდებოდა 1903 წლამდე, ხოლო რა მოხდა შემდეგ და როგორ შეიცვალა ქიათურის მუშათა ცხოვრება,

მა, აზრი და მიმართულება, ამას ნათელიყოფს ქიათურაში გარკვეულად დიდი სტალინის სახლმუზეუმში. ქიათურაში სტალინის მიერ გადადგმული ყოველი ნაბიჯი ამ მუზეუმშია ასახული.

აქაური ძველი მადაროელი, სუფრაზე რომ დაჯდება, ხელში ღვინით სავსე ჭიქას აიღებს, თვალმოჭუტული გახედავს მას ერთი წამით, გონების თვალს გადაავლებს განვლილ გზას და მღელვარედ იტყვის:

„დიღხანს, დიდხანს იცოცხლოს ჩვენ-ნა მხსნელმა დიდმა სტალინმა“.

2.

დღეს სოფელ პერევეისის კალთებზე, სტალინის სახელობის მადაროში თქვენ შეგხვდებით მადაროს დირექტორი ლევან ვარლამის-ძე გოშხოთელიანი, რომელიც იმდენად დატვირთულია თავისი მადაროს საქმეებით, რომ დროც კი არ რჩება შეგყვით შიგ და აგისხნათ, თუ რა იყო წინათ და რა არის დღეს. ის მიგითითებთ გამოცდილ ძველ მუშებზე, რომლებიც წარსულისა და გარდამავალი პერიოდის უფრო ცოცხალი მოწმენი არიან.

დიმიტრი ივანეს-ძე ხვედელიძე, რომელიც სრული ოცი წელიწადია მადაროს ბიგებს უდგამს და ამგარებს, რათა მადნის გამოღების დროს მთა არ ჩამოწვეს და მარცხი არ მოხდეს, იმის მოწმეა, რომ მადანი მადაროდან ცხენებით გამოჰქონდათ, ხოლო დიმიტრის მამა, ბიძები და ყველა იმდროინდელი მადაროელი მადანს წელში მოხრილი, მუხლებზე ხოხვით ეხიდებოდნენ. თუ ოდნავ დააკვირდებით იმ მიდამოებს, დღესაც შეამჩნევთ კლდეებზე პატარა ხვრელებს, საიდანაც საცალფეხო სახიფათო ბილიკებით მოჰქონდათ შავი ქვა.

ორგზის ორდენოსანი მიხეილ სერგოს-ძე დევიძე 1929 წლიდან მუშაობს მნგრეველად: ის 230 პროცენტით ასრუ-



ლებს გეგმას და მისი თვითონ გამომუშავება 2000 — 3000 მანეთს შეადგენს.

უბნის გამგე ტრიფონ ვარდენის-ქეფოვანძეც ორჯინის ორდენოსანი და საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატია.

სტალინის სახელობის მალარო მრავალ მუშა-მოსამსახურეს აერთიანებს. ეს ლაშქარი ცხოვრობს სოფელ პერევისასა და მის მიდამოებში, მთის კორტოხებზე. მას არც თუ ხშირად ესაჭიროება ქალაქში ჩამოსვლა, რადგან აქვე აქვს ყველაფერი: საშუალო სკოლა, ორწლიანი სამთო-საოსტატო სკოლა, სამი სამედიცინო პუნქტი, საბავშვო კერა, საბავშვო ბაგა, ათასი კაცის ტევადობის საერთო საცხოვრებელი და ორმოცდაათი კოტეჯი, სადაც ოცდაათი ოჯახი ცხოვრობს. აქვეა სასადილო, სამკითხველო და კლუბიც. ჩამოყალიბებულია ხალხური ცეკვისა და სიმღერების თვითმოქმედი წრე, ახლა, თუ ამ მოკლე აღწერილ სურათს ჭიათურის ყოფილ მუშათა სამოცი წლის წინანდელ მდგომარეობას შევადარებთ, ნათლად დავინახავთ, თუ რამდენად წინ წავიდა, რამდენად უფრო ადამიანური სახე მიიღო და ჭირვარამიდან ამოვიდა ქართველი მალაროელი.

3.

— დღეს ჩვენ დავათვალიერებთ ლენინის სახელობის მალაროს. ეს მაღარო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მუშაობს და ყველა დანარჩენ მალაროზე სრულყოფილია. — მითხრა ჭიათურის საქალაქო კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ.

მანქანა მიჰქრის მდინარე ყვირილის მარჯვენა მხარით, სამხრეთ-აღმოსავლეთით. მივდივართ სოფელ შუქრუთში. გულმოსული და შუბლშეკრული

მდინარე ყვირილა კი დასავლეთით მიეშურება. საქართველოში ვერც ერთ მდინარეს ვერ შეხედებით ასე შავსა და დაკუპრულს. აქვე, სულ ახლოს დაიწყო მისი ამღვრევა. ჭიათურის საზღვრებამდე ის კამკამით მოჩუჩუხებდა, მის ფსკერზე თეთრი კენჭები კიფობდნენ, მაგრამ რაწამს შავი ქვის ბუდობებში ფეხი შესდგა და მთების კალთებზე დაკიდებულ მარგანეცის გამრეცხ-გამაუხვებელ ქარხნებს ჩამოუარა, კამკამა ყვირილა შავად იქცა და გააფთრებით დაეშვა ქვემოთ (ახლა კი ცდილობენ აქვე მალლობზე მოაწყონ მდინარის დასალექი აუზები, რომ ყვირილა ისეთივე წმინდა და ანკარა დარჩეს, როგორც ის სათავეშია).

წინათ ჭიათურა მთლად შავი იყო: სახლებიც, ბინებიც, ხეებიც, გზებიცა და იქ მოსიარულე ხალხიც. ჭიათურაში ადამიანი თეთრი ტანსაცმლით გარეთ ვერ გაივლიდა; მას ცხვირ-პირი და ყურები მკვარტლითა და მურით ავესებოდა.

მე 1902 და 1903 წლებში ვყოფილვარ აქ და მინახავს მაშინდელი ჭიათურა. შემდეგ დიდმა დრომ განვლო. თითქმის ნახევარმა საუკუნემ, და ახლა უნდა ნახოს კაცმა, თუ როგორ შეიცვალა მისი ცხოვრების ფორმა და შინაარსიც.

მდინარე ყვირილის მარჯვენა მხარით მიემართება აღმართში მიმავალი დაკლანძვილი გზა. სიბი კლდეები მხარდა-მხარ მოგდევთ; მთები, თითქოს მათთვის ქვემოდან წვრილი საყრდენები შეუბრჯენიათ, დოქის ყელივით აზიდულან და შემდეგ თანდათან ფართოვდებიან. ისინი მალა, მწვერვალზე თაიგულივით იშლებიან და ქოჩორა ტყით იფარებიან. შუა წელზე მათ თეთრა, რუხი და ყვითელი ფერის გრებილები ქამრად შემოსალტვიათ; ეს გრებილები ისე ეღვარებენ, თითქოს ისინი საუკუნეთა განმავლობაში ზღვის ტალღებს ერეცხოთ. შემდეგ ეს ტალღები ერთბაშად ჩამოსცლოდით. სადღაც გაბა-

რულიყვენ და სალი კლდე კი ცაში დაკიდებული დაეტოვებინოთ.

იყურები მალა, შესცქერი მთის მწვერვალებს, თვალში რაღაც დახლართული შავი ძაფები გებლანდება, თვალებს ისრეს, ისევ შეჰყურებ სიმაღლეს; ეს შავი ძაფები მთიდან მთაზე ობობას ქსელივით გადაბმულა, ზედ რკინის ვეებერთელა შავი ყუთი ჰკილია და მისრიალებს.

ეს საჰაერო გზაა. ამ ვაგონეტების საშუალებით მალარო მადნის გამაუხვებელ ფაბრიკას უგზავნის მარგანეცს. ფაბრიკა კი ამ მადანს გარეცხა-გაუხვების შემდეგ, რკინიგზის ვაგონებს აბარებს. შორაპანში დიდ ვაგონებში გადიტვირთება და სამშობლოს სხვადასხვა კუთხეებს ეგზავნება.

მთის ძირზე დაწყებული შენობა კიბის საფეხურებივით მიკრულა კლდეზე და თეთრად ჭათქათებს.

— ამ ადგილებს ჰიქაურის მიდამოები ეწოდება. პირველმა ნალმმა...—მეუბნება თანამგზავრი, მაგრამ სიტყვა ვერ დაამთავრა, წინ თოფიანი დარაჯი გადაგველობა, შოფერმა მანქანა დააყენა. თანამგზავრი ჩამოვიდა მანქანიდან და მყისვე მშენებლობის უფროსთან გავეშურა. ის მალე დაბრუნდა, ნებართვა მოიტანა და ჩვენ მშენებლობის ტერიტორიაზე გაგვატარეს.

ქარხანა უკან მოვიტოვეთ. გზას სოფელ შუქრუთში მივყევართ.

— შემდეგ, პირველმა ნალმმა რომ იფეთქა? — შევეკითხე ამხანაგს.

— პირველმა ნალმმა 1940 წელს იფეთქა. ეს კლდე ჩამოინგრა და მაშინვე დაიწყო აქ გამაუხვებელი ქარხნის შენება, აქ გადამუშავებული მადანი არავითარ დანაკარგს არ მისცემს სახელმწიფოს. მივალწიეთ დანიშნულ ადგილას და ჩვენი საუბარიც შესწყდა.

ლენინის სახელობის მალაროთან შემოგვხვდა ამ მალაროს დირექტორი, სამთო ინჟინერი აკაკი ელადიმერის-ძე

ფხალაძე, ახოვანი, მხარბეჭიანი, ვაჯაკი, გახსნილი შუბლები და მხარბეჭიანი სახით. მისი თვლები იმედს, რწმენას და სიხარულს ამვლავნებენ.

იგი თორმეტი წელიწადია ამ მალაროში მუშაობს და ჯერ მისთვის აღმაცურად არავის შეუხედავს.

— ყველა კაცი ვერ შეიგრძნობს, ვერ ვაიგებს მალაროს სიღიადეს, — გვეუბნება აკაკი და რიხიანი ხმით განაგრძობს: — ჩვენი გული და მაჯისცემა მარგანეტთანაა დაკავშირებული, რადგან ჩვენი ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ძარღვი მარგანეცია. მიმდინარე წლის გეგმით რამდენიმე ასეული ათასი ტონა მადანი უნდა მივაწოდოთ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეს. მხოლოდ ჩემს მალაროში ბევრი—მუშა-მოსამსახურეა. — კიდევ უნდოდა რაღაც ეთქვა, მაგრამ ამ დროს ელმავლის ხმა მოისმა, ფხალაძემ საუბარი შეწყვიტა და გვირახის კარებს მიაჩერდა. იქიდან მარგანეცით დატვირთული შემადგენლობა გამოვიდა.

ფხალაძე ვაგონეტებს თვალს ადევნებს, მის მზერაში სიამე და კმაყოფილება იხატება. მაგრამ უეცრად სახე შეეცვალა. დასტოვა თუ არა გვირახი უკანასკნელმა ვაგონმა, უფროსს შემფოთება დაეტყო:

— რამდენჯერ გაგაფრთხილეს თქვენ, რომ არ შეიძლება ვაგონეტზე ჯდომა. — შესძახა ახალგაზრდა მუშას, რომელიც უკანა ვაგონეტზე ჩამომჯდარიყო, ფეხები ქვემოთ ჩამოეკიდნა და არხეინად ღიღინებდა. ახალგაზრდა ფიცხლავ ჩამოხტა; ეტყობოდა, რომ თავის შეცდომას მიხვდა. დირექტორმა მრისხანედ შეხედა და „წადიო“ უთხრა.

ელმავალი მეორე მალაროს კარში შესრიალდა და მისი ხმა უკვე შორიდან მოისმოდა.

— ახლა ის მატარებელი საითღა მიემართება? — ვკითხე ფხალაძეს.

— აქ პატარა მალაროა. მისი სიგრძე სულ ნახევარი კილომეტრი თუ იქნება,



მარგანეცის გამოწვლამ და ახლა გზად ეხმარებოდა. აქედან მადანი მეორე მხარეზე გააქვთ, იქ საპაერო ვაგონეტებში ტვირთება და მარგანეცის გამაუხვეებელ ქარხანას ეგზავნება. წამობრძანდით, გაჩვენოთ. იგი პატარა გვირაბისაჲს გაემართა.

საკმაოდ მაღალი და განიერი გვირაბი გავიარეთ და მზით გაშუქებულ ეზოში გავედით, აქ არის მთავარი კანტორა, აქ არის ამ უბნის მთელი ადმინისტრაცია, დირექტორის მისაღები ოთახი და სამუშაო კაბინეტი, საგეგმო განყოფილება, საწარმოო და ტექნიკური განყოფილება, კლუბი, სამკითხველო, სასადილო და სოციალისტური შეჯიბრების დაფები, რომლებზედაც აღნიშნულია მოწინავე გეგმოსნები, მათი შრომის მაჩვენებლებით.

მალაროთა სამმართველოს მალარკომი სისტემატურად ამოწმებს სოციალისტური შეჯიბრებით ნაქის ვალდებულებათა შესრულებას და გამარჯვებულებს გარდამავალ წითელ დროშას აძლევს და საპატიო სიგელით აჯილდოებს.



შედეგად მალარსა და განიერ წოლ-ზერელში, რომლის ორივე მხარესაც, გაყვანილია შტრეკები. შტრეკის დასაწყისში ჰკიდია გამაფრთხილებელი აბრები, რომლებიც უშიშროების წესების დაცვაზე მიუთითებენ.

აღმოსავლეთის გვირაბის გზას დავადექით. განიერი და ნათელი კედლები დულაბებითაა ამოყვანილი, მაღალი თალი კამარად იკრება, დაგებულია რკინიგზის ლიანდაგი, რომელზედაც ლალად დადიან მოზრდილი ელმავლები. შორიდან მოისმის ზარის ხმა, სტვენა და ხმაილადი ძახილი, ყველგან ფუსფუსი და მოძრაობა. შტრეკიდან ელმავალი გამოიზღაწა. ჩვენ გზას ვაძლევთ, ყო-

ველ ათ ნაბიჯზე კედელში გამოკვეთილი ტენილია, მუშები და საერთოდ ყველა შემხვედრი ამ ტენილებში დგებიან და მატარებელს გზას უთმობენ.

გვირაბში მუშაობა კვლავ გრძელდება. მარგანეცის თანმიყოლებით იღებენ და მის გამოწვლად ადგილებზე დაბეტონებული თალი კეთდება, დადულაბებულ კედლიდან სულ ერთი მეტრისა თუ მეტრნახევრის მანძილზე საბურღი ჩაქუჩი ტრიალებს, მეორე ხაზს იღებს და პარალელურად მიჰყვება მეორე ფენას.

კარგა მანძილი რომ გავიარეთ, ერთ სამუშაო ადგილს მივადექით. აქ თაღების გამაგრება მიმდინარეობდა.

— გამარჯობათ. — მიესალმა მუშებს ინჟინერი ზამთარაძე. — ამბაკო თუ დრო გაქვთ, ერთი აქეთ გვეწვიეთ, — მიმართა სამუშაოს ხელმძღვანელს.

ჰალარა, მაგრამ ჯერ კიდევ ჰარმაგო ვაქვაცი სტოვებს სამუშაოს და გვიახლოვდება.

— გაიცანით, ამბაკო ივანეს-ძე მახათაძე. მინიჭებული აქვს საპატიო მალაროელის წოდება და ორგზის ორდენოსანი. — გაგვაცნო ინჟინერმა და ამბაკოს მიუბრუნდა. — აბა, ამბაკო! ცოტა რამ უამბე სტუმრებს წარსული მუშაობიდან.

იმ ცნობებზე მეტი, რაც ჩვენ ხელთა გვაქვს, რაღა უნდა გავიგოთ ამ კაცისაგან? 45 წელიწადი მარგანეცის ნგრევა-ზიდვაში გაუტარებია. უკანასკნელი 21 წლის განმავლობაში ლენინის სახელობის მალაროს არ მოშორებია, ყოველი სახის სამუშაო უგემნია და დღეს მებრძოთა ბრიგადას ხელმძღვანელობს.

შავი ქვის ამკრეფი მანქანა (სკრეპერი) თუხთუხებს, ლევები ჩვეულებრივად შრიალებენ, მანქანის წინა ღინგი მარგანეცს ხვეტს, პირში იყრის, ბაქანზე ტტება, მისრიალებს, შემდეგ ყირა-ჰალას გადადის და ბაქნის ქვეშ შემდგარ ვაგონში პირქვევდება. ამ მანქანის ამოძრავებას ერთი კაცი სჭირდება. წი-

ნათ აქ თხუთმეტი-ოცი რკინის ნიჩაბი ერთმანეთს ეჯახებოდა და ოცი ვაჟაკი მწარე ოფლის ღვრით ავსებდა ხელითა და ცხენით გასაგორებელ ვაგონებს.

რვა კილომეტრი მანძილი გავიარეთ მაღაროში და სოფელ კალაურში გამოვედით. ღამდებოდა, მზე ჩასასვლელად ემზადებოდა.

მაღაროს დირექტორს მანქანა მაღაროს ამ კარებთან გამოგზავნა და გველოდა.

სოფელი პერევისა ხელმარცხნივ დავტოვეთ და დაღმართ-დაღმართ წამოვედით ჭიათურისაკენ. გზადაგზა ბადიები ისევ თავს დაგეტრიალებდნენ. ისინი სწრაფად მისრიალებდნენ და თითო ტონა მარგანეცი მიჰქონდათ.

— მაგათ მარტო მარგანეცი გადააქვთ. ამაზე უფრო საინტერესოა საპაერო გზა, რომელიც ახლახან დამთავრდა. დიმიტროვის სახელობის მაღაროსთან ითხვისისა და დარკვეთის ზეგნები უკავშირდება ერთმანეთს. ამ საპაერო გზას 150 მეტრის სიმაღლეზე რვა-ათი კაცი ორნახევარ-სამ წუთში გადაჰყავს. ეს გზა დიდად უწყობს ხელს მუშაობას. თქვენ წარმოიდგინეთ, ამ მთაზე მცხოვრები ხშირად იმ მთის წვერზე მუშაობს და როგორ შეუძლია მას მუშაობის დამთავრების შემდეგ ყოველთვის შინ წავიდეს? საპაერო გზას კი სამ წუთში გადაჰყავს მუშები. — მიხსნის ჩემი თანამგზავრი.

— არ შეიძლება ვინახულოთ იგი? — შევეკითხე მე.

— ვერ მოვახერხებთ. სამანქანო გზის გაყვანა ჯერ მთლიანად არ დამთავრებულა. ფეხით კი იმ ციცაბოზე თქვენ ვერ ივლით.

შემოვედით ქალაქში. თეატრის ძველ

შენობას გვერდით ჩავუარეთ. „სად არის ის პირველი თეატრი, გადადციქვენი მსახიობები მართავენენ წარმოდგენებს 1902 და 1903 წლებში შეთქი?“ — ვიკითხე. თვითონ მომაგონდა, რომ საღდაც აქვე უნდა ყოფილიყო. ყვირილის პირზე გადამდგარი რესტორანის ქვედა სართულში იმართებოდა წარმოდგენები. ჩემმა გონებამ სწრაფად გადაურბინა ორმოცდაექვსი წლის მანძილს და მომაგონდა ძველი და მაშინდელი თეატრის კორიფეები: ლალო, ვასო, მაკო, ნატო და ბევრნი სხვანი.

ჭიათურის მარგანეცის მრეწველობაში გამოიზარდა ბევრი ინჟინერი, ტრესტის საწარმოო განყოფილების უფროსი ამხ. შ. პაქსაშვილი, ტრესტის მთავარი მექანიკოსი ამხ. გ. ს. კაციტაძე, ტრესტის მთავარი გამაუხვებელი ამხ. კ. პ. ჯინჭველაშვილი და უშიშროების ტექნიკური ინჟინერი ამხ. მ. ი. ფხალაძე.

მარგანეცის ტრესტის მმართველი, მესამე რანგის სამთო გენერალური დირექტორი ამხ. შალვა სპირიდონისძე შეყლაშვილი, სანამ უმაღლეს ტექნიკურ განათლებას მიიღებდა, მარგანეცის მრეწველობაში მენიჩბედ, ამწმენდად და მტვირთავად მუშაობდა.

ბერიას სახელობის მაღაროთა სამმართველოს სამთო დირექტორი ამხ. დ. ერგემლიძე 1921 წლიდან მუშაობდა ამწმენდად და მტვირთავად.

დიმიტროვის სახელობის მაღაროთა სამმართველოს დირექტორი, ჭიათურის წარმოებაში სტახანოვური მოძრაობის ინიციატორი ამხ. სამხარაძე 1923 წლიდან ამწმენდად იყო.

ბერიას სახელობის მაღაროთა სამმართველოს მთავარი გეოლოგი ამხ. ე. ს. შეყრილაძე 1923 წლიდან მტვირთავად იყო.

ლენინის სახელობის მაღაროთა სამმართველოს სამთო დირექტორი ამხ. ა. ვ. ფხალაძე მარგანეცის მრეწველობის მუშათა წრიდან გამოიზარდა.

თუჯის ჩამომსხმელი საამქროს უფროსი ინჟინერი ამხ. გოცაძე, ლენინის სახელობის მაღაროს დირექტორის მოადგილე ამხ. გ. ი. ჩაჩანიძე და სხვა მრავალი თბილისის კიროვის სახელობის ინდუსტრიულმა (ახლა პოლიტექნიკურმა) ინსტიტუტმა გამოზარდა და მშობლიურ მაღაროს დაუბრუნა. ისინი ხალხის გულიდან, მშრომელი ხალხის წიაღიდან გამოსული არიან. მათი მამა-პაპა ნახევარი საუკუნის მანძილზე ქედმოხრილი და წელში გაწყვეტილი ეწევოდა მონურ შრომას და კაპიტალისტთა მძიმე უღელქვეშ გმინავდა.

საბჭოთა სინამდვილეში წელგამართული და გალაღებული მაღაროელი სასწაულებს ახდენს. მან იცის, რომ იგი თავის საკუთარ საქმეს აკეთებს, თავის სამშობლოს იცავს და მასვე ემსახურება.

ახლა წარსულში, როდესაც გამხეცვებული მტერი კავკასიის კარიბჭეს აწვეზოდა და თავისუფალ ხალხებს დედამიწის პირიდან ალგვას უპირებდა, ჭიათურის მაღაროელნი ლომებივით იბრძოდნენ და სამშობლოს უმადლესი ხარისხის მარგანეცს აწვდიდნენ.

მტერი დამარცხდა. გამარჯვებული მეგრძოლნი თავის ქვეყანას დაუბრუნდნენ და დაიწყო საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის აღმავლობა.



ჭიათურის მარგანეცის მრეწველობის საფუძვლის ჩაყრა აკაკის სახელთანაა დაკავშირებული. ეს ჩემი პატარა წერილიც მის ხსოვნასთან დაკავშირებით დავიწყე, მინდა ბოლომდე მივყვე და, ვნახოთ, რით გადაუხადეს ჭიათურამ და ჭიათურელებმა ამ მის პირველ მოამაგეს.

მთლიანი სურათის წარმოსადგენად, თავში ნათქვამს ვიმეორებ: ორმოცდახუთი წლის წინათ ჭიათურა, როგორც

ქალაქი, არაფერს არ წარმოადგენდა, აქ იყო რაღაც შავი ქოხმახეზი, ტალახიანი ქუჩები, რამდენიმე სამიკიტნი, კუჭყიანი სასტუმრო და რესტორანი.

დღეს ჭიათურას სულ სხვა ელფერი აქვს. აღარ ჩანს არც შავი მტვერი და არც ტალახი. მდინარე ყვირილის ორივე მხარეს მშვენიერი შენობები და მოასფალტებული ქუჩები ამკობს. სამხრეთისა და ჩრდილოეთით შეფენილ მის მთა-გორებზე ჩამწკრივებულა წითელი კრამიტით გადახურული სახლები, ხოლო მათს კალთებზე — ლამაზი და განიერი ქუჩები. ყოველი კუთხე, ყოველი ბინა ელნათურების ბრწყინვალე შუქით კაშკაშებს. ქალაქს აქვს ბევრი სხვადასხვა ტიპის სასწავლებელი, მუზეუმი, სამკითხველო და კინო, ჰყავს დრამატიული დასი. უხვად არის საქონლით სავსე მაღაზიები და სხვა საწარმოო არტელები, მას ჰყავს მასწავლებლები, ექიმები, კულტურისა და ტექნიკის დარგის მუშაეები.

საპაეო გზები ზომ სრულიად ანსხევენ სხვა ქალაქებისაგან და განსაკუთრებულ ელფერს აძლევს ჭიათურას.

სადგურის უკან, ყურადღებას იპყრობს ძველი ქართული სტილით ნაგები დიდი, გრანდიოზული შენობა.

ეს არის სახელმწიფო თეატრი. ამ შენობის ფასადზე, გრანიტის ქვით ნაგებ, მოჩუქურთმებულ ვესტიბიულზე მძიმე სავარძლის სახელურზე იდაყვდაყრდნობით ზის ბრინჯაოსაგან ჩამოსხმული კაცი, რომელსაც თავი ხელზე ჩამოუდვია და ხუჭუჭა თმა და მოკლე წვერი უმშვენიებს სახეს.

აღსრულდა ის, რასაც მოხუცი სიჭაბუკეში ოცნებობდა, აყვავდა მთელი მიდამო, მიგრამ თვითონ კი ველარ მოესწრო ამ აყვავებულ ბაღნარში შესვლას.

მადლიერმა სამშობლომ ერთი ძვირფასი ძეგლი კიდევ დაუდგა თავის საყვარელ პოეტს.

ესეც ახალი თეატრი. ასეთ თეატრს არ ითაკილებდა ჩვენი დიდი სამშობლოს არც ერთი დიდი ქალაქი.

ფიქრთა და აზრთა შთამგონებელი ეს საუცხოო შენობა დგას მაღალი მთის ძირში, მის მწვეანით მოსილ კალთაზე შიგნით კეკლუცად მორთული, კოხტა პარტერიით, მრგვალი აივნებით, მბრუნავი სცენით, დარბაისლური ფოიეებით, რაც თეატრს ასე დიდებულსა და სრულყოფილს ხდის.

თეატრის პროექტი ეკუთვნის ინჟინერ-არქიტექტორ კ. ჩხეიძეს, ხოლო მისი მხატვრული გაფორმება — ამხ. რ. სტურუას.

საბჭოთა ადამიანს სულით ამაღლებს და გმირად ხდის ის შუქი, რომელიც მთელ ქვეყანას დაქათქათებს.

ქიათურის მალაროელებს, ქალაქის მუშა-მოსამსახურეებს, უმწიფონ მუშებსა, თუ ხელოვნების მუშაეებს — სხალი მიღწევების სტიმულს აძლევს იმ დიდი ადამიანის სახელი, ვისი მონუმენტიც ქალაქის ცენტრალურ მოედანზე აღმართულა. ვისმა გონებამაც განჭვრიტა ვაცობრიობის მომავალი და საძირკველი ჩაუყარა ახალ ცხოვრებას.

თვითეული ქიათურელი, მიწის მუშა, თუ მალაროელი, სახელმწიფო აპარატის მუშაკი, თუ ხელოვნების მსახური ამ ძეგლთან რომ გაივლის გულში იტყვის: „ღლეგრძელ იყოს შენი სიცოცხლე ჩვენი ცხოვრების ასე შეცვლისათვის, ჩვენი ბედნიერი დღის გათენებისათვის“.

ეს არის საყვარელი დიდი ბელადა, ჩვენი ს ტ ა ლ ი ნ ი.

ენგურის ქალაქი



ენგურის ქალაქის კომბინატის კორპუსებს ცოცხალ რკალად შემოვლებია მარადმწვანე ნაძვები და ევკალიპტები.

პირველადი ტექნიკური პროცესი ხის გამწმენდ და დამპობ საამქროებში იწყება. კოშკის გვერდით გოგირდოვანი სიმკვების დამამზადებელი საამქროა. შეუსვენებლივ მოძრაობს წყალსაქანავი.

იქვე მუშაობს საქვაბე საამქრო.

აი თეთრი შენობა. ადგილი, სადაც ქართული ქალაქი კეთდება.

განიერ ეზოში, ვიწრო ლიანდაგებზე პატარა ვაგონები მიმოჰქრებიან.

სადგურიდან მოეზიდებიან კოლჩედანს, ქვანახშირს, ახალ მანქანა-დანადგარს, სადგურისაკენ მიაქვთ თოვლივით თეთრი რულონები. ყველაფერი ეს — ენგურით ჩამოცურებული ტივის მიღებიდან მზაროდუქციის გაცემამდე — ერთ მთელ პროცესს წარმოადგენს. ერთ საჭეს ემორჩილება. ამ საჭეს მართავს დირექტორი ბესარიონ ჯანაშია. იგი აქ მოვიდა ოცი წლის წინათ. როცა საფუძველი ჩაეყარა წარმოებას.

— სახალხო დღესასწაულად იქცა „ქალაქმშენის“ პირველი დღე, — ამბობს ამხანაგი ჯანაშია. — ჩოხა-ახალუხში საზეიმოდ გამოწყობილ გლეხთა სიხარულს, კახათელ, შამგონელ და რეხელ მშრომელთა აღტაცებას საზღვარი არ ჰქონდა. სახელდახელო მიტინგი გაიმართა. მაისის მზიანი დღე იყო. მო-

ზეიმე ხალხი დაღამებამდის არ დამწვია.

დაიწყა დამაბული შრომის დღეები. აგურს აგურზე აწყობდნენ მუშები, კოლმეურნეები, ინტელიგენტები. მოსახლეობის სიყვარული ქალაქის წარმოებისადმი, იმ პირველ დღეს რომ გამოვლავნდა, შემდგომში გაათვქვდა.

— კვირა დღეს ქალაქის საამქროში უცნობი ქალბატონი კაცი შევაპნინე, — ჰყვება ამხანაგი ჯანაშია, — იგი პირით ქსელისაკენ იდგა და თხელი მასის მდინარებას შესცქეროდა. თივითიყის ყაბაღაში მხრებზე გადაეგდო, მარცხენა ხელი ქამარში ჩაეკლო, ხოლო მარჯვენა ხელით მსუბუქად აწებებოდა შავი ჩოხის ფონზე თეთრად მოლაპლაპე ხანჯლის ვერცხლის ტარს.

ზოგჯერ ოსტატებს, ცვლის მუშებსა და მუშა-ქალებს გადახედავდა და მაშინ საამო ღიმილი გადაურბენდა სახეზე. „ეინ უნდა იყო, თითქოს მინახავს სადღაც“... გამიელვა აზრმა და უმაღვე მომავონდა, ვინც იყო. არ მოველოდი და გვიან ვიცანი. ეს იყო სოციალისტური შრომის გმირი, კახათელი კოლმეურნე ჯოჯო სვირიავა. მივესალმე.

— კარგა ხანია არ მინახავს ჩვენი ქალაქკომბინატი, — მითხრა მან მცირე სიჩუმის შემდეგ, — ბიჭები გაწაფულან და ეს მიხარია ყველაზე მეტად.

მერე ადგილი გადაინაცვლა, მპრუნავ ცილინდრებს ჩაუარა და იქ შეჩერდა,

სადაც ქალაქი რკინის ლერძს ეხვევა, რულონად იქცევა.

ისევ ყმაწვილებსა და დანადგარს შეაჩერდა ჯოგო. ქანდაკებასავით იღვანდებანს. ბოლოს, სახეგაბარწყინებული მოგვიახლოვდა ხელი მავრად ჩამოგვართვა და წავიდა.

„ელვა“ და მისი მებოგბრები

ქართულ მქალაქებში შორის ბევრია წარჩინებული პიროვნება. აქ ერთ-ერთი ყველაზე სახელგანთქმული სპეციალისტია სიმონ ბუჩაკი. იგი ქალაქის საამქროს თვალაა. მის დიდ ავტორიტეტზე ისიც ლაპარაკობს, რომ ის გასული წლის იანვარში ზუგდიდის რაიონის პარტიულმა კონფერენციამ საქართველოს კ. პ. (ბ) მე-14 პარტიული ყრილობის დელეგატად აირჩია.

საყოველთაო სიყვარული დაიმსახურეს კომკავშირებმა: როდიონ ლემონჯავამ, ვალენტინა სოლოვიოვამ, ნაზია კირცხალიამ და ნორა მალრაძემ.

სულ ოცი წლისაა როდიონ ლემონჯავა — წარმოების ტექნოლოგიის საფუძვლიანი მცოდნე ახალგაზრდა. მას მებოგბრებმა ზედმეტსახელად, სასიყვარულოდ, „ელვა“ შეაჩქვეს. ამის საბაბი ის იყო, რომ ჯერ ერთი, ლემონჯავა ყველაფერს ასწრებს, შრომის შემდეგ საღამოს სკოლაში მეცადინეობს, ახალ დღემებსა და კინოფილმებსაც პირველსავე დღეს ესწრება; „ელვა“ უწოდეს ამიტომ და აგრეთვე იმისთვის, რომ მაღალი საწარმოო მაჩვენებლების მოპოვების გამო, მისი გვარი ყოველდღიურად იბეჭდება „ელვის“ ფურცლებზე.

ქალაქკომბინატის მოწყობილობათა ტექნიკოსად მუშაობს დონბასელი ქალიშვილი, კომკავშირელი ვალენტინა სოლოვიოვა, ქალაქ კონსტანტინოვკის მკვიდრი. მას საინტერესო ბიოგრაფია აქვს. ომმა ხარკოვის საინჟინრო ინსტიტუტში მოუსწრო. შეუერთდა პარტიზა-

ნებს. ავტომატით ხელში მუსრს ავლებდა პიტლურთა ჯარის ნაწილებს.

ვალენტინა სოლოვიოვა დღეს საქართველოში საბჭოთა კულტურის საქმეს აკეთებს. მან აქ მრავალი მეგობარი შეიძინა. ქართული ენაც ისწავლა.

ნაზია კირცხალიამ ქალაქის ანალიზის საქმე აქვე შეითვისა და გამოცდები ჩააბარა მთავარ ინჟინერს ფილიპე რამიშვილს. იგი სანიმუშო ფიზკულტურელია. ტებერდამი გავლილი აქვს ალბინისტა სპეციალური წრთვანა. ის საზოგადოებრივ მუშაობასაც ეწევა. მონღერალთა გუნდის ხელმძღვანელია. თვითმოქმედი წრეების დათვლიერებისას მისმა გუნდმა პირველობა მოიპოვა.

ყურადღებას იპყრობენ აგრეთვე რვეულის საამქროს მუშა ქალიშვილი ნორა მალრაძე. ახალგაზრდა მექანიკოსი ი. სმელოვი და სხვანი.

როგორ იბადება ქალაქი

ენგურის ქალაქკომბინატი სვანეთის ტყის ბაზაზე მუშაობს. ხეების ჩამოტყრება ტივით ხდება. მორები ენგურიდან ელექტროდენით მომუშავე თვითმთრევეს ამოაქვს.

10 — 15 ჰექტარზე ერთმანეთზეა მიყრილი რამდენიმე ათასი ხე. მორები საჭირო რაოდენობით იყრება ხელოვნურ ტბაში. აქ მას ასუფთავებენ, ამორებენ ქვიშას და მიწას.

იმ ადგილს, სადაც უკვე ტექნოლოგიური პროცესი იწყება, დამბობი სამქრო ეწოდება. აქ მორს ჯერ დამბალ, უვარგის ნაწილს აჭრიან, ცუდი ხისაგან კარგ ქალაქს ვერ მივიღებთ, სწმენდენ ფიჭვის ნატოტარი ადგილები-საგან, ბოლოს, თითო მეტრზე დაკრილს, ოთხად აპობენ.

აი, მორიგი სამქრო, ჰერმაღალი, ვრცელი. დგას დაბობილი მორების მთა. ყურთა სმენა არაა სრულებით. აქ, დამ-



ნაფოტებელ სამპროში, ტექნიკის ნამდვილი ჭიდილია ხეთა ჯართან.

და ნამუსრევად ქცეული მორები ჰაერის წნევის ძალას ააქვს ზევით, სახარშავ კორპუსებში. ნაფოტებით იესება ძაბრის ფორმის ორი უდიდესი „ბუნკერი“. მათი ძირი შეერთებულია სახარშავი ქვების თავთან. იხარშება ხე, რომელიც თავისებურ „ფაფად“ — ცელულოზად იქცევა. ასორმოცდაათ მეტრზეა გაშლილი ქაღალდის სამპრო. ტექნოლოგიური პროცესი ნედლეულის მოხარშვის შემდეგ საროლერო განყოფილებაში გრძელდება. ვლებულობთ სითხეს. აქ მას ემატება გამათეთრებელი ნივთიერებანი. ქიმიკა თავის საქმეს აკეთებს. სამპროში ვზატყეცილივითაა ვაჭიძული ლითონის ქსელი. შემდეგ მათუდი, ბოლოს დგანან რთული დანადგარები, ცილინდრები, სადაც შრება ქაღალდი. — სითხედ ქცეული ცელულოზა ქსელზე მოედინება დაუსრულებლად, ერთგვარად, რაღაც ზღაპრული თეთრი ნიაღვრის მსგავსად, აქედან ის გადადის საწინებ მანქანებზე, სადაც ქაღალდის ფორმას იღებს. „ნიაღვარი“ თეთრ მათუდზე იწყებს სვლას, იქ ხვდება გოლიათი მშრობელი ცილინდრები და... მოდის ქართული ქაღალდი. მოდის შრიალით — ხალხის, მწერლის, მეცნიერთა გულგასახარად. სამპროს დარბაზის მეორე ნახევარი მთლიანად მზა პროდუქციას უკავია. ქაღალდი ადგილიდან ადგილზე ელექტროამწეებს გადააქვთ. აქვე ხდება დაჭრა-დახარისხება! რულონებს შორის ძლივს ვადის კაცი. სწარმოებს ქაღალდის შეფუთვა.

ენიშუნიასტები

მწოლოდ საათი იტყობინება, რომ შუალამეა, თორემ სამპროში, სადაც კედელიც, ჰერიცა და თვით პროდუქციაც კი თეთრად იმზირება, სადაც უამრავი ადამიანი მანქანებსა და დანად-

გრებს თავს დასტრიალებს, შუალდეა თითქოს.

ცვლა მუშაობას ამთავრებს. მოვიდნენ შემცვლელნი როდიონ ლემონჯავას მეთაურობით. ისინი 30 წუთით აღრე გამოცხადდნენ.

აქ სავალდებულოა: შედეგები ვააცნონ წამსვლელთ, ამოცანები — მოსულთ.

მუშაობადამთავრებულთა შორის არიან: ცვლის ოსტატი ნიკოლოზ ფაცაცია, მექსელე ვლადიმერ ნანაეა, ტექნიკური კონტროლიორი ბარდლა თოდუა და სხვანი.

ადამიანსა და მანქანას არავითარი შეფერხება არ ჰქონია წუხელ. იანგარიშეს. ნიკოლოზ ფაცაცია გამოაცხადა: — ამხანაგებო, პირველობა ჩვენია ვეგმა შესრულდა 180-პროცენტით.

— ეს ყველაფერი მართალია, მაგრამ პირველობას მაინც ვერ მიაღწიეთ. — ვაისმა სამპროში. ყველამ ერთსა და იმავე დროს მიიხედა იქითკენ, საიდანაც ეს მწარე შენიშვნა წამოვიდა.

ქაღალდის რულონზე ტექნიკური კონტროლიორი ლამენათევი ბარდლა თოდუა გადაწოლილიყო.

— პირველი ხარისხის ქაღალდი ოთხმოცი პროცენტი ხომ უნდა ყოფილიყო? თქვენ სამოცდაცხრამეტი გამოვივიდათ.

ეს „სამოცდაცხრამეტი“ დამარცვლით, ხაზგასმითა და გამომწვევად იყო თქმული.

პასუხი არავის გაუცია. მექსელე ნანაევამ ქაღალდის ნაჭრებს სტაცა ხელი და ტექნიკური კონტროლის კუთხისაკენ გაექანა. პაწია სასწოროს თეფშზე მარცვლისოდენა საწონები დააწყო და ქაღალდი ასწონა. მერე, ფანქარმომარჯვებულმა, იმავე ქაღალდზე გამოიანგარიშა ფაცაციას და სხვათა თანდასწრებით. სამოცდაცხრამეტი მთელი და შეიდი მეთადი პროცენტი გამოუვიდათ. ატყდა ხმაძალი ლაპარაკი.

დავა აღმათ დიდხანს გაგრძელდებოდა, რომ ლაბორატორიისათვის არ დაერეკნათ. ლაბორანტმა ნაზია კირცხალიამ მაშინვე მიიჩინა. ყველამ იცის, რომ მისი დასკვნა საბოლოოა. მან სასწრაფოდ აიტანა საჭირო მასალები ლაბორატორიაში, მეორე სართულზე და, როცა დაბრუნდა, ფაცაციას ცვლამ თითქოს სუნთქვა შესწყვიტა, ყველანი მოსულს მისჩერებოდნენ. მან ახალგაზრდებს გადახედა და სთქვა:

— ტექნიკურ კონტროლიორს სწორად უნდა გარჩინო. პირველი ხარისხის ქაღალდი გამოშვებულია სამოცდაცხრამეტი პროცენტის რაოდენობით.



მებრძოლებივით ჩამწყრივდნენ კომკავშირლები. ისინი ქსელის, მაუდის, ცილინდრების გასწვრივ და ცალკეულ მანქანათა რეგულატორებთან იდგნენ. შეუფერხებლად გადის ქაღალდი ყველა პროცესს. ხედავ ამას და გიხარია, რომ ყველაფერი რიგზეა, რომ შენს თვალწინ იზრდება სახელმწიფოს ქაღალდის ფონდი.

სუერცივ მოსწყდა ადგილს ლემონჯავა. იმარჯვა, თვალი გაუსწორა მომქმედ დანადგარს, ხელი შეჰყო ლაბორანტებში — მანქანათა და ცილინდრთა შორის. იჭერს ქაღალდის ნაფლეთებს და ჰყრის, იჭერს და ჰყრის. ფუჭად ტრიალებს ბოლო ლერძი. დახვევა არ სწარმოებს. რა მოხდა? ქაღალდი გაიხა და ვერ აღწევს უკანასკნელ საფეხურამდე. საჭიროა გამთვლება.

გამთვლებას პირველ წლებში 30 — 40 წუთი სჭირდებოდა. მანქანათა გვერდით ჰერამდე დახვეადებოდა ქაღალდის ნაფლეთები. ასეთი ქაღალდი მთლად არ იყარება, მას ისევ იყენებენ, მეორეჯერ აქცივენ ცელულოზად — ხის „ფაფად“.

ლემონჯავა დახელოვნებულია. მან ერთ წუთში აღადგინა მდგომარეობა. ისევ შეუფერხებლად გადის ხეღულული ყველა პროცესს. ისევ თავის სიმალღეზეა ღამის ცვლა.

ბრძოლა მაღალი ხარისხის მაღალდისატივის

ქაღალდის მაღალი ხარისხისათვის ბრძოლის საკითხი პარტიული ორგანიზაციის ბიუროს (მდივანი ბ. ესართია) მსჯელობის საგნად იქცა.

იმ ახალ წარმატებებთან დაკავშირებით, რაც სოციალისტური კულტურის სფეროშია მოპოვებული, ყოველდღიურად იზრდება ქაღალდის მოთხოვნილება. პირველი პროდუქცია ენგურის კომბინატმა ჩვენს ქვეყანას 1939 წლის 25 იანვარს მისცა.

ღროის ამ მანძილზე წარმოებამ ისე ამაღლა ხარისხობრივი მაჩვენებლები, რომ ბოლოდროინდელი პროდუქციის შედარება პირველი გამოშვების ქაღალდთან თითქმის შეუძლებელია.

— ამ ფაქტით თავს ვერ დავიმშვიდებთ, — განაცხადა ბ. ჯანაშიამ. — საზიანო იქნებოდა საქმისათვის, რადგან სურათი მკვეთრად იცვლება, როდესაც ერთმანეთის გვერდით დავაწყობთ ენგურისა და პემზის ქაღალდებს.

არაერთხელ აღნიშნულა, რომ მომხმარებელს ქაღალდი ჯერ კიდევ ვერ აქმაყოფილებს.

მართალი იყვნენ საქართველოს პოლიგრაფიული მრეწველობის მუშაკები, როდესაც მათ პრინციპულად დააყენეს საკითხი — თუ ხარისხს არ გააუმჯობესებთ, უარს ვიტყვით ენგურის ქაღალდზე, რომელსაც ღრუბლიანობა, მოუხეშაობა, გამჭირვალობა და ასორტიმენტის დაუცველობა ახასიათებს.

ქართველმა მექაღალდეებმა არამართო მიიღეს ეს სამართლიანი შენიშვნა, მათ პრაქტიკული ნაბიჯიც გადად-



გეს პროდუქციის ხარისხის ასამალ-
ლებლად.

ჩატარდა მანქანა-დანადგართა კაბი-
ტალური რემონტი ტექნიკური მოწყო-
ბილობის მოდერნიზაციის მიზნით. საამ-
ქროებში სანიმუშო სისუფთავე დამ-
ყარდა. დასუფთავდა ცელულოზი და
წყალი. მუშათა კოლექტივმა სასტიკი
ბრძოლა გამოუცხადა წუნს.

თვით ბ. ჯანაშია გამოვიდა წუნმდებ-
ლის როლში. მუშები, ცვლის ოსტატე-
ბი, მექსელეები, მშრობელები, დამხა-
რისხებლები, ცელულოზის მხარშავები
და ზეინკლებიც კი ნათლად ხედავდნენ,
რომ წარმოების დირექტორი არავითარ
დათმობაზე არ მიდიოდა. ბესარიონ ჯა-
ნაშიამ პირველ დღეებში მზა პროდუქ-
ციის 20 — 25 პროცენტი წუნად ჩას-
თვალა და უკან დააბრუნა.

ადამიანები დარწმუნდნენ თავიანთ
სიძლიერესა და იმასი, რომ შეუძლებე-
ლი არაფერია, რომ საუკეთესო ხარის-
ხის ქაღალდის გამოშვება შეიძლება,
როცა წარმოების კულტურა მაღალია და
ადამიანები თავიანთი მოწოდების სი-
მაღლეზე დგანან.

ენგურის ქაღალდის შემქმნელთ ამ
ღიღ საქმეში დახმარების ხელი გაუწო-
დეს ლენინგრადის უმაღლესმა ტექნი-
კურმა სასწავლებლებმა და სამეცნიერო
დაწესებულებებმა. მაგალითად, ენგურ-
ში თავიანთი მეცნიერული ძალები მოა-
ვლინეს: ლენინგრადის მოლოტოვის
სახელობის ტექნოლოგიურმა ინსტიტუ-
ტმა, კიროვის სახელობის სატყეო-საგა-
მოკვლევო ინსტიტუტმა. განსაკუთრე-
ბით დიდი მუშაობა ჩატარეს ტენიკურ
მეცნიერებათა კანდიდატებმა, დოცენ-
ტმა ვ. ა. გრამოვსკიმ და პ. გორსკიმ.

ლენინგრადელ მეცნიერ-მუშაკთა ხე-
ლმძიანელობით გატარდა მთელი რიგი
ღონისძიება ქართული ქაღალდის ხა-
რისხის ასამალლებლად. და უნდა ითქ-
ვას, რომ ამ უკანასკნელ ხანებში უკვე

იგრძნობა ხარისხობრივი მნიშვნელებლ-
ბის გაუმჯობესება. ენგურის ქაღალდ-
კომბინატში მომავალში არ იქნება დამ-
ყვებული გეგმის გადაქარბებით შეს-
რულება მეორე და მესამეხარისხოვანი
ქაღალდის გამოშვების ხარჯზე. ამის
პირობას იძლევიან სახელგანთქმული
მექსელე, კომუნისტი სიმონ ბზიკაძე,
მისი მეგობრები, მექსელეები: პ. ახა-
ლაია, და ვ. ნანავა, ცვლის ოსტატები—
ნ. ნადარია და ტ. გვაჯავა, ქაღალდის
მშრობელი როდონ ლეონიჯავა, ქა-
ღალდის დამხარისხებლები — ე. დამე-
ნია და ვ. ფურმანი, ცელულოზის მხარ-
შავი ი. ძიძიგური, რვეულის საამქროს
მხაზავი მ. თოდუა, რვეულთა მკერავე-
ბი: დები პოლინა და პაშა კონოვალენ-
კოები და მექანიკური საამქროს ზეინკ-
ლები — ლ. პეტროვი და ი. ივანოვი.

გაჩაღებულია სოციალისტური შე-
ჯიბრება. წინ არიან ოსტატ ნიკოლოზ
ნადარაიას და მექსელე სიმონ ბზიკაძის
ბრიგადები.

უზუცეს მითივისთან

სოფელ ჯვარის ზედ თავზე დაწყურებს
გორაკებისა და პატარა მთების პირვე-
ლი გრებილი. ამ მიდამოში — ლაკადა-
ში — თავდება სამეგრელო და იწყება
სვანეთი. მთის უკან მეორე მთის მწვერ-
ვალი მოჩანს.

აქ — ჯვარში, გავიციანი უზუცესი
მეტევე ნიკო აკობია. საშუალო ტანის
კაცმა, ნაბდის ქუდიანმა და ნაბაღშივე
გახვეულმა მოსიყვარულე, დაუბერე-
ბელი თვალი თვალში გამიყარა.

ნიკო აკობია, რაც ის ქვეყნად გაჩნ-
და, სულ მთისა და მდინარის პაერით
სუნთქავს. აქ დაბადა და აქვე დარჩა.

ის მხოლოდ რამდენიმე დღით სტო-
ეებს ამ შესანიშნავ ადგილს — ბუნების
მეორე ნაჭარგ ზღაპრულ პეიზაჟს. ეს
ხდება ზაფხულში, როცა ტივოსნობა
იწყება. აახალგაზრდაეებს, ძალას მა-

ტებს ეს მალღობები, ტყეთა უსასრულო არე და მთის თუმცა იშვიათი, მაგრამ საოცარი ღუმელი.

მე და ნიკო აკობია ქვეითად მივდივართ სვანეთის სამანქანო გზით. გავცდით მაგანას. ნელა მიედინება ვერცხლისფერი მდინარე და ორასი მეტრის ქვემოთ ერთვის ენგურს.

მაგანა ყოველთვის ასე ღუნედ როდი გამოიყურება. ის უნდა ნახოთ გაავდრებისას, როცა მიღამოს მეზის გრიალი აყრუებს და ფერღობებიდან ნაკადულები ძირს შხულით ეშვებიან. მაშინ აღისფერ ტალღებად ქცეული მაგანა მიგრგინავს აღვირახსნილი და გზაზე არ სტოვებს არაფერს: არც ხეს, არც ლოდს. მიარღვევს ასეთი დროისათვის მისსავე დასაკავებლად გაკეთებულ არტახ-ჯებირებს. რამ გააწითლა მაგანა? სადღაც ირეცხება წითელი მიწა. შორიდან ეს დინება ისე მოჩანს, თითქოს მთის კალთებს არშიებად წითელი ლენტი ჰქონდეს შემოვლებული.

მალღობზე ასული ნიკო მაცნობს ჯვარის გარშემო მდგარ პატარა მთებსა და გორაკებს: ლეშამგესა და ოხაჩქუეს, წულიშსა და გვანდრას. მაცნობს და მიხასიათებს მათ. ჩავხედეთ ენგურს, სადღაც ძირს, ასი მეტრის სიღრმის ბუნებრივ კალაპოტში ჩამდგარი ლურჯად მოკამკამე დაუდგრომელი მდინარე დღეს ნელი, ჩუმი შხულით მიიკვლევს გზას. ღუმელია ირგვლივ. ენგურის ნელი ხმაური ამ ციცაბო ნაპირებამდე ვერ ამოდის. ჯერ არ მოსულა ლანქერი. ის საცაა მოვა და მაშინ წავა აქედან სიჩუმე. მალე ჩაყრიან ხეებს ენგურში: მესტიაში, ჭუბერში, ლატარაში. არ დააყოვნებს ნიკო აკობია. შეპკრავს ტივს და, კომკავშირულ მეტივებთან ერთად, სიმღერითა და ალტაცებით წამოვა. ქალაღკომბინატისაკენ. ისევ ჩაისუნთქავს მდინარის ჰაერს, ისევ ითევზავს კალმასზე. ბეჯითად შეკრული ტივის ორთაყვირებს მარჯ-

ვედ ჩააელებენ ხელს ჩიკოყვეთბის აღზრდილი უშიშარი შეტყვევებნიძარსენა, ვლადიმერ და ვარლამ ქარდავები, ამბროსი აჭბარდია, პლატონ უბილავა და მიხეილ შამუგია. სვანეთის ტყეებში მოჭრილ ხეთა ჯარი მდინარე ენგურით ზუგდიდისაკენ დაიძვრის.

ერთ ტივად იკვრება ოცდახუთ-ოცდაექვსი კუბური მეტრი ფიჭვი.

მარტო ნიკო აკობიას სეზონში ორ-მოცდახუთი ასეთი ტივი ჩაჰყავს კომბინატში. გარიერაყისას ჯვარიდან დაეცურებული ტივი ზოგჯერ დილის ცხრა საათზეა აღვილზე. ეს კარგ პირობებში. მაგრამ არის შემთხვევები, როცა ამ მანძილის გავლას ოცდაოთხი საათი და ზოგჯერ დღეებიც სჭირდება. აქ მთავარია ამინდი. მეტივეებს სიძნელეებთან უხდებათ ბრძოლა ნისლსა და ქარიშხალში.

ტივი სოფელ რუხის კოლმეურნეობის პლანტაციებს ჩაუჭროლებს, შემდეგ გაივლის კიდევ მცირე მანძილს და ნიკო აკობია გახარებული წამოიძახებს: — კოშკი.

ეს — ცელულოზის ქარხანა გამოჩნდა.

ისევ წინ

ქართული ქალაღდის „ჩამომსხმელნი“ ისევ წინსვლის იდეით არიან გატაცებული.

გადაჭარბებით შესრულდა 1949 წლის გეგმა. ახალი წლის დასაწყისში კომბინატმა სსრ კავშირის სატყეო და ქალაღდის მრეწველობის მინისტრის — ოროლოვის დებეშა მიიღო. იძლევიან დავალებას: გარკვეულ რაოდენობამდე გადიდდეს ქალაღდის გამოშვება.

აუჩქარებლად წაიკითხეს დებეშა ბესარიონ ჯანაშიამ და ვიქტორ ესართიამ. მოითათბირეს. ტელეფონით დაუკავშირდნენ პარტიის რაიონულ კომიტეტს. 10 საათზე აქტივი თავმოყრილი

იყო დირექტორის კაბინეტში. აქ იყვნენ: მთავარი ინჟინერი ფილიპე რამიშვილი, ინჟინერი ტერენტი ყუფუნია, დირექტორის მოადგილე სპირიდონ გეთია, ელექტროგანყოფილების უფროსი პოლიკარპე მესხია, სატრანსპორტო განყოფილების უფროსი პეტრე ქებურია, კომუნალური განყოფილების ხელმძღვანელი ილია ესართია, პროფკავშირის თავმჯდომარე ნ. ჩაიბია, ნედლეულის ბირჟის მუშაკთა წარმომადგენელი — ძველი ბოლშევიკი გაიოზ ფიფია. ესწრებოდნენ აგრეთვე საამქროების უფროსებიც.

წამოდგა ჯანაშია. წაიკითხა ორლოვის დეპეშა და შემდეგ განაცხადა:

— უდიდესი ტირაჟით იცემა პოლიტიკური და მხატვრული ლიტერატურა. საჭიროა პროდუქციის გამოშვების კიდევ უფრო გადიდება. მეტი ქაღალდი ქვეყანას! — ისმის სტახანოველთა ხმა ბალახნოდან, ლენინგრადიდან. ჩვენც უნდა გავყვეთ მათს გზას. ქართველი შექაღალდეების სახელი ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც არის ცნობილი. სახალისის ქაღალდის კომბინატში, შარშანწინ, სამი წლის ვადით მივაგლინეთ დასახმარებლად ქართველ შექაღალდეთა ბრიგადა: ვალერიან მაქაცარია, ივანე ფარცვანია, პარმენ ბაღათურია, პროკოფი ახალაია და სხვანი. ისინი შო-

რეულ აღმოსავლეთში, კემენიან, ქაღალდს: გუშინ მე და ამხანაგმე დირექტორ ესართიამ მივიღეთ სახალისის ქაღალდ-კომბინატის დირექტორის წერილი. იგი მადლობას უთვლის ჩვენს პარტიულ ორგანიზაციას დასახმარებლად საუკეთესო ყმაწვილების გაგზავნისათვის. ახლა, როგორც დეპეშის შინაარსიდან გაიგეთ, ახალი ამოცანები დგას ჩვენ წინაშე. დარწმუნებული ვართ, რომ სსრ კავშირის სატყეო და ქაღალდის მრეწველობის სამინისტროს მოთხოვნა გადაჭარბებით შესრულდება.

სპეციალისტებმა და საამქროთა უფროსებმა დაადასტურეს სრული მზადყოფნა ახალი დავალების გასანაღდეზღად. დამთავრდა მოკლე, მაგრამ ფრიალ საქმიანი შეკრება. თათბირის მონაწილენი მზეზე გავიდნენ. ნათელი, თბილი ამინდი იდგა. გაისმა კომბინატის საათის რეკა. შუაღღე იყო.

ენგურის ქაღალდის შემქნელი ახალგაზრდები სწრაფი ნაბიჯით შედიოდნენ თავიანთ საყვარელ საამქროებში. ურთა და სათანჯო ლურჯი ცის ფონზე ნათლად მოსჩანდა. ღრუბლის ნასახიე არ იყო ცაზე. ადგილიდან აფრენილმა თვითმფრინავმა გუგუნით გადაგვიარა თავზე. ცის ხომალდი სწრაფად მიარღვევდა ჰაერის ტალღებს და მიჰქროდა ჩრდილოეთისაკენ, მოსკოვისაკენ.

ვილიამ ზეჰსპირი

სონეტები

★

ჩემს ლექსებს უკვე აღარ დაჰკრავს სიახლის ფერი,—
მოულოდნელად ვერ ვახერხებ. ფერისცვალებას,
ცამთა ცვლილების შესაფერად ველარა ვმღერი,
ველარ ვმოულობ ახალ ზერხს და საშუალებას.
ერთს და იმავეს გავიძახი და ჩემს შველ სახეს
გამოგონილი ვერ მიფარავს კვლავ საბურველი;
ყოველი სიტყვა თითქოს ამბობს ჩემსავე სახელს
და ნატრობს მასვე, რისიც აღრე იყო მსურველი;
იცოდე, ჩემო საყვარელო, მარადის შენთვის,
შენი ტრფობისთვის დამითმია თავი სრულიად,
შენ გწერ, შენზე ვწერ, ძველ სიყვარულს ახალი ერთვის
და ვხარჯავ იმას, რაც აღრევე დახარჯულია.

შუეც ხომ ყოველდღე ახალია და მაინც ძველი,
ტრფობისებრ ძველი და მაინც კი სიახლით მწველი.

★

შენს მკერდში ფეთქავს სიყვარულით ყველა ის გული,
ვინც გულს დამაკლდა და ამიტომ მეგონა მკვდარი,
შენს სახეშია იმ სახეთა ნაკეთები სრული,
ვინც ჩემი ფიქრით გამოაღო სამარის კარი.
რამდენი წმინდა და მორჩილი ცრემლები ეღვარე,
როცა თვალთაგან მიმეფარა მათი ხატება,
მაგრამ კვლავ თითქოს მოტრიალდა სიყვდილის მხარე
და მომეღვინა შენში მათი გამოცხადება.
შენ ხარ სამარე, სადაც ტრფობა არის დაფლული,
სადაც სამყოფლო ჰპოვა ყველა ძვირფასმა სახემ,
მათ დაგილოცეს სიყვარულის დავლა ზღაპრული, —
ყოველი ნაკეთი თავმოყრილი მე შენში ენახე.

შენს სახებაში მათი ხატი აღმიდგენია
და რაც მათია — ყოველივე ჩემი — შენია.



დაპირებულ დღეს მოველოდი შევენებით საესეს —
 უმოსასხამოდ გამოსულმა დაეტოვე სახლი,
 მაგრამ ავღარი დამეწია უეცრად გზაზე
 და სილამაზე დამიბურა ღრუბელმა მალლით.
 თუმცა შემდეგ ისევ გამინათე ღრუბლის საღამო
 და ავღრით ნაცემს ჩამომწმინდე სახიდან წვიმა,
 მაინც არ იყო განმკურნელი ჩემი მალამო, —
 რითაც შენ დამპერ, ვერ უშველის მალამო იმას.
 არც ეგ წუხილი დაედება წამლად ჩემს სევდას —
 თუმცა შენ ნანობ, აღარ დარობს აწ ჩემთვის დარი:
 თავის მჩაგვრელის სინანულში შევებას ვერ ხედავს,
 ვინც უნდა მძიმე დამცირების ატაროს ჯვარი.
 მაგრამ შენ ცოდვა მარგალიტის ცრემლებით დაგმე
 და ტრფობის წვიმამ გადარეცხა ცოდვილი საქმე.



შენი ბრალია განა, თუ კი ძვირფასი ჩრდილი
 აესებს ჩემს თვალებს თეთრი ღამის გამოცდილებით?
 შენი ბრალია, თუ ყოველამ მიტყდება ძილი
 და შენი მსგავსი თამაშობენ ჩემს წინ ჩრდილები?
 შენი სულია, შორიდან რომ იღუმალ მოდის,
 ჩემს საქმეებში და ზრახვებში ჩუმიდ ერევა,
 რათა ამხილოს სამარცხვინო ცხოვრების შფოთი
 და ჩემი უქმი საათების ბედნიერება?
 ო არა! შენი სიყვარულის არც ღირს ხსენება,
 დიდი ხანია ჩემმა ტრფობამ მოილო ძლევა, —
 ჩემი გრძნობაა, რომ არ მაძლევს მე მოსვენებას
 და ძილგამკრთალი შენი ჩრდილის გუშაგად ვყევარ.
 შენს ჩრდილს ვდარაჯობ ძილგამკრთალი და შენთვის ვნაღვლობ,
 შენ კი შორს ფხიზლობ — ჩემთვის შორი, სხვებისთვის აბლო.



ორი საწყისი — ჰაერი და ცეცხლი მგზნებარი —
 შორსაც რომ ვიყო, ორივენი შენთან არიან,
 ჩემი ფიქრია და სურვილიც ჩემი ეგ არი —
 ორივე შენსკენ გაშმაგებთ მოიჩქარიან.
 როდესაც წავლენ სიყვარულის ელჩები შორი,
 რათა გეახლონ მორიდებით შენი მნახველი,

ოთხივე ჩემი საწყისიდან მე მრჩება ორი
 და ჩემს ცხოვრებას ეუფლება მიძიმე ნაღველი.
 და ვიდრე შენგან დაბრუნდება ორივე ელჩი,
 დამძიმებული ვსევდიანობ და დავალ ობლად,
 დამიდგებიან კვლავ ელჩები უეცრად გვერდში
 და მახარებენ შენს სიყვარულს და კარგად ყოფნას.
 ვიხარებ მაშინ, მაგრამ შენსკენ ვაბრუნებ მყისვე
 და ვიძირები მათ მოსვლამდე ნაღველში ისევ.



როგორც ვტყუვდებით, თუ ამ ქვეყნად დავეძებთ ახალს
 და რასაც ვბოვებთ, თუ ის უკვე აღრეც ყოფილა,
 როგორც ამაოდ მივეცემით ფიქრსა და ზრახვას,
 რომ ვშობოთ იგი, რაც დიდი ხნის წინათ შობილად
 ნეტავ შეეძლოს მატთანეს წარსულის შიგნით
 მზისგან ხუთასჯერ შემოვლილ წრეს უკანვე გაყვას,
 გადამიფურცლოს ძველისძველი ეამთასვლის წიგნი
 და დამანახვოს მასში შენი პირველი სახე.
 მაშინ ვნახავდი, რას იტყოდა ძველი ქვეყანა
 იქ ჩახატული საოცრების შენის მნახველი,
 უპირატესი ჩვენი ყოფით ეგებ ეხარა,
 ან უცვლელების დაერქმია ჩვენთვის სახელი.
 ერთი კი მჯერა, რომ ძველების მკაცრი გონება
 შენზე უმცირესს აქებს ხოლმე და ემონება.



მიჯობს ახლავე შემოძლო და არა შემდეგ —
 ახლა, როდესაც წინ აღმიდგა ქვეყანა მთელი;
 იმ ბედისწერას შეუერთდი, რაც მქონდა დღემდე
 და ნუ იქნება შხამის წვეთი უკანასკნელი.
 და როცა გულად დაუსხლტება სიმძიმის ფრთხილად,
 მაშინ არ ჩამცე ვერაგულად ზურგში მახველი,
 ავდრიან დამეს ნუ მოუტან წვიმიან დილას, —
 არ გააგრძელო დამეული ქარის ძახილი.
 და თუ დამტოვებ, უკანასკნელ წუთში კი არა,
 როცა უძლური მნახო წვრილმან კირთა მხილველი,
 ახლავე წადი: უმძიმესი ჩემი იარა
 მინდა მივიღო როგორც ბედის რისხვა პირველი.
 და რაც კი კირთ ბედისწერას ჩემთვის ენება,
 ის ამის შემდეგ თითქმის ღზინად მომეჩვენება.



ვერსად წამიხვალ, უნდა ასე ბოლომდე გღვედე,
ჩემს სიცოცხლეში გამყოფებდე ჩემსავე მკერდთან.
ალარც სიცოცხლე გაგრძელდება ტრფილის შემდეგ
და გათავდება სიყვარულის გრძნობასთან ერთად.
რად შეშინოდეს უარესი უბედურების,
თუ უმცირესით ეს სიცოცხლე მაინც თავდება!
მაგრამ მე მაინც ჩემს ბეჭილბალს არ ვემღურები —
შენი გუნებაც ვერ დადგება ბედის თავდებად.
შენ ვერც ღალატით ჩამალამებ მწუხრის ფერებად,
თუმცა სიცოცხლე ჩემი მაინც შენზე ჰკიდია;
შენთვის სიკვდილში მე ვიპოვი ბედნიერებას,
ეს სიყვარული სიკვდილზედაც უფრო დიდია.

ქვეყნად ყოველი მცირედ მაინც არის ბედკრული:
ვინ მეტყვის ამ წუთს, რომ მართლაც ხარ ჩემი ერთგული?



„არ გიყვარვარო“, შენ მითხარი ეს საყვედური,
მას, ვინც ივიწყებს შენზე ფიქრში საკუთარ თავსაც?
ნუ თუ არ ვიბრძვი შენს მხარეზე მე უბედური,
რომ გამარჯვება დაგრჩეს ჩემი დაცემის ფასად?
განა მეგობრად მივიჩნიე ის, ვინც შენ გძულდა,
ან მივეფერე, გულისწყრომით ვისაც დაპყრებ?
თუ მთავარდები, განა ჩემს თავს არ ვციცხავ მულამ,
რომ უსამართლო შენი წყრომა დაემსახურე?
ან ღირსებებით ზვიადობა განა მჩვევია,
რომ სამარცხვინოდ მიჩნდეს ყოფა შესაბრალები?
თვით შენი ცოდვა სათნოებად მიმიჩნევია
და მბრძანებელად — მოძრაობა შენი თვალების.
მტრობის მიზეზიც მოთმინებით ამიტანია:
თვალხილულთ წყალობ, მე კი ბრმა ვარ დიდი ხანია.



ხედავ, რიყრაყი თავს მაღლა სწევს აღმოდებული,
ყოველი თვალი უმზერს ნათლის ამობრძანებას,
ყოველი არსი საღამს უთვლის ალტაცებული
და მის ღეთაებრივ სახეს კრძალვით ეთაყვანება.
როგორც ცხოვრების შუადლისას ჰაბუკი მძლავრი, —
არ ერიდება მშუა ციდან თავის ჩვენებას,
ოქროს ეტლიდან გადმოგვეცქერის ციური მგზავრი
და მოკვდავ თვალებს ტრფობით ავსებს მისი შვენება.



მაგრამ, როდესაც უმაღლესი ზეციდან იგი
ძირს დაეშვება და ვერ ფარავს დაქანცულ ძალებს,
მისნი მსახურნი იბრუნებენ სახეებს იქით,
თვალს არიდებენ და სხვა მხარეს აპყრობენ თვალებს.
შენც ასე წახვალ, შუადღის ეამს მისებრ ძლიერო,
თუ არ დასტოვე ქვეყნად ვაჟი სამაგიერო.



როცა იფიცავს ჩემი სატრფო სიმართლეს თვისას,
მე შეგერა მისი, თუმცა ვიცი სტყუის ნამდვილად,
თან გამოუცდელ ყმაწვილად მთელის — ამასაც ჰფიცავს —
ვინც ამქვეყნიურ სიყალბეთა გარე გაზრდილა.
ერუ მეტყველებით ახალგაზრდას თუმც დამამგვანა,
იცის: დაეტოვე სიკაბუჯე წარსულის არეს.
მეც ვერწმუნები სატრფოს ნათქვამს, და სულ ამგვარად
ქეშმარიტება გვეყარგება ორივე მხარეს.
განა ის იტყვის რომ მართალი არ არის მართლაც?
განა მე ვიტყვი, რომ მართლაც ვარ უკვე ბებერი?
ტრფიალს სჩვევია ასე ნდობა და წლების გათქმაც
ხანდაზმულობას სიყვარულში აღარ შეფერის.
ვატყუებთ ერთუტოს მიჯნურები კეთილშობილი
და ამ სიტყუით ორივენი ვართ კმაყოფილი.



არ დაიჯერო, თითქოს ჩემი თვალები შესცდნენ,
ათასი ნაკლის წინ საოცრად დაბრმავდნენ ასე;
ჩემი გულია ის, რომელსაც უყვარხარ ესდენ,
ვისაც გიჟური სიყვარული სიამით ავსებს.
არ დაგიპყრია ჩემი სმენა ლამაზი ენით,
ნაზი შეხებით წაქცეულიც ნუ გეგონები,
არც ჩემი ყნოსვა მოხიბლულა, იცოდე, შენით,
და არ მიზიდავ სატრფილოდ არც გემოვნებით.
მაგრამ უძლური აღმომაჩნდა ზუთივე გრძნობა
და ერთი ბრიყვი გული ველარ მოექცა გონად,
დამაყარგვინა კაცის სახე, სირცხვილის ცნობა
და შენს ამაყ გულს მორჩილებით დაუდგა მონად.
მაგრამ ეს ჳირი მაინც მაძლევს ერთადერთ იმედს:
მძიმე ცოდვისთვის მაჯილდოვებს ტყვილით მძიმედ.

სანდრო შანშიაშვილი



სანდრო შანშიაშვილი თანამედროვე საბჭოთა მწერლობის იმ თაობას ეკუთვნის, რომლის გამოსვლაც სამწერლო ასპარეზზე 1905 წლის რევოლუციის ქარიშხლიან დღეებს დაემთხვა. ამ რევოლუციურმა ეპოქამ ამ თაობის შემოქმედებაში შეიტანა თავისი ძლიერი ოპტიმისტური ნაკადი, რომელიც რეაქციის შეებნელმა ჩანამ ვერ დაჩრდილა. სანდრო შანშიაშვილის პირველი ლექსი 1905 წელს დაიბეჭდა. ამ წელს დაბეჭდილი ლექსები ჩვენი ხალხის გამარჯვების ნათელი რწმენით არის შთაგონებული. ეს რწმენა ის ნათელი სხივია, რომელიც ს. შანშიაშვილის ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე შემოქმედებას ხალხის გამარჯვების იმედით ანათებდა. ს. შანშიაშვილი თავისი პირველივე ლექსებით ამ რწმენით უმღეროდა ხალხს:

„შეოკრებით ერთად,
დასძახეთ მედგრად,
თავი გაეწიროთ,
მსხვერპლი შეეწიროთ
და მოვიხადოთ მით ჩვენი ვალი.
ურმანო, მებრძოლნო, აღმართეთ ხმალი“.

1905 წლის რევოლუციის საამო დღეების ძლიერი შთაბეჭდილებანი პოეტს მისი შემოქმედების მთელს მანძილზე შერჩა. პოეტს წამდა, რომ ხალხს, ამხედრებულს და ამბოხებულ ხალხს შეუძლია ბრძოლით წალეკოს „ურიცხვი მტერი“ და დაიმკვიდროს თავისუფლების დიადი დღეები.

მაგრამ რეაქციის, იმპერიალისტური ომისა და მენშევიკების ბატონობის შეებნელმა ხანამ თავისი დალი დაასვა შანშიაშვილის ამ ოპტიმისტურ გზას და ისევე, როგორც ამ პერიოდის ცნობილი პოეტების — გ. ტაბიძის, ი. გრიშაშვილის, ა. აბაშელისა და სხვათა შემოქმედებაში, შანშიაშვილის შემოქმედებაშიც თავი იჩინა წვრილბურჟუაზიული უიდეობის, სევდისა და მისტიკის განწყობილებამ. ხშირად ეს განწყობილებანი უკიდურეს სიმბოლისტურ-მისტიკურ შეხედულებებში პროლობდა გამოხატულებას. ამიტომ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა პერიოდის ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში ნათლად ჩანს ორი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოტივი: ერთი მხრივ, მეცხრამეტე საუკუნის ქართული კლასიკური მწერლობის მოწინავე ტრადიციების განვითარება, საზოგადოებრივ-სოციალური საკითხებით დაინტერესება, ეროვნული და სოციალური მოტივები, მეორე მხრივ, ბურჟუაზიული-სიმბოლისტური სკოლის გავლენა — მისტიკის, სევდის, ცხოვრებისაგან განდგომის მოტივებითა და თემებით. ასეთი ერთმანეთის საწინააღმდეგო მოტივები ახასიათებდა შანშიაშვილის რევოლუციამდე შემოქმედებას. სასომიხბილი პოეტი მწარედ მოთქვამდა:

„ტყუილად ვეძებთ მოსვენებას,
ფეხს ვერ აუქცევთ ბოროტებასა,
ვიბრძვით და ვიბრძვიეთ... და სამუდამოდ
სიკვლავში ვმოვივთ მოსვენებას.“

თუ წუთიერად გულს გაიღიშე,
მწარე ნაღველი მას თან მოჰყვება,
ხანგრძლივი ქვეყნად არა არის-რა
და მით უმეტეს ბედნიერება.¹

უიმედობის გამოუვალ რკალში მოქცეულ პოეტს იპყრობს უაღრესად მელანქოლიური, პესიმისტური განწყობილებანი. ამ მდგომარეობაში მყოფი ეძიებს ადამიანის დანიშნულებისა და მისი რაობის განმარტებას. ასეთი რთული პრობლემების გადაწყვეტა შანშიაშვილის შემოქმედებაში მეტწილად მელანქოლიური ხასიათისაა. ერთერთ ლექსში პოეტი წერს:

„ეთერი ნისლი, წვიმა, ქარი,
მწუხარება, გლოვა, ზარი,
ამოცანად გარდამეცე
ჩვენი ყოფნა დასასრული.
სიღან მოვალთ, სად მივდივართ
რა მიზანი გვაქვს ზვენ სრული?“

კითხვლობს სევდით შეპყრობილი პოეტი და ნათელ პასუხს ამ კითხვაზე ვერ პოულობს, ამიტომ შემთხვევითი როდი იყო შანშიაშვილის ამ ადრინდელ შემოქმედებაში ევროპული და რუსული სიმბოლისტური და დეკადენტური თემები და მოტივები. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ს. შანშიაშვილმა XX საუკუნის პოეტთა შორის პირველმა თარგმნა ედგარ პოს „ყორანი“ 1909 წელს².

სიმბოლისტურ-მისტიკური მოტივებით გატაცება ამ პერიოდში ხშირად თავს იჩენდა ლეგენდებისა და ძველი ხალხური თქმულებების დამუშავებაში. ძველისძველი ლეგენდებისა და თქმულებების გამოყენებას ს. შანშიაშვილი სიმბოლისტური თეიმინური პოეტიკის წესით აწარმოებდა. ამ რკალის ნაწარმოებთა განმარტების მიზნით პოეტი ერთგან შენიშნავდა: „არ ნახულის ნახვა მსურდა“. იგი ხან უღრან ტყეში ეძებდა მიონას—ტყის ქალს, გრძნეულს,

ხან ტყის გოგოს სახით ქაჯეებს, აესულეებს ეტრფოდა.

ქინკები, ალქაჯები, მოჩვენებები: „ეთერი ალი“, „უძილო დამე“, „მაჯულაჯუნა“, „აგუნა“ და სხვა „ყორანის“ საერთო შთაბეჭდილებებით გაკეთებული ლექსებია.

რეაქციის წლებში ასევე იყო შანშიაშვილი გატაცებული ანტიკური ქვეყნების ძველისძველი თქმულებებით. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ამ მიმართულებით, ისე, როგორც საზოგადოდ სხვა თემების მხრითაც, ს. შანშიაშვილი არ მისულა სიმბოლისტების უკიდურეს საზღვრებამდე. სიმბოლიზმის ნაკადი ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში პრობორციულად, მის რეალისტურ ნაწარმოებებთან შეფარდებით, ნაკლები მნიშვნელობისა და ადგილის მქონეა.

სანდრო შანშიაშვილის ამ ადრინდელ შემოქმედებაში დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საზოგადოებრივ, სოციალურ და ეროვნულ საკითხებს. განსაკუთრებით კი 1905—12 წლებში, ვიდრე ს. შანშიაშვილი ევროპაში გაემგზავრებოდა, უფრო ნათლად იგრძნობა რეალიზმის ნაკადის უპირატესობა მის შემოქმედებაში.

ს. შანშიაშვილი თავის სევდიან განწყობილებებს რეაქციის სოციალური, საზოგადოებრივი ვითარებით ხსნის. გულმოკლული პოეტი ასე შესწივის ბედს:

„უღმობელი ზღლით
დაუწყვიტეს ჩანგსა სიმები,
გაქტრა ოცნება!...
ალა რ მათობს მზისა სხივები...“¹

პოეტის ღრმა რწმენით მისი სიმღერა არის ხალხის, „ობოლი ერის“ ცხოვრების გამოძახილი.

¹ „ისარი“, 1907 წ.

² იხ. ჟურნალი „ფასუენჯი“ 1909 წ.

¹ ჟურნალი „საქართველო“, 1908 წ. № 11, 33 3.

„ჩემი სიმღერა მანვია გლოვის, თვით ობოლ ერის გამომახილი, მაღალმა მოთვბმა ჰაბუკს აღმიძრეს ამაყი გული, გრძნობით აღესილა“.¹

მეორე ლექსში ს. შანშიაშვილი ამავე აზრს ავითარებს, მამულის მდგომარეობით, მისი უნუგეშო ყოფით ამხედრებული პოეტი წერს:

„... განსაცდელშია ტურფა მამული,
მტერი კარს გვადაგა გააფორებულ
გაურს,—დარჩი ჩემთან იბრძოლე მედგრად...
თავი შეეწირათ, დაეცეთ მსხვერპლად...“²

ს. შანშიაშვილის ამ პერიოდის ლექსებში ხშირად გვხვდება ი. ჰაეჰავაძის, ა. წერეთლისა და ნ. ბარათაშვილის ეროვნულ-საზოგადოებრივი მოტივების გამოძახილი. ამ მხრივ დამახასიათებელია 1909 წელს „მოწაფის ჩანგში“ დაბეჭდილი სანდრო შანშიაშვილის წერილი. აქ იგი გამოდის ეროვნული დროშის ერთერთ მეთაურად და მოუწოდებს ახალგაზრდობას შეიყვაროს დედა-ენა, თავისი სამშობლო, თავისი ქვეყნის ლიტერატურა. ემსახუროს ხალხს, ტანჯულ ერს. მწერალი ხმას იმაღლებს მეფის თვითმპყრობელური წყობილების წინააღმდეგ. „დღევანდელმა რეჟიმმა სული შეუხუთა ყველაზე მეტად ქართველ მოწაფეებს. სამშობლო ენა გულიდან ამოგლიჯა და გარუსების გზაზე დააყენა. ამის შედეგად ჩვენმა ახალმა თაობამ არც რუსული და არც ქართული იცის“ და შემდეგ განაგრძობს: „ნუ ექიწებით ბრმა იარაღი, ბრმა მტრებისა. მომავალი ჩვენია და ეს მომავალი გაწრთენილ მებრძოლს მოითხოვს. სხვა ერის ლიტერატურასთან ერთად უფრო ღრმად სამშობლო ქვეყნის ლიტერატურით განისსკვალეთ“, და ამ გზით ისწავლეთო სიყვარული და თავდადება სამშობლოსათვის.

ს. შანშიაშვილი ამ პერიოდში ხშირად აყენებდა აქტუალურ მორალტკეტურ საკითხებს. ეხმაურებოდა ეროქის სასა-ცოცხლო კითხვებს. მეფის მთავრობის 19 თებერვლის მანიფესტს, რომელიც მიზნად ისახავდა ხალხის მოტყუილებას და ცარიზმის თვალთმაქცობის მორიგ გამოხატულებას წარმოადგენდა, ასე გამოეხმაურა პოეტი:

„... ისევ მონა ხარ, მუშავ ჩაგრულო,
მშრომელი მაჯა დაღუემებულა;
უწყალო ხელით სისხლი თქრიალებს
ხმა სიმათლისა მიყუჩებულა...
... ირგვლე ცრემლები... ჩაგრა... მონობა...
აღმართულია წამების ჯვარი.
ისევ მონა ხარ, მუშავ ჩაგრულო,
და შენ წამებას არ აქვს საზღვარი...“¹

რეაქციის წლებში საზოგადოებრივ სოციალურ და ეროვნულ საკითხებს ს. შანშიაშვილი არამარტო ლირიკულ ლექსებში, არამედ ეპიკურ ნაწარმოებებშიაც, კერძოდ, პოემებშიაც აყენებდა. ეს გარემოება განსაყუთრებული ხაზგასმით უნდა აღინიშნოს იმიტომ, რომ ისწორედ რეაქციის წლებსა და იმპერიალისტური ომის პერიოდში დაკნინდა ქართული კლასიკური მწერლობის დიდი მხატვრული ფორმები.

ს. შანშიაშვილი მტკიცედ აგრძელებს მე-19 საუკუნის ქართული მწერლობის მოწინავე ტრადიციას. აქტუალური საზოგადოებრივი საკითხია გამოხატული ს. შანშიაშვილის 1909 წ. დაწერილ პოემაში — „ამირანი“. ცნობილი ხალხურა თქმულება ამირანის შესახებ ოსტატურად გამოუყენებია აქ სანდრო შანშიაშვილს.

ამირანი ხალხს მხსნელად მოველინა. მან განთიადი და ბედნიერება მოიტანა. მისი დახმარებით ხალხმა თავი დაიხსნა მონობისაგან:

„...უწინ დგენილი, მონად ქმნილი და
სვედიანი
დღეს თავისუფლად ნავარდობდა ადამიანი,

¹ „სახალხო გაზეთი“, 1910 წ. № 23.

² „ნიშადური“, 1908 წ. № 51.

¹ „ნიშადური“, 1908 წ. № 28.

ეს ამირანმა მოაგვარა, საქმე წარმართა;
ხალხი უგონო მოაქცია, წელში გამართა."

გათავისუფლებული ხალხი ზეიმობს. მაგრამ ხანმოკლე აღმოჩნდა ეს სიხარული. ბრძანება გასცა ქვეყნის მკერობელმა: „ბოლო მოელოს ხალხის თავხედობას დაუყოვნებლივ შეიპყრან ხალხის ამბოხებელი, ურჩი ამირანი. „ბნელეთის მოციქულები გრძნეული დედაბრის საშუალებით ახერხებენ ხელთ იგდონ ამირანი. მთაზე, რკინის ბოძზე მიაჯაჭვებენ ხალხის გმირს. მაგრამ თავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი ამირანი იმედს მაინც არ ჰკარგავს. „მე ხალხთან ვცხოვრობ და ხალხი ჩემთან“, — ამბობს იგი. მას სწამს, რომ კვლავ დადგება დრო, ხალხი ამხედრდება, შეიგნებს თავის ძალას და უწყაგდებს მონობის ტახტს.

რეაქციის შავბნელ ხანაში ეს ოპტიმისტური ხმა გაისმოდა როგორც მეფის თვითმპყრობელობისა და სოციალურ ჩაგვრის წინააღმდეგ მიმართული მოწოდება. იგი აღაგზნებდა ხალხს თავისუფლებისათვის ბრძოლაში.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ასეთ რეალისტურ ოპტიმისტურ პოემებთან ერთად ს. შანშიაშვილს ჰქონდა მისტიკური ხასიათის პოემებიც. ამავე წლებში სანდრო შანშიაშვილი წერდა მისტიკურ-სიმბოლისტურ დრამებსაც. „ბერლოზმანია“, „შვების თეადი“, „მეფე მგოსანი“ და სხვ.

სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა გლეხკაცის თემსაც. ს. შანშიაშვილი კარგად იცნობდა სოფლის ცხოვრებას და ამიტომ მის შემოქმედებაში სოფლის ცხოვრების სურათები ფართო გამოძახილს პოულობდნენ. ს. შანშიაშვილი განსაკუთრებით 1917 — 1922 წლებში გატაცებული იყო სოფლის, გლეხკაცობის ცხოვრებით. საქმე იმაშია, რომ სწორედ 1917 წელს ს. შანშიაშვილი

თბილისიდან სოფელ ჯუგაანში გადადის მუდმივ საცხოვრებლად და მირადად ჰკიდებს ხელს სოფლის უსურნეობას. ამასთან დაკავშირებით, მისი ამდროინდელი შემოქმედებაც უმთავრესად სოფლის საკითხებს მოიცავს. რევოლუციამდელი გლეხის უუფლებო და დაბეჩავებულ ცხოვრებას ს. შანშიაშვილი თანაგრძნობითა და სიყვარულით ხატავს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში გლეხი ხშირად გაიდევალბულია. ამ იდეალიზაციაში გარკვევით მოჩანს რ. ერისთავისა და განსაკუთრებით კა ხალხოსნების თემატიკის კვალი და გავლენა. ს. შანშიაშვილი გლეხს გვიხატავს კერძო მესაკუთრული, ინდივიდუალისტური ინსტიტუტებით. ამგვარი განწყობილება თავს იჩენს უფრო მოგვიანებით დაწერილ ლექსებშიც. მათ შორის უნდა დავასახელოთ ლექსი „ჰიმნი გლეხს“. აი როგორ გადმოგვცემს პოეტი გლეხის ფიქრებს:

ქვეყნას ვაწვდით პურსა და ლენოს
ჩემის ნაშრომით ბევრი სხვა ლხინობს,
მაგრამ ჯანდაბანს...

გავაძობ სოფელს, ჭალაქს, დაბას.
კიდევ შევიძენ ალალ მარჯვენით,
სამოთხეს შევქმნით, თუ ვწვლანი

გავისარჯენით.
და მაინც ზრუნავს დაღმეუბამდე... ბარს
სიცემს მიწას.

შუბლი ეკმუხენის: რას ფიქრობს იმ წამს*.

ასე, ძველებური ინდივიდუალისტური სულისკვეთებით გვიხატავს ს. შანშიაშვილი გლეხს და, რაც მთავარია გლეხის სწორედ ამგვარ განწყობილებას უძღვნის ის თავის ჰიმნს.

ეს წვრილბურჯუაზიული გლეხური ბუნება ისე ძლიერია ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში, რომ სწორედ ამით აიხსნება ის, რომ ს. შანშიაშვილში სიმბოლისტური სკოლის გავლენებმა ვერ დაიმკვიდრა და გადამწყვეტი ადგილი



... ეპოქამ ასე გადამადნო ფოლადის კაცად,
სხვა გრძნობით ვცოცხლობს მოქალაქე ვარ
ბრძოლამ არგუნა დიქტატურა
პროლეტარიატს
და მეც მის ტალღებს შევერთე უკვე
წაწითობი.

ვერ მოიპოვა. მიწის, ქვეყნიური ცხოვრების სიყვარული მის შემოქმედებაში მისტიკური ზეციურ ილუზიებზე მუდამ იმარჯვებდა. ერთგვარი მოუხეშავი, პრიმიტიული, სოფლური ბუნება ქალაქურ წვრილბურჟუაზიულ ინტელიგენტურ განწყობილებას სძლედა. ამიტომ რევოლუციის წინა წლებში ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში ცხოვრების სიყვარული ყოველთვის ჰარბობდა მისგან განდგომის სურვილს. ამ წინააღმდეგობრივი შემოქმედების გზაზე რეალიზმის ნაკადი უფრო ძლიერა იყო. ერთერთ თავის ადრინდელ ლექსში „მიყვარს ცხოვრება“ ამ გარემოებას პოეტი სათანადო ხაზგასმით აღნიშნავს:

„მიყვარს ცხოვრება მოსვენარი,
ვით ზღვა მქუხარი, მარად მღელვარი,
თამამად სცემდეს ოცნების ფრთენი,
ცხარე ბრძოლაში დავლიო დღენი.

მიყვარს ცხოვრება ფაფარი-აშლილი,
შფოთის მინდორი მასზე გაშლილი
რაც გელობება, ლაზვრად ვევეთო
შექმნა! შექმნილი გარდაკეთო!
რად მინდა მყუდრო ტბა ან ჭაობი?
გულს მოვიციდოს ხაესი და ობი!“

*
* *

საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ მრავალმხრივი და მრავალფეროვანი გახდა ს. შანშიაშვილის შემოქმედების როგორც თემატიკური, ისე პოეტური ჟანრობრივი მხარე. ს. შანშიაშვილი საბჭოთა ეპოქამ, სტალინის ეპოქამ ჩააყენა ქართული პოეტური სიტყვის მოწინავეთა რიგში. 1923 წელს, ს. შანშიაშვილი მუშაობას იწყებს გაზეთ „კომუნისტის“ გამომცემლობის ორგანოში ჟურნალ „დროშაში“. ამ გარემოებამ უფრო დაახლოვა ის საბჭოთა სინამდვილესთან, ჩვენი სოციალისტური სამშობლოს ყოველდღიურ ცხოვრებასთან და გამოცდილი ოსტატის პოეტური ხმაც ახალი სოციალისტური სინამდვილის პათოსით განიმსქვეალა:

ს. შანშიაშვილის გულწრფელი პოეტური სიტყვა ახალი ეპოქის, საბჭოთა ეპოქის სადიდებლად გამოხატულა ლექსში „ელექტრო არშაზი“, რომელშიაც პოეტი საქართველოში ერთერთი პირველი დიდი სოციალისტური მშენებლობის ობიექტს — ზემოაქვალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობას აღწერს. იგი მიესალმება განახლებულ და აღორძინებულ საქართველოს გზას. პოეტი გულწრფელად ამბობს: „ძველი დაეტოვეთ... და ახალთან მივალ ალავერდს“. ს. შანშიაშვილი იგონებს „ძველი საუკუნის ნგრევის ეპოქებს“. საქართველოს ძველთაძველი დედაქალაქი მცხეთა იავარპყო ძველი დროის ქართველებმა. დღეს კი დრო იცვალა. აღორძინდა და განახლდა ჩვენი სამშობლოც. პოეტმა იცის, რომ ახალმა დრომ საქართველოს დიდება არგუნა, „ერი განახლდა, დრო დიდებისა გათენებია“. ის რასაც ნატრობდა და „სიზმრად მოლანდებია პოეტს“ ჩვენმა სინამდვილემ, საბჭოთა ხელისუფლებამ რეალობად აქცია. ს. შანშიაშვილი გადაქრით და მტკიცედ დგება საბჭოთა პოეტის პოზიციაზე. ეს ლექსი ოცდაათიანი წლების ქართული საბჭოთა ლიტერატურის ერთერთი საუკეთესო ლექსია. ს. შანშიაშვილის „ბაქოს კომუნარებში“ პოეტური სიტყვის მგზნებარებით ცოცხლდება 26 კომუნარის უკვდავი სახეები. 1918 წელი... ბაქოელი კომუნარები. ინგლისელი იმპერიალისტების სისხლიანი თარეში. „ღმუილი... კენესა, დაპრილთ ზრიალი, სახლში, ეზოში, გარეთ, ქუჩაში, ქვაფენილზედ, ვრცელს მოედნებზე ყველგან გვამები“. ინგლისელი ჯალათის, გენე-

რალ ტომსონის განკარგულებით დაბა-
ტიმრებული 26 კომისარი... უკანასკნე-
ლად ბნელ საკანში შემოყავთ ალიოშა
ჯაფარიძე. მან იცის, რომ ხვალ დახვ-
რეტენ. ამხანაგებს კი არ უმხელს. ის
მტკიცედ ამბობს:

„ — შევბვეთ გმირულად!
წარბშეუხრელად!
დავმარცხდით, მაგრამ არ
დავმარცხდებით.“

ვერ გატეხა კომუნარების მტკიცე
გული და ნებისყოფა გამცემლების, ინ-
გლისელი ჯალათების, იმპერიალისტე-
ბის აღვირახსნილობამ. 26 კომუნარი
გამარჯვების რწმენით ანთებულნი,
მტკიცედ აღიმართნენ ულმობელ
მკვლელთა წინააღმდეგ, მწერალი შესა-
ნიშნავად აღწერს მათს ფიქრებსა და
განწყობილებებს უძილო ლამეს.

უთანასწორო ბრძოლაში დაცემულ-
თა უკანასკნელი სიტყვებია:

„დავმარცხდით, მაგრამ ჩვენ ვაეიმარჯვებთ“.

ასე ცოცხლდება ჩვენს შეგნებაში 26
კომუნარების მამაცური და ვაჟკაცუ-
რი სახეები.

ძველი თაობის პოეტებს შორის სან-
დრო შანშიაშვილი ერთი პირველთაგა-
ნი იყო, რომელმაც სოციალისტური სა-
ხელმწიფოს ფუძემდებლის ლენინის
გენიალური სახის მხატვრული გამოკ-
ვეთა სცადა. და, უნდა ითქვას, რომ ამ
მხრივ ბრწყინვალე შედეგსაც მიაღწია.
ჩვენ მხედველობაში გვაქვს ს. შანშია-
შვილის ერთერთი ბრწყინვალე ლექს-
თაგანი „დედისერთა ლენინთან“.

პოეტი აღწევს ლექსში ნათლად და
სადად დახატოს ლენინი, როგორც დიდი
სახალხო ტრიბუნი, რევოლუციის უბა-
დლო ოსტატი და ორგანიზატორი, უში-
შარი მებრძოლი, ხალხის საყვარელი
გმირი. ზღაპრულად გასულა მისი სახე-
ლი ხალხში, ყველა ადამიანის ფიქრის,
გრძნობის, იმედისა და ოცნების საგანი
გამხდარა. აი მოხუცებული დედა, რო-
მელსაც ერთადერთი შვილი სამოქალა-

ქო ომში გაუგზავნია, და ელოდება თა-
ვის პირშოს, მაგრამ ევედრისაღწერს,
დედამ გადაწყვიტა ლენინს მიმართოს
ბარათით, რადგან მან იცის, რომ ლენინი
ყველაფრის შემძლეა, ყველაფრის
მცოდნე. დედა უცდის შვილს. დედის
ეს მოლოდინი დიდი ექსპრესიითა და
პოეტური ძალით არის აღწერილი შან-
შიაშვილის მიერ: ცრემლდამშრალი მო-
ხუცი დედა ზის და სთვლემს მოლო-
დინში, ისევ ილვიძებს და ასე ათენებს
ლამეებს. და აი, დალოლის კვლავ ძი-
ლი მოერია, ბურანში თითქოს ესმის
შვილის მოსვლა, თითქოს კარს მოდგო-
მია და ეძახის:

„დედი! ვახსენ ვიშარი!
მე ვარ! ნუთუ არ გესმის?
გარეთ ცივა, კქრის ქარი!
შენი შვილი დაბრუნდა,
დედისერთა ვაჟიკა
უწებული, მაგარი,
როგორც სალი კავი ქვა!
ვახსენ კარი, დედა, უ!
შენს შვილს გარეთ რა უნდა?
ეს ზომ მე ვარ! არ გესმის?
შენი შვილი დაბრუნდა!“

ამ რომანტიკულ სურათს ცვლის მკა-
ცრი სინამდვილე: დედისერთა, რომელ-
საც მტკიცედ გადაუწყვეტია „გაყვეს
ლენინს“, იბრძოლოს ლენინიზმის საქ-
მისთვის, რევოლუციის გამარჯვებისა-
თვის, სამოქალაქო ომის მკაცრ ბრძო-
ლებში იღუპება, კვდება. მან თავი დას-
დო ხალხისათვის, სამშობლოსათვის,
ლენინისათვის. გმირმა მებრძოლმა
„სამძო საფლავში“ ჰპოვა ადგილი. ხალ-
ხის საქმისთვის თავდადებული ამ ვაჟ-
კაცის რომანტიკული სახე ლექსში მთე-
ლი სიმძლავრით ცოცხლდება, დედის
სევდიანი მოგონება და ლოდინის სცენა
მეტ სიმძაფრეს აძლევს ამ ლექსს.

ლენინს უძღვნა ს. შანშიაშვილმა მე-
ორე ლექსიც „ლენინი ჯავშანოზე“. ამ
ლექსში აღწერილია ლენინის ჩამოსვლა
პეტერბურგში 1917 წელს. ომის ქარ-
ციცხლში ვახვეულს, შიმშილის, უუფ-
ლებობისა და მონობის მდგომარეობა-

ში მყოფ რუსეთს მხსნელად მოველინა მშრომელთა ბელადი და მასწავლებელი:

„... მაგრამ ნახეთ, ვინ გამოჩნდა დევნილი?
ჯავშანოზე მტკიცედ შედგა ლენინი!
ოქტომბერში საჟე მარცხით მიმართა,
ლახვარსიტყვით ხალხს ქუჩაზე მიმართა:
უფლება და ძალა მხოლოდ საბჭოებს!
სხვას ნუ ატანთ თქვენი შრომის სარჩოებს!
აფრიადი და დროშა სისხლის ფერადი.
ჯავშანოდან არ ჩამოდის ბელადი.
აქ შეერთდა: აზრი, ძალა და ნება.
მართველობა ოქროს აღარ ანება!“

ლენინის დროშით, ლენინისა და სტალინის ხელმძღვანელობით გაიმარჯვა ოქტომბრის დიდმა რევოლუციამ. ლენინმა და სტალინმა ჩაუყარეს საფუძველი პირველ სოციალისტურ სახელმწიფოს მსოფლიოში. ლენინის შემდეგ სტალინმა განაგრძო ლენინის მიერ დაწყებული სოციალისტური მშენებლობის საქმე და მტკიცედ მიიყვანა გამარჯვებამდის. ამით მტკიცედ შეასრულა ამხანაგმა სტალინმა ლენინის ცხედართან დადებული ფიცი:

„... და მის ცხედართან შენ დასდე ფიცი,
უტყუბი, მტკიცე, როგორც ხარ თეთონი!
არ გიმტყუნია, არც ემტყუნები,
თუნდ მტრებმა გესლით კოცონიც
გითონი!“ —

ამბობს პოეტი.

ს. შანშიაშვილი განსაკუთრებულად სიყვარულისა და მადლიერების გრძნობით ხატავს დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახეს. პოეტმა იცის, რომ ჩვენი ქვეყნის ყოველი მიღწევა უკავშირდება დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელს. მან იცის, რომ კოლხიდის, ამ გაუფალი ჭაობის, წალკოტად გადაქცევა, თუ ქართლისა და კახეთის ველების განახლება და აღორძინება ისევე, როგორც მთელი ჩვენი თვალუწვდენელი სამშობლოს ყოველი მიღწევა, დიდი ბელადის ამხანაგ სტალინის სახელთანაა დაკავშირებული.

სტალინის თემაზე დაწერილ ლექსთა

შორის ს. შანშიაშვილის ლექსებს „იოსებ სტალინს“ და „მეცხლეტურთალო, ხელმართალო ადამიანო“, სახეებით დამსახურებულად მიეკუთვნება ერთერთი მოწინავე ადგილი. ენერგიული პოეტური ფრაზისა და ხატოვანი სიტყვების საშუალებით აღწევს პოეტი შექმნას უდიდესი გენიოსის მართალი და დიდებული სახე, რომლის გენიამ „აგვიცხადა საოცნებო და უნახავი“, რომელიც „მუდამ ჩვენთვის ზრუნვაში“ „წინ მიუძღვის ჩვენს ქვეყანას“. პოეტი ეძებს შედარებებს, ეპიტეტებს, ძლიერ პოეტურ საღებავებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება სრულყოფილად დახატოს ჩვენი ეპოქის უდიდესი ადამიანის სტალინის სახე. და იცის პოეტმა, რომ მაინც უძღურია მისი პოეტური სიტყვა სრულყოფილად დახატოს ბელადის სახე. რუსთაველის ძალაა საჭირო იმისათვის, რომ მოხერხდეს ამ დიდი ადამიანის მართალი საქმის ადგილობრივი გამოხატვა. ს. შანშიაშვილი გულწრფელად წერს:

„რომ შეგადარო ბუმბერაზ მუხას,
ცაში აზიდულს ჯმუხის ტოტებით,
როცა მას, ამაყს ებრძვის ღმერთით
შმაგი გრივალე გაბორტებით;

ან ძლიერს არწივს, უშიშარს, უდრეკს,
ქარბუქს რომ აპობს მწვერვალზე მალა,
კლდე-ღრეში დაქრის, ყიფის ამაყად
და შედიღური ვერც იტყობს დაღლას,

ან თვით იმ გრივალს, ზეცას რომ გრავნის,
ზვირთებს აგორებს, საღს ანგრევს ზარით,
ან ამოხეთქილს შთას, ცეცხლით მქმნანეს,
აგრაღებულს ღველფიან ღვართო. —

ამით შენს სახეს ვერ გამოგვევთავ,
ის ყოველ ლექსზე უმკვეთრესია;
შენ, უკვე ჭაბუკს, თელემიდან ამდგარს
ჩაგრული წამება შემოგვისა
და შორეულიც შენი ძმა არის,
თუ კი უღელმწიფე დაუყენესია!“

ს. შანშიაშვილის პოეზია სამამულეო ომის დღეებში, ჩვენი ხალხის ამ დიდი ისტორიული გამოცდის ეამს, განუწყვეტლივ თან ახლდა ჩვენს ხალხს და მამულისადმი მხურვალე სიყვარულის

გრძნობით აღაგზნებდა მას. ჩვენი სამშობლოს დამოუკიდებლობისა და დაცვის საქმეს ემსახურებოდა ს. შანშიაშვილი თავისი გულწრფელი პოეტური სიტყვით სამამულო ომის მიმე დღეებში.

ს. შანშიაშვილი ერთ თავის აღრიხდელ ლექსში, მიმართავდა რა დიდ სტალინს, წერდა:

„... თუ თავზედეს ჩვენზედაც,
მღერით გადავალთ ბრძოლაში;
ვეფხვს არ დაცვდეს კლანჭები
ამასთან ერთგულსა მშობაში!

დაგვირდეს შემოგვითვალა,
ჩვენი მახვილი მჭრელია!
არ დაილუნგდება ბრძოლაში,
მტერთან ის უძლეველია!“

ეს პატრიოტული სიტყვები ჩვენი ხალხის საერთო აზრისა და ფიქრების გამომხატველი იყო. სამამულო ომმა ქეშმარიტად დაადასტურა ამ აზრის მთელი გულწრფელობა და სიმართლე. ჩვენმა ხალხმა მკერდით დაიცვა თავისი თავისუფალი და ბედნიერი სამშობლო. საქართველომ, „ბაზალეთის ცრემლის ტბაში ჩაძირულმა წინათ“, სტალინის დროშით მოიპოვა თავისუფლება.

ამ დროშით ამხანაგი ლ. პ. ბერია მტკიცედ გადაუდგა წინ კავკასიის კარიბჭესთან მომდგარ მტერს და, დიდ რუს ხალხთან ერთად, დაიცვა ჩვენი სამშობლო, მისი დამოუკიდებლობა და თავისუფლება. ს. შანშიაშვილმა სამამულო ომის თემას მრავალი ლექსი უძღვნა. მათ შორის საგანგებოდ უნდა აღვნიშნოთ მისი პოემა „დედა“. აქ ფართო ეპიურ ტილოზე მოცემულია ჩვენი ხალხის ომის წინაპერიოდისა და ომის დღეების სურათები. პოემის პირველი სურათი გვიხატავს ჩვენი ხალხის ომამდელ მშვიდობიან ცხოვრებას. დოვლათიანი და მშრომელი ხალხი შრომასა და ლხინში ატარებს თავის ბედნიერ დღეებს. ამ სურათს ცვლის ომის მძაფრი დღეები. სამშობლოს ვაჟაკება

ფრონტზე წავიდნენ. კახელმა დედამაც თავისი ორი შვილი ფრონტზე გაისტუმრა. ს. შანშიაშვილი ჩვენი მებრძოლებისა და მათ რიცხვში ქართველი მებრძოლების ვაჟაკურ თავგადასავალს და ომის სურათებს საინტერესოდ ხატავს. ამ პოემაში განსაკუთრებით პატრიოტულად ეღერს უკრაინის ველზე ქართველ და უკრაინელ მეომართა საბრძოლო სცენები. პოემის მთელი რიგი ადგილები შესრულებულია მაღალი პოეტური ძალით. განსაკუთრებით ძლიერია დედა მარინეს სიზმრის სცენა. მაგრამ აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ პოემის ყველა ნაწილი არ არის თანაბრად და მხატვრული სრულყოფილობით დამუშავებული. ზოგი ადგილი მეტისმეტად პრიმიტიულია და პოემის საერთო დონეს დაბლა სწევს. ამასთან უნდა აღვნიშნოს, რომ მთავარ მოქმედ გმირთაგან ერთი გმირი თანდილა ისე შოულოდნელად გადის სცენიდან, რომ არ ვიცით ნამდვილად — რა ბედი ეწია მას. მიუბედავად ამისა, სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოს, რომ ს. შანშიაშვილის ეს პოემა სამამულო ომის წლების თემაზე დაწერილი ერთერთი ფრიად საინტერესო ეპიური ტილოა.

სანდრო შანშიაშვილი ჩვენს ლიტერატურაში ცნობილია არა მარტო როგორც პოეტი, არამედ, და შეიძლება ითქვას უმთავრესად, როგორც დრამატურგი. სანდრო შანშიაშვილის რევოლუციის წინაპერიოდის დრამატიულ თხზულებებს იგივე განწყობილებები და თემები ახასიათებდა, რაც მის პოეტურ ნაწარმოებთათვის იყო დამახასიათებელი. ამიტომ ჩვენ საჭიროდ არ მიგვაჩნია ამჟამად მასზე შევაჩეროთ მკითხველის ყურადღება. აქვე უნდა აღვნიშნოს, რომ სანდრო შანშიაშვილის ეს დრამატიული ნაწარმოებები შევიდა უმთავრესად ნამდვილ ლიტერატურაში, რომლებიც დაწერილია საბჭოთა ხელისუფლების დროს. ამიტომ გადაუჭარბებლად შეიძლება ითქვას,

რომ სანდრო შანშიაშვილის ადგილი, როგორც დრამატიული მწერლისა გახსაზღვრა საბჭოთა ეპოქამ, ჩვენმა სინამდვილემ. მას მრავალი ორიგინალური და გადმოკეთებული დრამატიული ნაწარმოებები აქვს. მათ შორის ყველაზე უფრო პოპულარული მაინც დრამატიული პოემა „არსენაა“. ამ პიესამ საბჭოთა მკითხველისა და მსყუარებელის საყვარელთაო აღიარება და სიყვარული დაიმსახურა. პიესის ცენტრში დგას ხალხური გმირი არსენა. ამბავი მძაფრად არის დრამატიზირებული პირველი სურათიდანვე. აი სცენა სამკედლოსთან. პაპა ონისე, ძველი ისტორიის ეს ცოცხალი მოწმე, პატარა ზურციკოს უკუღმართი ცხოვრების ამბებს უყვება. „სისხლის წვიმების დროების მოწმე“ ონისე იმედს მაინც არ კარგავს. ის ასე მიმართავს ცხოვრების მწარე სინამდვილით გულმოკლულ პატარა ზურციკოს:

„კარგი რამ გპირდეს, გიკვირდეს,

ავი რა სიკვირველია?!“

ჩვენ უარესი ვაპირებდა ბევრი

გვინახავს,

როცა თბილისი — ჩვენი გული —

დაუნგრევიათ

და ნგრევის ტალღა მარადხალა

გადმოაწვდენია!

ზური, მზად არის შენი წალღუნა!

წილე, შეილო! დაეხმარე შენს ღირბ თჯახს!

ჩვენ თუ ნიდაღ პირში ვიყავით,

ვთხოვ უზენაესს, თქვენ ვაიხართ!

ამ სურათს მოსდევს ყრმა გონჯას გამოსვლა, რომელიც გამოხატავს ბატონყმობისა და თვითმპყრობელობის მძიმე უღელქვეშე მგმინავი ხალხის ფიქრებსა და აზრებს, მათს განსაცდელსა და მწუხარებას. იგი ასე მიმართავს ხალხს: „კაცი გვინდა ვაჟკაცი, გულს ღარდი რას ქვია?“. წლობით ელოდებოდა ხალხი მეთაურს და ასეთი კაციც გამოჩნდება. პიესაში ამგვარი როლი არსენას აქვს მიკუთვნებული. არსენა ბატონებისა და რუსი მოხელეების მიერ უზომოდ შევიწროვებულ „მუხასავით

ძლე და მაგარ გლახკაცს“ სათავეში ჩაუდგება. იგი გულქვა ბატონის შავლბარათაშვილისა და შეფის რუსეთის თავგასული მოხელეების წინააღმდეგ ამხედრებს ხალხს. მწერალი ქმნის უშიშარი, მებრძოლი გმირი გლახის არსენას რომანტიკულ სახეს. არსენას დრამატიულ პოემაში დიდი სიყვარულით არის დახატული ყმა მებრძოლი გლახის სახე. აქ შეტანილი სამიჯნურო თავგადასავალი არსენასი და ნენესი უფრო მკვეთრად ავლენს ავტორის ჩანაფიქრს.

სრულიად ახალ, იდეურ თემას წარმოადგენს რუსი და ქართველი ხალხის ძმობის იდეა. თუ კი შეფის რუსეთი თავისი აურაცხელი მოხელეებით ქართველ ხალხს ჩაგრავედა, სამაგიეროდ რუს ხალხს, რუს რიგითს კაცს, რომლისთვისაც ისეთივე დიდი უბედურება მოჰქონდა ორთავიან არწივს, როგორც ქართველი გლახისათვის, გულით უყვარდა სოციალურად დაჩაგრული ქართველი ხალხი. ეს ხაზი ნათელი ზოლივით გასდევს პიესას. ამიტომაც შეიყვარა არსენამ და შემდეგ მისმა თანამებრძოლებმა რუსი ჯარისკაცი მიტროხინი. ასევე თავდადებით იცავს და თავს სდებს არსენასათვის მიტროხინიც. გულწრფელად მიმართავს მიტროხინი არსენას და მის რაზმს:

„მუდამ საფრთხეში და ვასაქირში, თქვენებრ გლახი ვარ და მიწის მუქა! მშობლებს მოწყვიტეს, დედა ტიროდა, მამაჩემიც უჩოხდა და ამ საბრალის როზეგები დაკრეს. მე თან გამოიყვა დედის ცრემლი და ის მაგონებს, რომ იქ, რუსეთში, ჩემებიც ისე აღნაგებთან, როგორც აქ თქვენი მშობლები და ნათესავები! რას შეპართლებით? რა დაგიშავთ? მტერი არა ვარ! მშა ვარ! მოკეთე!“

სანდრო შანშიაშვილმა საესეებით საბართლიანად შენიშნა სოციალური მდგომარეობით ერთ პირობებში მყოფ ხალხთა საერთო მიზანი. თუ რუსი ვასია მიტროხინი არსენას მეგობრის როლში გამოდის, სამაგიეროდ არსენასი და მისი რაზმის მოღალატის როლშია

დაზატული მდიდარი, კულაკი გლეხი, მეცხვარე ფარსადანი. ფარსადანი ბარონ როზენისა და რუს მოხელე სლევოვის დასაყრდენი შალაა. აქაც ზაზგას-მულია, რომ მჩაგვრელების მოკავშირედ ისევ მჩაგვრელი და მდიდარი გამოდის. ამ სოციალური აზრით სრულიად ახალი ელერა მისცა ავტორმა პიესას.

როგორც ვთქვით პიესის ცენტრში არსენა დგას. არსენა ოძელაშვილი ისტორიული გმირია. იგი წარმოშობითა და მდგომარეობით ყმა გლეხია, რომლის სახელიც ისტორიამ, უწინარეს ყოვლისა, ხალხური სიტყვიერების გზით შემოგვინახა. არსენას სახელი იქცა ყოველგვარი სოციალური უსამართლობის წინააღმდეგ მებრძოლთა საყვარელ სახელად. არსენას საგმირო საქმეები უსამართლობისა და ჩაგვრის წინააღმდეგ შთააგონებდა ვაჟაკობის გრძნობებს. ეს სახელი ზრდიდა ჩვენს ხალხს მებრძოლი სულით. ხალხს უსაზღვროდ უყვარდა არსენა, მასში ხედავდა თავისი ინტერესების დამცველს. ამიტომ უმღეროდა მას და ქებას ასხამდა არამართო ხალხური პოეზია, არამედ ჩვენი ლიტერატურაც. მოვიგონოთ ილია ჭავჭავაძის კაკო და ზაქრო აკაკის არსენა. ა. ყაზბეგის ამავე სახელწოდების პიესა და სხვა. სწორედ ეს გარემოება ჰქონდა მხედველობაში პეტრე უმიკაშვილს, როცა იგი 1872 წლის კრებულში არსენას ახლადგამოცემული ლექსის გამოწერდა: „მთელს საქართველოში არსენას ლექსი ასე გავრცელებულია და ყველგან მღერიან, რა სოფელი იყოს, რომ არსენას ლექსი არ იცოდნენ? მეფე ერეკლეზედაც არის გამოთქმული ლექსები, მაგრამ უფრო ქართლ-კახეთში და მთიულეთში. ეს არსენას ლექსი კი მთელს საქართველოში შავი ზღვიდან მოყოლებული ყველგან მოდებულა, არსენას ლექსსა მღერის მთელი საქართველოს ერი“.

როგორც ვთქვით, სანდრო შანშიაშვილის არსენასა და ხალხურ არსენას

შორის არა მარტო სუბექტური, არამედ იდეური განსხვავებაც ვხვდებით. ხალხურ არსენაში არსენა წარმოდგენილია როგორც ინდივიდუალისტური ბრძოლის გზაზე დამდგარი გმირი. მიუხედავად ხალხური ლექსის დიდი გზნებისა მას მინც შენარჩუნებული აქვს პრიმიტიული მებრძოლის სახე. ს. შანშიაშვილის არსენა კი წარმოდგენილია როგორც შეგნებული, რთული მდგომარეობის ორიენტირების უნარით აღჭურვილი მებრძოლი გლეხი. სანდრო შანშიაშვილმა უფრო ამაღლებულად დახატა არსენას მებრძოლი ბუნება. გლეხის მებრძოლი ბუნების ეს ამაღლებული გამოხატვა ჩვენი დროის გაგებას გამოხატავს. დიდი სინათლე შეაქვს ჩვენი პოზიციებიდან ხალხური არსენას გაგებაში. ხალხური არსენასათვის საეცებით უცნობია ასეთი შეგნებული, მებრძოლი არსენა, თუმცა მისი პირველადი წყარო მინც, რასაკვირველია, ხალხური არსენაა. სანდრო შანშიაშვილის ამ პიესის ღირსება უმთავრესად ის არის, რომ მან ბატონყმობის წინააღმდეგ სტიქიურად მებრძოლი გლეხი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის წინააღმდეგ აამაღლა და ასე დაგვიხატა მეფის რუსეთისა და ბატონყმობის წინააღმდეგ მებრძოლი გმირის ორიგინალური სახე.

სანდრო შანშიაშვილის შემოქმედებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია საბჭოთა თემატიკას. საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლა და სოციალისტური მშენებლობის პროცესების ასახვა არაერთხელ სცადა ს. შანშიაშვილმა. მათ შორის უნდა დავასახელოთ პიესა „ანზორი“. ანზორი გადმოკეთებულა ე. ივანოვის ცნობილი პიესიდან „ჯავშნოსანი 14—69“. ს. შანშიაშვილმა სავსებით შეუცვალა ამ პიესას არამართო მთავარი პერსონაჟები, არამედ სუბექტური დეტალებიც. ს. შანშიაშვილის პიესა რევოლუციური ხალხის მოძრაო-



ბის ფონზე იშლება. რევოლუციური მოძრაობის სურათები კოლონიური ჩაგვრის წინააღმდეგ ბრძოლის დეტალებს ერთვის და ასე იშლება გლახთა რევოლუციური ბრძოლები მოწინავე პროლეტარიატთან კავშირში. პიესა უაღრესად რომანტიკული ფერებითა და განწყობილებებით გვიხატავს ხალხთა რევოლუციური მოძრაობის გრანდიოზულ სურათებს. შედარებით სუსტია პიესა „სამნი“. ამ პიესაში ს. შანშიაშვილმა გვიჩვენა ამიერკავკასიის ხალხთა ბრძოლა ბოლშევიკების მეთაურობით მენშევიკების, დასწავლებისა და მუსავატელების ბურჟუაზიულ-ნაციონალისტური ხელისუფლების წინააღმდეგ. შემდეგ ს. შანშიაშვილმა ეს პიესა მოთხრობად გადააქეთა და აქაც იმავე იდეურ და სუბტიურ ფარგლებში განავითარა იგივე ამბავი. როგორც პიესა, ისე მოთხრობა ხალხთა მეგობრობის სტალინური იდეითაა გამსჭვალული. მასში ნაჩვენებია ქართველ, აზერბაიჯანელ და სომეხ ხალხთა ინტერნაციონალური სოლიდარობის ის ძლიერი გრძნობა, რომელსაც საფუძველი ამიერკავკასიაში ამხანაგმა სტალინმა ჩაუყარა. აქვე უნდა აღვნიშნოთ საკოლმეურნეო ცხოვრების თემაზე დაწერილი პიესა „ფოლადაური“. მაინც უნდა ითქვას, რომ ს. შანშიაშვილის შემოქმედებაში უფრო მეტი ადგილი ისტორიულ თემებზე აგებულ პიესებს განეკუთვნება. „არსენას“ შემდეგ ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს ს. შანშიაშვილის პატრიოტულ-დრამატიული პოემა „კრწანისის გმირები“. ამ პიესაში აღწერილია ქართველი ხალხის ისტორიის ერთერთი ყველაზე უფრო ტრაგიკული ეპიზოდი. ერეკლე მეფის გმირული ბრძოლა სპარს დამპყრობთა წინააღმდეგ, ერის გადარჩენის გზის ძიება კრწანისის ველზე უთანასწორო ბრძოლაში დამარცხებული მეფის მიერ, რუსეთთან კავშირის დასახვა ასეთ გზად — აი პიესის ძირითადი ქარგა. ქართულ ლიტერატურაში ეს ისტორი-

ული ამბავი არაერთხელ ყურფილია აღწერილი. მათ შორის უძველესია დიდიძის მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის „ბედი ქართლისა“ და ე. ბარათაშვილის „ისნის ცისკარი“. ამ უაღრესად საინტერესო თემას კვლავ მიუბრუნდა საბჭოთა მწერალი ს. შანშიაშვილი. და საინტერესო ის არის, რომ სწორედ მაშინ დაამუშავა ეს თემა მთელი სრულყოფილობით, როდესაც ჩვენი ხალხი სამკედრო-სასიცოცხლო ბრძოლას ეწეოდა ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ. როგორც ცნობილია ქართველმა ხალხმა თავისი ისტორიული დამოუკიდებლობა და ეროვნული სახე დიდი რუსი ხალხის დახმარებით შეინარჩუნა. ამ საკითხის უშუალო ისტორიული გადაწყვეტა ერეკლე მეფეს ეკუთვნის. ამ ამბავის გახსენება მაშინ, როდესაც ქართველი ხალხი დიდი რუსი ხალხისა და მთელი საბჭოთა ხალხის დახმარებით თავს იცავდა კავკასიის კარიბჭესთან მომდგარ გერმანულ ურჯუთა წინააღმდეგ ბრძოლაში, უაღრესად პატრიოტულ ჟღერას აძლევდა პიესას, თავისებურად ეხმაურებოდა ეს წარსულის ისტორიული ამბავი დღევანდელობას.

ს. შანშიაშვილის უკანასკნელი წლების ნაწარმოებთა შორის ყურადღებას იპყრობს დრამატიული პოემა „იმერეთის ღამეები“. პიესის თემად აღებულა ბრძოლა იმერეთის მეფე სოლომონსა და რაჭის ერისთავ როსტომს შორის. სოლომონი პიესაში დახატულია როგორც საქართველოს განთავისუფლებისათვის დაუცხრომელი მებრძოლი, პატრიოტი მეფე. იგი ახალ ძალებს იკრებს და საქართველოდან თურქ დამპყრობთა გასაღდენად ემზადება. მეფე თხოვს რაჭის ერისთავს გვერდში ამოუდგეს მას და თავისი ჯარებით დაეხმაროს საქართველოს განთავისუფლების საქმეში. ურჩი მფლობელი როსტომი და განსაკუთრებით კი მოლაღატე და ვერაგი დედოფალი სალომე, საიდუმლო კავშირს აბამენ თურქეთის სულთანთან

და ლალატობენ სოლომონს. სოლომონმა იცის ზოგი რამ ამის შესახებ, მაგრამ მას არ სურს სისხლისღერა ძმათა შორის და შერიგების მიზნით თვითონ ეახლება ურჩ მფლობელს. სალომეს სურს ვერაგულად მოაკლევინოს სოლომონი პარმენ მოურავს. სალომე და მოურავი მზად არიან, მაგრამ ეს საიდუმლო იცის როსტომის შვილმა გიორგიმ, რომელიც ცენტრალისტური ხელისუფლების, სოლომონ მეფის მომხრედაა წარმოდგენილი. გიორგი ჰკლავს პარმენ მოურავს ვერაგული განზრახვის შესრულების წინ და ამით იხსნის მეფეს. პიესის ფინალში ყველაფერ ამას ფარდა ეხდება. როსტომისა და დედოფალ სალომეს ვერაგობა მხილებულ იქნა, მაგრამ გვიან. ამას მსხვერპლად ეწირება მეფის ქალიშვილი მარინე და როსტომის შვილი გიორგი. ასეთია პიესის სუეტური ქარგვა. აქედან ნათლად ჩანს, რომ ამ პიესაში ჩვენი ისტორიული წარსულის მეტისმეტად განსაზღვრული, ცალმხრივი სურათია დახატული. ამ ნახევრად კუთხური პატრიოტიზმის ფარგლებში მომწყვდეულ სუეტურ ქარგვას განზოგადობის ძალა აკლია. და, რაც მთავარია, ამ პიესაში საესეებით არ ჩანს ხალხი, მისი წარმომადგენლები.

სანდრო შანშიაშვილის დრამატიული პოემების ერთი უმთავრესი ღირსება ის არის, რომ იგი მოხდენილად იყენებს და კარგად ფლობს თეორი ლექსის იმ ზომას, რომლის კლასიკური გამოყენება ეკუთვნის შექსპირის თხზულებათა ბრწყინვალე მთაგმნელს ივანე მაჩაბელს.

ს. შანშიაშვილის დამახასიათებელ პოეტურ ხერხებს შორის უნდა აღინიშნოს კიდევ ის, რომ ს. შანშიაშვილს უფრო ეხერხება უკვე შექმნილი სუეტისა თუ ამბის გადმოკეთება, ვიდრე დამოუკიდებელი სუეტური ამბის გამოგონება. ლიტერატურის ისტორიამ ბევრი მაგალითი იცის, როდესაც მწერლები შექმნილი სუეტის გამოყენებას

მიმართავდნენ. სანდრო შანშიაშვილის დიდი ღირსება იმაშია, რამე მსუფმგვარი ლიტერატურული სუეტების ნაწარმოებების გადმოკეთების გზით დამოუკიდებელი ოსტატისა და მწერლის სახელი ყოველთვის შეუნარჩუნებია. საილუსტრაციოდ შეიძლება დავასახელოთ „ანზორი“, „ხევის ბერი გოჩა“, „არსენა“ და სხვა მრავალი. ს. შანშიაშვილი ამ ხერხს მიმართავს არა მარტადრამატიულ პოემებში, არამედ ამავე ხერხის ანარეკლი გვაქვს ლექსებშიც. საილუსტრაციოდ უნდა დავასახელოთ ლექსი „ქართლის დედა“.

საერთოდ ს. შანშიაშვილის ენა ხატოვანია, მდიდარი და მრავალფეროვანი, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს, რომ მისი პოეტური სტილი ერთნაირი არ არის. ზოგი ბრწყინვალე პოეტური ადგილების გვერდით გვხვდება მდარე პოეტური ადგილებიც.

ს. შანშიაშვილს ამ რამდენიმე წლის წინათ სალიტერატურო მოღვაწეობის 40 წელი შეუსრულდა. ჩვენმა ხალხმა ზეიმით აღნიშნა ჩვენი ეპოქის ამ ერთერთი თვალსაჩინო მწერლის ეს მნიშვნელოვანი თარიღი. ამის შემდეგ მისი სალიტერატურო მოღვაწეობა კვლავ ახალი, მაღალი შეფასებით აღინიშნა. მის საუკეთესო პიესებს „არსენას“ და „იმერეთის ღამეებს“ სტალინური პრემია მიენიჭა. ასე უხდის მაღლიერი მკითხველი, საბჭოთა მთავრობა და მსახურებას სიტყვის ოსტატებს. ეს გარემოება კიდევ უფრო მეტ პასუხისმგებლობას აკისრებს საბჭოთა მწერლებს. სანდრო შანშიაშვილი მოვალეა ამ მაღალ დაფასებას ახალი და მაღალი პოეტური ნაწარმოების შექმნით უპასუხოს.

სიტყვის გამოცდილი ოსტატი, ჩვენი დროის ერთერთი გამოჩენილი პოეტი, დრამატურგი და პროზაიკოსი სანდრო შანშიაშვილი უთუოდ კვლავ გაამდიდრებს ჩვენს ლიტერატურას ახალი მნიშვნელოვანი ნაწარმოებებით.

პაპი ხინთიბია

სამხრეთ საქართველო ქართულ საბჭოთა კოზიკაში

★

თითქმის ოთხი საუკუნეა მას შემდეგ, რაც თურქმა ბარბაროსებმა სამხრეთ-საქართველო დაიპყრეს და მისი მძალადრი ეკონომიურ-კულტურული საძირკვლის ნგრევა დაიწყო. ამ დროიდან მოკიდებული ქართველი ხალხის ფიქრი და ოცნება თავს დასტრიალებს თავისი უკანონოდ წართმეული მიწაწყლის, თავისი განშორებული ძმის ბედს. ეს ოცნება ნაღვლიანი, მწარე სინამდვილეზე აღმოცენებული და ამ სინამდვილითვე განსაზღვრული იყო. დამახასიათებელია ამ მხრივ ი. ჭავჭავაძის ლექსი — „იანიჩარი“. პოეტი შესცქერის ცხენზე მოხდენილად მოთამაშე, მოასპარეზე ივერიელ ქაბუქს, იანიჩართა რაზმის წევრს, და გული ეკუმშება:

„ვთქვი თუ, ვისთვის შენ კისკასობ,
ვისთვის იჩენ სიმარდესა?
შენი რაა, რომ ამშვენებ
შენს დამღუპველ ოსმალითსა?“

მკენესარე ელევგია დ. მეგრელის ლექსი „ოლთისის ციხეს“. პოეტის თვალწინაა ერთ დროს ძლიერი, ამაყი და ახლადანგრეული, გაპარტახებული „ძველი ძველი საქართველოსი“. და პოეტი გლოვობს მის დაკარგულ დიდებას.

ქართული საბჭოთა ლიტერატურა, რომელიც კვალდაკვალ მისდევს და შეძლებისდაგვარად ეხმაურება ჩვენი დი-

ადი ეპოქის მოვლენათა მსვლელობას, ცხადია, უყურადღებოდ ვერ დასტოვებდა ასეთ მნიშვნელოვან საკითხს.

ქართველი საბჭოთა პოეტები თავიანთ ლექსებში გამოსთქვამენ საქართველოს ამ ძველისძველი მხარის განთავისუფლების სრულ იმედს. გაქრასის უპერსპექტივობის ბურუსი, სევდა, კეჟანი, რომელიც ი. ჭავჭავაძის „იანიჩარს“ და განსაკუთრებით კი დ. მეგრელის „ოლთისის ციხეს“ ახასიათებდა. საბჭოთა პოეტების ლექსებში გულგატეხილობის ნაცვლად ოპტიმიზმი სუფევს.

ი. აბაშიძის „რა დაგავიწყებს“¹ მღელვარე პოეტური სიტყვაა თანამედროვე ქართველისადმი მიმართული. ავტორის აზრით, ქართველ ადამიანს, სანამ ქართველი ჰქვია, სანამ მტრის ზიზღი იცის და „მოყვარისათვის ჰანგი ქართული“, არასოდეს არ დაავიწყდება თავისი ნააკვნარი, თავისი ძველი საბუღარი, „ეფფრატის წყლამდე გაფანტული მისი ქეთიკირის ნასახლარები“. რა დაავიწყებს მას იმ ადგილებს, „ზედ რომ წინაპრის სუნთქვა დააკვდა“ და შემდეგ — „მტრებმა ეცეხლით დაისაკუთრეს“:

„რა დაგავიწყებს ძველს ნატყვიარებს,
სად დარჩა შენი ნაფუზვარები,
იმ ქართულ გზებზე დღესაც კრიოლებს
წინაპრის ცხენთა ნაქუსლარები.“

¹ „კომუნისტ“ 1945 წ. № 356.

იქ არის შენი აყენის გამოღელი,
შენი დაშლილი ოდა-სართული,
ქართველო, სანამ გვქვია ქართველო,
გვძაბის შენი მიწა ქართული“.

ი. აბაშიძე ამ ლექსით ჩვენს სინამდვილეში პირველად გამოეხმაურა თურქეთის მიერ მიტაცებული ჩვენი მიწა-წყლის საკითხს.

ასეთივე მოწოდებითი ხასიათის დასასრული აქვს გ. შატბერაშვილის ლექსს „მეც მესხი ვიყავ“.¹ საამო იყო მესხის წარსული ცხოვრება, მაგრამ მასაც მისწვდა „ხონთქრის ქანგები“. თავისუფლებისმოყვარე მესხმა კი ვერ აიტანა მონობის უღელი, დასტოვა სახლ-კარი და ქართლს მოაშურა—

„მტრის ჩეხით გამოვიტაცე
შატბერდს ნაწერი წიგნები“.

მაგრამ მას არ ასვენებს ფიქრები თავისი მშობელი მიწის შესახებ, რომელიც ისევ ეძაბის, ისევ მოელის, და მოუწოდებს ავტორი თანამემამულეებს:

„წამოდით, წინ წაგიძღვებით,
მე დროისს ჰერა მივფარდა“...

ე. ყურულის „მიმტაცებელთა გასაგონად“² მკაცრი პროტესტია თურქ-დამპყრობთა წინააღმდეგ, მკაცრი მხილვება მათი შავბრელი საქმიანობისა:

„ვინ სწვავდა ანხის თორმეტ სავანეს?
ვინ დაანგრია შატბერდი, ხანძთა?“

პოეტი ნაღვლიანი ტონით გვიყვება ქართული კულტურის გაქრობის, ქართული მოსახლეობის გათურქებისა და, საერთოდ, მხარის გადაშენების მწუხარე ამბავს. ყველაფერი ეს იმდენად შემაძრწუნებელია, რომ ჩუქურთმებში ჩასვენებულ ოპიზართა სულიც კი შეუშფოთებიანო, ამბობს ავტორი.

მაგრამ, საბოლოოდ, პოეტს მაინც მტკიცედ სჯერა, რომ:

„მამულისათვის აღდგება ბორცვიც,
თუ კვლავ იგრავინეს ქართველებმა“.

პოეტის ფანტაზიით შექმნილი მომავლის წარმტაცი სურათით მთავრდება ი. ვაკელის „მესხური ლაშქრული“³.

„კლარჯეთში ბრწყინავს ქართული დროშა
და შატბერდს ხატვენ ოპიზარები“.

ფართოდ გამოეხმაურა სამაჰმადიანო საქართველოს პრობლემას პოეტი გ. ლეონიძე. აღსანიშნავია მისი ლექსება მესხეთზე: „ისევ სუნთქავენ ქართულ ოცნებით“, „ვინ შეჩვენება... ვინ მიწვდის ხელებს“ და „მესხი ვარ“⁴.

პოეტი მწვავედ განიცდის ამ მაჰაჰაპეული აღგილების, დიდებული ტაქარების, ციხე-კოშკების, თვალწარმტაცი მილამოების „დაკარგვას“:

„ისე დავბერდი,
ველარ ვნახე ტბეთი, შატბერდი“.

შემზარავია თურქეთის მიერ დაპყრობილი მესხეთის დღევანდელი სახე: აქ თვალი მხოლოდ ნანგრევებს ხედავს, ყურს ლოდების გმინვა და ჭოროხის კენესა მოესმის.

ამავე საკითხს აშუქებს გ. ლეონიძის მეტად საინტერესო ლექსი „ნუ გათათრდები“. იგი მიძღვნილია პატარა ფრინველისადმი, რომელიც მცირე აზიის მილამოებში დაფრინავს და მგზავრს ქართული ენით ჩასძაბის— „ნუ გათათრდები!“ პოეტი ქება-დიდებას უძღვნის ამ ფრინველს, რადგან იგია გამამხნევებელი „ძუძუს მოსხლეტილ გარექართველებისა“, პირველი მოძმე „მიტაცებულთა და მკლავგაბაწრულთა“, ერთადერთი ნუგეში აზიის გეგმებზე. უდაბნოებში გადაკარგული ჩვენი ძმებისა და დებისა. ავტორის მთელი სიყვარული მისკენაა მიმართული:

¹ „მნათობი“, 1946 წ., № 5—6.

² „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1947 წ., № 41.

³ „მნათობი“, 1948 წ., № 2.

⁴ გ. ლეონიძე, ერთობეული, 1947 წ.

„შენ, ფრთაშესხმული ხალხის სურვილო, ხალხის ტყვილო, ცად ატყორცნილო, თვით ხალხის ნებით მტრად აღმოვალო, ნატავ ვა ველი დამაკონინო“.

გ. ლეონიძეს აღვლევებს „თურქის ბრწყვალში, თათრის ბორკილში“ მყოფი ქართველობის ბედი. მათი ეროვნული გადაგვარების სურათი და იგი მიმართავს ამ ფრინველს, რომ იტრიალოს იქ, „დაძებნოს ჩვენი ძმები და დები“ და თავისი მკაცრი ხმით დასძახოს მათ: „ძმანო, ქართველნო, ნუ გათათრდებით“. ასე უთხრას მან მიტაცებულ უკვდავი წაში „მწარი მონობის დამამხობელი“ —

„მათა ვამოხსნის, შინ დაბრუნების, შენვე იყავი მხარობელიც“.

ამბობს დასასრულ ავტორი.

ამ კონკრეტულ თემაზე ამეტყველებულ ლექსში გ. ლეონიძემ ღრმად ჩააქსოვა მთელი ქართველი ხალხის ფიქრები და მისწრაფებანი.

მრავალი ლექსი მიუძღვნეს ქართველმა პოეტებმა ახალ, საბჭოთა მესხეთსაც. ამ ნაწარმოებებში მოჩანს ის საერთო სიყვარული, რომლითაც გარემოცულია ჩვენი ქვეყნის ეს უძველესი და უბრწყინვალესი მხარე. ის „განახლების ნიაღვარი“, რომელიც მესხეთს მოედო და მთლიანად შეუცვალა სახე, მთელი ჩვენი ხალხის აღტაცებას იწვევს:

„მესხეთში დავიარები,
გული მიღლავს სიამით;
მოგვირჩა ნაირევი,
ნატყენ ვამთა სიავით“.¹

უერთდება ხალხის ხმას პოეტი გრ. ცეცხლაძე.

მესხეთში ახალმა ნიავმა დაჰქროლა, ახალი ძალა მოვიდა, რომელმაც აღორძინების გზაზე დააყენა ეს მხარე. ამ

აყვავებული, განახლებული მესხეთის პანორამა იშლება ვ. ჟურელის ლექსში „მესხური სიმღერა“.² იხ; ერთი ადგილი:

„ტოტებს იწვლიან განთიადისკენ
შენი ტყენი და ხილის ბაღები,
ჰყვავის მრავალჯერ გადარჯული
მიწა ქართველთა სისხლით ნაღები,
მერცხლებს საბუდრად მოსწონებიათ
ჩუქურთმინი სახლის თაღები,
ტოტებს იწვლიან განთიადისკენ
შენი ტყენი და ხილის ბაღები“.

მესხეთში ახალი ცხოვრება დამკვიდრდა: ახალი, ლამაზი და უშფოთველი ცხოვრება. გაჰქრა ძველი წუხილი, კვნესა-ვაება, მტრისგან აოხრების შიში და მშვიდობიანი შრომის ფერხულში ჩაებნენ მშრომელები. საინტერესოა ამ მხრივ ა. მირცხულავას „მესხური“.³ რაჰველი ბიჭი, რომელმაც „გაიჩინა მესხეთს ბინა“. ნათელი ფერებით გვიხატავს თავისი ბედნიერი ცხოვრების სურათს:

„აჰ მყავს ჩემი სატრფიალოც,
შე სიამე არ მსურს მერტი,
ვერ გაღმოვა სატიალოდ
ის ურჯულო ოსმალოც“.

ძველი და ახალი მესხეთის თემას მიუძღვნა ა. ადამიამ „მესხეთის გაზაფხული“.

სამხრეთ-საქართველოს თემაზე დაწერილი გრ. აბაშიძის ლექსების ციკლი „სამხრეთ საზღვარზე“, რომელიც ჯერ „კომუნისტში“ გამოქვეყნდა (1949 წ. № 87), ხოლო შემდეგ, უფრო სრული სახით, ცალკე წიგნად გამოვიდა. იგი 25 ლექსისაგან შედგება და გამოთიანებულია ერთი თემით, ერთი იდებით:

¹ „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ., № 46.

² იხ. ა. მირცხულავას „მალალი ოცნება“ (1950 წ. გამოც.), გვ. 50.

³ „ლიტერატურა და ხელოვნება“, 1949 წ., № 45 (მესხეთის დილა“).

თურქმა მოძალადეებმა, რომლებიც ამერიკელ რეაქციონერთა შთაგონებით ახალ ომებზე ოცნებობენ, უნდა დაგვიბრუნონ ჩვენი მამაპაპეული, მკვიდრი, ისტორიულად კუთვნილი მიწა-წყალი.

გრ. აბაშიძემ კარგად გაითვალისწინა, რომ ცალკეული ლირიკული ლექსი, რაც უნდა სრულყოფილი და მნიშვნელოვანი იყოს, რაც უნდა დიდი პოეტის ხელიდან იყოს გამოსული, მაინც ვერ შესძლებს ყოველმხრივ გააშუქოს საკითხი, მთლიანად დააკმაყოფილოს მკითხველის მოთხოვნილება.

„მარტო ერთი ლექსი რომელიმე დიდ თემაზე აღარ სტოვებს სათანადო შთაბეჭდილებას. გაცილებით უკეთეს ეფექტს ახდენენ ლექსების ციკლები“, ამბობს ანტ. კ. ნ. ჩარკვიანი.

კითხულობთ ლექსების ციკლს „სამხრეთ საზღვარზე“ და თქვენ კითხულობთ თითქოს არა ცალკეულ ლექსებს, არამედ ერთ მთლიან პოემას, რომელიც თავებადაა მხოლოდ დაყოფილი და რომლის წაკითხვის შემდეგ გრჩებათ ერთი მთლიანი შთაბეჭდილება.

ლექსების ციკლი იწყება იმ ხარბაზნების ჩვენებით, რომელიც ქართველი მევენახეებისათვის დაუმიზნებიათ თურქ და ამერიკელ იმპერიალისტებს.

ავტორის ცდას, სამხიარულო განწყობილება შექმნას მესხური გაზაფხულის ჩვენებით, მალე აქარწყლებს ხარბაზნების ლულები, რომლებიც ბრაზით იცქირებოდან სამხრეთ საზღვრიდან და მესხთა ბალებსათვის თავზარის დასაცემად არიან გამზადებული. საქმე ის არის, რომ, თურმე, აქ, ქართულ სოფელთან, ამერიკელთა „თავდაცვის ხაზი“ გადის, სარკასტულად შენიშნავს ავტორი.

ამ ლექსს („თავდაცვის ხაზი“ ქართულ სოფელთან“) მოსდევს საუბარი თურქეთის ძველი „დიდების“ შესახებ. ავტორი იგონებს „ბრწყინვალე პორტის“ ბრწყინვალე დღეებს, როცა

„როინის გარდა დუნაის თავზეც ელვარებდა“ მაჰმადიანობის უკმარეს ნახევარმთვარე.

ზინზლინოთქა

„მაგრამ დაბნელდა „ბრწყინვალე პორტი“, ჩამქდა თურქთა ცის კაბაღონი“.

ნახევარმთვარესაც

„შემდეგ მოკლდა სისხლი ბოღგართა, ველარ აილი ლა ჩვენგანც, მოფარე, რომელიც ვეშაპს მოჭავდა, ბოლოს გასაწყვეტ ძაფს დამეგვანა“.

თურქეთი ამერიკის ხელქვეითად, ამერიკის იანიჩარად გადაიქცა და, აიტრუმენმა გადასწყვიტა „თურქთა ფრდაკარგული ნახევარმთვარის კვლავ გავსება ხალხების სისხლით“. მაგრამ დაავიწყდა მისურელ პარის.

„რომ ბუნებაში გაღვევა მოფარის არის კანონი გარდაუვალი“.

ე. ი. ომებითა და სისხლისღვრით გაძლიერებული სახელმწიფოს დასუსტება ბუნებრივ აუცილებლობას წარმოადგენს; დაავიწყდა მას, აგრეთვე,

„რომ ახლა სულ სხვა ხალხები დგანან იანიჩრებას მოპარდაპირედ“
(„ამერიკის იანიჩარი“).

ტაოში ერთი უზარმაზარი, ლამაზად მოჩუქურთმებული ტაძარი იდგა. თუმცა გაუპარტახებია თურქ მომთაბარეს, მაგრამ მაინც

„გადარჩებოდა ცამდის აწვილილი ძველი ქართული და ძველისძველი, მაგრამ მოვიდა ჯარის ნაწილი და ინიინური ამერიკელი“.

მან ბურბუშელებად აქცია ტაძარი და მის ადგილას აეროდრომის შენება იწყო. აი, ახლაც ყავახანაში მზავიდას უზის ეს „განათლებული გადამთიელი“ და ოცნებობს იმაზე, თუ რა შეტი გამოსარჩენი ნახოს ამ ქვეყანაში.

ასეთია შინაარსი ლექსისა „ვასეირ-
ნება აღმოსავლეთში“.

ამ პირველი ლექსებით ავტორმა თან-
დათან მოამზადა მკითხველი ძირითა-
დისა და არსებითის მოსასმენად,
რასაც პოეტი ჩვეულებრივი მშვიდი კი-
ლოთი ვერ იტყვის და, აი, ამა-
ღელვებელი სტრიქონები ლექსიდან
„სარფი“:

„კლდეზე მოსჩქვს მდინარე სწრაფი,
ვათვრებელი ზვირთთა ჭაღართ,
სოფელს ორად ჰყოფს მდინარე სარფი
და სარფს თურქეთის ჰქვია საზღვარი“.

ასე იწყებს ავტორი საუბარს თურ-
ქეთის მიერ მიტაცებული ჩვენი ტე-
რიტორიის საკითხზე.

პირველი აფექტური განწყობილება,
ცხადია, მალე ჰქრება ფემის ხასიათის
ვამო და ისევ მინორული ტონების
ჩხვევა მოისმის:

„გაღმა-გამოღმა ვსომიჭრილი
ოღები ჰფარავს ორივე მალღობს,
გამოღმა ცხოვრობს ერთი ძმისშვილი,
გაღმა მეორე ძმისშვილი სახლობს.
წყალგაღმა აღარ ჰყვავის ვენახი,
თვალს არ ახარებს ვამოსვლა კვირტას,
ერთ ძმისშვილს სკოლის ზარი ეძახის,
მეორის შვილი მიზგათში მიდის“ და სხვ.

შემდეგ „ტაო“. ეს ის ტაოა, მშვენი-
ერი ტაძარი რომ დაუნგრია ამერიკელ-
მა ინჟინერმა.

„ტაო, ტაო, ჩვენო ტაო,
ქართლ-კახეთის მკვიდრო დაო“.

უალრესად ინტიმური განცდით იწ-
ყებს ავტორი ლექსს და შემდეგ განა-
გრძობს: ჩემს ხსოვნაში ვერაეინ წაშ-
ლის შენს მოჩქერთმებულ ტაძრებს,
„შენს დაქცეულ ციხის ბურჯებს“; თუ
მოვესწრებით, ნეტავ, რომ აღსდგე და
„შენი ბედი ჩვენს სადროშოს მია-
ბარო“;

„ტაო, ტაო, კარგო დაო,
აკლბულო, საცოდავო“.

მწარედ მოსთქვამს პოეტი. ამასვე
უკავშირდება ამ მშობლიური ადგილე-

ბის ნახვის სურვილი. ავტორი წრფე-
ლი გულთ შენატრის პატარა თევზის
ბედს, რომლისთვისაც არ არის მტკვარ-
ზე საზღვარი, რომელსაც არ დარა-
ჯობს თურქი ასკერი, რომელსაც შეუ-
ძლია ჩაიხედოს მტკვრის აკვანში, გა-
ხედოს არსიანის თოვლიან ქედებს...

„ნეტავი შენს ბედს, პატარა თევზო,
არ მოგზულდვია კარი და ეზო“
(„ნეტავი შენს ბედს“).

პოეტი თვალს ავლებს ქართველი
ხალხის წარსულს და იმის შემდეგდრო-
ინდელი ვითარების პოეტურ ანალიზს
გვაძლევს, „რაც ჩვენს მეზობლად და-
სახლდა თურქი“. ამის შემდეგ არ მო-
უსვენია ქართველობასო, გვეუბნება
ავტორი: „გამწარდა ლხინი, გაწყდა
ქორწილი“. არც ჩვენ ვემონებოდით,
„თურქის მონობას სიკვდილს ვარჩევ-
დით“, მაგრამ გაგვტეხა ბოლოს და
„მეკრძღვ მოგვევლიჯა ტაო-კლარ-
ჯეთი“.

მაგრამ ავტორს აფრთოვანებს რწმე-
ნა „თურქთაგან ასკერ გათელილ“
ტაოს გამოხსნისა, ჩვენი ძმების დაბ-
რუნებისა; ამიტომ სევდიანი ოცნება,
კაეშნაიანი ნატერა ადგილს უთმობს
იმედით სავსე, მგზნებარე სტრიქონებს:

„ღა მელანდება ის წამი, როცა
ხანძარში შევალ ხალისით სავსე,
ყარსზე ვადიელის სტალინის დროშა
და სალუტები თბილისის თავზე“.

ეს მღელვარე განწყობილება გრძელ-
დება და უფროდაუფრო მალა იწყებს
მომდევნო ლექსებში: მათ საქართვე-
ლოს ქალებით უნდა ჰარამხანების
აესება, მათ ჩვენი ბავშვები უნდათ მა-
მელუკებად დაიტაცონ, მაგრამ „ჩვენი
მახვილიც არ სთვლემს ქარქაშში“..
და თუ ჩვენს წინააღმდეგ წამოსვლას
გაბედავენ, თავის თავს დააბრალონ,
თუ მათ ჩვენ ძველი ანგარიშიც გა-
ვესწოროთ. ის, ვინც ბერლინის კარი
შელეწა, ანკარაში შესვლასაც მოახერ-
ხებს.

„შევალო, ხმალდახმალ შეხლა გვეწნება,
ერთად გადავუხდით ვალებს ვალებლად“
(ველარ გვიანტრონ შამულაყებად“).

არ შეიძლება დაეწივებულ იქნას ის
სახელოვანი ბრძოლები, რომლებსაც
საქართველოს მიწებისათვის აწარმო-
ებდა რუსეთის მხედრობა. ავტორი
იგონებს 1826 — 28 წლების ომს და იმ
მწარე გაკვეთილს, რომელიც თურქებ-
მა ამ ომში მიიღეს:

„მათ ახსოვთ ხმალი შემალბებული,
ახლო წარსულის მწარე ფორცალო,
ქართველი თავზე ხელაღებული,
რუსი ბრძოლაში ფეხმოუცვლელი“.

ახსოვთ ეს, გამოცდილი აქვთ ჩვენი
დარტყმის სიმწარე და, თუ არ დაიშ-
ლიან სისხლის ღვრას, კვლავ შენან-
დებათ თავხედობა,

„რადგან ერთგული სტალინურ ფიცის
ქართლს იცავს მოძმე რუსთა მხედრობა“
(ისტორიის გაკვეთილი“).

მომდევნო ლექსში თვალწინ გვეშ-
ლება დიდებული სურათი: პუშკინი
დამარცხებული არზრუმის თავზე. ეს
კარგად შერჩეული, ლამაზი დეტალი
ბრწყინვალე გვირგვინია ამ გამარჯვე-
ბისა —

„რამდენი თურქის სუნთქვა დასრულდა,
რამდენი ჩალმა ხეში ჩალაგდა,
ახლა პუშკინი იდგა არზრუმთან,
დამორჩილებულ კარნუ-ქალაქთან“
(„პუშკინი არზრუმში“).

ასე თანდათან ძლიერდება გამაცო-
ცხლებელი, აღმაფრენი განწყობილე-
ბა და ლექსში „ოცნება ტრაპიზონის
ოლქკომზე“ იგი უმაღლეს მწვერვალს
აღწევს. აქ გადმოცემულია ავტორის
ნათელი, ჯანსაღი ოცნება მომავალზე:
ტრაპიზონის საოლქო კომიტეტი, პარ-
ტიული დირექტივები თბილისიდან და
პატაკი კრემლს ჩვენი სამხრეთის აღო-
რძინების შესახებ.

ნახევრად სასაცილო, ნახევრად შე-
საბრალისი ტონით გვიყვება ავტორი

ირანის ლომის ამბავს. შესაბრალისია
ახლა ეს ცხოველი:

ერკინული
გიგლიოთუქა
„კბილებდამპერალო, კლანჭებდამცვლადი
ფეხს ძლივსა ადგამს ირანის ლომი“.

მართლაც შეგვაცოდებდა თავს იგი,
რომ მოწყალების მთხოვნელი იყოს,
მაგრამ მას მოწყალება როდი ნდომია:

„სურს ზეიბრული მუხლის კანკალით
კავასთონზე შეჭკრას კამარა“.

ამიტომ სასაცილოა ის,

„არც ვისზე სჯერა მისი ნახტომის...
საკუთარ სხეულს ძლივსა მიათრევს
შემარცხებენელი ლომთა გვარტომის“
(„ირანის ლომი“).

აქ კარგად გამოიკნობს მკითხველი
თანამედროვე ირანის საგარეო პოლი-
ტიკას.

შემდეგ მოდის ლექსები: „ნოსტეს
ღრუბელი“, „სამცხის სამარხზე“, „შვი-
დი შეციხოვნი“ და „ჯაქვგაუხდელი“.

ვიორჯი სააკაძის ტრაგიკული ბედი;
მტრისგან თავგაჩეხილი სამცხის გო-
ლიათის გმირული სახე; შვიდი მეცი-
ხოვნის თავგანწირვა; თათრის ბეგრით
თავმოძულებული, სპარსთა უღლით
გააღმასებელი, კირშიც, ლხინშიც,
შრომაშიც და ძილშიც კი ჯაქვგაუხდე-
ლი ქართველი. აი, ყველაფერი ის,
რაც დასახლებული ლექსების მთავარ
თემას შეადგენს.

ავტორი ვერ ჩასთვლის დამთავრე-
ბულად საუბარს ამ თემაზე, თუ არ
გვანჩენა ახალი, აყვავებული მესხე-
თი. მაგრამ, ბუნებრივია, რომ მან უნ-
და შესცვალოს საუბრის ტონი. მწარე
წარსულის ნაცვლად თბობა ბრწყინ-
ვალე აწმყოზე გადმოდის და ახალ ში-
ნაარსს გამოსახვის ახლებური საშუა-
ლება ესაქიროება. მართლაც, მაშინვე
თვალში გაცემათ ის ერთიანი გამო-
ცოცხლება, რაც „მესხის სიმღერაშია“
ჩაქსოვილი:

„მესხეთის მიწას ვემთხვევი,
მე სხვა არ მინდა საზღ-კარი“.

მერცხლის მოფრენას დავასწარ,
მესხურად ხარი დავყარი“.

ასე მღერის რაქის მთებიდან მოსულნი, „სამცხის ფუძეზე დაშენებული ქართველი“.

ამ გამოცოცხლებას ხელს უწყობს ისიც, რომ 10-მარცვლოვანი ლექსის ნაცვლად, რითაც დაწერილია მთელი „სამხრეთ საზღვარზე“, აქ საქმე გვაქვს მ-მარცვლოვან შაირთან და, მართლაც, მხიარული მესხის ბედნიერ ყოფას საუცხოოდ გამოხატავს ეს ამღერებული შაირი.

ავტორი წრფელი გულთ შეჰხარის თითოეული ახალი ვაზის გაშენებას მესხეთის მიწაზე; მას გულს უხარებს,

„რომ საქართველოს ნაენახარებს
კვლავ დახვევია ვაზი ახალი“
(„ახალშენი“).

ვაზის ხსენებას ბუნებრივად მოსდევს ქართული ღვინის აღწერა —

„ქრიალი გააქვს თანში საფერავს
და იფერფლება წყნარად ბუხარი“

პოეტს არ ავიწყდება, ის რბევა და გაჩანაგება, რომელიც ამ მიდამოებს განუტღიათ. აი, პატარა სოფელი უდგ; რა ცეცხლი, რა უბედურება არ გამოუვლია მას:

„თათრის სოფლების ტყვეს ჰკავდა უღმა,
გზამოწყვეტილი, როგორც კუნძული“.

მაგრამ მაინც არ გადაშენდა იგი, მაინც არ ამოუვარდა —

„და მოიტანა, ვით ჩირაღდანი,
იმედი სამცხის აღორძინების“
(„უღმა“).

ამ აღორძინებულ სამცხეს უმღერის პოეტი ლექსში „მონაპირე რაიკომებს“. იგი ხედავს „ძველი დიდების მიღმა, უფრო მაღალი დიდების საწყისს“, მის

„თვალწინ მალდება წარსულზე დიდი
მესხეთი მხნე და შეურყეველი“.

გრ. აბაშიძეს მტკიცედ სჯერა მესხეთის წინსვლა და აყვავება, მტკიცედ

სჯერა, რომ „მესხეთი მუმბღღურე აღდარდარჩება“ და მგზნებატედ მიმართავს ჩვენი რესპუბლიკის მოსაზღვრე რაიკომებს, რომლებიც ძველ მესხეთში ახალს ამკვიდრებენ, რომლებიც წინ უძღვიან სამცხის აღორძინებას —

„წინ, მონაპირე რაიკომებო,
თქვენს საქმეს ვაზა და გამარჯვება“.

ამ ლექსს მოსდევს „მდინარეების სიმფონია“, სადაც პოეტის მგზნებარე ტემპერამენტი „შმაგ მდინარეთა“ ზვირთების სრბოლას უთანაბრდება, სადაც მთიდან დაქანებული ტალღების დგაფუნს თან მოჰყვება მძლავრი სიმღერა ჩვენი დიდი და მთლიანი სამშობლოს, ჩვენი დიდი და ბრწყინვალე საქმის სადიდებელი.

„სამხრეთ საზღვარზე“ მთავრდება ლექსით „სტალინს“, რომელიც გვევლინება როგორც ყოველივე ზემოთქმულის აუცილებელი, კანონზომიერი დასკვნა.

მტერი მოუსვენარი და დაუნდობელია, კვლავ თმის ცეცხლში ჩაყრას გვიპირებს და მთელი შრომელი კაცობრიობის თვალი სტალინისკენა მიწყრობილი, როგორც იმედისა და ნუგეშისაკენ. სტალინია მშვიდობის დამცველი და ხალხს სწამს, რომ „გაიმარჯვებს მშვიდობის დროშა“:

„ნუმც მოსვენოს, არც დაინდობა,
ვინც სისხლის კვალზე დაგეშოლია.
სტალინ, შენ იცავ ხალხთა მშვიდობას
და ხალხებს თმის არ ეშინია!“

ასეთი ღრმა ოპტიმისტური განცდით, ასეთი მღელვარე, მაგრამ უშფოთველი განწყობილებით მთავრდება ლექსების ციკლი. მთელი ნაწარმოები აგებულია ერთ მუსიკალურ პანგზე; ეს რთული და მრავალფეროვანი მსხალა ჩატარებულია ერთ მგზნებარე სიმღერაში და სწორედ ეს არის ავტორის დიდი გამარჯვება.

აქ საქმე გვაქვს თავისებურ პოემასთან, სადაც მოქმედი გმირების მაგიფ-

რად საკითხები, მოვლენები მოძრაობენ, ვითარდებიან, სადაც წარმოდგენილი თემა იშლება, ფართოვდება და თუ შეიძლება ითქვას, მოქმედებს.

მაგრამ, ამავე დროს, ცალკეული ლექსის არქიტექტონიკა მსხვერპლად არ ეწირება ლექსების ციკლის ასეთ მთლიანობას. ყოველი ცალკეული ლექსი დასრულებული პოეტური ნაწარმოებია. თავისი საკუთარი თემა და იდეა გააჩნია, სხვა ლექსებისაგან დამოუკიდებელი, საკუთარი არქიტექტონიკა აქვს.

ლექსების ციკლში არის ბუნების ამსახველი სურათები, მაგრამ ისინი წარმოდგენილი არიან ძუნწად, ძალზე შეკუმშულად. პოეტი არ მიმართავს ვრცელ პეიზაჟურ პასაჟებს, რადგან მას შეეძლო დისპარმონია შეეტანა ნაწარმოებში. გრ. აბაშიძე ამ შემთხვევაში ნაწარმოების იდეურ მომენტს უკავშირებს ყველაფერს. მას პეიზაჟი სჭირდება იმისათვის, რომ უფრო ცხადად გვაგარძნობინოს ის, რისი თქმაც სურს. იგი პეიზაჟს, ისევე, როგორც ნაწარმოების ყველა სხვა მხატვრულ კომპონენტს, აყენებს ძირითადი იდეის სამსახურში: ქართლის ერისთავების ბუნების დასახატავად პოეტს დასჭირდა აბოზოქრებული მდინარეების ჩვენება („მდინარეების სიმფონია“). განახლებული მესხეთის საჩვენებლად — „თიქნის შუბლივით რქებდაჩნეული“ ვაზის სურათი („ახალშენი“).

მაგრამ, მთავარი, რითაც „სამხრეთ საზღვარზე“ განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს — ეს ის მღელვარე

და უკვდავი პატრიოტიზმია, რომელიც წითელი ზოლივით გასდევს ლექსების ციკლს.

აეტორი ნამდვილი პოლიტიკური სიმახვილით მიმოიხილავს მის თემასთან დაკავშირებულ საერთაშორისო საკითხებს, იგი ნიღაბს ხდის ამერიკელ რეაქციონერებს და მათ თურქ თანამოაზრეებს, რომელთაც სურთ კვლავ „ახალი ომის ცეცხლში ჩაგვყარონ“, რომელთაც „თავდაცვის ხაზი“ გაჰყავთ მშვიდობიან ქართულ სოფელთან და აქედან ქართულ მარგანეცსა და ბაქოს ნავთს „უბრიალებენ თვალებს“, რომლებიც „ხმაღს ლესავენ, თუმცა არაფერ არ ემუქრებათ“.

უოლ-სტრიტი „აღმოსავლეთის პაქტს“ ამზადებს; ჩვენს წინააღმდეგ ომისაკენ მოუწოდებს აღმოსავლეთის ხალხებს. ეს უკანასკნელი კი, დოლარის ტყვეობაში მყოფნი, ბრმად მიჰყვებიან „თეთრი სახლის“ ნება-სურვილს, თუმცა იციან, რომ ჩვენგან არაფერთარი საფრთხე არ მოელთ, ისიც იციან, რომ ომი ვერაფერთარ ნუგეშს ვერ მიიღებენ. კარგად შენიშნავს აეტორი:

„და საილამო თუმცა დიდია,
არეის უნახავს ომით ნუგეში...
რაც ბრმად მიდიან, რაც შორს მიდიან,
თავს უფრო ჰყოფენ მონის უღელში“
(„აღმოსავლეთის პაქტი“).

სწორედ ეს უნდათ ამერიკელ იმპერიალისტებსაც.

ამ ლექსებით გრ. აბაშიძე გვევლინება პოლიტიკური ლირიკის ერთერთ საუკეთესო წარმომადგენლად ქართულ საბჭოთა ლიტერატურაში.

გიორგი მერჩულა

ქართული მწერალი მათემატიკისა *

VI

მისხეთის (ზიმონ ქართლის) მხარეები
და ცნობები მის შესახებ გიორგი მერჩულის ძეგლში

მას შემდეგ, რაც ჩვენ განვიხილეთ გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენებანი საქართველოს ძირითადი პოლიტიკური ერთეულების შესახებ მე-8 — 10 საუკუნეებში (იბერიის «ქართველთა სამეფოს» შესახებ აღმოსავლეთ საქართველოში, და «აფხაზეთის სამეფოს» შესახებ დასავლეთ საქართველოში), — ჩვენ აქ შევჩერდებით გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებზე მესხეთის (ზემო ქართლის) მხარეთა შესახებ, რომელიც დასახელებულ ეპოქაში შეადგენდა იბერიის „ქართველთა სამეფოს“ ძირითად შემადგენელ ნაწილს.

გიორგი მერჩულის ძეგლი ერთ-ერთი მთავარი წყაროა მესხეთის მხარეთა ისტორიის საკითხების გასაშუქებლად მე-8 — 10 საუკუნეთა მანძილზე.

ხოლო სპეციალური განხილვა გიორგი მერჩულის ძეგლის საისტორიო ცნობებისა (და მასთან დაკავშირებით ამავე ეპოქის სხვა წყაროების ჩვენებათა) მესხეთის შესახებ აუცილებელი ხდება განსაკუთრებით იმის გამო, რომ სპეციალურ ლიტერატურაში, როგორც შემდეგ დავინახავთ, გამოთქმული იყო შეხედულებანი, რომლებიც შეცდომით, შეიძლება ითქვას სრულიად ყალბად წარმოგვიდგენენ საერთოდ მესხეთის მხარეების და კერძოდ ტაო-კლარჯეთის ისტორიულ თავგადასავალს.

ინტერესი მესხეთის მხარეთა ისტორიისადმი კიდევ უფრო ძლიერდება იმის გამო, რომ დიდი ნაწილი მესხეთისა, რომელსაც ესოდენ დიდი როლი მიუძღვის ქართველი ხალხის ისტორიაში, მოწყვეტილია დედა-სამშობლოს და ქართველი ხალხის ეს ძირითადი მიწა-წყალი თურქეთის მიერ არის დაპყრობილი.

1.

მესხეთის მხარეების (ზემოქართლის) ტერიტორიული მოცულობა

მესხეთის მხარეები ანუ ზემა ქართლი (რომელიც უფრო გვიან ხანაში სამცხე-საათაბაგოს სახელით იყო ცნობილი), შეადგენს საქართველოს ისტორიული ტერიტორიების სამხრეთ-დასავლეთ ნაწილს.

* გაგრძელება. „მნათობი“ №№ 10, 11 (1949 წ.) 1, 3, 4 (1950 წ.)

სახელდობრ მესხეთის მხარეების (ზემო ქართლის) ფარგლებში შედის შემდეგი ტერიტორიები:

1. მტკვრის აუზის ზემო-ნაწილი, დაწყებული სათავეებიდან (კოლას რაიონიდან) — ვიდრე ბორჯომის ხეობამდე;

2. კოროხის აუზი — დაწყებული სათავეებიდან (სპერის მხარიდან) — ვიდრე აქარის-წყალის ხეობამდე.

გარდა მტკვრისა და კოროხის აუზის აქ დასახლებული ტერიტორიებისა, მესხეთის ძირეულ ნაწილს შეადგენს აგრეთვე შემდეგი მცირე მოცულობის სექტორები მეზობელი არაქსისა და დასავლეთ ევეფრატის ხეობებისა:

ა. არაქსის ხეობის სანაპიროზე — პალაკაციოს (ანუ ჩალდირის) სექტორი, რომელიც ისტორიულად არტაანის მხარის ნაწილს შეადგენდა;

ბ. დასავლეთ-ევეფრატის ხეობის სანაპიროზე ქართლის ყელის ანუ ქართლის გზის სექტორი, რომელიც ისტორიულად ტაოს მხარის (თორთომის რაიონის) ნაწილს შეადგენდა. აქ, ამ სექტორის სამხრეთ მიჯნასთან, მდებარეობს განთქმული ბუნებრივი სიმაგრე, ვიწრობი „ქართლის ყელი“ (თურქების მიერ „გურჯი-ბოლაზი“-ს სახელით წოდებული), რომელიც იცავდა სამხრეთიდან საქართველოსაკენ მომავალ გზებს.

ჩვენ აქ შემოფარგლეთ მესხეთის მხარეთა მხოლოდ ძირითადი ნაწილი, რომელიც ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის მანძილზე საქართველოს ეროვნული ტერიტორიის ორგანიულ ნაწილს შეადგენდა. აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ გარდა ზემოთაღნიშნული მესხეთის მხარეთა ძირითადი ტერიტორიისა, გარკვეულ პერიოდებში მესხეთთან დაკავშირებული იყო აგრეთვე მეზობელი რაიონები არაქსისა და ევეფრატის ხეობებში, მათ შორის ბასიანი და კარის (ყარის) მხარე, მაგრამ მათ ჩვენ ამ-გზის არ ვეხებით და მათ შესახებ შემდეგ ცალკე გვექნება საუბარი.

მესხეთის მხარეები ზემოთ-აღნიშნულ ფარგლებში, ე. ი. მესხეთის ძირითადი ტერიტორიაა ზემო-მტკვრისა და კოროხის ხეობებისა (პალაკაციოსა და ქართლის ყელის სექტორების მითვლით), შეიცავს—ფართობს 34.230 კვადრატულ კილომეტრს.

მესხეთის მხარეთა ზემოთ-აღნიშნული ტერიტორიიდან საქართველოს საზღვრებში ამ-ჟამად შედის მხოლოდ მცირედი ნაწილი, ჩრდილოეთი ზონა, ხოლო უდიდესი ნაწილი, სამხრეთი პროვინციები, თურქეთის მიერ არის დაპყრობილი.

სახელდობრ მესხეთის მხარეთა ტერიტორიიდან საქართველოს საზღვრებში ამ-ჟამად შედის 7.115 კვადრატული კილომეტრი, ხოლო თურქეთის ფარგლებში მოქცეულია 27.115 კვადრატული კილომეტრი.

საქართველოს საზღვრებში შემავალს ისტორიული მესხეთის პროვინციებს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით შეადგენს 7 რაიონი: 1. ახალციხე, 2. აღიგენი, 3. ასპინძა, 4. ახალქალაქი, 5. ბოგდანოვკა, 6. ხულო, 7. ქედა და აქარის-წყალის უბანი ბათუმის რაიონისა.

თურქეთის საზღვრებში შემავალ ისტორიული მესხეთის პროვინციებს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით შეადგენს შემდეგი 12 რაიონი (კაზა): 1. ფოცხოვი, 2. ჩალდირი, 3. არტაანი, 4. კოლა (მერდენიკი), 5. ბორჩხა, 6. ართვინი, 7. შავშეთი, 8. ოლთისი, 9. თორთუმე, 10. ევდემი, 11. ისპირი,

12. ბაიბურთი და ამას ვარდა 13. გურჯი-ბოლაზის უბანი¹. (დასახელებული 13 ერთეულიდან — პირველი ოთხი რაიონი მტკვრის ხეობაში მდებარეობს. უკანასკნელი რვა რაიონი და ერთი უბანი — ჭოროხის ხეობაში).

როგორც ცნობილია, მესხეთის მხარეები პირველად დაპყრობილ იქმნა თურქების მიერ მე-16 — 17 საუკუნეთა მანძილზე.

თურქების მიერ მიტაცებული ტერიტორიებიდან 1829 წელს დაბრუნებულ იქმნა ახალციხე-ახალქალაქის მხარე (სახელდობრ ტერიტორია, რომელიც თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით შეიცავს 5 რაიონს: 1. ახალციხე, 2. აღიგენი, 3. ასპინძა, 4. ახალქალაქი, 5. ბოგდანოვკა).

მას შემდეგ, 1878 წელს, თურქეთიდან დაბრუნებულ იქმნა ისტორიული მესხეთის ტერიტორიების მნიშვნელოვანი ნაწილი, რომლებიც შევიდა ახლად ჩამოყალიბებული ადმინისტრაციული ერთეულების ბათუმის, ართვინის, ოლთისის და არტაანის ოლქებში.

მაგრამ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და მას შემდეგ, 1918 — 1921 წლებში, თურქეთმა ხელახლა დაიპყრო მესხეთის ტერიტორიებიდან ბათუმის ოლქის ნაწილი და ართვინის, ოლთისის და არტაანის ოლქები მთლიანად. ეს ტერიტორია, ოკუპირებული თურქების მიერ 1918 — 1921 წლებში, ამჟამად არსებული ადმინისტრაციული დანაწილებით შეადგენს თურქეთის 8 რაიონს (კაზას): 1. ბორჩხა, 2. ართვინი, 3. შავშეთი, 4. ოლთისი, 5. ფოცხოვი, 6. ჩალღონი, 7. არტაანი, 8. კოლა.

ამათგან ბორჩხის რაიონი არის ჩამონაჭერი ბათუმის ოლქისა;

ართვინის და შავშეთის რაიონები შეადგენდნენ ყოფილ ართვინის ოლქს;

ოლთისის რაიონი შეადგენდა ყოფილ ოლთისის ოლქს;

ფოცხოვის, ჩალღირის, არტაანის და კოლის რაიონები შეადგენდნენ ყოფილ არტაანის ოლქს.

ამრიგად ტერიტორია, რომელიც ამჟამად თურქეთს დაპყრობილი აქვს მესხეთის ისტორიული მიწაწყლიდან, და რომელიც თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით 12 რაიონს (კაზას) და 1 უბანს შეიცავს, ორ ზონად განიყოფება:

ა. პირველი ზონა — ტერიტორია, ოკუპირებული თურქების მიერ 1918 — 1921 წლებში, რომელიც შეიცავს ზემოთ-ჩამოთვლილ 8 რაიონს;

ბ. მეორე ზონა — ტერიტორია, რომელიც თურქეთს დაპყრობილი აქვს მე-16 საუკუნიდან და რომელიც შეიცავს დანარჩენ 4 რაიონს და 1 უბანს.

ეს ორი ზონა ისტორიული მესხეთისა ტერიტორიული მოცულობის მიხედვით ასე ნაწილდება:

ა) პირველი ზონა (ტერიტორია ოკუპირებული თურქების მიერ 1918 — 1921 წლებში, 8 რაიონი: ბორჩხა, ართვინი, შავშეთი, ოლთისი, ფოცხოვი, ჩალღირი, არტაანი, კოლა) — 13.425 კვადრ. კილ.

ბ) მეორე ზონა (ტერიტორია დაპყრობილი თურქების მიერ მე-16 საუკუნეში, 4 რაიონი: თორთუმი, ეგდემი, ისპირი, ბაიბურთი და გურჯი-ბოლაზის უბანი) — 13.690 კვადრ. კილ.

სულ 27.115 კვადრ. კილ.

¹ გურჯი-ბოლაზის უბანი ამჟამად გაერთიანებულია არზრუმის კაზასთან.

ჩვენ ამ აღენიშნეთ მხოლოდ მესხეთის ისტორიული ტერიტორიები, რამდენიმე ამაღ-
მად დაპყრობილია თურქეთის მიერ.

გარდა მესხეთის ისტორიული ტერიტორიებისა თურქეთს დაპყრობილი აქვს საქართვე-
ლოს მიწა-წყალიდან აგრეთვე ლაზეთ-ქანეთის მხარეები.

ლაზეთ-ქანეთის მხარეთა შესახებ ცალკე გვექნება დაწერილებითი საუბარი. ამ კო-
ამუშის აღენიშნეთ ლაზეთ-ქანეთის ისტორიული ტერიტორიების მოცულობას.

როგორც ირკვევა ბერძნული და ქართული საისტორიო წყაროების ჩვენებით, ისტორიულ
წარსულში, ანტიკურ ხანასა და საშუალ-საუკუნეებში, პონტოს ქართველი ტომებით, ლაზე-
თის — ქანეთის ჯგუფით, დასახლებული იყო შავი ზღვის სანაპირო ჭოროხის შესართავი-
დან — ვიდრე მდინარე თერმოდონამდე (რომელიც ერთვის შავ-ზღვას ქალაქ თერმესთან, 60 კი-
ლომეტრზე სამხრეთის აღმოსავლეთით).

ლაზეთის — ქანეთის მხარეები, აღებული ამ ძველს ისტორიულ-ეთნოგრაფიულ სა-
ზღვრებში, განიყოფება ბუნებრივ-გეოგრაფიული პირობების მიხედვით, და აგრეთვე ისტო-
რიული თავდასავალის მიხედვით, ოთხ დიდ სამხარეო ერთეულად: 1. საკუთრივ ლაზეთი,
2. ქალდია, 3. მთის ქანეთი (საკუთრივ ქანეთი), 4. ხალიზია-ტიზარენია.

ტერიტორიული მოცულობა ამ სამხარეო ერთეულობისა შემდეგია:

1. საკუთრივ ლაზეთი — მოიცავდა შავი ზღვის სანაპიროს ჭოროხის შესართავიდან
დაწყებული ვიდრე რკინის-პალომდე, რისზე დასავლეთით. (სახელდობრ საკუთრივ ლაზეთის
ფარგლებში შედიოდა თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით თურქეთის საზღვრებ-
ში მდებარე რაიონები: ხოფა, ათინა და რიზე) ¹.

2. ქალდია (ტრაპიზონის მხარე) — მოიცავდა შავი ზღვის. სანაპიროს რკინის-პალოდან
დაწყებული ვიდრე მდინარე სამანის-წყალის (ხარშუტის) ზეობამდე. (სახელდობრ ქალდიის
ფარგლებში შედიოდა თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით თურქეთის საზღვრებში
მდებარე რაიონები: ოფი, სურმენე, ტრაპიზონი, პლატანა, დიდი-ლიმანი და ელვები).

3. მთის ქანეთი (ანუ საკუთრივ ქანეთი) მოიცავდა მდინარე სამანის-წყალის (ხარშუ-
ტის) ზეობას და მის მიმდგომს მდინარე კელკიტის სათავეებს. (სახელდობრ მთის ქანეთის
ფარგლებში შედიოდა თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით თურქეთის საზღვრებში
მდებარე გაუმეშხანის და არდასის რაიონები და ჩრდილო-აღმოსავლეთით ნაწილი კელკიტის
რაიონისა).

4. ხალიზია-ტიზარენია მოიცავდა შავი ზღვის სანაპიროს, დაწყებული მდინარე
სამანის-წყალის (ხარშუტის) ზეობის ქვემო ნაწილიდან ვიდრე მდინარე თერმოდონამდე. (სა-
ხელდობრ ხალიზია-ტიზარენიის საზღვრებში შედიოდა თანამედროვე ადმინისტრაციული და-
ნაწილებით თურქეთის საზღვრებში მდებარე რაიონები: ტრაპიზონი, კერასუნი, ბულანჯაყი,
ორღუ, მესუღი, ფაცა, უნიე და თერმე — ვიდრე მდინარე თერმოდონის ხაზამდე).

ტერიტორიული მოცულობა ამ სამხარეო ერთეულებისა შემდეგია:

1. საკუთრივ ლაზეთი	4.670	კვადრატული კილომეტრი,
2. ქალდია (ტრაპიზონის მხარე)	6.010	" "
3. მთის ქანეთი	3.945	" "
4. ხალიზია-ტიზარენია	9.960	" "

სულ . . . 24.585

ლაზეთ-ქანეთის ეს ტერიტორიები, რომლებიც მდებარეობენ საქართველოს ეროვნული
ტერიტორიის დასავლეთ სანაპიროზე, ისტორიულ წარსულში მხირად გამხდარა უცხოეთის ძალ-
თა აგრესიის ობიექტი. საშუალ საუკუნეებში ლაზეთ — ქანეთი, რომელიც მოსახლეობის შემად-
გენლობით ქართულ ქვეყანას წარმოადგენდა, პოლიტიკურად ხან ბიზანტიასთან, ხან საქარ-
თელსთან იყო დაკავშირებული.

ლაზეთ-ქანეთის ზემოთ-დასახლებული ოთხი მხარიდან განსაკუთრებით ახლო კავშირში
იყო საქართველოსთან პირველი მხარე, საკუთრივ ლაზეთი, აგრეთვე ქალდია (ტრაპი-
ზონის მხარე).

¹ თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილების ჩვენების დროს ტერმინით
„რაიონი“ აღენიშნათ თურქეთის ადმინისტრაციული ერთეულს „კაზა“-ს.

უკვე გამორკვეული გვეჩნდა, რომ როგორც საკუთრივ ლაზეთი. ისე ქვეყანაში სავსებით დასავლეთ საქართველოს საზღვრებში შედიოდა. დასავლეთი საქართველო ერთ-ერთად აღნიშნულია იმდროინდელ წყაროში, აღწევდა „მისაზღვრამდე ქალდიისა“ და დღე-ქალაქი ქალდიისა ტრაპიზონი, მდებარე „სოფელისა (ე. ი. ქვეყანასა) შვერელთასა“, დასავლეთ საქართველოს დარგლებში იყო მოქცეული. დასავლეთ საქართველოში შედიოდა ასევე რიზე და ათინა, ქალაქები საკუთრივ ლაზეთისა.

(იხ. ზემოთ, თავი V, მნათობი № 4, გვ. 114 — 118).

მე-13 საუკუნის დასაწყისში, 1204 წელს, თამარ დიდის დროს, საქართველოს ჯარებმა დაიკავეს ლაზეთ-ქანეთის ქვეყნები მილიანად¹ და ამ ტერიტორიაზე საქართველოს ხელისუფლებამ ჩამოაყალიბა ტრაპიზონის სამეფო, რომელიც საქართველოს სახელმწიფოს გავლენის სფეროში იყო მოქცეული.

ტრაპიზონის სამეფოს მე-13 საუკუნეში გამოეყო საკუთრივ ლაზეთი ვიდრე რაინის-პალომდე (ე. ი. რიზე-ათინა-ხოფას პროვინცია) და ეს მხარე უშუალოდ საქართველოს შეუერთდა².

მე-13—14 საუკუნეებში აღნიშნული მხარე შეადგენს მესხეთის სამთავროს (სამცხე-საათაბაგოს) ნაწილს. მე-15 საუკუნეში იგივე მხარე (საკუთრივ ლაზეთი) გურიის საზღვრებში შედის. დოკუმენტში, რომელიც აგვიწერს საქართველოს ერთეულების საზღვრებს მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში, აღნიშნულია, რომ ამ დროს გურიის სამთავროს საზღვრებში შედიოდა „ბრგვი, აჭარა და ქანეთი (ლაზეთი) რკინი სპალო ს აქათი“³.

მე-15 საუკუნის მეორე ნახევარში (1461 წ.) თურქეთმა დაიპყრო ტრაპიზონის სამეფო. რაც შეეხება საკუთრივ ლაზეთს (რიზე-ათინა-ხოფას მხარეს ვიდრე რაინის-პალომდე), რომელიც ამ დროს გურიის სამთავროს ნაწილს წარმოადგენს, იგი რჩება საქართველოს მხარეთა შემადგენლობაში მე-16 საუკუნის ნახევრამდე.

მე-16 საუკუნის 40-იანი წლებიდან, როგორც ცნობილია, იწყება დიდი შემოტევა თურქეთისა საქართველოს წინააღმდეგ. ამ დროს თურქები დაიპყრობენ ლაზეთის მხარეს, მოსწყვეტენ რა მას საქართველოდან (გურიის სამთავროდან). საისტორიო წყაროების ჩვენებათა თანახმად დაპყრობა თურქთაგან ლაზეთის მხარისა 1546—1548 წლებში მომხდარა⁴. ამ დროიდანვე, მე-16 საუკუნის შუა წლებიდან, იწყება აგრეთვე დაპყრობა მესხეთის მხარეებისა, სადაც თურქები განამტკიცებენ თავის ბატონობას 16—17 საუკუნეთა მანძილზე.

ასეთი ძირითადი თარიღები ლაზეთ-ქანეთის მხარეთა ისტორიისა საშუალ-საუკუნეებში, მე-8 საუკუნიდან დაწყებული ახალ საუკუნეთა დასაწყისამდე.

ჩვენ ამ გზის ამით დაეამთავრებთ ამ მოკლე ექსკურსს ლაზეთ-ქანეთის ქვეყნების შესახებ.

დავუბრუნდეთ ამის შემდეგ მე ს ხ ე თ ი ს (ზემო ქართლის) მხარეებს.

ვიდრე შევეუდგებოდეთ განხილვას საისტორიო ცნობებისას მესხეთის მხარეთა შესახებ, რომლებიც წარმოდგენილია გიორგი მერჩულის ძეგლში და ამავე ეპოქის სხვა წყაროებში, აქ საჭიროა წინასწარ წარმოვადგინოთ ცნობები მესხეთის ისტორიულ ადმინისტრაციულ-თემობრივ დანაწილებაზე სამხარეო ერთეულებად საშუალ საუკუნეებში, პირველ რიგში მე-8—10 საუკუნეებში, ე. ი. იმ ეპოქაში, რომელსაც უშუალოდ ეხება გიორგი მერჩულის ძეგლი.

¹ იხ. ბასილი ეზოსმოქლარი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისა, 1944 წ., გვ. 31. იხ. ბერძნული მატთანე (ტრაპიზონის ქრონიკა) მიქაელ პენარეტისა, 1204 წლის თარიღის ქვეშე (1905 წლის გამოცემა, მოსკ., გვ. 1).

² იხ. ეამთა-აღმწერელი (ქართლის ცხოვრება I, 1849 წ., გვ. 433).

³ იხ. საქართველოს ერთეულთა საზღვრების აღწერილობის ტექსტი, შეტანილი ქართლის ცხოვრების შედგენი (ე. თაყაიშვილის გამოცემა, OP, II, 1906 წ. გვ. 130, ახალი ქართლის ცხოვრება ბერი ვენატაშვილისა, ივ. ჯავახიშვილის გამოცემა, 1940 წ., გვ. 49).

⁴ იხ. ქართლის ცხოვრება, II, 1854 წ., გვ. 190—191.

როგორც ეს ირკვევა ქართული მატრიანებიდან (მატიანე ქართლისაი, სუმბატ დავითის-ძის მატრიანე), გიორგი მერჩულის ძეგლიდან, ასევე ამავე ეპოქის სხვა წყაროებიდან, რომლებიც მე-8—10 საუკუნეთა საქართველოს ენება, მესხეთი ანუ ზემო ქართლი ზემოთ-ნაჩვენებ საზღვრებში, ე. ი. ზემომტკვრის ხეობა მთლიანად (პალაკაციოს სექტორით) და ქოროხის ხეობა მთლიანად (ქართლის-ყელის სექტორით) მე-8—10 საუკუნეებში განიყოფებოდა ცხრა მხარედ; ესენია:

1. სამცხე, 2. ჯავახეთი, 3. არტაანი (არტაან-კოლა), 4. აჭარა, 5. ნიგალი, 6. შავშეთი, 7. კლარჯეთი, 8. ტაონი, 9. სპერი.

იმევე წყაროებიდან ირკვევა აგრეთვე ამ მხარეთა ადგილმდებარეობა და ტერიტორიული მოცულობა.

1. სამცხე მდებარეობდა მტკვრის ხეობაში და მოიცავდა ახალციხის პროვინციას. (სახელდობრ სამცხის ფარგლებში შედიოდა თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით: ახალციხის და ადიგენის რაიონები, ნაწილი ასპინძის რაიონისა, და ამას გარდა თურქეთის საზღვრებში მდებარე ფოცხვის რაიონი).

2. ჯავახეთი აგრეთვე მდებარეობდა მტკვრის ხეობაში და მოიცავდა ახალქალაქის პროვინციას. (სახელდობრ ჯავახეთის ფარგლებში შედიოდა თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით ახალქალაქის და ბოგდანოვკის რაიონები და ნაწილი ასპინძის რაიონისა).

3. არტაანი (არტაან-კოლა) მოიცავდა მტკვრის ხეობის ზემო ნაწილს და პალაკაციოს სექტორს. ისტორიული არტაანის მხარე ამ-ჟამად მთლიანად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. (სახელდობრ ისტორიული არტაანის მხარის ტერიტორიას შეადგენს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით თურქეთის საზღვრებში მდებარე რაიონები არტაანისა, ჩალდირისა და კოლისა).

4. აჭარა მოიცავდა თანამედროვე ეთნოგრაფიულ აჭარას (მდინარე აჭარის-წყალის ხეობას: ხულოსა და ქედის რაიონებს და აჭარის-წყალის უბანს ბათუმის რაიონისა).

5. ნიგალი (ნიგალის-ხევი) მდებარეობდა ქოროხის ხეობაში და მოიცავდა ართვინის პროვინციას. ეს მხარე — ნიგალი — ამჟამად მთლიანად თურქეთის ფარგლებშია მოქცეული. (სახელდობრ ისტორიული ნიგალის მხარის ტერიტორიას შეადგენს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით თურქეთის საზღვრებში მდებარე ბორჩხის რაიონი და დასავლეთი ნაწილი ართვინის რაიონისა).

6. შავშეთი მდებარეობდა ქოროხის ხეობაში და მოიცავდა ამ-ჟამად თურქეთის ფარგლებში მდებარე შავშეთის რაიონს (კაზას), თურქეთის საზღვრებშივე მდებარე იმერხევის უბანს ართვინის რაიონისა და აგრეთვე მაჭახელის ხეობას. (მაჭახელის ხეობის ერთი ნაწილი, ზემო-მაჭახელი, — ამჟამად თურქეთშია მოქცეული, ხოლო მეორე ნაწილი, — ქვემო-მაჭახელი, საქართველოს საზღვრებში შედის).

7. კლარჯეთი აგრეთვე ქოროხის ხეობაში მდებარეობდა და მოიცავდა ქალაქ არტანუჯის მხარეს. კლარჯეთი ამჟამად მთლიანად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. (სახელდობრ კლარჯეთის მხარის ტერიტორიას შეადგენს თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით თურქეთის საზღვრებში მდებარე ართვინის რაიონის აღმოსავლეთი ნაწილი — არტანუჯის უბანი).

8. ტ ა ო ნ ი — ორ ნაწილად განიყოფებოდა: ამიერი და იმიერი ტაო (ანუ ქვემო და ზემო ტაო). ტაოს ორივე ნაწილს ეკირა: ა. კოროხის შემდინარე ოლთისის-წყალის ხეობა მთლიანად, აგრეთვე მისი მიმდგომი ქართლის-ყელის (გურჯი-ბოლახის) სექტორი; ბ. მდინარე კოროხის მარჯვენა სანაპირო დაწყებული ორჯნალიდან (ეხლანდელი ოშნალი) ვიდრე თუხარისამდე (ხერსის წყალის ხეობამდე). ტაოთა ორივე ნაწილი ამ-ჟამად მთლიანად თურქეთის საზღვრებშია. (სახელდობრ ტაოთა მხარეს, თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით, შეადგენს თურქეთის საზღვრებში მდებარე ოლთისის რაიონი, თორთუმის რაიონი, დასავლეთი ნაწილი ეგდემის რაიონისა და გურჯი-ბოლახის უბანი).

9. ს პ ე რ ი მდებარეობდა კოროხის ხეობის ზემო ნაწილში. ეს მხარეც ამ-ჟამად მთლიანად თურქეთის საზღვრებშია მოქცეული. (სპერის მხარის ტერიტორიას შეადგენს, თანამედროვე ადმინისტრაციული დანაწილებით, თურქეთის ფარგლებში შემავალი ისპირის რაიონი, დასავლეთი ნაწილი ეგდემის რაიონისა და ბაიბურთის რაიონი).

ასეთია ქართული მატიანეების („მატიანე ქართლისაი“-ს, სუმბატ დავითისძის ქრონიკის), გიორგი მერჩულის ძეგლისა და სხვა საისტორიო წყაროების ჩვენებათა თანახმად მესხეთის დანაწილება სამხარეო ერთეულებად მე-8 — 10 საუკუნეებში.

2.

**კულტურის მთავარი ცენტრები კლარჯეთში.
საქართველოს სინაი ანუ კლარჯეთის თორმეტი სავანე.**

განხილვას გიორგი მერჩულის ძეგლის ცნობებისას მესხეთის მხარეთა შესახებ დავიწყებთ კლარჯეთიდან. პირველ რიგში შევჩერდებით კლარჯეთის თორმეტი სავანის ისტორიაზე, რომლებიც კულტურის მთავარ ცენტრებს წარმოადგენდნენ კლარჯეთში.

ჩვენ უკვე დაწვრილებით გვქონდა განხილული საკითხი, თუ რა პოლიტიკურ ვითარებაში მოხდა — მე-9 საუკუნის დასაწყისში — გადატანა იბერიის (ქართველთა სამეფოს) პოლიტიკური ცენტრისა შიდა-ქართლიდან მესხეთის მხარეებში, კლარჯეთში. მე-9 საუკუნის ათიანი წლებიდან მოკიდებული კლარჯეთის ქალაქი არტანუჯი, განახლებული ამოტ I დიდის მიერ, ხდება იბერიის (ქართველთა სამეფოს) დედაქალაქი.

ამავე ხანებში, მე-8 — 9 საუკუნეთა მიჯნაზე, კლარჯეთში დაარსდა მთელი რიგი სავანეებისა (აგრეთვე განახლებულ იქმნა მთელი რიგი ძველად არსებული სავანეები), რომლებიც გახდნენ ქართული განათლების კერად, კულტურის უმნიშვნელოვანეს ცენტრებად საშუალ საუკუნეებში.

ჩამოვთვლით ამ სავანეებს.

1. კლარჯეთის სავანეთა შორის პირველად მოხსენებული უნდა იქნეს ო პ ი ზ ა. იგი, როგორც ირკვევა, ეკუთვნის საქართველოს უძველეს სავანეთა რიცხვს. ოპიზა პირველად დაარსებული ყოფილა მე-5 საუკუნეში, ვახტანგ გორგასარის დროს, მაგრამ მე-8 საუკუნის 30-იან წლებში, მურვან-ყრუს ლაშქრობის დროს კლარჯეთში, ოპიზა განადგურებულა და დაცლილა, ისევე როგორც განადგურებულა და დაცლილა კლარჯეთის სხვა სავანეები და კლარ-

ჯეთის დასახლებული პუნქტების დიდი ნაწილი. ამის შემდეგ ოპიზა ხელმოკრედ აღუდგენიათ მე-8 საუკუნის 50-იან წლებში (სამოელ ოპიზაის მოღვაწეობით). ამრიგად ეს ხელახალი აღდგენა ოპიზისა მომხდარა უფრო ადრე, ვიდრე იბერიის (ქართველთა სამეფოს) პოლიტიკური ცენტრი გადმოტანილი იქმნებოდა კლარჯეთში.

2. ამავე ხანებში, მე-8 საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში (782 წლის ახლო ხანებში) დაარსებულ იქმნა ხ ა ნ ძ თ ა განთქმული მოღვაწის გრიგოლ ხანძთელის მიერ, რომელიც დამკვიდრდა კლარჯეთში და რომელიც ხდება ხელმძღვანელი კულტურული მშენებლობისა ამ მხარეში.

მე-9 საუკუნის ათიანი წლებიდან მოკიდებული, რა დროიდანაც პოლიტიკური ცენტრი იბერიისა გადმოვიდა კლარჯეთში, ეს მშენებლობა კლარჯეთის მხარეში განსაკუთრებით ფართოდ გაშლილა. დაწყებული ამ ხანიდან, მე-9 საუკუნის პირველ ნახევარში კლარჯეთში დაარსებულ და განახლებულ იქმნა შემდეგი სავანეები:

3. შ ა ტ ბ ე რ თ ი (შატბერდი) ¹ — დაარსებული უშუალოდ გრიგოლ ხანძთელის მიერვე;

4. მ ი ძ ნ ა ძ ო რ ო ლ — დაარსებული დავით მიძნაძორელის მიერ;

5. წ ყ ა რ ო ს თ ა ვ ი — დაარსებული ილარიონ წყაროსთაველის მიერ;

6. ბ ა რ ე თ ე ლ თ ა — დაარსებული ზაქარია ბარეთელელის მიერ;

7. მ ე რ ე — განახლებული მოღვაწე ქალის ფებრონიას მიერ (თავდაპირველად მერე დაარსებული ყოფილა მე-5 საუკუნეში).

ამავე დროს დაარსებულ და განახლებულ იქმნა კლარჯეთში სავანეები:

8. დ ა ბ ა, 9. ჯ მ ე რ კ ი, 10. ბ ე რ თ ა, ხოლო მათ შემდეგ, 11. პ ა რ ე ხ ნ ი (ბერთისა პარეხნი) და 12. დ ო ლ ი ს ყ ა ნ ა.

როგორც ეს სწავს კლარჯეთის სავანეთა შემოთ-მოყვანილი სიიდან, რაც გიორგი მერხულის ძეგლის მიხედვით გვაქვს დადგენილი, კლარჯეთის ეს სავანეები, დაარსებული და აღდგენილი მე-8 — 9 საუკუნეებში, რიცხვით თორმეტი ყოფილა. ამიტომ არის, რომ ძველ-ქართულ წყაროებში ისინი კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს „ა თ ო რ მ ე ტ“ (ე. ი. თორმეტ) ს ა ვ ა ნ ე თ ა სახელით არიან ცნობილნი.

როგორც ქვემოთ იქნება გამორკვეული, ეს თორმეტი სავანე ტერიტორიალურადაც ერთ ზონაში იყო გაშენებული, ისინი ერთ განცალკევებულ ერთეულს, ცალკე მხარეს შეადგენდნენ (სახელდობრ მათ ეჭირათ კლარჯეთის პროვინციის ჩრდილოეთი მხარე, შავშეთის-წყალის ხეობიდან — დადოს მთებამდე).

კლარჯეთის ამ თორმეტ სავანეთა მხარეს ძველ-ქართულ წყაროებში მიემართება სახელწოდება ს ა ქ ა რ თ ვ ე ლ ო ს „ს ი ნ ი ა ი“ (სინის მთა). ამ ზედწოდებით ხაზგასმულია ამ სავანეთა მნიშვნელობა. ისევე, როგორც ბიბლიურის თქმულებით სინის მთა ითვლებოდა წმიდა ადგილად, საიდანაც მიღებულ

¹ სახელწოდება ამ სავანისა წყაროებში ორნაირად გვხვდება: შატბერთი და შატბერდი. როგორც ირკვევა, უფრო სწორია (მირველადია) პირველი ფორმა და ზეენც ქვემოთ ეს სავანე „შატბერთი“-ს სახელწოდებით გვექნება მოხსენებული.

იქმნა მცნება, ასევე საშუალო-საუკუნეთა ქართველი მწიგნობრები კლარჯეთის ამ თორმეტ სავანთა მხარეს უწოდებდნენ საქართველოს „სინაი“ს. როგორც ქართული განათლების კერას, როგორც ქართული განათლების ყველასაგან აღიარებულს უმნიშვნელოვანეს ცენტრს.

თუ რამდენად დიდი იყო კლარჯეთის სავანეთა მნიშვნელობა ქართული განათლებისათვის მე-8 — 10 საუკუნეთა მანძილზე, ეს შეიძლება გავითვალისწინოთ იმ როლით, რომელიც ეკუთვნოდა ამ ხანაში კლარჯეთის სალიტერატურო სკოლას, რომლის წარმომადგენელი იყვნენ გრიგოლ ხანძთელი, მეთაური ქართული განათლებისა 8 — 9 საუკუნეებში, არსენი დიდი კათალიკოზი, სოფრონ შატბერდელი, იოანე-ზოსიმე შატბერდელ-სინელი, ილარიონ პარეხელი, ქართველი ჰიმნოგრაფების პლეადა და სხვანი; ამ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის კერძოდ გიორგი მერჩულე, რომელიც კლარჯეთის სალიტერატურო სკოლის უდიდესი წარმომადგენელია მე-10 საუკუნეში და რომლის ძეგლი „ცხორება გრიგოლ ხანძთელისა“, აქ კლარჯეთში, ხანძთაში არის დაწერილი.

გიორგი მერჩულის ეს ძეგლი, ცხორება გრიგოლ ხანძთელისა, სპეციალურად ეხება კლარჯეთის თორმეტ სავანეთა ისტორიას და ჩვენც ამ ისტორიის განხილვაზე გადავდივართ.

2.

ადგილმდებარეობა კლარჯეთის თორმეტ სავანეთა.

პირველი კითხვა კლარჯეთის თორმეტ სავანეთა შესახებ, რომელზედაც აქ მოგვიხდება შეჩერება, ეს არის დადგენა ამ სავანეთა გეოგრაფიული ადგილმდებარეობისა.

ამ საგანზე, როგორც ცნობილია, მთელი ლიტერატურა არსებობს.

კლარჯეთის მხარის ცენტრი ქალაქი არტანუჯი თურქებმა დაიპყრეს მე-16 საუკუნის ნახევარში (1551 წელს), ამ დროსვე თურქების მიერ დაპყრობილ იქმნა მთელი კლარჯეთი, მათ შორის თორმეტ სავანეთა მხარე, და ამ დროიდან მოკიდებული სამი საუკუნის განმავლობაში კლარჯეთი თურქეთის საზღვრებში იყო მოქცეული.

კლარჯეთი, როგორც აღნიშნული გვქონდა, განთავისუფლებულ იქმნა თურქთა ბატონობისაგან 1878 წელს და მას შემდეგ კლარჯეთის ტერიტორია შევიდა ახლად ჩამოყალიბებული ადმინისტრატიული ერთეულის ართვინის ოლქის შემადგენლობაში; მაგრამ პირველი მსოფლიო ომის პერიოდში და მომდევნო ხანაში (1918 — 1921 წ. წ.) კლარჯეთის მხარე ისევ დაიპყრო თურქეთმა და ამჟამად იგი კვლავ თურქეთის საზღვრებშია მოქცეული.

თურქეთის ხანგრძლივი ბატონობის დროის მანძილზე ძველი ქართული კულტურის ეს უმნიშვნელოვანესი ცენტრი — კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარე — გავერანებულა, ბევრი ძეგლები დანგრეულა, ზოგიერთი ძველად არსებული პუნქტები მოსპობილა, ზოგის ძველი სახელი დავიწყებას მისცემია. ამის გამო კლარჯეთის ზოგიერთი ძველი სავანის გეოგრაფიული ადგილმდებარეობა საძიებელი ხდება.

პირველი ქართველი მოგზაური, რომელიც მე-19 საუკუნეში გვაწვდის ცნობებს კლარჯეთის მხარის სავანეთა შესახებ, ეს არის გიორგი ყაზბე-

გ ი, რომელმაც 1874 წელს, ჯერ კიდევ თურქთა ბატონობის დროს, იმოგზაურა თურქეთის საქართველოში. გიორგი ყაზბეგმა კლარჯეთის საეპარქიოებთან პირველად აღწერა ოპიზა, და ამავე დროს აღნიშნა, რომ კლარჯეთში მოიპოვება დიდ საეანეთა ნაშთები ბერთასა და ფორთაში (ამ პუნქტებში თვით გ. ყაზბეგი არ ყოფილა).¹

მას შემდეგ 1879 წელს (ე. ი. კლარჯეთის მხარის თურქთაგან დაბრუნების მეორე წელს) კლარჯეთში იმოგზაურა ცნობილმა ქართველმა ისტორიკოსმა დ ი მ ი ტ რ ი ბ ა ქ რ ა ძ ე მ, რომელიც გადმოგვცემს დაზატების ცნობებს ოპიზის შესახებ, ხოლო კლარჯეთის დანარჩენ საეანეთაგან იგი ეხება დოლისყანას. დ. ბაქრაძემ პირველად გადმოიღო ამ ძეგლების, ოპიზისა და დოლისყანის, საისტორიო წარწერები, რამაც ახალი შუქი შეიტანა ამ მხარის არქეოლოგიაში².

დ. ბაქრაძე ამავე დროს კლარჯეთში ეძიებდა შატბერთის ადგილმდებარეობას, მაგრამ მის კვალს ვერ შიავნო. დ. ბაქრაძე სწერს: „შატბერთი განთქმულია ჩვენს ძველს მწერლობაში... და თუმცა იგი მდებარეობდა ქოროხის ხეობაში, მაგრამ სახელდობრ სად, არ ვიცით და ვერ გეპოვნია... ჩვენ ვფიქრობთ, რომ შატბერ(თ)ად უნდა იგულისხმებოდეს დოლისყანა (დოლისყანა), თუმცა ახლა, როგორც მე ადგილობრივ დაერწმუნდი, ეს სახელი დაკარგულია“³.

აქ აღნიშნავთ, რომ დ. ბაქრაძის მიერ გამოთქმული მოსაზრება, რომ დოლისყანა შესაძლოა იყვესო იგივე შატბერთი, არ გამართლდა. განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც აღმოჩნდა გიორგი მერჩულის ძეგლი, სრულიად უდავოდ გამოირკვა, რომ დოლისყანა სხვა ყოფილა, ხოლო შატბერთი სხვა. ეს ორი პუნქტი, დოლისყანა და შატბერთი, ცალ-ცალკე მოიხსენება როგორც გიორგი მერჩულის ძეგლში, ისე სხვა ძველ-ქართულ წყაროებში.

1889 წელს კლარჯეთში იმოგზაურა აკადემიკოსმა ა. პავლინოვმა, რომელმაც მოგვცა აღწერილობა ხუროთმოძღვრების თვალსაზრისით კლარჯეთის ძეგლებისა, რომლებიც უკვე ცნობილი იყო გიორგი ყაზბეგისა და დიმიტრი ბაქრაძის შრომებით, სახელდობრ ოპიზისა, დოლისყანისა, ფორთის უსახელო საეანისა (რომლის ძველი სახელი ამ დროს ცნობილი არ იყო) და ბერთისა⁴.

1889 წელს პირველად გამოქვეყნდა ერთი ნაწყვეტი გიორგი მერჩულის ძეგლიდან⁵. ამ ტექსტის მიხედვით პირველად გამოირკვა, რომ ძველი ქართუ-

¹ გიორგი ყაზბეგი, Три месяца в Турецкой Грузии, 1874 წ., გვ. 75 — 79.

² იხ. დ. ბაქრაძე, Об археологической поездке, совершенной в 1879 году... в Батум, Артвин и Артанудж, З. И. А. Н. XXXVII, I. — დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს ისტორიის (1885 წ.) შენიშვნები, გვ. 122, 130. — მისივე Статия по истории и древностям Грузии, приложение к LV тому Записок А. Н., 1887 წ., გვ. 20 — 30. — მისივე ისტორია საქართველოსი, 1889 წ., გვ. 214, 232. — ნ. კონდაკოვისა და დ. ბაქრაძის Опись памятников древности..., 1890 წ., გვ. 44—47. ამ უკანასკნელ შრომაში და ბაქრაძე ეხება ბერთას, მაგრამ თვით ბერთაში დ. ბაქრაძე არ ყოფილა. (წერილში Статия по истории и древностям Грузии დ. ბაქრაძე შეცდომით აიგივებს ბერთასა და ფორთას).

³ იხ. დ. ბაქრაძის მიერ გამოცემული ვახუშტი ბატონიშვილის ისტორია, გვ. 129 — 130.

⁴ იხ. А. М. Павлинов, экспедиция на Кавказ 1888 года Материалы по археологии Кавказа III, 1893 წ., გვ. 6, 63 — 68).

⁵ იხ. ვახუთი ივერია 1889 წ. № 70, 72, 73. „საისტორიო და სამიბლიოგრაფიო წერილთა (ჯგერის მონასტერი და მისი მდგომარეობა 1845 წლამდე)“, იხ. აგრეთვე ქვემოთ გვ. 142, შენ. 3.

ლი სავანეები ხანძთა და შატბერთი დაარსებული ყოფილა მე-8—9 საუკუნეებში გრიგოლ ხანძთელის მიერ.

ამ ტექსტის გამოქვეყნებასთან დაკავშირებით სამეცნიერო ლიტერატურაში ხელახლა აღიძრა საკითხი როგორც შატბერთის, ისე ხანძთის ადგილმდებარეობის შესახებ. ე. თაყაიშვილმა 1890 წელს „სამი ისტორიული ქრონიკის“ გამოცემის შესავალ წერილში გამოსთქვა მოსაზრება, რომ ხანძთისა და შატბერთის ადგილმდებარეობა სავარაუდებელი არისო არა კლარჯეთში, არამედ ეფფრატის ხეობაში¹. მაგრამ ამ შეხედულების უსაფუძვლობა იმთავითვე ცხადი იყო (რაც აღნიშნულ იქმნა კიდევ იმდროინდელ სპეციალურ ლიტერატურაში)². ზოლო მას შემდეგ, რა აღმოჩნდა გიორგი მერჩულის თხზულების სრული დედანი, საბოლოოდ და ბტყივედ დადასტურდა, რომ ხანძთა და შატბერთი კლარჯეთის მხარეში მდებარეობდნენ, ჭოროხის ხეობაში, არტანუჯისა და ანჩის მეზობლად, სახელდობრ კლარჯეთის იმ ზონაში, სადაც მდებარეობს ოპიზა.

ამის შემდეგ, გიორგი მერჩულის თხზულების სრული დედანი აღმოჩენილ იქმნა იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ძველ ქართულ ხელნაწერთა კოლექციაში აკად. ნ. მარის მიერ 1902 წელს. (ამ ხელნაწერის არსებობა პირველად აღნიშნა ნიკოლოზ ჩუბინიშვილმა ჯერ კიდევ 1845 წელს, მის მიერ შედგენილ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ძველ-ქართულ ხელნაწერთა აღწერილობაში)³.

1904 წელს ნ. მარმა იმოგზაურა კლარჯეთში, რათა დაედგინა ადგილმდებარეობა იმ პუნქტებისა, რომლებიც მოიხსენებიან გიორგი მერჩულის ძეგლში⁴.

კლარჯეთის თორმეტ სავანეთაგან, რომელთაც მოიხსენებს გიორგი მერჩულე, გარკვეულ იქმნა ადგილმდებარეობა ათი სავანისა.

ამათგან სამი სავანის მდებარეობა, როგორც აღნიშნეთ, უკვე დადგენილი ქონდათ გიორგი ყაზბეგს, დიმიტრი ბაქრაძეს და ა. პავლინოვს, სახელდობრ ადგილმდებარეობა სავანეებისა: ოპიზისა, დოლისყანისა და ბერთისა.

სამი პუნქტი, ძველი სახელწოდებებით: დაბა, ჯმერკი და წყაროსთავი, — აღნიშნული იყო კავკასიის შტაბის მე-20 საუკუნის დასაწყისში გამოცემულ 2-ვერსტიან და 5-ვერსტიან რუკებზე.

5. მარმა დამატებით დაადგინა ადგილმდებარეობა ოთხი სავანისა, რომლებზე დღემდე ატარებენ იმავე ძველად არსებულ სახელებს; ესენია: მიძნაძორო, ბარეთელთა (ბარათელთა), პარეხი და მერე.

მაგამ ნ. მარს გამოურკვეველი დარჩა ადგილმდებარეობა ორი სავანისა: ხანძთის და შატბერთისა. ე. ი. სწორედ იმ შთავარ სავანეთა, რომლებთანაც დაკავშირებულია მოღვაწეობა გრიგოლ ხანძთელისა და გიორგი მერჩულისა.

1 იხ. ე. თაყაიშვილი, სამი ისტორიული ქრონიკა, 1890 წ. გვ. LXI—LXXIII.
 2 იხ. კრიტიკ. თაყაიშვილის შეხედულებისა თ. ჟორდანიას მიერ, ქრონიკები I, 1892 წ., გვ. 97—99, II, 1907 წ., გვ. 53. (შეადარეთ აგრეთვე მოსაზრებანი ამავე საგანზე არ. ქუთათელაძისა, ივერია 1889 წ. № 70 და დ. ბაქრაძისა, ისტორია საქართველოსი, 1889 წ., გვ. 233—234).
 3 იერუსალიმის ჯვარის მონასტრის სიძველეთა აღწერილობა, სადაც წარმოდგენილია ცნობა გიორგი მერჩულის თხზულების შემცველი ხელნაწერის შესახებ (ამონაწერით გიორგი მერჩულის ტექსტიდან რომელიც დაიბეჭდა გაზეთ ივერიაში 1889 წ. № 70, 72, 73 („საისტორიო და საბიოგრაფიო წერილი“) ნიკოლოზ ჩუბინიშვილს ეკუთვნის (იგი შედგენილია ნ. ჩუბინიშვილს უსალიმში მოგზაურობის დროს, 1845 წელს). იგივე აღწერილობა. ნ. ჩუბინიშვილის ავტორი იქმნა ხელნაწერის მიხედვით, 1894 წელს დაბეჭდა პროფ. ალ. ცაგარელმა Сведения о памятниках грузинской письменности, III, გვ. 44—52).
 4 იხ. ნ. მარი, Дневникъ поездки в Шавшетию и Кларджетию, TP, VII, 1911 წ.

ნ. მარის ჩვენების თანახმად კლარჯეთის 12 სავანეთა მხარეში სახელები ხანძთისა და შატბერთისა აღარ შენახულა, ეს სახელები ადგილობრივად აღადგინებულია.

ნ. მარმა გამოსთქვა მოსაზრება, რომ შატბერთი უნდა იყვესო უსახელო სავანე, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთის მიდამოებში, სახელდობრ ფორთის სამხრეთ ზონაში (რომელიც ამჟამად ქვემო-ფორთის ანუ „ფორთის ბაღების“ სახელით არის ცნობილი)¹; ხოლო ხანძთა უნდა იყვესო ძველი, რომელიც მდებარეობს იმავე სოფელ ფორთის ჩრდილოეთ ზონაში (ზემო-ფორთის სექტორში) და ცნობილია სახელწოდებით „ნუკა-საყდარი“.²

როგორც შემდეგ დავინახეთ, ეს შეხედულება ნ. მარისა ხანძთისა და შატბერთის ადგილმდებარეობის შესახებ არ მართლდება.

•

გადავიდეთ ამის შემდეგ ხანძთისა და შატბერთის ადგილმდებარეობის საკითხის განხილვაზე.

წყაროების ყოველმხრივი ანალიზი ჩვენ გვაძლევს საშუალებას საბოლოოდ გადავწყვიტოთ საკითხი ხანძთის შესახებ, ზუსტად დავადგინოთ მისი ადგილმდებარეობა, ვუჩვენოთ ხანძთის სავანის ჩვენ დრომდე მიღწეული ძეგლი.

რაც შეეხება შატბერთს, მისი ადგილმდებარეობა შესაძლოა განსაზღვრულ იქმნას მხოლოდ მიახლოებით.

იმისათვის, რომ შესაძლო გახდეს აქ აღძრული საკითხების გადაწყვეტა, გავეცნოთ ჯერ, თუ რა ჩვენებებს იძლევა გიორგი მერჩულის თხზულება და აგრეთვე ამ ეპოქის სხვა წყაროები კლარჯეთის 12 სავანეთა ადგილმდებარეობის შესახებ და კერძოდ ხანძთისა და შატბერთის ადგილმდებარეობის საკითხის გამო.

ამ ჩვენებათა მიხედვით ირკვევა შემდეგი:

1. კლარჯეთის 12 სავანე ტერიტორიულად ერთ ზონაში იყო მოქცეული, ისინი ერთ განცალკევებულ ტერიტორიულ ერთეულს, ცალკე მხარეს შეადგენდნენ.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 54 — 55).

2. კლარჯეთის 12 სავანეთა ეს მხარე მდებარეობდა არტანუჯისა და ანჩის მეზობლად.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 104, 67, 114 — 119).

3. კლარჯეთის ამ თორმეტ სავანეთა მხარის საზღვრები იყო: ერთის მხრით (ჩრდილოეთის მხრით) — დაღოს მთა, რომელიც კარჩხალის მთების განშტოებას წარმოადგენს; ხოლო მეორეს მხრით (სამხრეთის მხრით) საზღვარი იყო შ ა ვ შ ე თ-ი მ ე რ ხ ე ვ ი ს წყალის ხეობა.

(იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 54; ფაშთა-აღმწერელი გვ. * 853 — 858/700 — 703; ბაგრატ IV-ის სიგელი ოპიზისა და მიძნაძორის შესახებ.)³

¹ იხ. ნ. მარი, *Дневник*, TP, VII, გვ. 139.

² იხ. ნ. მარი, *Дневник*, TP, VII, გვ. 125.

³ გიორგი მერჩულის ძეგლში საზღვრად მოხსენებულია „შავშეთის — წყალის“ ხეობა. ხოლო როგორც ეს ირკვევა ბაგრატ IV-ის სიგელიდან, „შავშეთის — წყალი“ ამ დროს რქმევია არა მხოლოდ თანამედროვე შავშეთის — წყალს, არამედ აგრეთვე მის გავრცელებას შიდა მხარე იმერხევს (რომელიც ერთიან ჭიროხს).

კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარე



==== კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარის საზღვრები
 - - - - - სავანეთა საზღვრები

არსებული ციფრებით აღნიშნულია ბაგრატ IV-ის სიგელში მოხსენებული ადგილები:

1. ტაბარის კლდის მიმდებარე ქედი. — 2. ეყანთა ქედი. — 3. დიდუბისა ხერთვისი. — 4. საჭაოის-კარის ქედი. — 5. ერთკარის ქედი.

4. თუ როგორ ესაზღვრებოდნენ ერთი-მეორეს კლარჯეთის სავანეები, ამის შესახებ საეხებით ზუსტი ცნობები და დაცული გიორგი მერჩულის ძეგლში. გიორგი მერჩულეს აღწერილი აქვს, თუ როგორ იმოგზაურეს კლარჯეთის თორმეტ სავანეთა მხარეში მე-9 საუკუნის 30-იან წლებში მეფე-კურაპალატმა ბაგრატ I-მა და მისმა ძმებმა, გრიგოლ ხანძთელისა და მისი თანამო-

ღვაწეების თანხლებით¹. სახელდობრ გიორგი მერჩულის ძეგლში ნაჩვენებია შემდეგი მარმრუტი არტანუჯიდან დაწყებული, კლარჯეთის საგანეებზე გავლით:

ა) მოგზაურები, წამოსულნი არტანუჯიდან, პირველად მისულან შატბერთში,

ბ) შატბერთიდან მგზავრები გადასულან კლარჯეთის საგანეთა იმ კუთხეში, რომელსაც ეწოდებოდა „ბერთაჲ და მახლობელი მიქსი“². მე-9 საუკუნის 30-იან წლებში აქ მდებარეობდნენ საგანეები: ბერთა, დაბა და ჯმერკი. გიორგი მერჩულის სიტყვით, უფრო გვიან (ე. ი. მე-9 საუკუნის 30-იან წლების შემდეგ) ამ კუთხეშივე გაშენებულა დოლისყანა.

გ) ბერთის (ბერთა-დოლისყანის) ამ კუთხიდან მგზავრები გადასულან ოპიზაში.

დ) ოპიზიდან მგზავრები გადასულან ხანძთაში, რომელიც, როგორც ირკვევა, ერთის მხრით ესაზღვრებოდა ოპიზას, ხოლო მეორეს მხრით მიძნაძორას.

ე) ხანძიდან მგზავრები გადასულან საგანეების — მიძნაძოროსს, წყაროსთავის და ბარეთელთას კუთხეში. სახელდობრ მგზავრები ჯერ მისულან მიძნაძოროში, აქედან წყაროსთავში, შემდეგ ბარეთელთაში.

ასეთია ეს უაღრესად მნიშვნელოვანი აღწერილობა კლარჯეთის საგანეთა მხარეში მოგზაურობისა, რომელთა მიხედვით ზუსტად ირკვევა ამ საგანეთა ადგილმდებარეობა.

5. გიორგი მერჩულის ძეგლში და სხვა ძველ-ქართულ წყაროებში, გარდა ზემოთ-აღნიშნული ცნობებისა ჩვენ გვაქვს კიდევ შემდეგი ჩვენებანი, რომელთაც მნიშვნელობა აქვთ კლარჯეთის საგანეთა ადგილმდებარეობის დასაზუსტებლად.

ა) გიორგი მერჩულის თხზულებაში მეორე ადგილსაც ხაზგასმულია, რომ ხანძთა და ოპიზა ერთი-მეორის უშუალო მოსაზღვრენი იყვნენ (იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 127).

ბ) ასევე მეორე ძველ-ქართულ ტექსტშიაც, რომელიც შეიცავს მესხეთის საეპისკოპოსოების საზღვრების აღწერილობას, ხანძთა და ოპიზა დასახლებულია ერთი-მეორის მოსაზღვრედ³.

გ) კერძოდ შატბერთის ადგილმდებარეობის გასარკვევად მნიშვნელობა აქვს აგრეთვე გიორგი მერჩულის ძეგლის შემდეგ ჩვენებასაც; გიორგი მერჩულის ამ მეორე ცნობის თანახმად (რაც ზუსტად უდგება კლარჯეთის საგანეთის მდებარეობას):

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 67 — 70.

² შდრ. გიორგი მერჩულე, გვ. 131.

³ იხ. აღწერილობის ტექსტი — თ. ეორდანი, ქრონიკები, II 1897 წ., გვ. 187; დ. ბაქრაძე, Археологическое путешествие по Гурии и Абхазии, 1878 წ., ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1907 წ., გვ. 76.

ნეთა მხარეში მოგზაურობის შემოთმოყვანილს აღწერილობას) — „შატბერთი მღებარეობდა კლარჯეთის სავანეთა მხარის განაპირაზე და დაშორებულიყო როგორც ხანძთას, ისე მის მიმდგომ სავანეებს. გიორგი მერჩულის ამ მეორე ცნობით ხანძთის მეზობელი სავანეები იყო ოპიზა, ბერთა და „მახლობელნი მისნი“ (დაბა და ჯმერკი), მიძნაძოროა და წყაროსთავი, ხოლო შატბერთი ამ სავანეებს დაშორებული ყოფილა; გიორგი მერჩულე წერს: „ხოლო შატბერთი დაღაცათუ სხვათა მათ სავანეთა (ხანძთასა, ოპიზასა, ბერთასა და მახლობელთა მისთა დაბასა და ჯმერკსა, მიძნაძოროსა და წყაროსთავს) მცირედ შორავს, არამედ განუყოფელად თანამომე არს მათი... მოძღვრებისა წესითა... და ყოველითავე კეთილისა საქმითა“¹, ე. ი. შატბერთი თუმცა მცირედ დაშორებულია ხანძთას და სხვა ჩამოთვლილ სავანეებს, მაგრამ მოძღვრებითა და კეთილის საქმით მათი განუყოფელი თანამომე არისო.

ასეთია ის ცნობები გიორგი მერჩულის ძეგლისა და სხვა ქართული წყაროებისა, რომელთა მიხედვით შესაძლო ხდება სინათლის შეტანა კლარჯეთის სავანეთა ადგილმდებარეობის საკითხში.

გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ სახელდობრ სად მდებარეობდნენ ღღემდე აღმოუჩენელნი ხანძთა და შატბერთი.

ა. ხანძთის ადგილმდებარეობა

წყაროების ჩვენებათა შეფარდებიდან სრულიად უდავოდ დასტურდება, რომ ხანძთა არის სწორედ ის უსახელო სავანე, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთის სამხრეთ ზონაში (რომელიც ამჟამად ქვემო-ფორთის ანუ „ფორთის ბაღები“-ს სახელით არის ცნობილი), ე. ი. ის სავანე, რომელიც ნ. მარმა შეცდომით შატბერთად მიიჩნია.

რომ ფორთის სამხრეთი ზონის (ქვემო-ფორთის) ეს უსახელო სავანე არის ხანძთა, ამას ამტკიცებს მთელი რიგი ევკვიპტანელი ჩვენებანი.

1. თავდაპირველად ჩვენ მივაქცევთ მკითხველის ყურადღებას შემდეგს. ჩვენ უკვე ვნახეთ, რომ წყაროების ნიშანდობლივი ჩვენების თანახმად, ხანძთა მდებარეობდა ოპიზის მოსაზღვრედ, ოპიზასა და მიძნაძორის შუა (ამას ადასტურებს გიორგი მერჩულის ძეგლის ორგზისი უწყება და მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების აღწერილობა, იხ. ზემო გვ. 145). ხოლო ფორთის სამხრეთი ზონის (ქვემო ფორთის) უსახელო სავანე მდებარეობს ნიშანდობლივ სწორედ აღნიშნულ ადგილას, ოპიზის მოსაზღვრედ, ოპიზასა და მიძნაძორის შუა.

(რაც შეეხება შატბერთს, იგი, როგორც გამოირკვა, დაშორებული იყო ოპიზა-მიძნაძორის ზონას; შატბერთი მდებარეობდა არა ოპიზას და მიძნაძორის შორის, არამედ არტანუჯისა და დოლისყანაბერთის სექტორის შუა. იხ. ამის შესახებ ზემოთ, გვ. 145 და აგრეთვე ქვემოთ გვ. 151 — 153.

2. მესხეთის საეპისკოპოსოთა საზღვრების ზემოთ-დასახელებულ აღწერილობაში აღნიშნულია, რომ ერთიმეორის მოსაზღვრე პუნქტების ხანძთას და ოპიზას შორის მდებარეობდა ადგილი, რომელსაც რქმევი და ახატულა („ხანძთას და ოპიზას შუა და ახატულა“ — ნათქვამია საზღვრების აღწერილობაში). ეს სახელწოდება ადგილისა და ახატულა ღღემდისაც შე-

¹ იხ. გიორგი მერჩულე. გვ. 131.

ნახულა ადგილობრივ, ნ. მარს თავის მოგზაურობაში 1904 წელს აღნიშნულა აქვს, რომ ადგილს, რომელიც მდებარეობს ქვემო-ფორთის პესხელო მსხვილის ტერიტორიასა და ოპიზას შუა, დღესაც ეწოდება დახატულა¹.

ამრიგად ამის მიხედვითაც აგრეთვე დასტურდება, რომ ქვემო-ფორთის უსახელო საფანე არის ხანძთა.

ნ. მარს, რომელმაც აღნიშნა სახელწოდება დახატულას არსებობა ოპიზასა და ქვემო-ფორთის საფანეს შუა, ამავე დროს გამოაჩენია მხედველობიდან მესხეთის საეპისკოპოსოთა სახელების აღწერილობის ზემოთმოყვანილი ცნობა დახატულას შესახებ, რომ იგი მდებარეობს ხანძთასა და ოპიზას შუა, და საიდანაც დასტურდება ხანძთისა და ქვემო-ფორთის უსახელო საფანის იგივეობა.

3. რომ ქვემო-ფორთის ეს უსახელო საფანე არის იგივე ხანძთა, ამას სრულიად უდავოდ და დოკუმენტალურად ამტკიცებს ამ საფანის ერთი წარწერა, რომლის ცნობა უდგება სინის-მთის „სულთა-მატიანის“ ტექსტის ჩვენებას ხანძთის მაშენებელთა შესახებ.

ქვემო-ფორთის საფანის ტერიტორიაზე, საფანის მთავარი ტაძარის გვერდით, აგებულია სამრეკლოს გუმბათიანი შენობა. სამრეკლოს გუმბათზე დაცულია წარწერა, შესრულებული ასომთავრული, რომელშიაც იკითხვის:

„ქრისტე შეიწყალე მარკოზ, დედა-მამა მისი. შეუნდვენ ღმერთმან“².
ეს პირი, მარკოზი, მოხსენებული სამრეკლოს გუმბათის წარწერაში, როგორც ირკვევა, ყოფილა მაშენებელი სამრეკლოსი.

მივმართოთ ამის შემდეგ მეორე წყაროს, სინის-მთის სულთა-მატიანეს, სადაც დაცულია ცნობები ხანძთის (ხანციის) მაშენებელთა შესახებ; ამ ძეგლში, სინის-მთის სულთა-მატიანეში, ჩაწერილია ასეთი მოსახსენებელი:

„ხანციისა აღმაშენებელსა სულკურთხეულსა გრიგოლს (—სულკურთხეულ ყოს ღმერთმან და მაყვლოვნისა [სინისა] ღმრთისშობელმან! —) [და] მისსა ყმასა მარკოზსა, ხანციისა სამრეკლოსა აღმაშენებელსა, — შეუნდოს ღმერთმან...“³

სინის-მთის სულთა-მატიანეში მოხსენებული „ხანციისა აღმაშენებელი გრიგოლ“ — არის გრიგოლ ხანძთელი. ხოლო მარკოზ, „ხანციისა სამრეკლოსა აღმაშენებელი“, როგორც ვხედავთ, არის იგივე მარკოზ, მაშენებელი ჩვენი ძეგლის სამრეკლოსი, რომლის სახელი მოხსენებულია სწორედ სამრეკლოს წარწერაში.

ამრიგად უდავო ხდება, რომ ეს ძეგლი, ქვემო-ფორთის უსახელო საფანე, არის იგივე ხანძთა.

4. დასასრულ შევჩერდებით ქვემო-ფორთის უსახელო საფანის (როგორც გამოირკვა ხანძთის) ერთ წარწერაზე, რომლის თვით ტექსტში მოიხსენება ხანძთა (ხანცთა).

ეს წარწერა, რომელიც დიდი მოცულობისა ყოფილა, ამჟამად ნაკლებ-ვანად არის მიღწეული. წარწერა თავდაპირველად ოთხ ქვაზე ყოფილა მოთავსებული, ამათგან შენახულა პირველი და მესამე ქვები, ხოლო მეორე და მეოთხე ქვები დაკარგულია. (ამასთან თვით მიღწეულ პირველსა და მესამე ქვებზე სტრიქონები ადგილ-ადგილ დაზიანებულია).

¹ იხ. ნ. მარი, Дневник, ТР, VII, გვ. 141 — 142.

² იხ. ნ. მარი, Дневник, ТР, VII, გვ. 145 და სურ. 52.

³ იხ. ივ. ჯავახიშვილი, სინის მთის ქართულ ხელნაწერთა აღწერილობა, 1947 წ. გვ. 241.



პირველი ქვა წარწერისა ჩამოტანილი იყო ქვემო-ფორთიდან (ე. ი. ხანძთიდან) თბილისში (ყოფილ კავკასიის მუზეუმში) დ. ი. ერმაკოვის მიერ. ამ პირველი ქვის წარწერის ტექსტი დაბეჭდილი აქვს ე. თაყაიშვილს (Археологические экскурсии, разыскания и заметки, II, 1905 წ., გვ. 56 — 61).

მესამე ქვა წარწერისა იპოვა ქვემო-ფორთაში 1904 წელს ნ. მარმა. დაწერილობა ამ მესამე ქვისა, აგრეთვე მისი ზომა (სიმაღლე და განი) და სტრიქონების რიცხვი უდგება პირველ ქვას. ამ მესამე ქვის წარწერის ტექსტი დაბეჭდილი აქვს ნ. მარს (იხ. ТР., VII, გვ. 140).

თუ ჩვენ შევაერთებთ ამ ერთი წარწერის განცალკევებულ ნაწილებს, მივიღებთ შემდეგ სურათს.

მოგვყავს მოღწეული ტექსტი ქარაგმების გაუხსნელად, დაზიანებული და დაკარგული ადგილების აღდგენით.

ნიშანი [] აღნიშნავს, რომ ასო მხოლოდ ნაწილობრივ არის დაზიანებული და მისი წაკითხვა შესაძლებელია.

დეფისებით აღნიშნულია დაკარგული ნაწილები (დეფისების ნიშნების რაოდენობა დაახლოებით უჩვენებს დაკარგული ასოების რაოდენობას).

მრგვალ ფრთხილებში () ჩამოყალიბებულია ასოები და სიტყვები, რომლებიც დაკარგულია, და რომელთა აღდგენა შესაძლებელი ხდება სიტყვის გადარჩენილი ნაწილისა და აზრის საერთო მიმდინარეობის მიხედვით.

(I ქვა)	(II ქვა)	(III ქვა)	(IV ქვა)
1. ქ. სახელითა ღმთ	(ა)-----	გ----- ხნც'	(თისა წმინდა)
2. მთავრ მოწამისა	(გნითა)-----	ი----- თქს ეშ	-----
3. მამა იოვანე ფიერ	(სთავთა ერსთავი)	სა---- (მი)ვლთ მისგან	-----
4. მს მოყვდთ ესე ცპარი	-----	რლ----- ლღ მფსა მი	-----
5. ტრი ად სჯრად ჩი გაოს	(როვლე)-----	ვს---- 'თსა ოო ქთ(?)	-----
6. (ლიპარი?) ტ ერსთავთა ერს	(თავი)-----	იე: გნი---- ღირს ფოს ღან	-----
7. ---- ვინე(?) ელეგს	(ია)-----	ა ან ესე მსე ე ვწე ლეცე:	(ვთ ვთავს)
8. (და ჩემ) ცეფლ	(სთვსცა ლცვა)	ფთ	

ქარაგმების გახსნით ტექსტში შესაძლოა გამოკითხულ იქნას შემდეგი ადგილები:

1. ქ. სახელითა ღმრთისაღთ || (ა) ----- || გ ----- ხნც' (თისა წმინდა) ||
2. მთავარმოწამისა || (გიორგისითა) ----- || ი ----- თეოდორეს ეშ || ----- ||
3. მამა იოვანე ფოფილი ერ (ისთავთა-ერისთავი) - || სა ---- (მი)ვილთ მისგან || ----- ||
4. მს მოყვილთ. -
ესე ცპარი || ----- || რომელ ---- ლად მეფესა მი || ----- ||
5. ტრი(?) არამელ საჯუარად ჩემი გაუსქ(როვლე) ----- || ვს ---- თსა უფულო ქთ(?) || ----- ||
6. (ლიპარი?) ტ ერისთავთა-ერისქ(თავი) ----- || იე(?) გნი ---- ღირს ფოს ღმერთმანქ || ----- ||
7. ---- ვინე(?) ელეგს(ია) ----- || ა, ამენ. ესე მოსე დავწერე, ლოცვა || (ვაგთ უოველთათვს),
8. (და ჩემ) ცოცილიქ(სათვსცა ლოცვა) || ვაგთ.

ამ დაზიანებულ წარწერაში ჩვენთვის ამჟამად ინტერესს წარმოადგენს მისი დასაწყისი: „აქ. სახელითა ღმრთისაჲთა... ხანც(თისა წმიდისა) მთავარ-მოწამისა (გიორგისითა)...“

ხანძთის ტაძარი, როგორც ეს ჩანს გიორგი მერჩულის თხზულების ტექსტდან, აგებული იყო „მთავარმოწამისა გიორგი“-ს სახელობაზე. (იხ. გიორგი, მერჩულე, გვ. 37 — 38, 68, 118).

ამრიგად ადგილობრივი წარწერის ეს დოკუმენტალური ჩვენება, დასახელება თვით „ხანც(თისა)“, და ამის გვერდით „(წმიდისა) მთავარმოწამისა (გიორგისა)“, რომლის სახელზედაც აგებული იყო ხანძთა, საბოლოოდ ამტკიცებს, რომ ფორთის სამხრეთი ზონის (ქვემო-ფორთის) ეს უსახელო საეანე არის ნიშანდობლივ ხანძთა.

ბ. ძველი ფორთა — კათედრალი 5 — 7 საუკუნეთა.

წარმოდგენილი მასალებიდან ამრიგად გამოირკვა, რომ ფორთის სამხრეთი ზონის (ქვემო-ფორთის) უსახელო საეანე არის ხანძთა.

აქ საჭიროა შევეხოთ აგრეთვე საკითხსაც, თუ რა დროისაა თვით სახელწოდება ფორთა, არის იგი ახალი წარმოშობისა, თუ იგი ძველი ეპოქიდან მომდინარეობს.

როგორც ირკვევა, კულტურული ცენტრი ფორთაში უძველესი დროიდანვე არსებულა და ეს სახელწოდება „ფორთა“ ადრეულ საშუალ საუკუნეებდანვე არის დამოწმებული ფორთაში მე-5—7 საუკუნეებში საეპისკოპოსო კათედრად არსებულა. იმერის (ქართლის) საკათალიკოსოს საეპისკოპოსოთა ცნობილ სიაში, რომელიც 506 წელს ეკუთვნის, მოიხსენება საეპისკოპოსოს ფორთა¹.

საისტორიო წყაროები გვაძლევს საშუალებას დავადგინოთ, რომ წინა-არაბულ ხანაში, მე-5—7 საუკუნეებში, კლარჯეთსა და მის მიმდებარე მხარეებში (ნიგალის-ხევში და შვეშეთში, ზემო-აჭარით) — სამი საეპისკოპოსო არსებობდა: ახიზისა, ფორთისა და ანჩისა². უფრო გვიან ხანაში კი, მე-8-9 საუკუნეებში, კლარჯეთი და დასახლებული მიმდგომი მხარეები (ნიგალის-ხევი, შვეშეთი და ზემო-აჭარა) მთლიანად ანჩის საეპისკოპოსოს ფარგლებში არის გაერთიანებული. როგორც ცნობილია, მე-8 საუკუნის 30-იან წლებში კლარჯეთი და მიმდგომი მხარეები გახდა ასპარეზი არაბთა მხედართმთავრის მურვან-ყრუს ლაშქრობისა, რის შედეგად კლარჯეთი და მიმდგომი მხარეები განადგურდა და მოსახლეობა საგრძნობლად შემცირდა; ცხადია ამით იყო გამოწვეული გაერთიანება ყოფილი სამი საეპისკოპოსოს ტერიტორიისა ერთი საეპისკოპოსოს (ანჩის) ფარგლებში.

უფრო გვიან, მე-10 საუკუნის დასაწყისში, ანჩის ამ გაერთიანებულ საეპისკოპოსოს გამოეყო საეპისკოპოსო ტბეთისა და ამდროიდან აქ ორი საეპისკოპოსო არსებობს: ანჩისა (რომელიც მოიცავს კლარჯეთსა და ნიგალის-ხევს) და ტბეთისა (რომელიც მოიცავს შვეშეთს ზემო-აჭარით).

ასეთია საზღვრების ცვლილებანი ამ მხარეთა საეპისკოპოსოებისა: ახიზისა, ფორთისა, ანჩისა და ტბეთისა³.

რაკი ამრიგად ირკვევა, რომ ფორთა ადრეულ საშუალ საუკუნეებში, წინა-არაბულ ხანაში, მნიშვნელოვანი პუნქტი ყოფილა და აქ საეპისკოპოსო ცენტრი არსებობდა, საკითხავი ხდება, ხომ არ შენახულა აქ ძველი კათედრალის ნაშთი.

¹ იხ. ეპისტოლეთა წიგნი („ვიქი თლოცი“), 1901 წ., 182 — 183; შდრ. უხტანეს ურპაელი, ქართველ-სომეხთა განყოფის ისტორია, 1871 წ., გვ. 86.

² ახიზის შესახებ იხ. ცხორება ეახტანგ გორგისარისა, გვ. * 391/179; ანჩის შესახებ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 114 ა-ბ.

³ იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. * 579/349 * 590/360. — გიორგი მერჩულე, გვ. 114 და სხვანი (ცნობა ანჩის შესახებ) და 100 (ცნობა პირველი მტბვერის შესახებ). — სამცხე-საათაბაგოს საეპისკოპოსოთა ნუსხა (ე. თაყაიშვილის გამოცემა, არქეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, 1907 წ. გვ. 76 — 77).

⁴ იხ. ამ საკითხებზე აგრეთვე ქვემოთ.

როგორც ირკვევა, ეს ნაშთი ძველი კათედრალისა დღემდის მოღწეულა.

ჩვენ უკვე მოხსენებული ვქონდა, რომ ფორთის მიდამოებში მოიპოვება ძველი ტაძარი, ნაწილობრივ დანგრეული, რომელიც „ნუკა-საყდარი“-ს სახელით არის ცნობილი. ეს ძველი, ნუკა-საყდარი, მდებარეობს სოფელ ფორთის ჩრდილოეთ ზონაში, სახელდობრ ზემო-ფორთის ახლოს, სადაც ძირითადი ნაწილია სოფელ ფორთისა. ფორთის ეს ძველი, ნუკა-საყდარი, დაბლობებით ოთხი კილომეტრით არის დაშორებული ხანძასს (ე. ი. ქვემო-ფორთის უსახელო სავანეს).

რას წარმოადგენს და რა დროს ეკუთვნის ეს ძველი ნუკა-საყდარი?

ნ. მარს, როგორც აღვნიშნეთ, გამოთქმული ჰქონდა მოსაზრება, რომ ეს ძველი, ნუკა-საყდარი, ელიოძე იყვეს ხანძასი, მაგრამ მას შემდეგ, რაც გამოირკვა ხანძასის ნამდვილი ადგილ-მდებარეობა, ნ. მარსის ეს შემცდარი მოსაზრება თავისთავად იხსნება.

აქ საჭიროა აღვნიშნოთ ამასთან, რომ ნუკა-საყდარი თავისი სახეობით, არქიტექტურული ტიპით, სწინს ბევრად აღრინდელ დროს ეკუთვნის, ვიდრე მე-9—10 საუკუნეებს.

ნ. მარს ამ ძველს მე-10 საუკუნეს მიაკუთვნებდა; სახელდობრ ნ. მარს ფიქრობდა, რომ ეს ძველი შესაძლავ იყვესო ხანძასის ის „ახალი“ ტაძარი, რომელიც გიორგი მერჩულის სიტყვით აგებულ იქმნა ხანძასში ერისთავთ-ერისთავის აშოტ კუხის (+ 918 წ.) და მისი მემკვიდრის ერისთავთ-ერისთავის გურგენ დიდის (+ 941 წ.) მოღვაწეობით 1.

მაგრამ ეს მოსაზრება, რაც არაგვით არ ყოფილა დასაბუთებული, თავისთავად მიუღებელია არა მხოლოდ იმის გამო, რომ ხანძასი, როგორც გამოირკვა, სხვა ადგილას მდებარეობდა, არამედ გერ მარტო ამ ძველის თვით არქიტექტურული სახეობის მიხედვითაც.

ნუკა-საყდარი არქაული ტიპის უგუმბათო ბაზილიკას წარმოადგენს 2.

ბოლო, როგორც ეს ირკვევა შვეშეთ-კლარჯეთის ძველთა შესწავლიდან, მას შემდეგ, რაც 815—826 წლებში აშოტ I-ის დროს აგებულ იქმნა ოპიზა, შვეშეთ-კლარჯეთის მთავარი საპარალელური ტაძრები გუმბათიანი შენდებოდა და კერძოდ წმინდა ბაზილიკური სახის შენობებსაც გუმბათიანი აგებდნენ. რომ ოპიზის ტაძარი, აგებული აშოტ I-ის მიერ, თავიდანვე გუმბათიანი ყოფილა, ეს უდავოდ დასტურდება აშოტ I-ის ბარელიეფიდან, სადაც აშოტ I, როგორც მაშინვე-ბელი, გამოქანდაკებულია ოპიზის ტაძრის მოდელით 3. გუმბათიანი ყოფილა აგრეთვე არტიანის კათედრალი, აგებული აშოტ I-ის დროსვე. გუმბათიანი წმინდა ბაზილიკური ტიპის ტაძარი ბერთისა, რომელიც მე-9 საუკუნის ძველს წარმოადგენს. ასევე გუმბათიანი კლარჯეთის ყველა ჩვენ დრომდე მოღწეული საეანეების მთავარი ტაძრები: ხანძასი (ე. ი. ფორთის სამხრეთი ზონის უსახელო სავანისა), რომელიც თარიღდება მე-10 საუკუნის პირველი ნახევარი (იხ. ქვემოთ), წყაროსთავისა, მინძაძორისა, და დოლის-ყანისა (ეს უკანასკნელი, თვით გუმბათზე ამოკვეთილი წარწერის თანხმად, თარიღდება მე-10 საუკუნის 50-იანი წლებით). ბოლო, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა, ასევე გუმბათიანი ტბეთის ტაძარი, რომელიც აგებულია მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში აშოტ კუხის ერისთავთ-ერისთავის მიერ (ე. ი. სწორედ იმ მთავრის მიერ, რომელსაც ნ. მარს მიაკუთვნებდა აგრეთვე ნუკა-საყდარის აგებასაც).

ნუკა-საყდარი არსებითად გამოირჩევა შვეშეთ-კლარჯეთის ამ ტაძრებიდან, რომლებიც მე-9—10 საუკუნეებს ეკუთვნიან. ნუკა-საყდარი, როგორც მოვიხსენეთ, წარმოადგენს არქაულ ტიპის ბაზილიკას, იგი თავისი სახეობით იშორებს მე-5—7 საუკუნეთა უგუმბათო ბაზილიკების ტიპს. აღსანიშნავია ამას გარდა, რომ ნუკა-საყდარი მოკლებულია ყოველგვარ იმ არქიტექტურულ მოკაზმულობას, რაც შვეშეთ-კლარჯეთის მე-9—10 საუკუნეთა ძველებს ახასიათებს. (ზომითაც იგი ბევრად ნაკლებია, ვიდრე კლარჯეთის სავანეთა მთავარი ტაძრები მე-9—10 საუკუნეთა).

ამრიგად ყველაფერი გვიჩვენებს, რომ ნუკა-საყდარი ბევრად უფრო ძველ ხანას ეკუთვნის, ვიდრე — მე-9—10 საუკუნეები.

ბოლო რაჟი გამოირკვა, რომ ფორთის აღრინდელ ეპოქაში, მე-5-7 საუკუნეებში, საეპის-კოპოსო კათედრას წარმოადგენდა, ცხადი ხდება, რომ ფორთის ჩრდილოეთი ზონის ეს ტაძარი (ნუკა-საყდარი), ტიპური ნაგებობა არქაული ეპოქისა, წარმოადგენს ფორთის ძველი კათედრალის ნაშთს.

1 იხ. ნ. მარს, TP, VII, გვ. XX.
 2 იხ. ფოტო ძველისა ნ. მარსის გამოცემაში TP, VII, გვ. 126 (სურათი 40).
 3 იხ. ფოტო ბარელიეფისა ე. თაყაიშვილის შრომაში Археологические экскурсии, разъяснения и заметки. II, 1906 წ., გვ. 57.

გ. შატბერთის ადგილმდებარეობა.

გადვიდეთ ამის შემდეგ კითხვაზე, თუ სად მდებარეობდა შატბერთი. ჩვენ უკვე მოხსენებული გვექონდა, რომ ნ. მარს გამოთქმული ჰქონდა მოსახრება, რომ შატბერთი უნდა იყვესო ქვემო-ფორთის უსახელო სავანე, ე. ი. სავანე, რომელიც როგორც გამოირკვა, არის ხანძთა.

ხოლო რაც შეეხება ხანძთას, ნ. მარი, როგორც აღენიშნეთ, ჰფიქრობდა, რომ ხანძთა უნდა იყვესო ნუკა-საყდარი, ე. ი. ფორთის ძველი კათედრალის ნაშთი.

უსაფუძვლობა ნ. მარის ამ შეხედულებათა უკვე გამოირკვა.

აქ დამატებით აღენიშნავთ კიდევ ერთ გარემოებას, საიდანაც ცხადი ხდება ნ. მარის ამ შეხედულებათა მცდარობა. ნ. მარის ეს შეხედულებანი აშკარად ეწინააღმდეგება გიორგი მერჩულის ტექსტის გარკვეულ ჩვენებებს.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ გიორგი მერჩულის ცნობით შატბერთი მდებარეობდა კლარჯეთის სავანეთა მხარის განაპირაზე და დაშორებული იყო როგორც ხანძთას, ისე ხანძთის უშუალო მეზობელ სავანეებს. გიორგი მერჩულის ცნობით ხანძთის უშუალო მეზობელი სავანეები იყო: ოპიზა, ბერთა და „მახლობელნი მისნი“ (დაბა და ჯმერკი), მიძნაძოროი და წყაროსთავი. გიორგი მერჩულეს, როგორც მოხსენებული გვექონდა, აღნიშნული აქვს: „ხოლო შატბერთი დადაცათუ სხვათა მათ სავანეთა (ხანძთასა, ოპიზასა, ბერთასა და მახლობელთა მისთა—დაბასა და ჯმერკსა, მიძნაძოროსა და წყაროსთავს) მცირედ შორავს, არამედ განუყოფელად თანამოძმე არს მათი... მოძღვრებისა წესითა... და ყოველითავე კეთილისა საქმითა“, ე. ი. შატბერთი თუქცალა მცირედ დაშორებულია ხანძთასა და ყველა ჩამოთვლილ სავანეებს, მაგრამ მოძღვრებითა და კეთილი საქმითა მათი განუყრელი თანამოძმე არისო¹.

ხოლო თუ ჩვენ დავეუშვებდით ნ. მართან ერთად, რომ შატბერთი ვითომც არის ფორთის სამხრეთი ზონის სავანე, ხოლო ხანძთა ვითომც არის ნუკა-საყდარი (ფორთის ჩრდილოეთი ზონის ძეგლი), ამით ჩვენ აშკარა წინააღმდეგობაში ჩავევარდებით გიორგი მერჩულის ტექსტის მიმართ.

მკითხველი გაეცნოს კლარჯეთის სავანეთა მხარის აქ დართულ რუკას (იხ. 144 გვ.).

გიორგი მერჩულის ცნობით, როგორც ვნახეთ, შატბერთი უფრო დაშორებული იყო ხანძთას ვიდრე ჩამოთვლილი სავანეები (ოპიზა, ბერთა, დაბა, ჯმერკი, მიძნაძორო, წყაროსთავი), ხოლო თუ ჩვენ გავიზიარებთ ნ. მარის გაიგივებას, მაშინ ჩვენ სრულიად საწინააღმდეგოდ სურათს ვღებულობთ; გამოდის, გიორგი მერჩულის ჩვენების საწინააღმდეგოდ, ვითომც შატბერთი იყო არა ყველაზე შორეული, არამედ პირიქით ვითომც შატბერთი იყო ყველაზე მახლობელი სავანე ხანძთისა; შატბერთი ვითომც უფრო ახლო ყოფილა ხანძთასთან, ვიდრე ყველა ჩამოთვლილი სავანეები (ოპიზა, ბერთა, დაბა, ჯმერკი, მიძნაძორო, წყაროსთავი).

ამრიგად ნ. მარის ეს ლოკალიზაცია სრულიად აშკარა წინააღმდეგობაში იმყოფება გიორგი მერჩულის ტექსტის მიმართ და მისი მცდარობა ცხადია.

¹ იხ. ზემოთ, გვ. 145—146.



მაშ სად მდებარეობდა შატბერთი?

შევაჯამოთ ის ცნობები, რომელსაც ამ საგანზე იძლევა გიორგი მერჩულის ძეგლი.

ა. შატბერთი, როგორც გამოირკვა, მდებარეობდა კლარჯეთის სავანეთა მხარის განაპირაზე და დაშორებული იყო კლარჯეთის სავანეთა ძირითად ზონას (რომელსაც შეადგენდნენ სავანეები: ხანძთა და ოპიზა ბერთა, დაბა და ჯმერკი, მიძნაძორო და წყაროსთავი).

ბ. შესაძლო ხდება იმისი დადგენაც, თუ სახელდობრ კლარჯეთის სავანეთა მხარის რომელ განაპირა კუთხეში მდებარეობდა შატბერთი: იგი მდებარეობდა ამ მხარის სამხრეთ-დასავლეთ განაპირაზე.

ჩვენ უკვე განხილული გვექონდა გიორგი მერჩულის თხზულებაში აღწერილი მარშრუტი, არტანუჯიდან დაწყებული, კლარჯეთის სავანეებზე გავლით, შატბერთიდან ვიდრე ბარეთელთამდე. ეს მარშრუტი, როგორც ვნახეთ, ასეთია:

1. არტანუჯი. — 2. შატბერთი. — 3 — 6 „ბერთა და მახლობელნი მისნი“ (დოლისყანა — ჯმერკი — დაბა — ბერთა). — 7. ოპიზა. — 8. ხანძთა. — 9. მიძნაძორო. — 10. წყაროსთავი. — 11. ბარეთელთა.

ამ მარშრუტის თანახმად შატბერთი მდებარეობდა კლარჯეთის სავანეთა მხარის სამხრეთ-დასავლეთ სანაპიროზე, სექტორში, რომელსაც ერთის მხრით ესაზღვრებოდა არტანუჯის ზონა, ხოლო მეორეს მხრით დოლისყანა — ბერთის კუთხე.

თუ გავითვალისწინებთ აქ აღნიშნულს, ცხადი ხდება, რომ შატბერთი მდებარეობდა იმ სექტორში, სადაც მდინარე იმერხევი ერთვის მდინარე კოროხს,

სამწუხაროდ ეს სექტორი კლარჯეთისა არქეოლოგიურად დაწვრილებით შესწავლილი არ ყოფილა (კერძოდ აქ არ უმოგზაურნია 1904 წელს ნ. მარს).

ამის გამო შატბერთის ზუსტი ადგილმდებარეობა გაურკვეველი რჩება.

არაა გამორიცხული, რომ ძველი შატბერთი იყვეს ამ სექტორის იმ ადგილას, სადაც არტანუჯის უბანის კავკასიის შტაბის ძველ 5 — ვერსიან რუკაზე (1900 — 1914 წ. წ.) აღნიშნულია პუნქტი შაგორა და ნაჩვენებია ტაძრის ნანგრევები „P. Ц“. („Развалины Церкви“). საერთოდ ამ რუკაზე ტაძრის ნანგრევები იშვიათად აღინიშნება ზოლზე, და ის გარემოება, რომ სოფელ შაგორასთან საგანგებოდ არის დასახელებული ტაძრის ნანგრევები, გვაფიქრებინებს, რომ აქ მნიშვნელოვანი ძეგლის ნაშთი უნდა იყვეს.

მაგრამ დამოუკიდებლად იმისგან, არის თუ არა სოფელ შაგორას მიდამოებში დასახელებული ტაძრის ნანგრევები ნაშთი ძველი შატბერთისა, ყოველ შემთხვევაში ერთი რამ უცილობელია, რომ ძველი შატბერთი საძიებელია არტანუჯის მხარის ამ უბანში, დოლისყანის მახლობლად, სექტორში, სადაც მდინარე იმერხევი ერთვის კოროხს.

აღსანიშნავია, რომ თვით სახელწოდება შატბერთი შესაძლოა არ იყვეს დეკარგული. ისტორიკოსს თ. ვორდანიას ჩაწერილი აქვს 1890 წელს მესხეთის მხარეთა კარგი მეოდნის გრიგოლ გურიელის ცნობა რომ „სოფელი შახბედი (რაც ალბათ დამახინჯებია შატბერთის სახელისა) მდებარეობსო კოროხის ხეობაში, მთაზედ; ართვინიდან შახბედამდე 40 ვერსიაო“ (იხ. ქრონიკები, I, გვ. 97). გრიგოლ გურიელს მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში არა ერთგვის უმოგზაურნია კოროხის ხეობაში (მავშეთ-კლარჯეთში), როგორც თურქთა მფლო-

ბელაშის დროს, ისე შეზღვევაც 1; ამის გამო ეს ცნობა არ შეიძლება ჩათვალოს მნიშვნელობას მოკლებულად. (ილსანიშნავია, რომ ზემოთდასახელებული შავორა, რომლის შესახებ მოხსენიებულია საფარულდებელთა ძველი შატბერთი, დაშორებული არის ართვინს, — არსებულნი — გუჯინს მხედველობაში მიღებით, — დაახლოებით 30 — 40 კილომეტრით, ხოლო პირდაპირის ზანთ ნაკლებს მანძილთ).

ასეთია ის ცნობები, რაც ჩვენ მოგვეპოვება შატბერთის შესახებ, და რომელთა მიხედვითაც შესაძლო ხდება ზოგადად მიანიც განსაზღვრულ იქმნას ზონა შატბერთის ადგილმდებარეობისა.

არქეოლოგიური ექსპედიცია ამ მხარეში საბოლოოდ გაარკვევდა ყველა აქ აღძრულ საკითხებს. მაგრამ სამწუხაროდ ქართველი მეცნიერი მოკლებულია ამჟამად საშუალებას იმოგზაუროს ძველი საქართველოს ამ მიწა-წყალზე, რომელიც თურქთაგან არის მიტაცებული.

ბ.

ხანძთის სავანის ჩვენ დრომდე მოღწეული ნაშთები.

წარმოდგენილი მიმოხილვის შედეგ, კლარჯეთის იმ სავანეთა რიცხვს, რომელთა ადგილმდებარეობა გამორკვეული იყო, ამჟამად ემატება ხ ა ნ ძ თ ა.

როგორც გამოირკვა, ხანძთა ყოფილა ის უსახელო სავანე, რომელიც მდებარეობს სოფელ ფორთის სამხრეთ ზონაში, და რომელიც ლიტერატურაში ფორთის (ქვემო-ფორთის) სახელით არის აღწერილი.

ხ ა ნ ძ თ ა ძველი ქართული განათლების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ცენტრი, დაარსებული გ რ ი გ ო ლ ხ ა ნ ძ თ ე ლ ი ს მიერ, ხოლო შემდეგ მოღვაწეობის ადგილი გ ი ო რ გ ი მ ე რ ჩ უ ლ ი ს ა (სადაც დაიწერა თვით ეს თხზულებაც მერჩულისა, რომელიც აქ ჩვენი განხილვის საგანს შეადგენს), მრავალმხრივ ღირსსახსოვარი ძეგლია ჩვენი წარსულისა.

ჩვენ აქ შევჩერდებით ხანძთის სავანის ჩვენ დრომდე მოღწეულ ნაშთებზე.

ხანძთის სავანე, როგორც ეს ირკვევა მოღწეულ ნაშთების მიხედვით, დიდ არქიტექტურულ ანსამბლს წარმოადგენდა, იგი ნაგებობათა მთელ წყებას შეიცავდა.

ხანძთის სავანის ნაშთებიდან, რომლებიც ჩვენ დრომდე მოღწეულა, პირველ რიგში აღსანიშნავია შემდეგი არქიტექტურული ძეგლები:

1. სავანის მთავარი ტაძარი, რომელიც, როგორც ირკვევა გიორგი მერჩულის თხზულებიდან, აგებულია მეათე საუკუნის პირველ ნახევარში (იხ. ქვემოთ).

1 კერძოდ 1874 წელს გიორგი ვაზბევმა იმოგზაურა თურქეთის საქართველოში გრიგოლ გურიელთან ერთად. (იხ. აგრეთვე ნ. შარის ცნობა გრიგოლ გურიელის შევსეთ-კლარჯეთში მოგზაურობის შესახებ, ტრ, VII, გვ. 9).

2 სავანის ლიტერატურა: 1. აკად. ა. პავლინოვი, Экспедиция на Кавказ 1888 года (Материалы по археологии Кавказа III, 1893 წ., გვ. 66 — 67). — 2. ნ. შარი, Дневник поездки в Шаншетю и Кларджетию (ტრ, VII, 1911 წ., გვ. 139 — 156). — ე. თაყაიშვილი, Археологические экспедиции, разыскания и заметки, II, 1905 წ., 59 — 61. — ფოტოები ხანძთისა (ე. ი. სამხრეთ-ფორთის უსახელო სავანისა) მოიპოვება დ. ერმაკოვის ცნობილს კოლექციაში.



2. მეორე ტაძარი (მცირე), რომელიც სხანს არის ის „ძველი ტაძარი“ — რომელიც, გიორგი მერჩულის ცნობით, აგებული იყო მე-9 საუკუნის დასაწყისში.

3. დიდი არქიტექტურული ნაგებობა „საოსტიგნე“-დ წოდებული. საშუალო-საუკუნეთა სავანეებში ამ ტიპის არქიტექტურული ნაგებობანი ჩვეულებრივ დანიშნული იყო სემინარია-სასწავლებელთათვის.

4. მეორე დიდი არქიტექტურული ნაგებობა, გრძელი დარბაზი, რომლის დანიშნულება გამოურკვეველია, და რომელიც შესაძლოა ბიბლიოთეკის შენობას წარმოადგენდა.

ამათ გარდა ხანძთის სავანე, როგორც ირკვევა, შეიცავდა მთელ რიგ სხვა ნაგებობებს, დარბაზებს, რომელთა ნანგრევებით დაფარულია ხანძთის ტერიტორია.

აქ ჩვენ შევიჩრდებით ხანძთის მთავარი ტაძარის ნაგებობაზე.

ეს ძეგლი, ხანძთის მთავარი ტაძარი, თავისი გეგმით ბაზილიკისა და ჯვარის ტიპის შეერთებას წარმოადგენს. ხანძთის ეს ძეგლი, რომელსაც გიორგი მერჩული „მშვენიერი“-ს სახელწოდებით მოიხსენებს, კლარჯეთის არქიტექტურული სკოლის მართლაც ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილებაა. კლარჯეთის სავანეთა მხარის ძეგლებიდან, რომლებიც ჩვენ დრომდე მოღწეულია, ხანძთა, ოპიზასთან ერთად, ხელოვნების ყველაზე მნიშვნელოვანი ძეგლებია.

მნიშვნელობა ხანძთის ძეგლისა ქართულ ხელოვნების ისტორიისათვის კიდევ უფრო იზრდება იმის გამო, რომ შესაძლოა ხდება ამ ძეგლის ზუსტად დათარიღება.

ცნობილია აგრეთვე ამ ძეგლის ხუროთმოძღვარიც.

გიორგი მერჩულე ამ ძეგლის, ხანძთის მთავარი ტაძრის აგების შესახებ (რომელსაც იგი „ახალი ეკლესიის“ სახელწოდებით მოიხსენიებს) დაწვრილებით ცნობებს გადმოგვცემს. ეს ცნობები მე-10 საუკუნის თანამედროვე მწერლისა თავისი დეტალებით, რომელიც იმდროინდელ მშენებლობას ეხება, იმდენად საყურადღებოა, რომ საჭიროდ მიგვაჩნია მისი მოყვანა. გიორგი მერჩულე გადმოგვცემს:

„შემდგომად გ უ რ გ ე ნ კ უ რ ა პ ა ლ ა ტ ი ს ა [881—891 წ.], ქემან მის-
მან ა შ ო ტ ე რ ი ს თ ა ვ თ ა ე რ ი ს თ ა ვ მ ა ნ [კუხმან, 896—918 წ.]
ხ ა ნ ძ თ ა ს ა ხ ა ლ ი ე კ ლ ე ს ი ა დ ა ი წ ყ ო წ ა დ ი ე რ ა დ დ ა უ რ ი ც ხ ვ ი შ ე ს ა წ ი რ ა ვ ი გ ა რ -
დ ა მ პ ა ტ ა მ ა ს . ხ ო ლ ო ი ყ ო მ ა ს ე ა მ ს ა ხ ა ნ ძ თ ა ს წ ი ნ ა მ ძ ლ გ რ ა დ მ ა მ ა ი ა რ ს ე ნ ი ,
ნ ა თ ე ს ა ვ ი თ (ე . ი . შ თ ა მ ო მ ა ვ ე ლ ო ბ ი თ) ა ზ ნ ა უ რ ი . ა მ ი ს ი თ ა გ ა ნ ზ რ ა ხ ვ ი თ ა ი ქ მ ნ ა დ ა წ -
ყ ე ბ ა ა ხ ლ ი ს ა მ ი ს დ ა მ შ ვ ე ნ ი ე რ ი ს ა ე კ ლ ე ს ი ა ს ა ფ ი ც ხ ე ლ ს ა მ ა ს კ ლ ე გ ს ა ზ ე დ ა ,
რომელიცა ფრიადითა შრომითა და ქვეითა-კირითა მყარითა მრავალთა ქამთა
დაავაკეს, და ესრეთ შეპრაცხეს შემზადება ადგილისა მის, ვითარმცა სრუ-
ლიად აღეშენა. არამედ აკურთხენ ქრისტემან ა მ ო ნ ა [ხუროთმოძღვარი],
სიბრძნით სრულიად მაშენებელი, და შემწენი ყოველნი, რომელთაგან კეთი-
ლად განემარჯვებოდა შენება ეკლესიისა მის. ხოლო ქვაი და კირი ფრიად

1 მხედველობაში გვაქვს ტაძარი დარბაზული ტიპისა, რომლის აღმოსავლეთი კედლის კაპაროსან მინაშენთან გამოყვანილია წყარო (TP, VII, გვ. 155 და სურათი 49).
2 ამ ნაგებობის — დარბაზის შესახებ ნ. მარი შენიშნავს: „назначение зала, был ли он синод. библиотека или что другое пока трудно сказать“ (TP., VII, გვ. 154).
3 იხ. TP, VII, გვ. 139 — 156.

შორით მოაქენდა ძნელთა მათ გზათა კაცთა ზურგითა, და ყოველი ხასწორითა იწონებოდა, რამეთუ იყიდდეს მაშენებელნი იგი.

„მას ეამსა გარადიცვალა ღმრთის-მსახური იგი ხელმწიფე [აშოტ კუხი ერისთავთ-ერისთავი, *918 წელს], წმიდათა ეკლესიათა მაშენებელი და მონაგებთა შემწირველი და გლახთა მოღვაწე და დაემარხა ხანძთას...“

„ხოლო გურგენ [918 — 941 წ.], ძმის-წული აშოტისი, დიდი იგი ხელმწიფე ფრიადთა ნათესავთა, ღმრთისა მიერ დაჯდა ერისთავთა-ერისთავად, და მან განასრულა ეკლესია იგი ახალი ხანძთისა, და მისთანა ყოველთა დიდებულთა ხელმწიფეთა, და აზნაურთა, და ყოველმან ერმან მორწმუნეთამან, და უფალმან კეთილი მოუკლებელი მიეცინ ყოველთავე“¹.

ამრიგად ხანძთის ტაძარი აგებული ყოფილა მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, ხელმწიფეთა (მთავართა) — აშოტ კუხის ერისთავთ-ერისთავის (+ 918 წ.) და გურგენ დიდი ერისთავთ-ერისთავის (+ 941 წ.) დროს.

ხუროთმოძღვარი ძეგლისა ყოფილა აშოტა, რომელსაც განთქმული ხელოვანის სახელი ჰქონია მოხვეჭილი და რომელსაც გიორგი მერჩულე „სიბრძნითა მაშენებელს“ უწოდებს.

აქ ზეენ საჭიროდ მიგვაჩნია შევჩერდეთ გიორგი მერჩულის აღწერილობის კერძოდ ერთ დეტალზე, საიდანაც ზეენ ვლტებულობთ ახალ ზედშეტ დადასტურებას იმ ფაქტისას, რომ ეს საფანე არის სწორედ ხანძთა, ხოლო მთავარი ტაძარი არის ის ძეგლი, რომელსაც გიორგი მერჩულე „ახალი ტაძარის“ სახელით მოიხსენიებს.

გიორგი მერჩულეს, როგორც ვნახეთ, აღნიშნული აქვს, რომ ხანძთის ტაძარი აგებულ იქმნა „ფიცხელსა მას კლდესა ზედა“, რომლის დაეცემა, „ეთითა-კირითა მყარითა“ გასწორებამ „მრავალა ეამის“ შრომა მოითხოვია, იმდენად დიდი შრომა, რომ როდესაც აღილი საფუძველისა შეამზადეს, ეს ისე იქმნა მიღებული, რომ მთავარი შრომა უკვე გაწეულია და ტაძარი ძირითადად კიდევ აშენოსა. გიორგი მერჩულე, როგორც ვნახეთ, წერს: „იქმნა დაწყება ახლისა მის და მშენებრისა ეკლესიისა ფიცხელსა მას კლდესა ზედა, რომელიცა ფრიადთა შრომითა და ეთითა-კირითა მყარითა მრავალთა ეამთა დაეცეს და ესრეთ შეპრაცხეს შეშაღება ადგილისა მის, ეთარმეცა სრულიად აღშენა“.

საკმაოა გავეცნოთ ხანძთის მთავარი ტაძრის ფოტოგრაფიებს (იხ. ფოტო ძეგლისა ნ. მარის გამოცემაში, ტ. VII, გვ. 138 — 140, სურათები 48 და 50), რათა ნიშანდობლივ აშოტეცნათ გიორგი მერჩულის აღწერილობა. ხანძთის ტაძარი მართლაც აგებულია „ფიცხელა“ კლდის ფერდობზე, იგი შთაბრძნავს ამოყვანილია ხელოვნურად შექმნილს საფუძველზე. კლდის ფერდობი იმდენად „ფიცხლად“ დაქანებული ყოფილა, რომ მის დასაფუძვლად აუცილებელი გამზდარა მაღალი კედლის აღმართვა და ხელოვნური მიედნის შექმნა.

ეს ხელოვნური მიედანი თავისი აზიდული კედლით იმდენად დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს, რომ ნ. მარის ხანძთის ამ მთავარი ტაძრის აღწერილობის დროს საგანგებოდ შენიშნავს: „снаружи [церкви] любовныинее более всего основание“. ნ. მარის ტაძრის აღწერილობის შნიშვნელოვან ნაწილს სწორედ ამ ხელოვნური საფუძველის აღწერილობას მიუძღვნის; ნ. მარის წერს:

„Снаружи [церкви] любовныинее более всего основание. Почва здесь представляет скат и прежде всего кладку крупными наизотозлашными камнями сразвения почва. Для сразвения почвы под церковью со стороны Пертнискон рекки пониообилось у верхней линии склона семь рядов кладки, высотой 2 сажени 1 арш. 5 1/2 в., у нижней линии десять рядов, высотой 2 сажени 2 арш. 10 1/2 в. В эту же высоту входит цоколя перини из черного камня, с одним рядом нижних камней под ним.“

„Сверху и снизу, т. е. с севера и с юга, этого выведенного из камней фундамента на протяжении 5 сажени 2 арш. 1 1/2 в. примыкают кладки, также для уравниения почвы...“

„Церковь выведена аккуратно на собственном искусственно созданном фундаменте так, что линии ее стен находятся в одной плоскости с линиями соответствующих стен фундамента...“²

¹ გიორგი მერჩულე, გვ. 71 — 72.

² იხ. ნ. მარის, Дневник, ტ. VII, გვ. 149.

ამრიგად აღნიშნულის შემდეგ გასაგები ხდება გიორგი მერჩულის საგანგებო მოთხოვნა ტაძრის საფუძველის შემზადების შესახებ, რომ ტაძარი აგებულ იქნათ „ფიცხელსა შას კლდე-სა ზედა, რომელი ფრიადითა შრომითა და ჭვითა-ცირითა მყარითა მრავალთა ჭამთა დაღვევს და ესრეთ შეპრაიხებს შემზადება ადგილის მის, ვითარცა სრულიად აღეშენა“.

ხანძთის მთავარი ტაძრის აშენების დროს ეკუთვნის დაზიანებულად და-
ცული წარწერა (რომელიც თავდაპირველად, როგორც სჩანს, ხუთ ქვაზე ყო-
ფილა მოთავსებული და რომლისაგან ამჟამად ორი ქვაა გადარჩენილი). წარ-
წერა შესრულებულია კლასიკური ხანის — მეათე საუკუნის ასომთავრულით¹.
მოგვყავს წარწერის ტექსტი, ქარაგმების გაუხსნელად. დაკარგული და
დაზიანებული ადგილების აღდგენით.

ნიშანი [] აღნიშნავს რომ ასო დაზიანებულია მხოლოდ ნაწილობრივ და მისი წაკითხ-
ვა შესაძლებელია.

მრგვალ ფრჩხილებში () ჩასმულია ასოები და სიტყვები, რომლებიც დაკარგულა-
და: რომელთა აღდგენა შესაძლებელი ხდება სიტყვის გადარჩენილი ნაწილისა და აზრის საფუ-
ძო მიმდინარეობის მიხედვით.

	(I)	(II)	(III)	(IV)	(V)
1.	(სახელითა)	ღ ^{ნი} ზ	(ათა და)	იდვა	(საფუც)
2.	(ძველი დ)	ა ბა	(ლაგარი)	გარდ	(აერთხა)
3.	(ღწელითა)	ველმ	(წიფეთა და)	ერისით	(ა მამთ)
4.	(მთავრბ)	ხა ე	(ზრამხა)	აწხს	(ა) -----
5.	-----	ისით	-----	ლხა	-----
6.	-----	ღ ^{ნი} კე	-----	თ ღრა	-----
7.	-----	ლოც	(ვასა მო)	მიკხე	(ნეთ)

ქარაგმების გახსნით:

1. (სახელითა) ღმრთისა(ათა და)იდვა (საფუ)-
2. (ძველი დ)ა ბა(ლაგარი) გარდ(აერთხა)
3. (ღწელითა) ხელმ(წიფეთა და) ერისით(ა, მამათ)-
4. (მთავრბ)სა ე(ზრამხა) ანჩელისს(ა) *-----
5. -----
6. -----
7. -----ლოც(ვასა მო)მიხსე(ნეთ).

გიორგი მერჩულე, როგორც ვნახეთ მოგვეთხოვრებს, რომ ხანძთის მთავარი
ტაძარი აგებული იყო მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში ხ ე ლ მ წ ი ფ ე ე-
ბ ი ს (მთავრების) აშოტ კუხისა და გურგენ დიდის დროს, თანამოღვაწეობით
სხვათა ხელმწიფეთა, აზნაურთა და აგრეთვე ერისა.

¹ იხ. ნ. შარი, Дневник, ТР, VII, სურათი 53 (გვ. 145 — 146).

* ანჩელი მამათავარი, რომლის სახელის დაწერილობა დაზიანებულად არის მოღწეულა
და რომლის სახელი იწვეება ასოთი „ე(—)“ სჩანს არის „ე(ზრა) ანჩელი“. როგორც ეს ირკვევა
გიორგი მერჩულის ძეგლის დამატებიდან, „ე ზ რ ა ლირსი ანჩელი მამათავარი... დიდე-
ბულთა აზნაურთა დაფანულთა შეილი“ მე-10 საუკუნის ნახევრის მოღვაწე იყო. (იხ. გიორგი
მერჩულე, გვ. 167)



ამას უდგება ჩვენი წარწერის ტექსტის ჩვენება:
 „(ლუაწლითა) ხელმ (წიფეთა და) ერისით (ა)“.
 აქ გამოთქმებიც კი ერთი და იგივეა; შეადარეთ ამას გიორგი მერჩულის ტექსტი: განასრულეს — „ღიდებულთა ხელმწიფეთა და ყოველმან ერმან“ (გიორგი მერჩულე, გვ. 72).

ჩვენ ამით დავასრულებთ ამ შენიშვნებს ხანძთის სავანის ამ ძეგლის შესახებ.

ჩვენ აქ აღარ ვჩერდებით ხანძთის სავანის დანარჩენ ძეგლებზე. მათი აღწერილობა მოცემულია ნ. მარის მიერ (იხ. *Дневник поездки в Шавшетию и Кларджетию* ТР., VII. გვ. 139 — 155, 202).

ბ.

ძირითადი წყაროები კლარჯეთის სავანეთა ისტორიისათვის

მეორე სპეციალური საკითხი, რომელზედაც უნდა შევჩერდეთ აქ წინასწარ, ვიდრე გადავიდოდეთ კლარჯეთის 12 სავანეთა ისტორიის ზოგად განხილვაზე, ეს არის ძირითადი პირველწყაროების მიმოხილვა.

კლარჯეთის სავანეთა ისტორიისათვის მე-5 საუკუნიდან მოკიდებულ ვიდრე მე-10 საუკუნემდე სამი ძირითადი წყარო არსებობს:

მთავარი წყარო, რომელიც წარმოგვიდგენს კლარჯეთის სავანეთა ისტორიას მერვე საუკუნიდან — მეათე საუკუნემდე, — ეს არის ჩვენი ძეგლი — გიორგი მერჩულის თხზულება;

ხოლო უფრო აღრინდელი ხანისათვის, მეხუთე საუკუნიდან ვიდრე მეშვიდე საუკუნემდე, კლარჯეთის სავანეთა შესახებ ცნობებს შეიცავს ორი ძეგლი:

ა. ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა“.

ბ. ბასილი ზარზმელის თხზულება: „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“.

•

ა. საისტორიო ძეგლი „ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა“ შეტანილია ძველ ქართულ მატანეთა ცნობილ კრებულში ქართლის ცხოვრებაში (იხ. ქართლის ცხოვრების კრებული, მარიამ დედოფლისეული ნუსხა გვ. * 294 — * 400).

ეს ძეგლი, ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, რომლის შესახებ უფრო დაწერილებით სხვა ადგილას გვაქვს საუბარი, როგორც ირკვევა დაწერილია მე-9-ე საუკუნეში.¹

¹ ეს ძეგლი, ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, ქრონოლოგიურად წინ უსწრებს ჯუაშერის ქრონიკის არსებულ რედაქციას, ხოლო ეს უკანასკნელ 872 — 912 წლებს ეკუთვნის. ამავე დროს ირკვევა, რომ ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა უფრო გვიანი დროისაა, ვიდრე ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“, რომელიც მე-8 საუკუნის ძეგლია. (იხ. პ. ინგოროვსკა, ლეონტი მროველი, ენიშკის მოამბე, X, 1941 წ., გვ. 93 — 152. — პ. ინგოროვსკა, ქართული ლიტერატურის ისტორიის მოკლე მიმოხილვა, თბილისი, 1939 წ., № 10—11, გვ. 199—208, 210—214).

ირკვევა ამასთან, რომ ავტორს ხელთა ჰქონია ვახტანგ გორგასარის მეფობის აღწერილობის ძველი წყარო. ეს ძველი წყარო ავტორს გამოყენებული აქვს მეტწილად მატიანის უკანასკნელ თავებში (იხ. მატიანის ტექსტი, გვ. *391 — *400 მარიაშის ნუსხით; იხ. აგრეთვე გვ. *359).

კერძოდ ამ ძველი პირველწყაროდან მომდინარეობს ორი ნაკვეთი, რომლებიც ეხება საეკლესიო მშენებლობას საქართველოში და კერძოდ კლარჯეთში.

რადგან ჩვენ ქვემოთ არა ერთგზის მოგვიხდება დავეყაროთ ამ ტექსტებს, მოგვყავს აქ ისინი მთლიანად.

პირველი ტექსტი, რომელიც ეხება საეკლესიო მშენებლობას მთლიანად საქართველოში, იკითხვის შემდეგნაირად:

„ხოლო მ ც ხ ე თ ა ს მეფემან ვ ა ხ ტ ა ნ გ [გორგასარმან] აღაშენა ეკლესია მოციქულთა ს ვ ე ტ ი - ც ხ ო ვ ე ლ ი, და უპყრა სვეტსა შინა სამხრით ადგილსა მას, სადა იგი დაცემულ იყო ეკლესია, რომელ არს სიონი დიდი, და მუნ შინა დასვეს პ ე ტ რ ე კათალიკოზად, და ს ა მ ო ე ლ ებისკოპოსად — მცხეთას საეპისკოპოსოსა;

„და დასვა ერთი ეპისკოპოსად კლარჯეთს, ეკლესიასა ა ხ ი ზ ი ს ა ს ა;

„ერთი არტაანს — ე რ უ შ ე თ ს;

„ერთი ჯავახეთს — წ უ ნ დ ა ს;

„ერთი — მ ა ნ გ ლ ი ს ს ა;

„ერთი — ბ ო ლ ნ ი ს ს;

„ერთი — რ უ ს თ ა ვ ს;

„ერთი ნ ი ნ ო წ მ ი დ ა ს, უჯარმის კარსა, რომელ ვახტანგს გორგასარსა აღაშენა;

„ერთი — ჰ ე რ ე მ ს, მისვე აღაშენებულსა, და მუქ ქმნა ქალაქი ერთი შორის ორთავე ეკლესიათა, რომელი იგი აღაშენა მანვე;

„ერთი — ჩ ე ლ ე თ ს, რომელი სოფელსა შუა აღაშენა;

„ერთი — ხ ო რ ნ ა ბ უ ჯ ს;

„და ერთი ა ვ ა რ ა კ ს, რომელი არს ხუნანის გამართებით.

„და შემდგომად ამისსა აღაშენა ეკლესია ნ ი ქ ო ზ ი ს ა, საგზებელსა თანა ცეცხლისასა, და დასვა ეპისკოპოსი, სადა იგი ეფლა გვამი წმიდისა რაფელენისი, რომელი იწამა სპარსთა მიერ წყობასა (ბრძოლასა) ვახტანგისასა“.¹

როგორც სამართლიანად აღნიშნა ივანე ჯავახიშვილმა, ეს უაღრესად მნიშვნელოვანი ტექსტი, რომელიც მე-5 საუკუნეს, ვახტანგ გორგასარის ხანას ეხება, ავთენტური ხასიათისაა.²

ასევე ავთენტური ხასიათისაა და ცხადია ვახტანგ გორგასარის იმავე ძველი მატიანიდან მომდინარეობს აგრეთვე მეორე ტექსტი, რომელიც იდენტური ხასიათისაა და ეხება მშენებლობას კლარჯეთის მხარეში:

„ხოლო [ერისთავმან ვახტანგ გორგასარისამან კლარჯეთისა ქვეყანასა] აღაშენა ციხე ა რ ტ ა ნ უ ჯ ი ს ა,

¹ იხ. ცხორება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *391 — 392/179 (ანასეული ნუსხა, გვ. 135).

² იხ. ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია I, 1928 წ., გვ. 277—278.

„და მონასტერი, რომელი არს ოპიზისა,

„და სამნი ეკლესიანი: დაბისა, მერიისა და შიღობისა,

„და განახლა ციხე ახიზისა და ქმნა იგი ქვაბად“.¹

ასეთია ეს ორი მოკლე ტექსტი, რომლებიც უაღრესად მნიშვნელოვანს ავთენტურ ცნობებს შეიცავენ და რომლებიც, როგორც ირკვევა, მომდინარეობენ ვახტანგ გორგასარის ძველი მატანიდან.

ამრიგად ამ უწყებათა თანახმად კლარჯეთის სავისკოპოსო ახიზისა დაარსებული ყოფილა ვახტანგ გორგასარის დროს, მე-5 საუკუნეში (იხ. პირველი ტექსტი).

ასევე მე-5 საუკუნეში ყოფილა დაარსებული კლარჯეთის სავანე ოპიზა, აგრეთვე ტაძრები კლარჯეთისა — დაბისა, მერიისა და შიღობისა. მე-5 საუკუნეშივე ყოფილა აგებული კლარჯეთის ციხე არტანუჯი. რაც შეეხება ახიზის ციხეს, იგი ვახტანგ გორგასარის ხანის ადრე არსებულა და მე-5 საუკუნეში იგი მხოლოდ განუახლებიათ (იხ. მეორე ტექსტი).



გადავიდეთ ამის შემდეგ მეორე ძეგლზე — ბასილი ზარზმელის თხზულებაზე: „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისა“.

ამ ძეგლზე ჩვენ მოგვიხდება აქ დაწერილებით შევჩერდეთ, რადგან სამეცნიერო ლიტერატურაში სრულიად შემცდარი შეხედულებანი იყო გამოთქმული ამ ძეგლის დაწერის თარიღის შესახებ და აგრეთვე ამ ძეგლში აღწერილი ამბების დროის შესახებ.

სახელდობრ გამოთქმული იყო შეხედულება, რომ ბასილი ზარზმელის თხზულება დაწერილია მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო სერაპიონ ზარზმელი და მისი თანამედროვენი (რომელთა ბიოგრაფიასაც აგვიწერს ბასილი ზარზმელი) ვითომც იყვნენ მოღვაწენი მეცხრე საუკუნის — მეათე საუკუნის დასაწყისისა.

სინამდვილეში კი, როგორც შემდეგ გამოირკვევა, აქ არის შეცდომა მთელი სამი საუკუნით.

სახელდობრ, როგორც შემდეგ დავინახავთ, ბასილი ზარზმელის თხზულება დაწერილია არა მეათე საუკუნის პირველ ნახევარში, არამედ მეშვიდე საუკუნეში; ხოლო სერაპიონ ზარზმელი და მისი თანამედროვენი ყოფილან მოღვაწენი არა მეცხრე — მეათე საუკუნეთა და არამედ მეექვსე — მეშვიდე საუკუნეთა.

დადგენა ბასილი ზარზმელის თხზულების დაწერის თარიღისა, (ასევე დადგენა ამ თხზულებაში მოხსენებული მოღვაწეების ცხოვრების დროისა), — განსაკუთრებულ ინტერესს წარმოადგენს ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისათვის, საქართველოს ძველი კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის, ხოლო კერძოდ კი იმ საკითხისათვის, რომელიც აქ ჩვენი განხილვის უშუალო საგანს შეადგენს, — მესხეთის მხარეთა ისტორიისათვის.

¹ იხ. ცხოვრება ვახტანგ გორგასარისა, გვ. *359/157—158 (იხ. ზენაწურთა ვარიანტები ანა დედოფლისეული ქართლის ცხოვრების გამოცემაში, გვ. LXXXII — LXXXIII).

იმისდა მიხედვით, თუ რა დროს მივაკუთვნებთ სერაპიონ ზარზმელისა და მის თანამედროვეთა მოღვაწეობას, მეექვსე-მეშვიდე საუკუნეებს, ანუ მეექვსე-მეათე საუკუნეებს, სრულებით სხვადასხვა სახით წარმოგვიდგება მესხეთის მხარეთა ისტორია აღრეულ საშუალო საუკუნეებში.

ამის გამო ჩვენ აქ მოგვიხდება დეტალურად განვიხილოთ ამ ძეგლის თარიღის საკითხი.

რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოხსენებულნი პირნი მიქელ პარეხელი, სერაპიონ ზარზმელი, იოანე და სხვანი მეექვსე — მეშვიდე საუკუნეთა მოღვაწეები არიან, და რომ ბასილი ზარზმელის თხზულება მე-7 საუკუნეშია დაწერილი, ამის შესახებ თვით თხზულებაში ჩვენ გვაქვს გარკვეული ჩვენებანი.

ჯერ მიქელ პარეხელის დროის შესახებ, რომელმაც დააარსა კლარჯეთში სავანე პარეხი, და რომელიც იყო მასწავლებელი სერაპიონ ზარზმელისა.

მიქელ პარეხელის მოღვაწეობის დასაწყისის გამო, ბასილი ზარზმელის თხზულებაში შემდეგია მოთხრობილი:

„აღშენა რა წმიდა და დიდი უდაბნო [სავანე] ოპიზა — მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდება ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ამისა შემდგომად მოვიდა მუნით [ოპიზით] [მიქელ] და აღაშენა — მცირე ეგვიპტური, შესაკრებელი მცირე ძმათა, — რომელსა პარეხ უწოდიან. ხოლო ესე სიტყვა მამათა მიერ მოვალს ჩვენდა, რამეთუ მიქელ იყო აღმაშენებელი, — რომელი იყო მოწაფე დიდისა დისა შიოქსის, საკვირველთ-მოქმედისაი, რომელი ვითარცა მთიები განთიადისა ბრწყინვიდა ქვეყანასა ქართლისასა.“¹

ამ ცნობაში ჩვენ გვაქვს ორი სრულიად გარკვეული სათარიღო ჩვენება, რომლებიც ქრონოლოგიურად ეფარდება და ამოწმებს ერთი მეორეს.

1. ოპიზა, როგორც ეს დასტურდება ვახტანგ გორგასარის მატიანის ზეით-მოყვანილი უწყებიდან, დაარსებული იყო ვახტანგ გორგასარის დროს, ა. ი. მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში.

2. შიო მღვიმელი, „რომელი ვითარცა მთიები განთიადისა ბრწყინვიდა ქვეყანასა ქართლისასა“, მე-6 საუკუნის პირველი ნახევრისა და შუა წლების მოღვაწეა; დასაწყისი შიო მღვიმელის მოღვაწეობისა სჩანს არ სცილდება 510 — 520 წლებს.²

ამ-რიგად, როგორც მოგვითხრობს ბასილი ზარზმელი, ჯერ კიდევ არ იყო გასული დიდი ხანი მას შემდეგ, რაც დაარსებულ იქმნა ოპიზა, რომ აქ ოპიზაში დამკვიდრებულა შიო მღვიმელის მოწაფე მიქელი; ხოლო რაკი ოპიზა დაარსებული იყო მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ხოლო შიო მღვიმელის მოღვაწეობა 510 — 520-იანი წლებიდან იწყება, ამის მიხედვით მიქელის დამ-

¹ იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 150.

² შიო მღვიმელის მეტაფრასტული ცხორების მიხედვით, შიო მღვიმელის მოღვაწეობის პირველი პერიოდი იმ ხანას ეკუთვნის, როდესაც იბერიაში (ქართლში) ჯერ კიდევ არ იყო მეფობა მონათმბილი.

კვიდრება ოპიზაში საკმაო მიახლოებით მეექვსე საუკუნის შუა წლებს უნდა მიეკუთვნოს. — აღნიშნულის მიხედვით მიქელის მოღვაწეობა კლარჯეთში, ჯერ ოპიზაში, ხოლო შემდეგ პარეხში, ძირითადად მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარით შემოიფარგლება.

მიქელის მოღვაწეობის შედეგად პარეხი განათლების მნიშვნელოვანი ცენტრი გამხდარა. ბასილი ზარზმელის ცნობით მიქელს „მრავალნი აქვნდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა“, რომელთა შორის მთავარნი ყოფილან ბასილი და მარკელაოზ პარეხელი. უფრო გვიან ბასილის მოწაფენი გამხდარან სერაპიონ ზარზმელი და მისი ძმა იოანე. მიქელთან დაახლოებული პირი ყოფილა აგრეთვე გიორგი მაწყვერელი.

მიქელ პარეხელი განთქმული მოძღვარი ყოფილა და ბასილი ზარზმელის სიტყვით მისნი მოწაფენი მოისმენდნენ „მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა“.

მიქელ პარეხელის გარდაცვალების შემდეგ მისი ბიოგრაფია აღუწერიათ მის მოწაფეებს. ეს ბიოგრაფია მიქელ პარეხელისა მოხსენებული აქვს ბასილი ზარზმელს თავის თხზულებაში.¹

განვიხილოთ ამის შემდეგ ბასილი ზარზმელის ცნობები სერაპიონ ზარზმელის შესახებ.

ბასილის ცნობით, სერაპიონ ზარზმელი წარმოშობით კლარჯეთის ქვეყნიდან იყო, მდაბითა წრიდან; სერაპიონის მშობლები ყოფილან „ლიტონად“ (უბრალოდ) მცხოვრებნი, რომლებიც „შრომით და ქვეყნის მოქმედებით“ (მინის-მოქმედებით) ირზენდნენ თავს.

სერაპიონი და ორი მისი ძმა (ერთი უფროსი, ზომლის სახელი მოხსენებული არაა, და მეორე უმცროსი, სახელად იოანე) ჯერ კიდევ არ ყოფილან სრულწლოვანნი, როდესაც დაობლებულან, მათ დაჰკარგეს ჯერ დედა, შემდეგ მამა.

მამის სიკვდილის შემდეგ უფროსი ძმა მამულში დარჩენილა და მიწათმოქმედებას შესდგომია, ხოლო უმცროსი ძმები — სერაპიონი და იოანე — შესულან სასწავლებლად პარეხის სავანეში.

ამ დროისათვის პარეხის სავანეში, მიქელ პარეხელის ხელმძღვანელობით, ფართედ ყოფილა გაშლილი საგანმანათლებლო მუშაობა.

სერაპიონისა და მისი ძმის იოანეს შესვლა სასწავლებლად პარეხის სავანეში, როგორც ირკვევა, მომხდარა პარეხის დაარსების არა პირველ ხანაში, არამედ შემდეგ, დაახლოებით მიქელის მოღვაწეობის შუა პერიოდში, როდესაც მიქელი გარშემორტყმული ყოფილა მრავალი მოწაფეებით. პარეხის სავანეში სერაპიონისა და მისი ძმის უშუალო მასწავლებლები ყოფილან მიქელ პარეხელის მოწაფეები ბასილი და მარკელაოზ პარეხელი.

აღნიშნულის მიხედვით სერაპიონისა და იოანეს პარეხში დამკვიდრება უნდა მიეკუთვნოს საკმაო მიახლოებით მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარს. ხოლო რაკი სერაპიონ და იოანე, პარეხში სასწავლებლად შესვლის დროს ჯერ კიდევ ყმაწვილები ყოფილან, ამის მიხედვით მათი დაბადების თარიღი დაახლოებით მეექვსე საუკუნის შუა წლებში არის სავარაუდებელი.

სერაპიონი და მისი ძმა იოანე, მას შემდეგ რაც ისინი განათლებას მიიღებენ პარეხის სავანეში, გადადიან სამცხის პროვინციაში. აქ, სამცხეში სე-

¹ ბ. ბასილი ზარზმელი, გვ. 150 — 151.

რაპიონი დააარსებს ზარზმის განთქმულ სავანეს; ხოლო შემდეგ იოანე დააარსებს აგრეთვე სამცხეში, ყველის ხეობაში (ახლანდელ ფოცხოვში, რომელიც ამჟამად თურქეთის საზღვრებშია), მეორე სავანეს, რომელსაც ეწოდება იოანე-წმიდა.

მიქელ პარეხელი, რომლის მოღვაწეობა კლარჯეთში მეექვსე საუკუნის ნახევრიდან იწყება, ჩანს გარდაცვლილა მეექვსე საუკუნეშივე, ან მეექვსე — მეშვიდე საუკუნეთა საზღვარზე სერაპიონისა და იოანეს სიცოცხლეში (სახელდობრ, როგორც აღნიშნულია ბიოგრაფიაში, მიქელი გარდაცვლილა მას შემდეგ, რაც სერაპიონმა დააარსა ზარზმის სავანე, ხოლო უწინარეს იოანე-წმიდის სავანის დაარსებისა).

რაც შეეხება სერაპიონსა და იოანეს, ისინი სჩანს გარდაცვლილან მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში; სერაპიონსა და იოანეს ღრმა მოხუცებამდე მიუღწევიათ, ბიოგრაფიის სიტყვით მათ წარვლეს „სიმრავლე წელთა და სიბერითა კეთილთა განაოხნეს“.

ამრიგად სერაპიონისა და იოანეს დაბადების თარიღი საკმაო მიახლოებებით უნდა მიეკუთვნოს მეექვსე საუკუნის შუა წლებს, ხოლო გარდაცვალება მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარს.

დასასრულ მწერლის ბასილი ზარზმელის ცხოვრების დროის შესახებ.

ბასილი ზარზმელი იყო ძმისწული სერაპიონისა, შვილი სერაპიონის უფროსი ძმისა.

ბასილი მისულა ზარზმაში მისი ბიძის სერაპიონის გარდაცვალების შემდეგ, ე. ი. მეშვიდე საუკუნის პირველ ნახევარში. უფრო გვიან ბასილი გამხდარა წინამძღვარი ზარზმის სავანისა.

ბასილის თავისი თხზულება, — ბიოგრაფია სერაპიონ ზარზმელისა და მისთა თანამოღვაწეთა, — დაუწერია ზარზმაში; დაუწერია იგი სჩანს უფრო ადრე, ვიდრე ზარზმის წინამძღვარი გახდებოდა.

ასეთია ის ცნობები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება ჩვენი მწერლის ბასილი ზარზმელის შესახებ.

ამრიგად ირკვევა, რომ ბასილი ზარზმელის საზოგადოებრივი მოღვაწეობა მე-7 საუკუნეს ეკუთვნის და მისი თხზულება — ცხობრება სერაპიონ ზარზმელისა — მე-7 საუკუნეშია დაწერილი.

ჩვენ გავეცანით ყველა იმ ძირითად სათარიღო ცნობებს, რომელთაც შეიცავს ბასილი ზარზმელის თხზულება და რომელთაც მნიშვნელობა აქვთ ამ ძეგლის ქონოლოგიის დასადებად.

დაგვრჩენია შევაჯამოთ ზემო-აღნიშნული.

ირკვევა მამასადამე შემდეგი:

1. კლარჯეთის უძველესი სავანე ოპიზა დაარსებულია მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასარის დროს. ამ თარიღს ადასტურებს ერთიმეორისაგან დამოუკიდებლად ორი საისტორიო წყარო: ვახტანგ გორგასარის მატთანე და ბასილი ზარზმელის თხზულება.

2. კლარჯეთის მეორე სავანე პარეხი დაარსებულია მე-6 საუკუნის ნახევრის ახლო ხანებში. მისი დამაარსებელია მიქელ პარეხელი, მოწაფე შიო მღვიმელისა.

3. მიქელ პარეხელის მოწაფეების სერაპიონისა და იოანეს ცხოვრების თარიღები, როგორც ირკვევა შემდეგია: მათი დაბადება ეკუთვნის დაახლოებით მეექვსე საუკუნის შუა წლებს, ხოლო გარდაცვალება მე-7 საუკუნის პირველ ნახევარს. სერაპიონს დაუარსებია ზ ა რ შ მ ი ს სავანე სამცხეში მეექვსე საუკუნის მეორე ნახევარში ან მეექვსე-მეშვიდე საუკუნეთა საზღვარზე (მიქელ პარეხელის სიცოცხლეში); მას შემდეგ იოანეს დაუარსებია, აგრეთვე სამცხეში, მეორე სავანე, რომლისაც ეწოდა იო ა ნ ე წ მ ი ნ დ ა.

4. საზოგადოებრივი მოღვაწეობა მწერლის ბ ა ს ი ლ ი ზ ა რ შ მ ე ლ ი ს ა (რომელიც იყო ძმისწული სერაპიონ ზარშმელისა) — მეშვიდე საუკუნის ეკუთვნის. თხზულება ბასილისა — ცხორება სერაპიონ ზარშმელისა — თარიღდება მეშვიდე საუკუნით.

ამრიგად, როგორც ირკვევა, ბასილი ზარშმელის თხზულება სრულიად ზუსტ ჩვენებებს შეიცავს, თუ როდის არის იგი დაწერილი და რა დროს ეკუთვნის ამ ძეგლში მოხსენებულნი მოღვაწენი.

გავეცნოთ ამის შემდეგ, თუ რას ემყარება ის შეხედულება, რომელიც ბასილი ზარშმელის თხზულებას ამორებს მე-6 — 7 საუკუნეთა საზღვრებს და უფრო გვიან ხანას მიაკუთვნებს. ამ შეხედულების თანახმად, როგორც მოვიხსენეთ, ბასილი ზარშმელის თხზულება ვითომც დაწერილია მე-10 საუკუნის პირველ ნახევარში, ხოლო სერაპიონ ზარშმელი და მისნი თანამედროვენი ვითომც იყვნენ მოღვაწენი მე-9 საუკუნის — მე-10 საუკუნის დასაწყისისა.

ეს შეხედულება უკანასკნელად ჩამოაყალიბა აკად. კორნელი კეკელიძემ ბასილი ზარშმელის თხზულების ახალი გამოცემის შესავალ წერილში¹.

რაზედ ემყარება ეს შეხედულება?

სათავე ამ შეხედულებისა უნდა ვეძიოთ აკად. ნ. მარის შემცდარ კონცეპციაში კლარჯეთის მხარის ისტორიის შესახებ, კლარჯეთის მხარის ეროვნული კუთვნილების შესახებ.

ნ. მარი მთელ რიგ თავის ნაწერებში იმ აზრს ავითარებს, ვითომც კლარჯეთი მერვე საუკუნემდე სომხური პროვინცია იყო, სომხეთს ეკუთვნოდა, და ვითომც აქ ქართველები მხოლოდ მე-8 საუკუნიდან დამკვიდრდნენ.

ეს შეხედულება ნ. მარს კერძოდ გამოთქმული აქვს გიორგი მერჩულის თხზულების გამოცემის შესავალ წერილში, რომელიც 1911 წელს გამოქვეყნდა.

ნ. მარის ავტორიტეტი ჩვენში იმდენად დიდი იყო, რომ ნ. მარის ეს დაუსაბუთებელი მოსაზრება უკრიტიკოდ იქნა მიღებული მთელ რიგ მკვლევართა მიერ, და მათ შორის კ. კეკელიძის მიერ. ნ. მარის მიდევნებით კ. კეკელიძე თავის ლიტერატურულ შტუდიებში დღემდისაც იმავე აზრს იცავს, რომ კლარჯეთი ვითომც სომხური პროვინცია იყო მე-8 საუკუნემდე, და რომ ქართვე-

¹ იხ. კ. კეკელიძის გამოცემა: „ადრინდელი ხანის ფეოდალური ქართული ლიტერატურა“ (I იონაე საბანის-ძე. II ბასილი ზარშმელი), თბილისი, 1935 წ. 99 — 143.



ლები აქ ვითომც მხოლოდ მე-8 საუკუნიდან დამკვიდრდნენ. (იხ. კ. კეკელიძე, ქართული ლიტერატურის ისტორია, I, 1941 წ. გვ. 47).

ჩვენ ქვემოთ დაწვრილებით გვექნება განხილული ეს შეხედულება მ. მარისა და კ. კეკელიძისა. ჩვენ ვნახავთ, რომ ნ. მარის და კ. კეკელიძის ეს აზრი სავსებით მცდარია, იგი სრულიად ყალბად აშუქებს ორი მეზობელი ქვეყნის საქართველოსა და სომხეთის ისტორიის საკვანძო საკითხებს. პრეციზული ანალიზი ქართული, ბერძნული და აგრეთვე სომხურ საისტორიო წყაროებისა საბოლოოდ ადასტურებს, რომ კლარჯეთი და აგრეთვე მისი მიმდგომი მხარეები, რომელთაც არა ქართულად აღიარებდნენ, ისტორიულად ძირეული ქართული ქვეყნებია.

საქართველო — სომხეთის ისტორიის ამ ძირითად საკითხებს, როგორც აღვნიშნეთ, ჩვენ დაწვრილებით ქვემოთ შევხვებით. აქ კი ჯერ ჯერობით საუბარი გვექნება ბასილი ზარზმელის თხზულების თარიღის საკითხზე.

აქ საჭიროა მოვიხსენიოთ, რომ ბასილი ზარზმელის თხზულების მონაცემები (ისევე როგორც ქართული მატრიანეების ჩვენებანი) ძირითადად ეწინააღმდეგება და აბათილებს ნ. მარისა და კეკელიძის ზემოაღნიშნულ შეხედულებას კლარჯეთის შესახებ. ბასილი ზარზმელის თხზულებიდან (ისევე როგორც ქართული მატრიანეებიდან) ირკვევა, რომ კლარჯეთი ძირითადი ქართული ქვეყანა ყოფილა და ეს მე-8 საუკუნეზე ბევრად ადრე. ადვილად გასაგებია ამის გამო, რომ ისინი, რომელნიც გამოსთქვამდნენ შეხედულებას რომ კლარჯეთი მე-8 საუკუნემდე არ იყო ქართული ქვეყანა, ვერ გაიზიარებდნენ იმ აზრს, რომ ბასილი ზარზმელის თხზულება მე-8 საუკუნეზე ადრეა დაწერილი და ეხება მე-8 საუკუნეზე ადრინდელ ამბებს. ამიტომაც ბასილი ზარზმელის თხზულების თარიღი ექვს ქვეშ იქმნა დაყენებული და მთელი საუკუნეებით გვიან იქნა გადმოტანილი, როგორც შემდეგ დავინახავთ, სრულიად უსაბუთოდ.



გადავიდეთ ამის შემდეგ განხილვაზე საკითხისა, თუ რას ემყარება ეს შეხედულება, ვითომც ბასილი ზარზმელის თხზულება დაწერილია არა მეშვიდე საუკუნეში, არამედ მეათე საუკუნეში, და ვითომც აქ აღწერილი ხანა ეს არის არა მეექვსე-მეშვიდე საუკუნეები, არამედ მეცხრე-მეათე საუკუნეები.

ეს შეხედულება მხოლოდ და მხოლოდ იმას ემყარება, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში დასახელებული ზოგიერთი პირი ატარებს იმავე სახელებს, რა სახელებსაც ატარებენ გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებული ზოგიერთი მოღვაწე (ხოლო გიორგი მერჩულის თხზულება კი უფრო გვიან ხანას აგვიწერს).

გადამწყვეტი მნიშვნელობის საბუთად მიჩნეულია უმთავრესად შემდეგი: ბასილი ზარზმელის თხზულებაში, როგორც უკვე მოხსენებული გვქონდა, მოთხრობილია, რომ პარეხის სავანე დაარსებული იყო მიქელის მიერ (რომელსაც ამის გამო ეწოდება მიქელ პარეხელი) და რომ მიქელს ჰყავდა მოწაფეები, რომელთაგან ერთი ატარებდა სახელს ბასილი, ხოლო გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებულია, რომ მე-9 საუკუნეში პარეხში მკვიდრობდა ვინმე მიქელი, ხოლო მიქელის გარდაცვალების შემდეგ პა-

რეზიში მკვიდრობდაო — ვინმე ბასილი (ეს უკანასკნელი თუმცაღა მკველის მოწაფედ არ მოიხსენება).

ამის მიხედვით დაასკვნიან, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოხსენებული პარეხელი მოღვაწენი მიქელი და ბასილი უნდა იყვნენო გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებულნი გვიანი დროის მოღვაწეები მიქელი და ბასილი.

ამ გაიგივებას შემდეგი მოსაზრება უდევს საფუძვლად. ორი სახელის შეხვედრა ერთსა და იმავე პუნქტში (ამ შემთხვევაში პარეხში) თითქოს არ შეიძლება იყვეს შემთხვევითი და ეს ვითომც იმის მაჩვენებლად უნდა ჩაითვალოს, რომ აქ ერთსა და იმავე პირებთან გვაქვს საქმე.

ეს მოსაზრება, რასაკვირველია, ვერ უძლებს სერიოზულ კრიტიკას.

ვფიქრობთ არაა სიტყვის გავრცელება იმის შესახებ, რომ მარტო სახელების შეხვედრის მიხედვით არაფრის დამტკიცება არ შეიძლება. მით უმეტეს ისეთი სახელები, როგორცაა მიქელი და ბასილი, იმდენად გავრცელებული და ხშირი იყო, რომ საუქუნეთა განმავლობაში ეს სახელები რასაკვირველია შესაძლოა მრავალჯგის ყოფილიყო განმეორებული.

ავიღოთ მაგალითისათვის ძველი ქართული ონომასტიკონიდან ქართლის კათალიკოსთა სია. ამ სიის განხილვიდან ჩვენ ვხედავთ, თუ როგორ ხშირად მეორდებოდა ვიწრო პერიოდის ფარგლებში ერთი და იგივე სახელები (მათ შორის შედარებით მეტად იშვიათი სახელებიც კი).

ხოლო განსაკუთრებით ხშირი იყო სახელების განმეორება ძველ მონასტრებში. როდესაც მონასტრში ბერები პირველად აღიკვეცებოდნენ (ე. ი. მიიღებდნენ ბერობის ხარისხს), ისინი, როგორც ცნობილია, გამოიკვლიდნენ ერისკაცობის სახელებს, ხოლო ახალ სახელებად ისინი განსაკუთრებით ხშირად ღებულობდნენ მონასტრის დამაარსებელთა სახელებს, რომელთა ხსენებაც მიღებული იყო მონასტრში. ასე მაგალითად ზარზმის მონასტრის დამაარსებელი იყო სერაპიონი. ხოლო ამის შემდეგ ზარზმის წინამძღვართა შორის ჩვენ არა ერთჯგის გვხვდება ეს სახელი სერაპიონი (ასე, სერაპიონის სახელს ატარებს ზარზმის წინამძღვარი მეფე ბაგრატის დროისა, გამოსახული ზარზმის ფრესკაში; ასევე სერაპიონის სახელს ატარებს ერთ-ერთი უკანასკნელი წინამძღვარი ზარზმისა მე-16 საუკუნეში).

ცხადია ანალოგიური ვითარება გვაქვს ჩვენ პარეხის საეპარქიაში. დამაარსებელი პარეხის საეპარქია იყო მიქელი, ხოლო მიქელის პირველი რჩეული მოწაფე და შემკვიდრე იყო ბასილი (როგორც აღნიშნული გვექონდა, მიქელის ცხოვრება საგანგებოთ ყოფილა კიდევ აღწერილი და ფართე პოპულარობით სარგებლობდა). ბუნებრივია ამის გამო, რომ შემდგომი ხანის პარეხელ მოღვაწეთა შორის გავრცელებით სარგებლობდა ეს სახელები პირველ პარეხელთა — მიქელისა და ბასილისი.

ამრიგად მარტოდენ შეხვედრა სახელებისა რასაკვირველია არაფერს ამტკიცებს.

ხოლო კიდევ უფრო უცნაურია დავემყაროთ ისეთ საეჭვო საბუთს, როგორც არის სახელების უბრალო შეხვედრა და ამის მიხედვით უარყოფით ისეთი



პირდაპირი და უშუალო საბუთები, როგორც არის საისტორიო წყაროების გარკვეული დამატარებელი ჩვენებანი, სახელდობრ ჩვენებანი ოპიზის სავანის დაარსების შესახებ მე-5 საუკუნის მეორე ნახევარში, შიო მღვიმელის მოღვაწეობის შესახებ მეექვსე საუკუნის პირველ ნახევარსა და შუა წლებში, და პარეხის სავანის დაარსების შესახებ შიო მღვიმელის მოწაფის მიერ ამავე დროს, მეექვსე საუკუნეში.

კერძოდ საკითხში ოპიზისა და პარეხის დაარსების თარიღის გამო მე-5 — 6 საუკუნეთა მანძილზე როგორც ვნახეთ ერთმანეთს ეფარდება და ერთმეორეს ამოწმებს ქართული მატრიანეებისა და ბასილი ზარზმელის თხზულების შეთანხმებული ჩვენებანი.

ასეთია ეს სრულიად უშუალო და გადამწყვეტი მნიშვნელობის დოკუმენტაცია ბასილი ზარზმელის თხზულების თარიღისა.

მაგრამ შესაძლოა ამაზე მეტი ითქვას.

წყაროების ანალიზი ჩვენ გვაძლევს მკვიდრ საფუძველს სრულიად უდავოდ დავადასტუროთ აგრეთვე, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოხსენებულნი მიქელ პარეხელი და მისი მოწაფე ბასილი სხვა პირები არიან, ხოლო გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებულნი მიქელ და ბასილი კიდევ სულ სხვა პირები. ამრიგად ამ ეჭვს, რომელიც გამოთქმული იყო ბასილი ზარზმელის თხზულების თარიღის გამო ისეთი ზერელე მოსაზრების საფუძველზე, როგორც არის სახელების უბრალო შეხვედრა, საბოლოოდ ეცლება ნიდავა.

იმისათვის, რათა ნათელი გახდეს, რომ ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულის თხზულებაში დასახელებული მოღვაწეები სხვადასხვა პირები არიან, აქ საჭიროა წინასწარ გავითვალისწინოთ ზოგიერთი მომენტები კლარჯეთის სავანეთა მხარის ისტორიისა ადრეულ საშუალ საუკუნეებში.

ჩვენ უკვე აღნიშნული გვექონდა, რომ საისტორიო წყაროების ჩვენებათა თანახმად კლარჯეთის მხარეში მე-5 — 6 საუკუნეებში ფართე საეკლესიო — სამონასტრო მშენებლობა ჩატარებულა; ამ დროს არის დაარსებული კლარჯეთში საეპისკოპოსო კათედრალეები ა ხ ი ზ ი ს ა და ფ ო რ თ ი ს ა, სავანეები ო პ ი ზ ა და პ ა რ ე ხ ი, ტაძრები დ ა ბ ი ს ა, მ ე რ ი ს ა და შ ი დ ო ბ ნ ი ს ა.

ცნობილია აგრეთვე, რომ უფრო გვიან, მე-8 საუკუნის პირველ ნახევარში, კლარჯეთის მხარეში დიდი კატასტროფა განიცადა, არაბთა გამანადგურებელი შემოსევა გადაიტანა. ჩვენ უკვე გვექონდა საუბარი იმის შესახებ, რომ მე-8 საუკუნის 30-იანი წლებში, როგორც ეს ირკვევა გიორგი მერჩულის ძეგლიდან და სუმბატ დავითის ძის მატრიანიდან, შავშეთ-კლარჯეთი გავერანებულა მურვან-ყრუს ლაშქრობათა დროს „ოდეს ყრუმან შემუსრა ციხენი და მოვლო შავშეთიცა და ღადონი“, რომლის შემდეგაც საისტორიო წყაროთა ცნობით, აოხრებულა და უშენებელი გამხდარა დიდი ნაწილი შავშეთ-კლარჯეთისა.¹

კერძოდ „ღ ა დ ო ნ ი“, რომელიც საგანგებოდ მოიხსენება მურვან-ყრუს ლაშქრობათა აღწერის დროს, ეს არის სწორედ კ ლ ა რ ჯ ე თ ი ს ა ვ ა -

¹ იხ. სუმბატ დავითის-ძე, გვ. *573 — 574/343. გიორგი მერჩულე, გვ. 29.

ნეთამხარე¹, ე. ი. ის კუთხე, სადაც მდებარეობდა ობიზა, პარეხნი, დაბა, მერე, ფორთა.

ამრიგად ამ დიდი დამსჯელი ექსპედიციების დროს, რომელიც გაუტარებია მურვან-ყრუს შავშეთ-კლარჯეთში, კერძოდ ეს კუთხე — კლარჯეთის სავანეთა მხარე — დაულაშქარავს არაბთა მხედრობის მთავარ ძალებს თვით მურვანის მხადერთმთავრობით; ამით აიხსნება ის განსაკუთრებული განადგურება, რომელიც ამ კუთხეს, წყაროების ცნობის თანახმად განუცდია.

მხარის ხელახალი აღდგენა იწყება მე-8 საუკუნის ნახევრიდან და გრძელდება მე-9 საუკუნის მანძილზე.

ამ დროს, მე-8 — 9 საუკუნეებში, კლარჯეთში არსდება მთელი რიგი ახალი სავანეები (ხანძთა, შატბერთი და სხვანი), ხოლო რაც შეეხება წინათ-არსებულ სავანე-მონასტრებსა და ტაძრებს, ზოგი მათგანი ისევ აღუდგენიათ ხელ-ახლად, ზოგი კი მას შემდეგ აღარ განახლებულა.

კერძოდ აღდგენილ იქმნა მე-8 საუკუნის შუა-წლებში ოპიზა, რომლის შემდგომი მშენებლობა მე-9 საუკუნეში გრძელდება. მე-9 საუკუნეში აღუდგენიათ დაბა და მერე. რაც შეეხება შიღობანს, ახიზასა და ფორთას, ისინი ამ შემდგომ ხანაში აღარ განახლებულა.

გადავიდეთ ამის შემდეგ პარეხის ისტორიაზე.

მურვან-ყრუს ლაშქრობათა შემდეგ ძველი სავანე პარეხი (ანუ პარეხნი) ისევე მიტოვებული და გავერანებული ყოფილა, როგორც კლარჯეთის ამავე კუთხის სხვა სავანე-ტაძრები.

მე-9 საუკუნის 40-იან წლებში პარეხის ამ მიტოვებულ სავანეში დამკვიდრებულა მარტოდმყოფი ბერი შიქელი.

გრიგოლ ხანთელის ცხორებაში მოთხრობილია ამ მიქელის ბიოგრაფია. მიქელი წარმოშობით შავშეთის ქვეყნიდან ყოფილა, სოფელ ნორგოალიდან. მიქელი თავდაპირველად ბერად შემდგარა მიძნაძოროს მონასტერში; შემდეგ მიქელი მიძნაძოროდან გადასულა ხანძთაში, სადაც იგი დამოწაფებია გრიგოლ ხანძთელს.

უფრო გვიან მიქელს განუზრახავს შემდგარიყო მეუღაბნოე მარტოდმყოფად. (საშუალ საუკუნეთა სამონასტრო ცხოვრებაში, როგორც ცნობილია, არა იშვიათ მოვლენას წარმოადგენდა ბერების სრულიად განმარტოებით, დაუღლებით ცხოვრება, რასაც „მარტოდმყოფობა“ ეწოდებოდა). მიქელი წასულა ხანძთის სავანიდან და შემდგარა როგორც განმარტოვებული „მარტოდმყოფი“ მეუღაბნოე პარეხში, რომელიც ამ დროს მიტოვებული ყოფილა.

აქ, პარეხში, მიქელს, როგორც „მარტოდმყოფ“ მეუღაბნოეს, გაუტარებია მთელი თავისი სიცოცხლე, იქვე გარდაცვლილა და იქვე დამარხულა.

მიქელის შემდეგ პარეხში დამკვიდრებულა „მარტოდმყოფ“ მეუღაბნოედ ვინმე ბასილი, რომელიც აგრეთვე იქვე გარდაცვლილა და დასაფლავებულა.

აქ საჭიროდ მიგვაჩნია მოვიყვანოთ ამასთან თვით დოკუმენტი, ძველ-ქართული ტექსტი გრიგოლ ხანძთელის ცხორებისა, სადაც მოთხრობილია ზემოთ-მოყვანილი ბიოგრაფია მიქელისა. გრიგოლ ხანძთელის ცხორების ამ ტექსტში ჩვენ ვკითხულობთ:

¹ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 40, 54; ეამთაღწერელი, გვ. *855 — 858/700 — 702; ზედალ. ზემოთ გვ. 143.

„ხოლო რაჟამს ხანძთა იქმნა სახელოვან... — მას ქაჟსა [მეცხრე საუკუნის ორმოციან წლებში] მიძნაძოროით ხანძთა და მოვიდა დიდი მეუღაბნე მიქელ შამა, რომელიცა დაემკვიდრა პარეხთა, რამეთუ იყო მეგობარ — გრიგოლისა [ხანძთელისა] და ეძიებდა მარტოდმყოფებასა. და პოვა თავისა თვისისა სამკვიდრებელი ბერთისა პარეხთა განზრახვათა ამის წმიდისათა (გრიგოლ ხანძთელისა) დაემკვიდრა მათ შინა (პარეხთა).

„ხოლო იყო ნეტარი მამა მიქელ ქვეყანისა შავშეთისა, სოფლისა ნორგიალისა, და მიძნაძოროს მონაზონ იქმნა; ხოლო პარეხთა შინა მრავალთა წელიწადთა ცხოვნდა (იცხოვრა), და რა აღესრულა, მუნვე (იქვე) დაემარხა. და აწ საფლავი მისი და დიდებული-სა მამისა ბასილისი. რომელიცა შემდგომად მისსა პარეხთა მკვიდრ იყო, ერთგან არიან.“¹

ასეთია გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტის ცნობები პარეხში დამკვიდრებული მიქელ მარტოდმყოფის შესახებ, და აგრეთვე მის მემკვიდრის ბასილი მარტოდმყოფის შესახებ, რომელიც პარეხში მიქელის გარდაცვალების შემდეგ დამკვიდრებულა.

საკითხავია ამის შემდეგ, არის თუ არა ეს მიქელი მარტოდმყოფი, რომელიც მე-9 საუკუნის მოღვაწე ყოფილა, ის მიქელ პარეხელი, რომელზედაც მოგვითხრობს ბასილი ზარზმელის თხზულება.

საკმაოა დაკვირვებული შედარება ამ ორი თხზულების ჩვენებათა, რათა ცხადი გახდეს, რომ ეს ორი მიქელ არ არის ერთი და იგივე პირი, აქ აშკარად ორი სხვადასხვა პიროვნებაა.

ამას გარდა ისიც აშკარაა, რომ ამ ორ თხზულებაში აღწერილია პარეხის საეპისკოპოსოს ისტორიის ორი სხვადასხვა პერიოდი: ბასილი ზარზმელის დროის პარეხი — მოქმედი საეპისკოპოსო, სადაც შემოკრებულია მთელი წყება მოღვაწეებისა, რომელთა სათავეში სდგას საეპისკოპოსოს დამაარსებელი მიქელ პარეხელი; მიქელი აქ გარშემორტყმულია მოწაფეებით. ხოლო გრიგოლ ხანძთელის დროის პარეხი უკვე მიტოვებული ყოფილა (მურვანყრუს ლაშქრობათა შემდეგ) და ამ მიტოვებული ყოფილ საეპისკოპოსოში ჯერ დამკვიდრებულა მარტოდ-მყოფი მიქელი, ხოლო მიქელის გარდაცვალების შემდეგ აქ დამკვიდრებულა აგრეთვე მარტოდ-მყოფი ბასილი.

რომ მკითხველისათვის ნათელი გახდეს აქ აღნიშნული, მოგვყავს აქ ავით ტექსტი ბასილ ზარზმელის თხზულებიდან, რომელიც, როგორც დავინახავთ, სრულებით სხვას მოგვითხრობს, ვიდრე ზემოთ მოყვანილი გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ტექსტი.

სახელდობრ ბასილი ზარზმელის თხზულებაში მიქელისა და მის მიერ დაარსებული პარეხის საეპისკოპოსოს შესახებ შემდეგია მოთხრობილი:

¹ იხ. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება, გვ. 79 — 80. — გარდა გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების ძირითადი ტექსტისა, რომელიც ზემოთ მოყვანილთ, მიქელის შესახებ საუბარია აგრეთვე გრიგოლ ხანძთელის ცხოვრების დამატებაში (რომელიც ზაგრატი ერისთავთ-ერისთავს ეკუთვნის); აქ მოთხრობილია ეპისკოპოსი მიქელის ცხოვრებისა იმ ხანიდან, როდესაც იგი, როგორც მარტოდ-მყოფი, მკვიდრობდა პარეხში (იხ. გვ. 153 — 154).

„არამედ ჯერ არა ჩვენდა, რათა დიდთა მათთვის [სავეანეთა] და მონასტერთა მოვიხსენოთ, თუ ვინაჲ იქმნა შენება მათი, ანუ ვინ იყვნენ მამენებელნი იგი...“

რამეთუ აღეშენა რა წმიდა და დიდი [სავეანე] ოპიზა მონაზონთა მიერ, რომელთა ეწოდებოდა ამონა, ანდრია, პეტრე და მაკარი, ამისსა შემდგომად მოვიდა მუნით [ოპიზით] მიქელ და აღაშენა მცირე ეგეტერი და შესაკრებელი მცირეთა ძმათა აღვილსა — რომელსა პარეხ უწოდებდნენ. ხოლო ესე სიტყვა მამათა მიერ მოვალს ჩვენდა, რამეთუ მიქელ იყო აღმამენებელი — რომელი იყო მოწაფე დიდისა შიოძისი, რომელი ვითარცა მთები განთიადისა ბრწყინვიდა ქვეყანასა ქართლისასა.

„ამისა ნეტარისა მიქელის მიმართ წარემართა ყოვლად ბრძენი სერაპიონ, რომელსა თანა ჰყვა ძმა მცირე ჰასაკია [იოანე], რამეთუ დიდსა მიქელს, ვითარცა მამასა სულთასა და მზრდელსა ობოლთასა შეჰვედრა თავი თავისი, ხოლო ნეტარსა მას [მიქელსა] სხვანიცა მრავალნი აქენდეს მოწაფენი, სრულნი და ბრწყინვალენი სათნოებითა, ვითარცა დიდსა ანტონის ილარიონ და მაკარი, ეგრეთვე მიქელს ბასილი და მარკელაოზ. და მათ თანაშეჰვედრა — სერაპიონ თანა ძმათურთ [იოანეთურთ] და თანააღრაცხილ ყვნა დასსა მოწაფეთასა...“

„და ამან ყოვლად განთქმულმან — მიქელ აღზარდნა და სრულებად სათნოებისად აღიყვანნა იგინი [მოწაფენი მისნი], ვინაიცა ზედვიდეს საღმრთოსა მას მოქალაქობასა მისსა და მდინარეთა უმდიდრესთა სწავლათა — რომელნი შემდგომად სიკვდილისა მისისა აღწერნეს მოწაფეთა მისთა“.¹

მოყვანილი ორი ტექსტის — ბასილი ზარზმელის თხზულებისა და გრიგოლ ხანძთელის ცხორების შედარებიდან რასაკვირველია სრულიად აშკარაა, რომ ამ ტექსტში პარეხის სავეანის ისტორიის ორი სხვადასხვა ხანაა აღწერილი და აქ მოხსენებულნი პირნი სრულებით სრულებით სხვადასხვანი არიან:

1. ჯერ ერთი, ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოხსენებულნი მიქელი ყოფილა მოწაფე შიო მღვიმელისა, იგი ქართლიდან მოდის ოპიზაში, ხოლო შემდეგ აარსებს პარეხის სავეანეს;

ხოლო გრიგოლ ხანძთელის ცხორებაში მოხსენებულნი მარტოდმყოფი მიქელ შავშუეთის მკვიდრია, იგი ბერად შედგება მიძნაძორაში, ხოლო მიძნაძორადან იგი მივა ხანძთაში, სადაც დაემოწაფება გრიგოლ ხანძთელს.

ამრიგად როგორც ვხედავთ არც ერთ ხაზში ცნობები პირველი მიქელის შესახებ არ ემთხვევა ცნობებს მეორე მიქელის შესახებ.

2. ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოხსენებულნი მიქელი, მას შემდეგ რაც მან დააარსა პარეხის სავეანე, გარშემორტყმულია აქ მოწაფეებით. კერძოდ, როგორც გამოირკვეა, მისნი მოწაფენი ყოფილან ბასილი და მთაკელაოზ, სერაპიონ ზარზმელი, იოანე, და სხვანი. მიქელის ბიოგრაფიაში ამასთან აღნიშნულია

¹ იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 150 — 151.

„ხოლო ნეტარსა მას [მიქელსა] სხვანიცა მრავალნი აქენდეს მოწაფენი“. მიქელი არის მოძღვარი და ხელმძღვანელი მის გარშემო შემოკრებილ მოწაფეთა ამ კრებულისა, რომელნიც არიან „კეთილად მიმღებელნი სწავლათა მისთანი“. ეს მოწაფენი მიქელის სიკვდილის შემდეგ ასწერენ თავისი მასწავლებლის ცხოვრებას.

ხოლო გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში დასახელებული მიქელი არის განმარტობით დაყუდებული მეუღაბნოე, რომელიც დამკვიდრებულა არაბთა შემოსევის შემდეგ მიტოვებულ პარეხის სივანეში და აქ მარტოდმყოფი მეუღაბნოის სახით გაუტარებია თავისი სიცოცხლე. ასევე ამ მარტოდმყოფი მეუღაბნოის მიქელის გარდაცვალების შემდეგ პარეხში დამკვიდრებულა მეორე მარტოდმყოფი მეუღაბნოე ბასილი.

ამრიგად საესებით აშკარაა, რომ არც მეუღაბნოე მარტოდმყოფ მიქელს და არც მეუღაბნოე მარტოდმყოფ ბასილის არაფერი აქვთ საერთო იმ პირობებთან, რომლებიც მოხსენებული არიან ბასილი ზარზმელის თხზულებაში.

3. აღსანიშნავია ამას გარდა შემდეგიც. გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში მოხსენებული მიქელ პარეხელი განთქმული მოღვაწე იყო, რომლის სახელი ფართოდ ყოფილა ცნობილი მთელ იბერიაში. როგორც გადმოგვცემს ბასილი ზარზმელი „სახელი დიდისა მის მოძღვრისა“ მიქელ პარეხელისა ყველგან უდიდეს ავტორიტეტად ითვლებოდა, იგი საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი თავისი „მდინარეთა უმდიდრესი“ სწავლა-მოძღვრებით.

ბასილი ზარზმელს მოთხრობილი აქვს, რომ როდესაც მიქელის მოწაფენი უცხო მხარეში მოხვდნენ, საკმაო იყო მათ განეცხადებინათ — „მოწაფენი ვართ დიდისა მის და განთქმულისა მიქელ პარეხელისანი“, — რომ მარტო მიქელის სახელის ხსენებით მიქელის მოწაფენი განსაკუთრებული პატივით მიიღოთ. „სახელი დიდისა მის მოძღვრისა“ — მიქელ პარეხელისა საყოველთაოდ ყოფილა ცნობილი და ყველას მიერ უდიდეს ავტორიტეტად აღიარებული¹.

ამრიგად გაიგივება სრულიად უმნიშვნელო პიროვნების მიქელ მარტოდმყოფისა ამ საქვეყნოდ ცნობილ მოღვაწესთან, განთქმულ მოძღვართან მიქელ პარეხელთან, როგორც ვხედავთ, მოკლებულია საფუძველს.

ჩვენ ამით დავასრულებთ განხილვას იმ მოსაზრებათა, რომლის მიხედვითაც სცდილობდნენ ბასილი ზარზმელის თხზულების ქრონოლოგიის შეცვლას და მისი თარიღის სამი საუკუნით გვიან გადმოწვევას სახელების უბრალო შეხვედრის მიხედვით. ჩვენ ვხედავთ, თუ რამდენად ზერელე ყოფილა წყაროების ანალიზი და რამდენად მცდარი ყოფილა მიღებული დასკვნები.

განვაგრძოთ ისევ ძიება აღძრულ საკითხთა გამო.

რომ ბასილი ზარზმელის თხზულება დაწერილია მეშვიდე საუკუნეში (და არა მეთექვსმეტე საუკუნეში) და რომ ამ თხზულებაში აღწერილი ეპოქა არის მეექვსე-მეშვიდე საუკუნეები (და არა მეცხრე-მეთექვსმეტე საუკუნეები), ამას, გარდა შემოთ-მოყვანილი საბუთებისა, ადასტურებს აგრეთვე მთელი რიგი ჩვენებანი.

გარკვეულ ჩვენებას ამ საკითხზე იძლევა კერძოდ სამცხის მფლობელ მთავართა ისტორია მე-9 — 9 საუკუნეთა მანძილზე.

¹ იხ. ბასილი ზარზმელი, ვვ. 155 — 156. შტრ. 150 — 151, 168.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში მოთხრობილია, რომ იმ ხანაში, როდესაც სამცხეში დაიწყო მოღვაწეობა სერაპიონ ზარზმელმა (ე. ი. როგორც გამოირკვა მეექვსე-მეშვიდე საუკუნეთა საზღვარზე) სამცხის მხარის მთავარი მფლობელი ყოფილა გიორგი ჩორჩანელი, რომელიც დიდი მთავრის ტიტულით მოიხსენება.¹

გიორგი ჩორჩანელს შვილები არა ჰყოლია და გიორგი ჩორჩანელით დასრულებულა სამცხის მთავართა ეს გვარეულობა.

გიორგი ჩორჩანელის დაი ლატავრი გათხოვილი ყოფილა სამცხის მეორე დიდ ფეოდალზე მირიანზე, და გიორგი ჩორჩანელს გარდაცვალების დროს თავის მემკვიდრედ დაუნიშნავს მირიანის შთამომავლობა. (მირიანის შვილები იყვნენ სამნი ძენი: სულა, ბეშქენ და ლაკლავი).²

ამრიგად დაედვა საფუძველი სამცხის მფლობელ მთავართა ამ მეორე ახალ სახლს. სამცხის მთავართა ეს მეორე სახლი მირიანი-ძენი (იგივე ახალ ჩორჩანელთა გვარეულობა), რომელთა ხელში გაერთიანდა როგორც გიორგი ჩორჩანელის მემკვიდრეობა, ისე ძველი სამფლობელოები ამ გვარისა, ამის შემდეგ ხდება ერთ-ერთ უძლიერეს ფეოდალურ სახლად სამხრეთ საქართველოში, მის ხელშია მთელი სამცხის პროვინცია.

სამცხის მფლობელ მთავართა ამ ახალი გვარეულობის მირიანი-ძეთა სახლის წარმომადგენელთა შესახებ ცნობებს გვაწვდის აგრეთვე გიორგი მერჩულე.

გიორგი მერჩულის თხზულებაში მოხსენებულია მთავარი ანუ „დიდებული უფალი“ მირიან (II) და მისი მეუღლე დიოფალი კრავი. ეს მთავარი მირიან (II), როგორც ირკვევა, ამ მირიანის-ძეთა სახლის შთამომავალია: იგი, გიორგი მერჩულის ცნობით, არის მთავარი სამცხისა.

ეს მთავარი მირიან (II) გიორგი მერჩულის ცნობათა მიხედვით დაბადებულია მე-8 საუკუნის დასასრულს (780/790 წლებში). იგი მოიხსენება როგორც მთავარი სამცხისა 826 და 845 — 850 წლებში.³

მირიან II, მთავარი სამცხისა, იმდენად ძლიერი მფლობელი ყოფილა, რომ მან, წინააღმდეგ საქართველოს ხელისუფლების მეთაურის გვარამ დიდი მამფალის სურვილისა, შესძლო ქართლის კათალიკოზად დაედგინა თავისი შვილი არსენი. გიორგი მერჩულე მოგვითხრობს, რომ სამცხის მთავარმა მირიანმა „მძლავრ სამცხისა ერთთა ძე თვისი [არსენი] დაადგინა კათალიკოზად, თანადგომითა და კურთხევითა მცირედთა ეპისკოპოსთათი“.⁴

საქართველოს ხელისუფლების მეთაურმა გვარამ დიდმა მამფალმა, რომელიც მტრულად იყო განწყობილი ყოველის-შემძლე ფეოდალის მირიან სამცხის მთავრის მიმართ, მოინდომა არსენი კათალიკოზის გადაყენება და ამ მიზნით მოიწვია სრულიად-საქართველოს საეკლესიო კრება ჯავახეთში. საბოლოოდ ეს კონფლიქტი დასრულდა კომპრომისით; მოხდა შერიგება მხარეთა და არსენი დატოვებულ იქმნა ქართლის კათალიკოზის პოსტზე.⁵

ასეთია ის ცნობები, რომელსაც გადმოგვცემს სამცხის ამ მთავართა (მი-

¹ იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 154 და შემდგომი.

² იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 172 — 173.

³ იხ. გიორგი მერჩულე, 50 — 51, 57 — 58, 89.

⁴ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 89.

⁵ იხ. გიორგი მერჩულე, გვ. 89 — 96.

რიანის — ძეთა) გვარეულობის შესახებ ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულის თხზულებანი.

ბასილი ზარზმელისა და გიორგი მერჩულის ამ ცნობათა შეფარდებიდან აშკარა ხდება, თუ რამდენად შემცდარია კ. კეკელიძე და სხვები, რომელთაც ბასილი ზარზმელის თხზულებაში აღწერილი ამბების თარიღი მეცხრა-მეათე საუკუნეებში გადმოაქვთ.

კ. კეკელიძის ქრონოლოგიის თანახმად სამცხის მთავარი გიორგი ჩორჩანელი ვითომც მეცხრე საუკუნის ნახევრის მოღვაწე იყო და ვითომც გიორგი ჩორჩანელი 880 — 890 წლებში გარდაიცვალა¹. ამრიგად კ. კეკელიძის შეხედულების თანახმად სრულიად სამცხის მფლობელთა ამ ახალ სახლს, ახალ ჩორჩანელთა (მირიანის ძეთა) გვარეულობას, საფუძველი დაედვა 860 — 890 წლებში.

მაგრამ კ. კეკელიძეს გამოჰპარვია მხედველობიდან და ვერ გარკვეულა გიორგი მერჩულის ძეგლის ჩვენებაში. გიორგი მერჩულის ტექსტის მიხედვით აშკარა ხდება, რომ მირიანის-ძეთა გვარეულობა გამხდარა მფლობელი სამცხისა მე-9 საუკუნის დასასრულზე აღრინდელ ხანაში. გიორგი მერჩულეს, როგორც ვნახეთ, მოხსენებული ჰყავს ამ მირიანის-ძეთა გვარეულობის შთამომავალი სამცხის მთავარი მირიან (II), რომელიც მე-8 — 9 საუკუნეთა მოღვაწეა (იგი, როგორც აღვნიშნეთ, დაბადებულა მე-8 საუკუნის ბოლო მეოთხედში, 780/790-იან წლებში, ხოლო გარდაიცვლილა 850 ახლო).

ამრიგად აშკარა ხდება კ. კეკელიძის ქრონოლოგიის უსაფუძველობა.



რომ ბასილი ზარზმელის თხზულება დაწერილია მეშვიდე საუკუნეში (და არა მეათე საუკუნეში) და რომ ამ თხზულებაში აღწერილი ეპოქა არის მეექვსე-მეშვიდე საუკუნეები (და არა მეცხრე-მეათე საუკუნეები), ამის ცხად-საყოფად მიუთითებთ აგრეთვე შემდეგ ჩვენებებზე.

1. კლარჯეთის სავანეები ბასილი ზარზმელის ხანაში (მე-7 საუკუნე) და გრიგოლ ხანძთელის ხანაში (მე-8 — 9 საუკუნეები).

ბასილი ზარზმელის თხზულებიდან ირკვევა, რომ ბასილი ზარზმელის დროს ჩრდილოეთ-კლარჯეთში (ე. ი. კლარჯეთის სავანეთა მხარეში) მხოლოდ ორი სავანე-მონასტერი არსებობდა: ოპიზა და პარეხი.

ბასილი ზარზმელი ასე იწყებს მოთხრობას კლარჯეთის მონასტერ-სავანეთა შესახებ:

„არამედ აწ ჯერ არს ჩვენდა, რათა დიდთა მათთვის უდაბნოთა [სავანეთა] და მონასტერთა მოვიხსენოთ, თუ ვინაჲ იქმნა შენება მათი, ანუ ვინ იყვნეს მშენებელნი იგი“².

ავტორს ამრიგად განზრახული აქვს ჩამოსთვალოს ეს მონასტრები და მოიხსენოს მათი მაშენებელნი. ხოლო ქვემოთ დასახელებულია მხოლოდ ორი მონასტერი, ოპიზა და პარეხი, და მოხსენებულია ამ ორი მონასტრის მა-

¹ იხ. კ. კეკელიძე, შესავალი წერილი ბასილ ზარზმელის თხზულების გამოცემისა, გვ. 111 — 112 და შემდგომი.

² იხ. ბასილი ზარზმელი, გვ. 150.

შენებელნი (სახელდობრ ოპიზის მაშენებელნი — ამონა, ანდრეჟ ვეტრე და მაკარი ოპიზარნი, და პარეხის მაშენებელი — მიქელ პარეხელი).

საკითხავია, რომელ ეპოქას წარმოგვიდგენს ბასილი ზარზმელის ძეგლი? ცხადია ეს არის ადრინდელი, ხანა, არა უგვიანესი მე-7 საუკუნისა.

რაც შეეხება უფრო გვიანდელ ეპოქას მე-8 — 9 საუკუნეებს, ე. ი. გრიგოლ ხანძთელის ხანას, ამ დროს კლარჯეთის სავანეთა რიცხვი გაცილებით მეტი იყო. გიორგი მერჩულის ცნობით 830 — 840 წლებში კლარჯეთში უკვე 10 სავანე არსებობდა (ოპიზა, ხანძთა, შატბერთი, მერე, შინაძორო, წყაროსთავი, ბარეთელთა, ბერთა, დაბა, ჯმერკი). ხოლო 840 წლის შემდეგ ამათ მიემატა ორი სავანე (განახლებული პარეხი, რომელიც დაცლილი იყო არაბთა შემოსევების დროს, და ახლად დაარსებული დოლისყანა). ამრიგად კლარჯეთის სავანეთა რიცხვმა თორმეტს მიაღწია. ამის შემდეგ ეს „ათორმეტნი“ სავანენი კლარჯეთისკანი არსებობენ საშუალ საუკუნეთა მანძილზე.

ამჟამად ამრიგად, რომ ბასილი ზარზმელის თხზულება უფრო ადრინდელია ვიდრე ეს მეორე ხანა, იგი უფრო არქაულ ეპოქას წარმოგვიდგენს, არა უგვიანეს მე-7 საუკუნისა.

2. გრიგოლ ხანძთელის მოუხსენებლობა ბასილი ზარზმელი თხზულებაში.

როგორც ცნობილია გრიგოლ ხანძთელი მე-8 — 9 საუკუნეებში იყო ნამდვილი სულისჩამდგმელი მთელი კულტურული ცხოვრებისა კლარჯეთში და კერძოდ კლარჯეთის სავანეთა უშუალო ხელმძღვანელი.

ხოლო ბასილი ზარზმელი, რომელიც სავანებოდ ეხება კლარჯეთის სავანეთა ისტორიას, არას ამბობს გრიგოლ ხანძთელზე.

ცხადია ბასილი ზარზმელს, როგორც კლარჯეთის სავანეთა ისტორიის მომთხრობელს, არ შეეძლო აეგლო გვერდი კლარჯეთის სავანეთა პირდაპირი ხელმძღვანელისა და მოძღვარის გრიგოლ ხანძთელისათვის, თუკი მის მიერ აღწერილი ეპოქა მართლაც მეცხრე საუკუნე ყოფილიყო (და ეს მით უფრო, თუ პარეხის აღმამენებელი მიქელი, როგორც ამას შეცდომით დაასკვნიდა კ. კე-ელიძე, იყო გრიგოლ ხანძთელის მოწაფე).

ამჟამად ამის მიხედვით, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში აღწერილი ეპოქა, ეს არ არის გრიგოლ ხანძთელის დრო, არამედ ამაზე ადრინდელი ეპოქა.

3. ბასილი ზარზმელის თხზულება მეფობის ინსტიტუტის აღდგენის უწინარეს ხანას ეკუთვნის.

ბასილი ზარზმელის თხზულების თარიღის საკითხისათვის უაღრესად მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში არაა მოხსენებული მეფე, არსად არაა აქ აღნიშნული მეფობის ინსტიტუტის არსებობა.

ამჟამად ამის მიხედვით, რომ ბასილი ზარზმელის თხზულება უფრო ადრინდელ ხანას ეკუთვნის, ვიდრე ამოტ I დიდი აღადგენდა მე-6 საუკუნიდან მოსპობილს მეფობის ინსტიტუტს.

ბასილი ზარზმელის თხზულებაში აღწერილი ეპოქა არის ნიშანდობლივი ხანა, როდესაც მემკვიდრის სიტყვით „დაესრულია მეფობა ქართლისა“ და ადგილობრივი ხელისუფლება ერისთავთა ხელში გადავიდა, როდესაც, მემკვიდრე-

ნის უწყების თანახმად „ერისთავნი იგი იყვნეს თვის-თვისა საერისთავოსა შეუცვალებულად“.

ყურადღებას იქცევს აგრეთვე ის გარემოება, რომ ბასილი ზარზმელის თხზულებაში არ არის არავითარი ცნობა არაბობაზე, არაბთა მფლობელობის ძნელბედობაზე.

ესეც აგრეთვე ეთანხმება თარიღს ამ ძეგლისას, რომელიც, როგორც ირ-კვევა, დაწერილია მე-7 საუკუნის პირველ ნახევარში, ერის-მთავრობის ხანაში, არაბთა მავლობელობის დამყარებამდე, და ასახავს ეპოქას მეექვსე საუკუნი-დან — მეშვიდე საუკუნემდე.

ჩვენ ამით დავასრულებთ ბასილი ზარზმელის თხზულების თარიღის სა-კითხის განხილვას¹.

ჩვენ მოგვიხდა ასე დაწერილებით შევჩერებულიყავით ამ საკითხზე, რადგან ბასილი ზარზმელის თხზულების შემცდარ დათარიღებას, მისი თარი-ღის გვიან გადმოწევას სამი საუკუნით, სრული არეც-დარეცა შეჰქონდა მეს-ხეთის მხარეთა ისტორიის საკითხთა განხილვაში.

ჩვენ აქ არას ვამბობთ იმის შესახებ, რომ ბასილი ზარზმელის თხზულების ზუსტი ქრონოლოგიის დადგენას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს საზო-გადოდ ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიისა, საქართველოს ძველი კულტურისა და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიისათვის.

(გავრძელება იქნება)

¹ დამატებით ზოგიერთ დეტალზე იხ. სპეციალურ ვესტურსში.

ბიბლიოგრაფია



ილო მოსაშვილი „ლემსები“. „საბჭოთა მწერალი“. 1950 წ.

„არა მარტო დღევანდელი დღის მიხედვით აჩვენოს ჩვენი ხალხი, არამედ მის ხვალისდღეულ დღეშიც ჩაიხედოს, დაეხმაროს, — პროექტორით გაუნათოს წინსვლის გზა — ასეთია უოველი კეთილსინდისიერი საბჭოთა მწერლის ამოცანა“ (უდანივი). ამ მოთხოვნებს უბასუხებს ძირითადად ახლახან გამოქვლილი ი. მოსაშვილის ლექსების წიგნი. სარეცენზიო კრებულში მოთავსებული ლექსები ცხოვრებად და მიწიდანველად წარმოსახვენ სოციალისტური სინამდვილის მნიშვნელოვან მოვლენებს, საბჭოთა ხალხის გრძნობებს და მისწრაფებებს.

ლექსების კრებული შესდგება რამდენიმე განყოფილებისაგან, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი აქვს დამოძილი ბელადისა და საშობლოს თემაზე შექმნილ ლექსებს.

ი. მოსაშვილი თავის ლექსებში უღრმესი სიყვარულის გრძნობით უმღერის პროგრესული კაცობრიობის უდიდეს მეგობარს, საბჭოთა ხალხის სიყვარულ ადამიანს, „შობლიურ ბელადს, რომლის სიბრძნით ვაბრწყინებულა თვალები „სოფლის ნატურად და ჩვენს იმედად ანთია“.

ბედნიერ საბჭოთა ადამიანს, სოციალისტური შრომის რომელ უბანზეც არ უნდა იყოს იგი, ყველგან გზას უნათებს დიდი ბელადის ბრძნული სახე, ყველას აღაფრთოვანებს და აღაგზნებს საგმირო საქმეებისათვის. ბელადის სახელი მიუძღვის ფიცად, ჩაუქრობელ ლაშქრად:

„ზედაში — მფრინავს, ბრძოლაში — მხედარს, ვაკეცს — ზღვასავით გაშლილ ყანაში, და ბაეში, როცა შესცქერის დედას, უსმენს და თითქოს სიზმარში გზედავს, შენებრ მშობლიურ ადენანაში“.

ლექსების ამ განყოფილებიდან ერთერთ უმწვენიერეს ლექსად შეიძლება ჩაითვალოს „ბელადის სახლი“. მასში მხატვრულად განსახიერებულა სტიქიური მოვლენა, რომლის შედეგად დანგრეულა მთლიანად ქალაქი ვორი და მის მახლობლად მდებარე ქართლის სოფლები.

მვრამ ამ საბედისწერო შემთხვევისაგან უვნებლად, დაუზიანებლად დარჩენილა პატარა ქობი, სადაც იშვა კაცობრიობის დიდი გენია:

„იგი, ნაკები კირით და ოხვრით, მიწისძვრის ხელშიც არ გაიშვია, და დარჩა ქართლში ბელადის ქობი ქვეყნიერების ხსნად და იმედად“.

სტალინის ჩაუქრობელ გენიას, მის ბრძნულ ხელმძღვანელობას და სიდიადეს უმღერიათ არამარტო მგოსნები და მხატვრული სიტყვის ოსტატები, არამედ მთელი ჩვენი ქვეყნის მშრომელი ადამიანები. ერთერთ ლექსში პოეტი ასე მიმართავს ბელადს:

„შენზე მღერიათ საღამურებზე, მღერის რკინაც და ბალახის ღერიც, შენზე ღიღინებს მესხე ურემზე და ვარსკვლავებთან მფრინავი მღერის“... საშობლოზე დაწერილი ლექსი პოეტის უანგარო სიყვარულს გამოხატავს: „ჩემო საშობლო, არ უმღერია შენს შეილს არც ხნულში და არც ყანაში, რამდენი წვეთი შხამი ვრია შენი დედების ივენანაში“.

ვის არ უთვლავს, ვის არ უღაბავს, შენი ველები რბილი ბალახი, შენი ხანძრები ვის არ უნახავს, შენი დამწვარი დაბაქალაქი“.

საქართველო საუკუნეთა მანძილზე უცხოელ ურდოთა შემოსევისაგან მრავალჯერ ნარბევი და განაწაბები, ოქტომბრის რევოლუციის შედეგად თავისუფალ საბჭოთა რესპუბლიკად იქცა; დღეს იგი საბჭოთა ქვეყნის რესპუბლიკათა შორის ერთერთი შესანიშნავი თვალმარგალიტია. პოეტი შემდეგი სტიქიონებით მიმართავს განახლებულ საშობლოს, სოციალისტურ საქართველოს:



„იხარე, სამშობლოვ, გმირი და მშრომელი ქართველი მარად შენს დარაჯად დგას, შენ შიშვ შენივე დიდების მშობელი, რომელიც ყველა ხალხს უნათებს გზას“.

ჩვენი დიდი სოციალისტური სამშობლოს სიმტკიცისა და ძლიერების ერთერთ უმთავრეს წყაროს წარმოადგენს საბჭოთა პარტიოტიზმი. საბჭოთა ხალხი, პოლიტიკურად და მორალურად გავრთიანებული, ერთნაირად გამსჭვალული საბჭოთა პარტიოტიზმისა და ჯანსაღი ოპტიმიზმის სულისკეთებით, ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით აშენებს უკლუსო სოციალისტურ საზოგადოებას. გამარჯვებით და ძლევამოსილად მიდის წინ, უკეთესი, კომუნისტური მომავლისაკენ. პოეტი შემდგენიარად გამოხატავს ჩვენი ხალხის ამ მორალურ-პოლიტიკურ ერთიანობისა და შრომითს ენთუზიაზმს კომუნისმის მშენებლობის საქმეში:

„ჩვენი ხალხია საერთო ძალით თავის სიმტკიცის მართლა შექმელი, თვითველ ჩვენგანს საკუთარ ხელით აყვავს ზეთიწლიდის ბუე და კედელი. ის არის ჩვენი სიმტკიცის ძალა და სიამავე საბჭოთა კაცის, რომ ამ შენობის თვითველ აგურს ჩვენი კაცობის ბეჭედი აზის“.

თანამებროვეობის უდიდესი ადამიანის ამხანაგ სტალინის პირადი მითითებით ახალ ზეთიწლიან გვეგამში შეტანილ იქნა სამგორის მშენებლობა. ამ თემაზე ვაწლილი ი. მისაშვილის რამდენიმე ლექსი. მათგან საყურადღებოა ლექსი „სამგორის ქარი“, რომელშიც პოეტმა გვიხატავს აღინდელ სამგორს, რომელიც ქვიშით აესებულ უდაბნოს ჰგავდა, სადაც მხოლოდ ქარი დათარეშობდა:

„ასე მგელივით იარე დღემდე, არსად გამიხსენ სიციცხლის წყარო, მაგრამ მე გნახავ ხელი წლის შემდეგ, მაშინ რას იტყვი, სამგორის ქარო!“

საგულისხმოა მეორე ლექსიდან ასეთი სტრიქონები:

„წყალი წუროდა დასიებულ ყაშირს, ამიტომ იყო დღე-მუდამ მწყარალო, სტალინმა სიქვადა სამგორის მიწამ უნდა დღეიდან დალიოს წყალი“.

ოპისშემდგომი სტალინური ზეთიწლიდის შედეგად სამგორი დღითიდღე იცვლის თავის სახეს

და მალე იგი ბაღ-ვენახებით დაშვენიებულ აღგილად გადაიქცევა:

„გაუხარდება სამგორის ველსაც, სიციხისგან დამსკდარს, დაშლილს ძაფებად, საუყუნეთა გვაღვით დამწვარი იერის ტალღებს რომ დაეწაფება“.

სტალინური ზეთიწლიდების შედეგად იზრდება და მშვენიერდება ჩვენი სოციალისტური სამშობლო. ამ მნიშვნელოვანი გარდაქმნის შესახებ მისად წინ მიდის და იზრდება ჩვენი ხალხის შეგნების დონე, ვითარდება და მადლდება კულტურულად და მორალურად საბჭოთა ხალხის სულიერი ცხოვრება. „ჩვენ დღეს ის აღარა ვართ, რაც გუშინ ვიყავით, და ხვად ის აღარ ვიქნებით, რაც დღესა ვართ“ (ქდანოვი).

საბჭოთა მწერლის უბირველესი ამოცანაა — გვიჩვენოს ცხოვრება მის წინსვლასა და განვითარებაში, რაც შეადგენს სოციალისტური რეალიზმის ერთ-ერთ ძირითად პრინციპს.

ი. მისაშვილის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი, სოციალისტური რეალიზმის მხატვრული მეთოდის მომარჯვებით, ჰქმნის წარმატებულ მხატვრულ საბეებს ჩვენი სინამდვილის ამ დიდ გარდაქმნების შესახებ, შთაგონებით და მხატვრული დამაჯერებლობით ხატავს ჩვენი ცხოვრების წინსვლისა და განვითარების გზებს, ნათელ მომავალსა და პერსპექტივებს.

„დღეს ქართლის გული, დნება მადანი, თითქოს ათასი ცეცხლის მთა ბოლავს...“

ანდა კიდევ ასეთი სტრიქონები:

„შორიდან ეუსმენ ბაღების შრიალს, ვითვლი ქირინახულს დადგმულს ზეინებად, გაუხედავ თბილისს ტყეებში ჩასმულს და გულს ნათელი მოეფინება“.

ლექსი „ლ. ბერიას“ კრებულის ერთ-ერთ საუკეთესო ლექსად უნდა ჩაითვალოს. ამ ლექსში გატარებულა ის აზრი, რომ დიდი ბეღადის ერთველი თანამებროძოლის ლ. ბერიას სახელთან დაკავშირებულა საბჭოთა საქართველოს კვზომ იყავიება და გაფურჩქვნა, მისი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის არნახული აღმავლობა, ქართული კულტურის — ხელოვნებისა და ლიტერატურის გამდიდრება და განვითარება. პოეტი ასე მიმართავს ბერიას:

„შენ ავფიყავე დოვლათი ხნულში,
მიწას ჩაუდგი სინედლის წვენი...
შენ ხარ, რაც ნატვრა გვექონია გულში
და გამარჯვებაც შენა ხარ ჩვენი“.

დიდი სამამულო ომის შეტყობარე და ქარიშხლიან წლებში, საბჭოთა ქვეყნის შეიარაღებულმა ძალებმა ბერიას უშუალო ზელმძღვანელობით გაანადგურეს და შეიშრეს გერმანულ ფაშისტთა ბანდები და გმირულად დაიცვეს საშობლოს თავისუფლება. ბერიას რაინდულ მოქმედების და ორგანიზატორულ ნიჭს უმღერაინ შემდეგი სტრიქონები:

„გამონდი, როგორც არწივი,
ხმა გაგვაგონე შუქარი,
მტრის ძელებით ჩაგვადობინე
ყველა ხევი და კლდე-კარი,
ღარიღის კარი შეაბი, —
კავკასიონი შექარი“.

განყოფილებაში „ომის ხმა“ ერთერთი საუკეთესო ლექსია „შვილო საშობლო გეჩაჩხა“. ეს ლექსი ასაბავს დედის განწყობილებას სამამულო ომში მიმავალ შვილისადმი. საბჭოთა დედა ასე მიმართავს შვილს:

„წადი, ქვეყანა გეძახის
და ქვეყნის გული გაცილებს,
ასი რომ გქონდეს სიცოცხლე,
ქვეყანას გაუნაწილე“.

თუ ოქტომბრამდე ზალხის სიმღერა მწუხარებას და „კენესას ჰევედა“, თუ სიმღერას თან სდევდა „გულმოკლედი ოხერა“, დღეს თვისობრივად გამოიყვალა ზალხის სიმღერის პანგი, მისი მიზნარსი:

„ეს სიმღერა სხვა გმირების ჯიშში
გამოზარდა, არწია და ანთო,
ის მზეში და ქარიშხალში იშვა
და ოქტომბრის სიმღერაა მარტო“.

დღეს ჩვენი ქვეყნის ყოველი მშრომელი ადამიანი „მთელი ქვეყნის სიხარულით მღერის“, „მზეში და ქარიშხალში შობილ“ გმირულ სიმღერებს ავგუნებს და არნახულ წარმატებებს და გამარჯვებებს აღწევს სოციალისტური შრომის ყველა უბანზე.

წიგნის სხვა განყოფილებებიდან აღსანიშნავია „მისი ბარათი“. ლექსების ამ ციკლის ამბავი თხრობის საშუალებით ვითარდება. საბჭოთა ქალის სრულიად ბუნებრივი ვანცდა ქმრის ბარათის მოლოდინში პესიმიზმსა და უიმედო-

ბაში კი არ გადადის, არამედ უწყინოდ უპასუხობს გამოხატავს, რადგან საბჭოთა ქალს უკრძაღ სწამს, რომ მისი ქმარი აუციან არ დატოვებდა და როდესაც „აუღარი გადაიქვებებს“

„მოვა გმირი და საყვარელ მიწას
გუთნის პირივით მოეკიდება“

მთელი ამ ლექსების ძირითადი აზრი პოეტს გამოთქმული აქვს ამ ციკლის უკანასკნელ ლექსის („ამ დღეს დიდება“) დამამთავრებელ სტროფში:

„ეს დღევ ახლოა, თუმცა ვიწუხებო,
ბევრი დარდიდაც შევიყვარებლებით,
მიგრამ აუღარი გადაიქვებებს, —
თქვენთანაც მოვლენ ჩემი მერცხლებიც“.

პოეტური აღმაფრენით არის დაწერილი ლექსი „ბელადის სიტყვა“. ბელადის სიტყვამ, რომელიც მგზნებარედ გაისმა ომის მრისხანე დღეებში, მილიონობით ადამიანს გული ააძვირა და მთელი მსოფლიო სულგანაბული უსმენდა მას. ეს სიტყვა გაისმოდა მტრის რისხველ და თავზარდამცემად:

„მინახულ ზალხის გულსა და სმენას
ბელადის სიტყვა გაება სიმაღ“ —

ბელადის სიტყვამ გასჭრა ქვეყნის სივრცენი და ყველას გამარჯვების შუქი აუნთო გულში. ამოზე მერტყელებენ ამ ლექსის შემდეგი სტრიქონები:

„ვადმოელახა ქვეყანა ვრცელი,
მისი ტუბილი ხმა მახლობლად ეღერდა
და თითო სიტყვას უყვდავი ბრძენი
თვითველ გულის ფიცარზე სწერდა“.

განყოფილებაში „მძინაფიცები“ შესულია ლექსები, რომლებაც თემბატყობი მრავალფეროვნებით ხასიათდებიან. აქ მეთიხველი ნახავს ლექსს „მარია დემენკოსა“ და „დოლორეს იბარტრზე“. აქვე პოეტი უმღერის ავგავებულ მოძვე ბელორუსიას, რომელიც ლექსში წარმოდგენილია სოციალისტური მშენებლობის ფონზე შემდეგი განყოფილების ლექსებში პოეტი უმღერის რა ახალ ცხოვრებას, კონტრასტულად წარმოდგენს ახალსა და ძველს. იგი ამბობს:

„გულო, ვაგიხსენ ოქროს გალია,
ვაქპრა, სევდა რომ გეწყო ზოდებად,
ლექსი თათსი ნაღვერდალია
და იცის სულ სხვა ცეცხლის მოდება“.

ახალმა ეპოქამ შეასხა პოეტის შემოქმედებას ფრთები, ამ ეპოქამ გახადა იგი მზისა და სიცოცხლის მომღერლად. ამიტომ ამბობს ერთ-ერთ პოეტს:

„ჩემო დროებაე, მძლავრად მარწიე,
შენი აყვანი ლამაზი არი.
ამომღვინე, როგორც არწივი
მზის და ქარიშხლის თანახიარი“.

ამავე ლექსში ნათლად გამოხატულია ის აზრი, რომ პოეტი, დიდი შემოქმედებითი ცეცხლით თუ არ იწვის, თუ მის სულში შემოქმედებითი „ქარიშხალი და გრავალი“ არ ტრიალებს, ისე ღირსეულს ვერაფერს შექმნის:

„ესში იქ არის, სადაც ქარია,
ქარი, რომ მვერდი მვერდზე გვივალოს...“

სიცოცხლეც, გულიც, ლექსიც მკვდარია, —
უქარიშხალი და უგრავალი...“

სამუშებროდ, უნდა აღინიშნოს, რომ წიგნი მალაშხატერული და იღვეურად გამართლებული ლექსების გვერდით გვხვდება, თუმცა ორიოდ გამოჩაყლისის სახით, ისეთი ლექსები, როგორცაა, მაგ. „პირველი თეთრი“, „სიყვარული უცებ“, და სხვ. რომლებიც პოეტის შემოქმედების ადრეულ პერიოდს განეკუთვნება. უმჯობესი იქნებოდა, რომ ავტორს შემოთაღნიშნული ლექსები კრებულში არ შეეტანა.

ა. მოსაშვილის ლექსების ეს წიგნი ქართული საბჭოთა პოეზიის ერთერთი მნიშვნელოვანი შენაძენია.

სიმონ არველაძე
ირაკლი არაბული

ალიო ადამია „მისხეთის გაზაფხული“. საბლიტვაში, 1940 წ.



ა. ადამიას წიგნი, რომელიც საბლიტვაშია გამოსცა, პირველ რიგში აღსანიშნავია დიდი სტალინისადმი მიძღვნილი ლექსები. პოეტმა ლექსში „ბელადი წითელ მოედანზე“ დაბატა დიდი ადამიასის სახე. 1941 წლის 7 ნოემბერს, იმ დროს როდესაც ვერაზე მტერი მოსკოვის კარებთან იდგა, ბელადმა წითელი არმიის პარადზე სიტყვა წარმოსთქვა და ჩვენი ქვეყნის ხალხს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 24-ე წლისთავი მიულოცა:

„მოსკოვში თოვდა... ნოემბრის შეიდი
ცას მოეგრაგნა კვამლი ღრუბლებად:
ბელადი იდგა დინჯი და მშვიდი,
დიდი როგორც თავისუფლება!“

ამის მომდევნო სტრიქონებში მოჩანს სოციალისტური ცხოვრების შემოქმედის ნებისყოფა, იმ დიდი იდამიანის სიბრძნე, რომლის სახელიც დაკავშირებულია ბრწყინვალე გამარჯვებების ყველა თარიღთან. უნდა ითქვას, რომ ამხანაგ სტალინზე დაწერილ ლექსებში: „შემოვდიეც ბელადს ბელადი“, „სტალინი იცავდა მოსკოვს“ და „ბელადი წითელ მოედანზე“ რელიეფურად მოჩანს საბჭოთა ადამიანების სიძლიერე. მაღალი და კეთილშობილური გრძნობითაა გამოთხარს ლექსი „ლაგერნტი ბერიას“ აუ რაოდენ უყვარს ქართველ ხალხს მისი სა-

მაყო შვილი, ამას ჩვენ ვგებულობთ შემდეგ-სტრიქონებიდან:

„და ყველა ხმაში შენი ხმა არის,
ყველა სურათში შენი ხატება,
შენი სამშობლო შენსავეთ მძლავრი
შენის მარჯვენით კვლავ იხატება.“

საქართველოს საამაყო შვილის ამხანაგ ლ. პ. ბერიასადმი ქართული ხალხის ღრმა სიყვარულმა თავისი გამოხატულება პპოვა პოეტის შემდეგ სტრიქონებში:

„ეს თბილისი შენს ნაბიჯებს აყვება,
შენი კერა, შენი დედულ-მამული!
სადაც იყო, სადაც წახვალ წაყვება
საქართველოს მთების იაენანური...“

აქ მარტო პოეტის პირადი გარცდები და სურვილები როდია გამოჩაყენებული. აქ არც უბრალო ფსიქოლოგიური განწყობილებაა გამოხატული. მასში მთელი ქართველი ხალხის წინდა გრძნობებია ანტიკულებული. საერთოდ ლექსების ციკლი „ის დღე თბილისში“ გამოხატავს ქართველი ხალხის ღრმა სიყვარულს ამხანაგ ლაგერნტი ბერიასადმი.

ლექსის „მესხეთის გაზაფხულის“ მთავარი თემა სამშობლოს სიყვარულია. მასში შესტ-



თის შორეული წარსული და მისი ახლანდელი სახე რეალისტრად არის დახატული. საქართველოს შესანიშნავი კუთხე, რომელიც წინათ თურქ დამპყრობთა მიერ ათასჯერ აობრებულა, ახლა აყვავებულია. დღეს მესხეთში „ღამეა მშვიდი“ და „გვესმის ვარხანის წყაროს შრიალი“. ლექსში, რომელიც ახალი ეპოქის სურნელებითაა გაღვნილი, ერთი ეპიზოდია ჩართული, საიდანაც ვგებულობთ, რომ ვარხანში თურქმა ბარბაროსებმა მშობელი დედის თვალწინ ძეძუშობიარა ბავშვი აკვანში ჩააკლეს. პოეტმა ეს ისტორიული ფაქტი კარგად გაშალა და ქართველი დედის გმირული სახე გვიჩვენა. დამპყრობთა მოქმედებით აღშფოთებული დედა ქართველი ხალხის ისტორიულ მტერზე შურის იძიებს:

„შემაღლია... აი, ვარხანიც,
 ეს მისი ეზო, ეს სახლი მისი...
 გულშეშარავი ესმის ხარხარი,
 ყელში მოაწვა მფეთქავი სასხლი!
 ჯერ გადარაჯა გარედან კარი
 და სახლს შეუნთო მტრე ხანძარი...“

მართალია, ძვირად დაუჯდა ქართველ დედას შურისგება, თურქმა მხედრებმა ხეზე მიაკლეს იგი, მაგრამ მისმა მოქმედებამ თურქ ბარბაროსები საბოლოოდ დაარწმუნა იმაში, რომ ქართველი ხალხის სულიერად დაცემა, მისთვის საუკეთესო თვისებების — სამშობლოს და ოჯახის სიყვარულის მაღალი გრძნობების წარმოშევა, შეუძლებელია. ლექსი ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს.

ა. ადამიანს პოეტურ ნაწარმოებთა შორის მთავარი ადგილი თანამედროვე ცხოვრებას უკავია, საბჭოთა პარტიოტოზმის იდეებითაა გამსჭვალული ლექსი „სუხუმის სანაპიროზე“. მართალია, ავტორი ამ ლექსში პირველად ძველი სუხუმის ცხოვრებას ვაკენობს, მაგრამ ძველი სუხუმის სურათები მისი მანკი ვერ ჰარბობს ახალ, სოციალისტური ქალაქის ცხოვრების ამსახველ სურათებს. ამასთან, ავტორი ძველი სუხუმის ცხოვრებას მქვი საღებავებით ხატავს, ხოლო ახალი სუხუმის ცხოვრებას, რომელიც ყოველმხრივ განსხვავდება ძველი სუხუმის ცხოვრებისაგან, ნათელი ფერებით გადმოგვცემს. თუ წინათ „მხოლოდ გლოვის ხმა ისმოდა სუხუმის სანაპიროდან“, ახლა „ბრდღვილა დილა თენდება სუხუმის სანაპიროზე“. დღეს სუხუმის მცხოვრებთა შრომით ქალაქი ყოველდღიურად იზრდება და ღამაზდება. სუხუმში იმბოტოზა ასე ღამაზი და მიმზიდველი, რომ მას:

„დილა, თუ საღამოა,
 ან თუ კიადობს ჭველი,
 ქალაქს მზარუნველად დასცქერის
 დიდი ბელადის თვალი!“

ამ ლექსის სუხუმის ძირითადი თანამედროვე სუხუმის წარმოდგენს. მკითხველზე ძლიერ შთაბეჭდილებას სტოვებს ლექსების ციკლი „კახეთში“. კახეთს ჩვენმა პოეტებმა ღირსშესანიშნავი ლექსები უძღვნეს. ძველად მხოლოდ კახეთის ბუნებას უმღერდნენ. კახეთის სილამაზე უსათუოდ ხიბლავს ადამიანს, მაგრამ კახეთი დღეს მარტო ბუნებით რთდია საინტერესო. სამივე ლექსი პოეტის მხატვრულ გემოვნებასა და ისტატობაზე ღამაზავს, მაგრამ ლექსი „ეს ჭალი ბაკურციხელა“ თავისი შინაარსითა და შესრულებით მაინც განსხვავდება სხვა დანართული ლექსებისაგან. ამ ლექსში საბჭოთა ქართველი ქალის დამახასიათებელი თვისებები: სამშობლოს, ოჯახისა და შრომისადმი სიყვარული, სრულად არის გამოქვეყნებული. ბაკურციხელმა ქალმა, როცა მას მამა გვერდში არ ედგა, „განა გააქრო ლადარი?“ ბაკურციხელმა ქალმა, როცა მისი მამა გვერდზე ფაშისტებს ებრძოდა, შრომაში შეეტეხა ვეებს აჯობა კიდევ, სამამული ომის პერიოდში შრომითა და ოჯახის მოვლა-პატრონობით მახელა / თავიც გავიდა დრო, „ძირს დაანარცხეს აშარი...“ გამოარჯეებული ვაკეციები თავიანთ ოჯახებს დაუბრუნდნენ და შრომის ფერხულში ჩაებნენ, მაგრამ ბაკურციხელ ქალს მაინც ძველებურად მზად აქვს „მკრული ნამგალი ყანების მოსაწყვლად“. ბაკურციხელი ქალის სახე მიმზიდველი და სიმპათიურია. იგი სოციალისტურმა შრომამ ქვეყნის სასახელი შეიღო ვახადა. ლექსების ციკლი „კახეთში“ ახალ ფონზეა გაშლილი. ცოცხლად დინამიურ ლექსებში კახეთი შრომამთა მოცემული... კახეთის ბუნებაზე განვენებულად კი არ არის დახატული, არამედ იგი ადამიანს ემსახურება. ავტორმა შრომის თემის მიუძღვნა აგრეთვე ლექსი „დროშა“. ნათელი აზრის და სისადავე ამასათებს ამ ლექსსაც. ლექსი „დროშა“ დაწერილია სამამული ომის შემდეგ. სამამული ომის მონაწილე კახელი ვაკეცი, რომელიც წითელი დროშით მედგრად იბრძოდა ეტრავი მტრის წინააღმდეგ, „ისევ აქ არის, სახლში, კახეთში და სათბარში ღამაზა ცელით“, ომიდან დაბრუნებულ ვაკეცს შრომამი წითელი დროშა უნათებს ვახს, მას ახლაც წინ მიჰქვს წითელი დროშა, რომელიც გამარჯვების მაუწყებელია. წიგნში მოთავსებული „ლახური ბალადა“ ისტორიული ხასიათის ნაწარმოებია. ამ ნაწარმოებში პოეტი ღამაზების სოფელს



სარეს ავეიწერს, მშვენიერ სურათებს ხატავს და ქართულ მეტაფორებში თურქების მიერ მიტაცებული მიწისაღობი სიყვარულს კიდევ უფრო აღვივებს. „ბაღდა თუში მწვემისა“ თანამედროვე თემაზეა დაწერილი, მაგრამ მის მთელ რიგ ღირსებებთან ერთად ნაკლიც აქვს. ნაწარმოების კომპოზიცია უცხოვანად გამართული არ არის. ბაღდადის ბოლო ნაწილი ბუნდოვანია. ამასთან, საერთოდაც, თუ რატომ დასჯიდა ავტორს ხელოვნურად უგზოუვლოდ დაკარგვა ექიმისა და მისი თანამგზავრის — კახელი ბიჭისა, რომელმაც სიყვდილისაგან გადაარჩინა თავისი მეგობარი. მიუხედავად ამ ნაკლოვანებებისა, „ბაღდა თუში მწვემისა“ მაინც მნიშვნელოვანი მხატვრული ნაწარმოებია.

სამამულო ომის თემაზე დაწერილი ლექსებიდან აღსანიშნავია: „ციცკარი ხევში“ და „უჩირიში ვასაგზავნი წერილი“. „ციცკარი ხევში“ საინტერესო ნაწარმოებია არამარტო თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით, არამედ ფორმითაც. მაგრამ ლექსის პირველი სტრიქონები: „შეგზავნით კიდევ, მაგრამ ვინ იცის,

განა ამცდება ტყვია ყოველი? შესაძლო არის, რომ სიყვდილის წინ ეს წიგნი [ქვეყნის] სამხრის მიხრობელი. და თუ მოაღწევს [შეგზავნის] კვი, როგორც სიყვდილის წინის დასტური — დახურე ზემო ცხოვრების წიგნი მცირე, ნათელი და ეთიკური“, ნაწარმოების განვითარების პროცესში შინაარსს კარგავენ. აქ მწერალმა სიყვდილის სიტყვების გამოყენებით ნაწარმოების მთლიანობა არ უნდა დაარღვიოს. საერთოდ, „ციცკარი ხევში“ ოპტიმისტური ნაწარმოებია: მასში სიცოცხლე იმარჯვებს, სიყვდილი კი მარცხდება.

წიგნში მოთავსებულია აგრეთვე რამდენიმე ლირიკული ლექსი: „წინანდლის ვარდი“, „არა არ ვარ ამის ყაბული“ და სხვა. პოეტის ლირიკული ლექსები მარტო პირადი განცდების გამოხატულება როდია. ა. აღამიას ლექსების ღირსება სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მასში პირადი განცდები და კონკრეტული მასალა კარგად არის განვითარებული, საერთო-საზოგადოებრივ სიმალღებზეა აყვანილი.

ი. ნანძი.

ზაქარია შერაზადიშვილი „ღამისი“
1950 წ. საბლიტვაში



ზაქარია შერაზადიშვილი ომის შემდგომ გამოსულ ახალგაზრდა პოეტთა თაობას ეკუთვნის. ახლახან საბლიტვაში ცალკე წიგნად გამოსცა მისი ლექსები. კრებულში შეტანილია ორმოცდამეცხრამდე ლექსი, რომელთაგანაც ბევრი პირველად ქვეყნდება. მრავალფეროვანია პოეტის თემატიკა: იგი უმღერის ჩვენი დიადი სამშობლოს წარსულს, აწმყოსა და მომავალს, საქართველოს თვალწარმატებულ ბუნებას, ჩვენს დიდ გამარჯვებებს, ჩვენი მომავლის ბრწყინვალე პერსპექტივებს, სამშობლოს თავისუფლებისათვის, დამოუკიდებლობისათვის და გამარჯვებისათვის მებრძოლ ადამიანებს. მის ლექსებში განსაკუთრებული ადგილი უკავია საბჭოთა ადამიანების შემოქმედებით შრომას. სამშობლოს სიყვარულზე დაწერილ ლექსებში განსაკუთრებით გამოირჩევა უშუალოდობა და გულწრფელად დაწერილი ლექსი „საბჭოთა საქართველო“, რომელიც გაქვნილია პატრიოტიზმის მაღალი გრძნობით, გამარჯვების რწმენითა და შრომის ღრმა სიყვარულით. პოეტი, ხედავს რა საბჭოთა ადამიანების შეუღრ-

ველ ნებისყოფას მიზნისაკენ სწრაფებაში, სიამოვნო ამბობს:

„დაგვირდეს, — თუნდაც პიტალოს ჭვენიერვეთ გულს ფიცარს“.

პოეტი, ხედავს რა ხეაღინდელ დღეს, საბჭოთაულით ლამაზობს:

„სამაგრი ბაღით მშვენივრება,
მტკვარი უცხოობს ჯგვირის,
ნატატარს მიეშველება
ბელანურის წყლები,
აყვავებულმა სამშობლომ
მაღლა ასწია მზრები“.

ავტორს კარგად აქვს შეგნებული, რომ შრომა ჩვენში არის ღირსებისა და დიდების საჭე. სწორედ ამით უნდა აახსნას, რომ ლექსების უმეტესობა შრომისა და მშრომელი ადამიანებისადმი მიძღვნილი: „შვირდები“, „ბელტები“, „ნერვები“, „გველოდებიან ბელდები“, „მეტრიები“, „კალატოვი“ და სხვა. ამთვან განსაკუთრებით გამოირჩევა ლექსი „ნაღები“.

რომელიც შესანიშნავი ილუსტრაციაა თანამედროვე საბჭოთა სოფლის აღმამანების მატერიალური სიმდიდრისა. ლექსში მკვეთრი ხაზებითა აღნიშნული განსხვავება წინანდელ და ახლანდელ სოფელს შორის.

— „წინათ ამხელა ნალია

სამი გლეხისთვის კმაროდა.

— წინათ კმაროდა!

— ახლა კი თავდადებული შრომითა

უოველ ჰემტარზე ათასი

ფუთი სიმინდი მოვიდა“..

მაგრამ ეს ბუნების „წვალობა“ როდია. პოეტა ხედავს, რომ ეს საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების ნაყოფია, რომ სოციალისტური შრომა ქმნის შესაძლებლობას უფრო და უფრო გავაუმჯობესოთ ჩვენი ცხოვრების პირობები. ჩვენში არ არსებობს განცალკევებული შრომა. უოველი მიღწევა კოლექტიური შრომის, სოციალისტური შეჯიბრების შედეგაა:

„უანის მოვლაში ერთმანეთს
ვანა ტუღოლად ვიწვევდით,
ნესტიან მიწას ვაშრობდით
წყალს ვაწოდებდით გვაღუიანს
პო და იმდენი მოვიდა,
ორიც არ გვეყოს ნალია“..

შრომისადმი მიძღვნილ ლექსებში შედის აგრეთვე ლექსი „ბელტები“. ამ ლექსში ჩვენ ეხედვით სამგორის მზისაგან გადარუჯულ მიწას მისი გაქავეებული ბელტებით, რომლებიც საბჭოთა აღმამანებს მინართავენ:

„თქვენ მოგელოდით, არასდროს
დაგვიცენესია მაშერალთ,
გვხსენით — წყალი გვეყურია
ათას წელს ბავეეამშროლთ“..

სტალინური ეპოქა ბუნების დიად გარდაქმნათა ეპოქაა — ვადამშარის სამგორი მალე მიიღებს ცივ ანკარა წყალს და დღემდე აღმერში გაჩვეული უდაბნო მწიანით დაფარულ წალკოტად იქცევა. ეს აბარებს და ამღერებს პოეტს, ახლევს შთაგონებას მიესალმოს სამგორსა და არსთავს, ბუღაიურსა და ხრამქესს, მადლაკსა და განახლებულ თბილისს.

ლექსში „მეტრეები“, რომელიც რაჭის ბუნების დეტალური ცოდნით და კოლორიტულობათაა დაწერილი, პოეტი ვეხატავს რიონით ტივების ჩამოტანის დინამიურ სურათს. ეს ლექსი ავტორის ორიგინალური მკერტისა და საკეთარი პოეტური ხმის კარგ შესაძლებლობაზე მეტყველებს. ჩვეულებრივი შრომის ერთეული საბე, — მეტრეობა, — ავტორის ახლებუ-

რად აქვს დანახული და ორიგინალურად გადამწვეტილი. პოეტის ორიგინალური ინტონაცია იგრძნობა აგრეთვე ლექსებში „ინსტიტუტის მეგობრები“, „მტკიარზე“ „ალაზნის ველზე“ და სხვა. ერთ თავის ლექსში პოეტი გულისწიხილით იხსენიებს თურქი დამპყრობლების მიერ მიტაცებულ საქართველოს მიწებს და უმღერის მათი დახსნისა და განთავისუფლების დღეებს:

„ჩვენი მომავლის
ლალო დღეებო,
წამით მეჩვენეთ, —
მიუხვდე ვეგბა,
ტო-კლარჯეთის
დახსნის ზეიმი
ვის გიწერია,
რომელს გერგება“..

ზ. შერაზადიშვილის ლექსები გამსჭვალულია ხალხთა მშვიდობისა და კეთილდღეობის სურვილით. ამავე დროს პოეტს სამაყოფ აქვს, რომ უჩლიერესი ქვეყნის, საბჭოთა კავშირის შეილა.

რამდენიმე სიტყვა პოეტის სუსტი მხარეებისა და კრებულის ხარვეზების შესახებ. უთიოდ დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს ის, რომ პოეტს თავისი კალამი არ უცდია ბელადის პოორტიტის შესაქმნელად. ერთადერთი უსათაურო ლექსი, რომელიც წიგნს წამიდგარებული აქვს, ვერ ამეყოფილებს მოთხოვნილებას, იგი სუსტია. ამდენად გაუმართლებლად მიგვაჩნია ამ ლექსის ეპიგრაფად გამოყენება კრებულში.

ზემოთ ჩვენ ვთქვით, რომ პოეტს გააჩნია თავისებური ზედვა სავნებისა და ორიგინალური ინტონაცია. სამწუხაროდ კარგი ლექსების გვერდით ეხედავთ ლექსებს, რომლებიც დაბალ დონეზე დგანან, როგორც მხატვრულად, ასევე შინაარსის მხრივაც. მაგალითად, ლექსი „დათვი“ სუსტია ფორმის მხრივ. მოვყვანთ ერთ ტაემს:

„შოთში სიმინდი გვეთესა
შემოეჩვია დათვი,
ნათესი ვაგვინადგურა,
სადაც დააღვა თათი“.

საბჭოთა მეთიხველს ასეთი ხარისხის ლექსი ცხადია, ვერ დააკმაყოფილებს. სუსტია ლექსი „ლომა“. მიუხედავად ფინალისა, არ არის გამართლებული იდეურად აგრეთვე ლექსის „ღუკის მარჯვენა თელავის მუხეღუმში“ კრებულში შეტანა. რა საჭიროა შეუღლისა და მტრობის წარსულიდან ამ სისხლით გასერილი ხელის

ამოთრევა საბჭოთა დროის სინათლეზე. პოეტი უმღერის ჩვენი სოციალისტური მეურნეობის წამყვან მანქანა-იარაღებს. მაგრამ ლექსში „გუთანი“ პოეტი დღეს ზოტბა-ქების საგნად გუთანს აცხადებს, გუთანი წარსული დროის დამახასიათებელი იარაღია მიწის დამუშავებასათვის და, თუ ავტორი „ქვეყნის გამჩინის“ წყალბოთ არასდროს „დაცალდალება“ ამ იარაღთან, ბევრს ვერაფერს მოიგებს, ვერც როგორც მშენებელი და ვერც როგორც პოეტი, კრებულში არის ლექსი „მონადირის გულის-თქმა“. მკითხველს ებაძება კითხვა: რა უნდოდა ეთქვა პოეტს ამ ლექსით? მდარეა სურათი „შაში ცისკრობს“, რომელიც უფერული სა-ღებავებით არის დაზატული. არ შეეცდებით თუ ვიტყვით, რომ ამ ლექსის სამი ტაქტი დაწერილია იმისათვის, რომ ავტორს ფინალში ეთქვას „მზე აღმოჩნდა ცათა შინა“. რაც შეეხება ლექსს „უსინათლო“, უნდა ითქვას, რომ უსინათლოები ჩვენში არ იმყოფებიან ისეთ „უსასრულო უყურეთში“ როგორც პოეტს ჰგონია. სიმართლესა და რეალობას მოკლებულია ლექსი „სოფლის კლებში“. საფუძველს იმის თქმისათვის, რომ ენაკეიმატი ლექსის შინაი კოლმეურნენი და მათთან ერთად თავმჯდომარეც კლებიდან ვაიბარნენო, ჩვენ ვფიქრობთ, ვერსად ნახავდა ავტორი. ნატურალიზმამდეა დაფენილი ლექსი „მეფხოვენი“. გაუგებრად მიგვაჩნია ავტორის მიერ ლექსის „თებერელის დროში“ კრებულში შეტანა ლექსი ვერ პასუხობს თავის ამოცანას.

შეიარალო ისეთივე აქტიური მშენებელია ჩვენი კომუნისტური საზოგადოების, როგორც სხვა პროფესიის ადამიანები. ამიტომ მკითხველი გულისხმობს ეკიდება იმ აზრს, თუ როგორ ესმის პოეტს თავისი როლი საზოგადოებაში. ზ. შერაზადიშვილის ლექსების კრებულში ეხედებით ერთ ლექსს, რომელიც თითქოს ამ მოთხოვნას უნდა უპასუხებდეს. ესაა ლექსი „ჩემს სახლიაკვებს“. ის მიმართავს „ნეტარ ძველებს“, რომლებიც, ნუ იკითხავთ, თურმე „ედემში არიან გადაფრენილი“:

„ეინ იცის, ეგებ შეფთოვით და გულზე მოვხვდით ლოდებით, რომ თქვენმა შთამომავალმა დაიწყე ლექსის ცოდვით“

მოუთხოვება იყოს ოსტატურ, რეკონსტრუქციონისა და უყარდეს თავისი პროფესიის წინაშე. ეხედებით გაუგებარ გამოთქმებს „ზრახვების განაპუქება“ „მოვიინისლები“. „მოვიინისლები“ არ ნიშნავს, როგორც ეს პოეტს ჰგონია, გაღიშებას.

ზ. შერაზადიშვილი ცდილობს ლექსის ინტონაცია ხალხურ მეტყველებას, სასაუბრო ენას მიუხატოს. მაგრამ ამას ის ყოველთვის წარმატებით ვერ ახერხებს და ხშირად ბროზაიზმს უახლოვდება. თვით პოეტის კარგად დამახასიათებელი ლექსები, რომლებიდანაც ჩვენ ადგილები მოვიყვანეთ, გადატვირთულია პროზაიზმით. მაგალითისათვის, საკმარისი მოვიყვანოთ ადგილები ლექსებიდან „ნაღები“, „მე და გრივალი“ და სხვ. არის სუსტი შედარებებიც: „ქალი შერათა, როგორც ქარში ნოშობი“, ბუნდოვანი თქმები და დამახინჯებანა: „მის თვალბში სხემოსილი მსოფლიოდან უსასრულო უყურეთი იწეა,“ (?) „მდინარეს მოკვავს მთვარეში გზა ქარის ვადანაფალი“, „მთის სოფლებად დახზნული რაქველების ბანაკები“, „დიდება ქვეყნად—ვიცე პირველ (თუ პირველია?) შეადრება ქვეყნი“. სუსტია განსაზღვრებითი გამოთქმა „მთა—ჯოგის საბალაო“.

ზ. შერაზადიშვილი ხშირბის სიტყვებს, რომლებიც დამკვიდრებული და შესისხლბორცებული იქვს ხალხს, ამავე დროს ეხედებით სიტყვას „რიდავი“, რაც იმერეთში და რაჭაში განსაკუთრებით კარმიდამოს, არემარეს უნდა ნიშნავდეს, მაგრამ იქაც ეს სიტყვა იხმარება მხოლოდ და მხოლოდ ერთ ფორმით „ჩემს რიდავზე არ დავინახო“. რასაკვირველია, ამ სიტყვის ხმარება შეიძლება კოლორიტულ ლექსში, მაგრამ ზ. შერაზადიშვილი სწორედ არა კოლორიტულ ლექსში ხმარობს, რაც არაა გამართლებული.

ნახმარი იქვს აგრეთვე სიტყვა „დაცალბოთ“, რაც პოეტის აზრით უნდა გულისხმობდეს დაცალბებას. მაგრამ ეს არაა სწორი, რადგან დაცალბება ნიშნავს მოცდას, მოთმინებას.

ზემოთაშთოთელილ ნაცლოვანებათა მიუთითებლობა ცუდი სისასხურის გაიწევა იქნებობდა ახალგაზრდა პოეტისადმი, რომლის ლექსების პირველი წიგნის გამოხვლა უკვე დროულია და მისასალმებელი.

ნ. ჩხეიძე
გ. ზურაბიძე.

პოეტს ისევე, როგორც ყველა სხვა მუშაკს,

„კიკვილი სხივი“. სბალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის გამომცემი. 1950 წ.

ერკონული
ბიბლიოთეკა



ლდი და ბედნიერია საბჭოთა ახალგაზრდის ცხოვრება. ნათელი და ხალისიანი მისი აწმყო, კიდევ უფრო სხივისანი და ბრწყინვალე იქნება მისი მომავალი. ამიტომ შესტერის ამ მომავალ უდიდესი იმედებით, ამიტომ მიიწრაფის მისკენ ბრძოლის პათოსით აღსავსე და შრომით გვირობით აღტყინებული საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდობა. ლდი და ბედნიერია საბჭოთა ახალგაზრდის ცხოვრება იმიტომ, რომ მისი გზა გაშუქებულია ლენინ-სტალინის დიდი პარტიის უკვდავი იდეებით. პერსპექტივის სიცხადე და გარკვეულობა — აი რა წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა აღმზიანის მომავალი ცხოვრების ნიშანსეცტს.

და ეს ცხოვრება ძირფესვიანად განსხვავდება კაპიტალისტური სამყაროს ბნელითმოცული, უპერსპექტივო, ბურჟუაზიანი ცხოვრებისაგან, სადაც გულს არაფერი აბარებს, სადაც გამეფებულია საყოველთაო უიმედობა; ხრწნა და დევრადაცია. ამის ნათელ ილუსტრაციას წარმოადგენს პარისში ამას წინათ გამოცემული წიგნი სათაურით „დანაშაულობის თესლი“. სხენებულ წიგნში სკოლის მისწავლებელი მიონი მკობხველს მოუთხრობს იმ გამბრწენელი და დამღუპველი გავლენის შესახებ, რასაც ახდენენ საერთოდ ბურჟუაზიული და, კერძოდ, თანამედროვე ამერიკული რომანები ფრანგ ბავშვებზე. მავალითისათვის მას მოჰყავს ფრანგი მოსწავლის პასუხი კობხვეზე: „რა ვსურს, რომ ვახდებ?“ მოსწავლე ამ თემაზე ისეთ სულისამღვრველ სტრიქონებს წერს: „როცა ვეძლევი ოცნებას მომავლის შესახებ, მე საკეთარი თავი წარმოვიდგება როგორც უდიდესი ვანგსტერი, რომელსაც საწვიმრის ყოველ ჯიბეში რევოლვერები უწყვია. მე ბანდის მრისხანე მეთაური ვარ, რომლისაც ყველას ეშინია... მე უკვე ვაჭარბევი მოვლილის ყველა მეთაური ხანკი. მე თავს ვესხმი ოქროთი დატვირთულ ევლონებს, ვჭირ ყალბ ფულს... მე ყველას რისხვად ვევილინები“.

რა უდიდესი განსხვავებაა ამ ევლურ, კაციშვიდა ავადმყოფურ ბოღვასა და საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდა თაობის ჰუმანურ, გონივრულ, კაცობრიობისათვის საკეთილდღეო სურვილებსა და მისწრაფებებს შორის! და ეს ბუნებრივია, ვინაიდან ორი ერთმანეთის დამატერაულად საწინააღმდეგო იდეოლოგია — კაპიტალისტური და სოციალისტური — მართავს ამ ორი სამყაროს ახალგაზრდობის ბედს, აყალი-

ბებს მათ შეხედულებებსა და სულიერ თვისებებს.

საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდები, შეიარაღებული მარქს-ენგელს-ლენინ-სტალინის ყოველი იდეებით, ფქტურად მონაწილეობენ კომუნისტური შეხედულების ყველა უბანზე. ისინი განსაკუთრებულ წარმატებებს აღწევენ მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის, კულტურის, მეცნიერების, ლიტერატურის, ხელოვნების ყველა დარგში. ათასობით, ათათასობით საბჭოთა ახალგაზრდები ამჟამებზე მსოფლიო მნიშვნელობის რეკორდებს, მგრამ ერთ ადგომზე გაყენვა მათ არ სჩვევიათ, ვინაიდან მტკიცედ ზღმძიმდნენ პრინციპით — დღეს თუ კარგ შედეგებს მიაღწიე მეშობაში, სწავლაში, შემოქმედებაში, ხელო უკეთესი მაჩვენებლების მოსაპოვებლად იბრძოლე!

ყოველდღიურად ახალი სახელი ვმატება საბჭოთა ჰაბუცებისა და ქალიშვილებისა მეცნიერების, ხელოვნების, ლიტერატურის მოღვაწეთს; ახლადას. შემოქმედებითი შრომის ფერხელში არიან ჩაბმული ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდები. ნოვატორული აზრით, ახალი სიტყვითა და ტეშმარიტებით ამდიდრებენ ისინი ჩვენი სულიერი ცხოვრების საგანძურს.

მატერული ლიტერატურის დარგშიც ვაბედულად ვაისმის საკეთარი ხმა საბჭოთა ქვეყნის ნიჭიერი ახალგაზრდობისა. ამ უკანასკნელ ხანს ბევრი საინტერესო ახალგაზრდა ავტორი საყურადღებო ნაწარმოებში გაიყნო საბჭოთა მკობხველმა. თავიანთი შემოქმედებითი ნიჭით და მართალი მატერული სიტყვით აქამდე სრულად უცნობი ავტორები ჩვენს მკობხველთა შორის დამკვიდრდნენ როგორც აბლობელი და საყურადღებო სახელები. ისინი განუწყვეტლივ იბრძვიან პროფესიული ოსტატობის მოწიფებისათვის, შემდგომი აღმავლობის და სრულყოფისათვის.

საქართველოში ამ მხრივ სერიოზული მუშობა სწარმოებს. ამიტომ მიუთითებდა ამხანაგი ქ. ჩარკვიანი თავის საანგარიშო მოხსენებაში საქართველოს კ. პ. (ბ) XIV ყრილობაზე: „შეწარალთა კავშირი განსაკუთრებული ყურადღებით უნდა მოკიდოს ახალგაზრდა მწერალთა კადრების იდეური აღზრდისა და შემოქმედებითი ზრდის საკითხებს“. ამხანაგი ქ. ჩარკვიანის ეს მითითება თვალნათლავ მოწმობს იმ უდიდეს ყურადღებას და მზრუნველობას, რასაც ლენინ-სტალინის პარტია მედამ იჩენდა და იჩენს

შატერული შემოქმედების საკითხებისადმი, შერლომის როგორც ძველი თაობის, ისე ახალგაზრდა კადრებისადმი.

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოცემლობამ ამასწინათ გამოსცა სტუდენტთა ლიტერატურული წრის აღმანახი „პირველი სხივი“. აღმანახში მოთავსებულია წრეში გაერთიანებული დამწყებში პოეტებისა და პროზაიკოსთა ნაწარმოებნი. ამ ნაწარმოებთა შთავარი სავანი და თემა არის ჩვენი თანამედროვეობის აქტუალური საკითხები, საბჭოთა პარტიოტობის უწმინდესი გრძობა, სიყვარული და თავდადება ჩვენი ზედადის დიდი სტალინისადმი, აგრეთვე საბჭოთა სკოლისადმი, მისი მოწინავე პრინციპებისადმი, საბჭოთა პედაგოგ-აღმზრდელებისადმი, სიყვარული და პატივისცემა კომუნისტური მშენებელი გმირი თაობის მამაცობისა და მტკიცე ნებისყოფისადმი. ახალგაზრდა შემოქმედთა ლექსებსა და მოთხრობებში გაისმის ჯანსაღი, ოპტიმისტური განწყობილების გამოხატვეული შატერული სიტყვა. მათი პოეტური ხმა მკაფიოდ გამოხატავს შერლომის მახვილი თვლით დანახულ ცხოვრების მოვლენებს, ეს ხმა ამცლავნებს ავტორთა მიერ ცხოვრების ცოდნას, მათ გონებრივ პარიზონტს, იდეური მოშხადებისა და შატერული ოსტატობის გარკვეულ დონეს. რა თქმა უნდა, ეს სრულადაც არ ნიშნავს იმას, რომ ამ ახალგაზრდა შემოქმედთა ნაწარმოებნი მთლიანად დახვეწილი, უნაკლო და სრულყოფილი არიან. ცხადია, მათ არ შეიძლება არ ახასიათებდეს ნაკლოვანებანი, ზოგჯერ საქმიოდ სერიოზული ხარვეზებიც კი, მაგრამ კრებულში მოთავსებულ შემოქმედებობის ნიმუშებს ძირითადად ახასიათებს ჯანსაღი პოეტური ინტონაცია, მათ აწნევიან დაკვირვებულ მუშაობის ნიშანი და ნიჭის უშუალობა.

სოციალისტური სამშობლოსადმი, ხალხთა დიდი ზედადის აშხანიც ო. სტალინისადმი გულთბილი სიყვარულისა და უსაზღვრო ერთგულების გრძობას გამოხატავენ თავთავიანთ ლექსებში ეთერ ბასილაიშვილი, აკაკი გუწაძე, ნ. გურგუნიძე, ნოდარ დუმბაძე, არჩილ სულაკაური, ზურაბ ჭეშერძიძე და სხვები.

ყველა ზღაპრულზე უფრო დიდოდ,
ყველა ნამდვილზე ნამდვილი გმირი“

შიმართავს ე. ბასილაიშვილი დიდ სტალინს. ა. გუწაძე ლექსში „ბელადს შევხედები კიდევ“ გადმოგვიცხადებს ფრაზიტიდან დაბრუნებული ქართული ვეკიკის ძლიერი სურვილს და რწმენას, რომ იგი კვლავ ნახავს ბელადს, ყველა ჩვენი გამარჯვებების სულისჩამდგმელსა და ორგანი-

ზატორს. დღეს კი სამამულე ომის გმირი საკლემეტრეო შრომის უშუალო მონაწილეა, კომუნისტური მშენებელთა მოწინავე რიგებში დგას და უსაზღვრო პედნეიტებას ვანიცდის იმით, რომ „წეარა აქვს პატარა, სოფელიც პატარა, დიდი აქვს სამშობლო, დიდი აქვს დეკორი“. ამხანაგი სტალინი — სიცოცხლის გამახალბედი და ქვეყნის გარდამქმნელი, მთელ მსოფლიოში მშეიღობის დამყარებისათვის მებრძოლთა დროშა და იმედაა. ამ თემაზე დაწერილი ავტორის მეორე ლექსი „ბელადი რუკათან“. ამავე საკითხს ეხება ნ. გურგუნიძე თავის ლექსში „სტალინის სიტყვა“.

„მსოფლიო მხსენლად უყურებს სტალინი,
როგორც სიხარულს, როგორც სიკეთეს,
ის უსმენს სტალინს და სჯერა ხვალის,
უყურებს სტალინს — ხედავს იმედებს“.

ო. სტალინის დაბადების 70 წლისთავისადმი მიძღვნილი არჩილ სულაკაურის ლექსი „დიდი ზედადისადმი“. გულწრფელი სიყვარულის გრძობითაა გამოთარი ამ ლექსის სტრუქტურა:

„ქართულმა ხალხმა ერთი ლამაზი,
ერთი უკვდავი სიმღერა იცის;
— ზღაპრით თუმცა მყინვარი,
მაგრამ ვინ თქვაო სიბერე მისი“.

სამამულე ომის თემაზე დაწერილი ამავე ავტორის პოემა „ლამა“. მასში კარგად არის გაგებული ხალხთა სტალინური მეგობრობის იდეა. ეს ნაწარმოები ბევრ შატერულ ღირსებასაც შეიცავს. პოემაში ამავე ბუნებრივი ვანეობის ფარგლებს არ სცილდება, იკითხება მსულქმად, ინტერესით, მაგრამ მასში არის ზოგერთი დეფექტი, რაზეც ყურადღების გამახვილება საჭიროდ მიგვჩნდა. პირველი: ფსიქოლოგიურად არ არის დამაჯერებელი, რომ ზაქმეს, რომელსაც დედა გარდაეცვლება არასოდეს არ ეგრძნოს უღედობა, მშობლიურა აღურისს მოკლება. შემდეგ ლამა, ხმა ჩვენ მებრძოლეთან ერთად, თავგამუცემბთ იბრძვის, რომ როგორმე გასწმინდოს უკანდასაბევი გზა. ელიქობით, ასეთი მომენტები ვერ გამოხატავენ ჩვენი მამაცი მეომრების თავდადებას და გმობობას, ამიტომ მისი შატერული ვანოვადება ავტორს არ უნდა მოეხდინა. პოემაში ზეხედებით აგრეთვე ზოგიერთ ბუნდოვან გამოთქმებს, არასწორ შედარებებს. მაგალითად: „და მოგონება — თითქოს ერქანი ძაფისგან — თავის დასსნას ლამადა“, „დღეები, როგორც მორხილი ქალნი, ზამთრის გაყინულ ნებას მინებდნენ“, „და ლამის გული მზესთან გაფრინდეს, სული წაიღოს სინათლის ღმერთთან“.

არჩილ სულავაძის ნიჭიერი ახალგაზრდა შემოქმედია. მით უფრო მეტს მოვითხოვთ მისგან მან მეტი უნდა იმუშაოს პოეტური სახეების დასვეწახე, თავი უნდა ააბილოს „ლამაზ სტრიქონის“ შექმნით ზედმეტ გატაცებას, და იგი თვითმინურ ვარჯიშად არ უნდა აქეთოს.

საბჭოთა სპორტის გამოჩენილი ოსტატის ალექსანდრე ჯაფარიძის ხსოვნისადმი მიძღვნილი კრებულში მოთაყვნილი ირაკლი არაბულის ლექსი „ალექსანდრე ჯაფარიძის ნათქვამი“ და ეალერიან საღლიანის თათქმის ამანარიდევ დასთარებელი (რისთვისაც კრებულის რედაქციას უნდა მივუცია ყურადღება) „ალექსანდრე ჯაფარიძის თქმული“.

მეოთხეულის ყურადღების ღირსია უთუოდ სხვა ავტორთა ნაწარმოებნიც. მათგან უნდა აღინიშნოს თენგიზ ბუაჩიძის გულთბილი ვანც-დის დაწერილი ლექსი „გზაზე“, რომელშიც სსანს ავტორის მხატვრული აღლი და ვემოგენბა; გიორგი გელაშვილის „ძლევა სიყვლილისა“, სადაც იგი იძლევა იმში გმირულად დაღუბული ქართველი ვაჟაკის სურათს, უნდა აღინიშნოს ზურაბ კაკაბაძის ლექსი „კოლმეურნე“. მასში ავტორი აგვიწერს კოლმეურნის — ახალი სოფლის ახალი კაცის ბედნიერ ცხოვრებას და ნაყოფიერ შემოაბას, რომლის სახელიც უნას არ ქვეა, მაგრამ „მაინე მისია სოფლის დოვლათი“. შოთა ლომსაძის „მოლოდინი“ და „მესხეთს ვაშენებ“, ბავრატ მახანაშვილის „სიმღერა ხრამის ელვაზე“, ნოდარ შამანაძის „ფიცი კომკავშირის“, ზურაბ ჭუმბურიძის „შვიდი ქადარი“ და სხვ.

მხატვრული პროზის ნიმუშები აღმანახში შედარებით მცირე რაოდენობით არის წარმოდგენილი. მათ შორის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ვახტანგ კეკელიძის მოთხრობა „ღრუბლები მიდიან“. ამ ნაწარმოებში აწერილია სამამულო ომის დღეები. მოვლენების ვადმოცემაში იგრძნობა სინამდვილის ცოდნა, ოღონდ რამდენიმე შენიშვნა მაინც უნდა გააკეთოთ; პატარა ბიჭუნა ბორია, რომელიც, ავტორისავე სიტყვით, ეწვესოდე წლისა თუ იქნებოდა 1945 წელს, მისი ასაკისათვის შეუფერებელი, ზედმეტი სერათოზლობით მსჯელობდა. აი როგორი სიტყვებით ლაპარაკობს ეს პატარა ბავშვი 1942 თუ 1943 წელს ფაშისტების შესახებ, როცა იგი, აღმათ, 3-4 წლის იყო:

— მერე, რომ წამოვიდნენ საბარბოლელოდ? რას უნას მაგათ ის ცული კაცი? ეგენი ბევრი არიან, ის კი ერთია. ზომ შეუძლიათ, რომ მოერიონ? ეგენიც ზომ კვდებიან აქ? — მოჰკლავენ, მაშ რას იზამენ, ვინ დაანებებს რომ ეგენი ჩემს ქვეყნის პატრონები ვახდენენ? მამიკო მეტბ-

ნებოდა — მაგათ უნდათ ჩვენზე ქვეყნები ხელში ჩაიგდონ“...

გეგლინოთქა

არაფრის მოქმელი და ბუნდღვანია ასეთი ფრანკა: „ტოკადენენ რონოდების რესორები და ფანჯრებს ისევ სწრაფად მოსდევდნენ სინათლის ორეულები ბედისწერის ცეცხლოვან რაშე ბივით“. ენის კანონს ზუსტად არ იცავს ავტორი, როცა ამბობს: „სამი იარაღით დატვირთული საბარგო მანქანა მომიწყვიტეს კოლნას“, „ხოლო თქვენ კი“, „ღირაულ ვატყუებას, რომელიც თანდათან ჩემს დამორჩილებას აპირებდა, ძალად წავგლიჯე თავი მაცდურ ხელებიდან“, „მასე იყუეს“, „ხუჭუქა თავზე“, „ორივე მოტოციკლეტს ეფარებით“, „თქვენ ჩვენი ღვივით“ და სხვ.

გარკად იკითხება რევაზ ინანიშვილის ლიტერატურული ეტიუდი „სახსოვარი“. არ იზნება ცული, თუ რედაქცია მომავალშიც სათანადო ყურადღებას მიამუცავს ევტორ წოდებულ „მცირე ტოლოების“ — ლიტერატურული ესკიზების, იუმორესკების, ეტიუდების, პატარა ზომის მოთხრობების, აგრეთვე ნოველების ენას.

დასრულებული მხატვრული ნაწარმოების შობაბეჭდილებას სტოვენს ქართლის კასრბის მოთხრობა „მზის ამოსვლამდე“, რომელსაც შეიძლება ნოველად ეწოდოს. მასში ავტორის დამაჯერებლად აქვს მოცემული საბჭოთა სპორტსმენების ვმირობის, გამედაობისა და კეთაღშობილების მოზერბებულად მოხაზულ ფონზე სოციალისტური ჰუმანიზმი, ჩვენი ქვეყნის აღამინათა შორის შექმნილი ახალი ურთიერთობა, რომლის კრისტალურ, გამჭვივალე ქსოვილში მკაფიოდ სსანს კომუნისტური მორალისა და შევნების ნათელი შტრიხები.

საინტერესო თემაზე დაწერილი მავალი თოდებას მოთხრობა „აღდმალი წარწერა“. შვენიერად არის დახატული პროფესორ გიორგი ციხისთავის მიმზიდველი საზე, ჩვენი მეცნიერების ახალგაზრდა კადრების ცხოვრება და შემოქმედებითი შრომა, მაგრამ შოთხრობის მთავარი ვმირი რევაზ იაშვილი ვერ სტოვენს საბჭოთა ახალგაზრდის შობაბეჭდილებას. მეცნიერებისადმი სიყვარული და თოდდება როდო შეიძლება აისახოს არანორმალურობამდე მისული აღამინის ცხოვრების აღწერით. ჩვენი ქვეყნის ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკის ტაად ვერ გამოდგება მოთხრობის ვმირი იაშვილი, რადგან იგი არ არის აღჭურვილი იმ თვისებებით, რაც საბჭოთა ახალგაზრდისათვის არის დამახასიათებელი.

აღმანახში მოთხრობულია ორი თავი შალვა ჩიხთაძის რომინიდან „ფლევა“. ეს ნაწყვებტი სინტერესო საკითხები მსალაა, მაგრამ საბოლოო დასკვნის ვამოტანა მის შესახებ შეუძლ-



ბელია, ვინაიდან ნაწარმოები დასრულებული არ არის.

ზემოაღნიშნულ ზოგიერთ დღეებზე თუ არ მივიღებთ მხედველობაში, სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მიერ გამოცემული ლიტერატურული აღმანახი „პირველი სხივი“ (რედაქტორი ახ. ბ. ქვციტიაძე)

უდავოდ საყურადღებო და მისასალმებელი მოვლენაა, სასურველია მისი გამოცემა მომავალშიც გაგრძელდეს. იგი უნდა გახდეს მხატვრული ლიტერატურის ახალი კადრების წამყვანი სამკვდელი.

3. ბახტურიძე

ნარკვევი ალექსანდრე მაკედონელიზე *



თავისი დროის უნივერსის მხედართმთავრის, გამოჩენილი პოლიტიკოსისა და დიპლომატის ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ცნობები ქართულ საისტორიო წყაროებში საკმაოდ მოთხოვება. მისი ლაშქრობის ამბავი შემონახულია ქართულ ფოლკლორსა და ზეპირ გადმოცემებშიც. მიუხედავად ამისა, ცნობები ალექსანდრე მაკედონელის შესახებ ცალკე წიგნად დღემდე არ იყო გამოცემული. ეს ხარვეზი შეავსო საბლიბლტაში მათე ალექსიშვილის ნარკვევის გამოცემით.

„წინამდებარე პოპულარულ მონოგრაფიაში ძველი წყაროების ინტერპრეტაციით“ (გვ. 5) გადმოცემულია ცნობები მაკედონელის ცხოვრებისა და ბრძოლების შესახებ, რომლებიც შინ ჩაატარა თავისი ქვეყნის — მაკედონიის გავლენის განსაზღვრებად, მსოფლიოს დასაპყრობად.

ალექსანდრე მაკედონელი (356 — 323) იყო უდიდესი სარდალი, სიმამაცით განთქმული, უტეხი ნებისყოფის ადამიანი, არისტოტელეს აღზრდილი, რომელსაც დიდად აფასებდა და ხშირად ამბობდა: „მამისაგან დავალებული ვარ სიციხისათვის და არისტოტელესაგან კი იმით, რომ ღირსი ვარ სიციხისათა.“ ყველა ამან და მამინდელმა ისტორიულმა პირობებმა საშუალება მისცა მაკედონელს დაეპყრო მამინდელი მსოფლიოს თითქმის ნახევარი.

მეორე შესავლის შემდეგ ავტორი იძლევა მასალებს მაკედონიის სახელმწიფოს ვითარების შესახებ ალექსანდრეს მამის ფილიპე II დროს. ფილიპე II მეფობა მაკედონიაში აღინიშნა ზემოთა ქვემოთ მაკედონიის ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებით. საბერძნეთში აღზრდილმა ფილიპემ, რომელიც ჩინებულად ერკვეოდა შექმნილ ისტორიულ პირობებში, ჯერ კიდევ მამინ, როცა საბერძნეთი და შემდეგ სპარსეთი ცდილობდნენ

თავიანთი გავლენის ქვეშ მოექციათ მაკედონიის სახელმწიფო, ფინანსური და სამხედრო რეფორმები გაატარა თავის ქვეყანაში, რამაც საშუალება მისცა მეფეს ეწარმოებინა აგრესიული პოლიტიკა მეზობელი ქვეყნების მიმართ, ზოლო „ქ, სადაც ხშირად ხმალსა და მაკედონურ ფალანგას არ შეელო წარმატებების მიღწევა, საქმის ადვილად შევლოდა ოქრო და მოსყიდვა“ (გვ. 22). „მაყავდა რა საბერძნეთში წინასწარ მოსიყიდული ისოკრატეს და ესკინეს პრომაკედონური პარტია, ფილიპემ მოხერხებულად გამოიყენა ე. წ. „საღმრთო ომი“, რომელიც განაღდა მამის შუა საბერძნეთში მცხოვრებ ფოკიდელებსა და მეზობელ ბერძნულ ქვეყნებს — თებეს და თესალიას შორის და შესძლო ბერძნული ქვეყნების (სპარტის გამოკლებით) თავის ქვეყანისთვის ქვეშ მოქცევა.

ამრიგად გაძლიერებული მაკედონია ეწრგოულად ემზადება სპარსეთის წინააღმდეგ ომისათვის, რომელიც ფილიპემ დაიწყო კიდევ 336 წლის გაზაფხულზე, მაგრამ ლაშქრობა დროებით გადაიღო, ამვე წლის გაზაფხულის მიწურულში ფილიპეს ტრაგიკული სიკვდილის გამო, სანამ ალექსანდრემ არ განაგრძო წარმატებით მამის მცერ დაწყებული საქმე.

მაგრამ სანამ მეთიხველი გაცილობდეს მაქედონელის ლაშქრობას, იმ დროს უძლიერესი სახელმწიფოს — სპარსეთის წინააღმდეგ, ავტორი სპეციალურ (მე-3) თავში იძლევა ანალიზს სპარსეთის სახელმწიფოს მდგომარეობისა ალექსანდრე მაკედონელის მიერ აღმოსავლეთის ლაშქრობის დაწყების წინ. ვერცხობით რა მოკლე ისტორიულ ცნობებს სპარსული ტომების ირანის ზეგანზე დასახლებიდან მათი ერთ სახელმწიფოდ გაერთიანებისათვის წარმოებული დამპყრობლური ომების შესახებ, რამაც მამინ სპარსეთი ძლიერ სახელმწიფოდ გადაქცია, ავტორი ჩერდება ძველ ისტორიულ ფაქტებსა და მასალებზე. მეთიხველი აშკარა შთაბეჭდილებას იტებს, თუ რა შინაგან წინააღმდეგობათა ნასკეები იყო

* მათე ალექსიშვილი. „ალექსანდრე მაკედონელი“, საბლიბლტაში, 1950 წ. რედაქტორი ს. ყაუხჩიშვილი.

გადახარჯული უკანასკნელ დროს სპარსეთის სატრაპიებში სეპარატისტული ტენდენციების გაძლიერებით, სამეფო კარზე გაჩაღებული ინტრიგებითა და მეფისწულთა შორის ტახტის მემკვიდრეობის ირგვლივ ატეხილი დავით. საჭირო იყო გარედან ძლიერი დარტყმა, რათა შინაგანი წინააღმდეგობანი უფრო გააძლიერებულიყო და სპარსეთის იმპერიას ბოლო მოეღებოდა. ეს მისია შეასრულა ალექსანდრე მაკედონელმარომელმა 334 წლის ადრე გაზაფხულზე დასძარა შედარებით მცირეარტილბოვანი თავისი ჯარი ჰელესპონტისაყენ.

ლაშქრობა სპარსეთის იმპერიის დასაპყრობად შედარებით დეტალურად არის აღწერილი. ავტორი მკითხველთა ყურადღებას მიაპყრობს იმასაც, რომ ალექსანდრეს ესმოდა მაშინდელ სპარსეთში შექმნილი მდგომარეობა, რაც გარკვეულ უპირატესობას ანიჭებდა მას მტერთან ბრძოლაში, მაგრამ მან მაინც აღჭურვა თავისი არმია იმ დროის მოწინავე საბრძოლო იარაღით.

ჰელესპონტის გადალახვის შემდეგ მაკედონელი გავიდა აზიის სანაპიროზე. სამეფო გემიდან რომელსაც თვითონ მართავდა, შუბი სტყორცნა სანაპიროს ნიშნად დაპყრობისა და გადავიდა ნაპირზე. აქედან მოყოლებული მკითხველი ფეხდაფეხ მიჰყვება ალექსანდრეს ძლევამოსილ ლაშქრობას ახალი ქვეყნების დასაპყრობად. ეცნობა ალექსანდრეს ბრძოლას ისოსთან, სადაც სპარსეთის მეფე დარიოსმა, ბერძნული წყაროების გადმოცემით, თავი მოუყარა 600.000 ჯარის კაცს და სამკედრო-სასიციცილო ბრძოლა გუმართა თავდასხმელს. ამ ბრძოლაში გააშალა ალექსანდრეს სტრატეგიული ნიჭი; მან წარბეჭებით ჩაატარა მანევრები დიდი ომის მოსაგებად ნაკლები ზარალით, რის შედეგადაც სპარსეთის მეფე თავს გაქცევით უშველა.

ამის შემდეგ იწყება ალექსანდრეს საომარი და დიპლომატიური მოქმედება ფინიკიისა და პალესტინის დასაპყრობად. უარყო რა პირობა, რომელიც დასახაგებლად წამოუყენა სხვადასხვა დროს სპარსეთის მეფე დარიოსმა, ალექსანდრემ კიდევ უფრო გააძლიერა ტვიროსის საღვთო სამუშაოები, კვლავ განაახლა კაშხლის მშენებლობა, რასაც 332 წლის აგვისტოში ტვიროსის დაცემა მოჰყვა. ამ ბრწყინვალე გამარჯვებამ კიდევ უფრო აამაღლა მაკედონელის ჯარის ავტორიტეტი და სახელი გაუთქვა მას მთელს აღმოსავლელ მსოფლიოში.

ამას მოჰყვა ალექსანდრეს მიერ ეგვიპტის დაპყრობა, ისიც უომრად, რადგან სახელგანთქმულ მაკედონელთან შეხმა ეგვიპტის სატრაპმა მახაბმა არ ისურვა.

ალექსანდრე არა მარტო იპყრობს ქვეყნებსა და ქალაქებს, არამედ გზადაგზა უღიდეს მშენებ-

ლობასაც აწარმოებს. მიაღიოთად, 332—331 წლის ზამთარში ნილოსის დელტაში შეიჭრებულ ადგილზე ბერძენ აბქიტეტორმა (ტუჩმატორის) მიერ შედგენილი გეგმით მან დააარსა თავისი სახელმწიფო ქალაქი—ალექსანდრია, რომელიც მალე ერთერთ ყველაზე მნიშვნელოვან საეპრო და კულტურულ ცენტრად აქცა.

ასევე საინტერესო მასალებით არის გადმოცემული ალექსანდრე მაკედონელის ბრძოლა გაგამელასთან, რომელიც „თავისი მისწობით და სიმამრით ალექსანდრეს მიერ გადახდილ ბრძოლათა შორის ყველაზე დიდი იყო“ (ცვ. 93). ამ ბრძოლამ გადაწყვიტა დარიოსისა და მისი მონარქების ბედის იგი სწრაფად დაეცა, რის შესახებაც ავტორი მოგვითხრობს წიგნის მე-9 თავში.

ბაბილონი, რომელსაც მაშინ თავისი არსებობის 20 საუკუნეზე მეტი ისტორია ჰქონდა, წარმოადგენდა აზიის კულტურის, ეკპრობისა და გეოგრაფიის ცენტრს, თავისი სასახლეებით, მრავალრიცხოვანი მოსახლეობით და სიმდიდრით. უძვეველ მაკედონელს აქაც ბრძოლის გარეშე გადაეცა ბაბილონის ქალაქის გასაღები სატრაპ მახუბის მიერ, რომელიც დიდაცებთან ერთად მიგებებია მაკედონელს, ხოლო ქალაქის მოსახლეობა ჭეშვილებით შეხვედრია სპარსეთის ურდოებისაგან გამათავისუფლებულ მაკედონელთა არმიას. ამავე თავშია აღწერილი თვით აქემენიდების დინასტიის უკანასკნელი მეფის—დარიოსის სიკვდილი.

ამაიორად, ალექსანდრე მაკედონელი იპყრობს ახალ-ახალ ქვეყნებს—სპარსეთის ჩრდილოეთის სატრაპიებს, სიკვდილით სჯის ფილოტასა და პარმენიონს, როგორც ოპოზიციის ხელმძღვანელებს მაკედონიის არმიას, რომლებმაც განზრახეს ალექსანდრეს ქურდულად ვანგმირეა. მაგრამ მათმა დასჯამ საქმეს ვერ უშველა. ოპოზიციამ, რომელიც წარმოიშვა არმიის ალექსანდრეს პროსპარსულ პოლიტიკის ბაზაზე, თანდათან ძლიერდებოდა და მან მათგან გამოეღინება მოგვცა 328 წლის ზაფხულში ქალაქ მარაკანდაში (შუა-აზია) მომხდარ ამბებში, რის გამოც ალექსანდრე იძულებული შეიქნა საკუთარი ხელით ვანგმირეა მაკედონიის არმიის კიდევ ერთი ნიჭიერი სარდალთაგანი კლიტონ შეი. ამ თავში შესანიშნავად არის გადმოცემული ინციდენტი კლიტონ შავთან და ისიც, თუ რა დიდ მუხარებას მიეცა ალექსანდრე ამის გამო.

უკანასკნელი ლაშქრობა, რომელიც მოაწყო ალექსანდრემ, იყო ინდოეთისაკენ. ინდოეთის ლაშქრობის ამბები ბევრი საინტერესო ეპიზოდით არის აღწერილი. მაგრამ შემდგომ ლაშქრობაზე ჯარმა უარი გამოუცხადა მაკედონელს და აქამდე მტრისაგან დაუმარცხებელი ალექსანდრე“ (ცვ. 127) იძულებული შეიქნა საკუთარი არ-



მის წინაშე თავი დამარცხებულად ეცნო და დანებებოდა ჯარის ნებასურვილს.

მაკედონელებმა 326 წლის აგვისტოში დასტოვეს მდინარე ჰიფასის ნაპირები, სადაც უძლეველობის ნიშნად ააგეს 12 საკურთხეველი, და კურსი აიღეს დასავლეთისაკენ. ვზადავს ავტორი გადმოგვცემს უკან დაბრუნების დეტალებს, ჭორწინებას, არშიაში აჯანყებას, მაკედონელის ბაბილონში ჩასვლას, მზადებას დასავლეთის ლაშქრობისათვის, თვით ალექსანდრეს გარდაცვალებას და მაკედონიის იმპერიის დაშლას.

დაბოლოს, ავტორს განვიხილული აქვს ილექსანდრე მაკედონელის კავკასია-იბერიაში ყოფნის საკითხი ქართულ წერილობითს წყაროებზე დაყრდნობით და ილექსანდრე მაკედონელის საკითხი ქართულ ფოლკლორში („ალექსანდრიანი“).

დამტკიცებულია, რომ ვერსია, რომლითაც აღიარებული იყო მაკედონელის საქართველოში შემოსევა, არ შეეფერება ისტორიულ სინამდვილეს და მას არასოდეს არ უნახავს (ვით უმეტეს არ დაუპყრია) საქართველო.

როგორც მოსალოდნელი იყო ავტორმა მოგვცა ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის შეფასება, როგორც იმ დროისათვის მეტად დადებითი

მოვლენა. ამ ბრძოლებში ხელი შეუწყო ქვეყნების ურთიერთ დაახლოებას, აღმამეცემობის აღმავლობას, ელინური კულტურის გავრცელებას აღმოსავლეთის ქვეყნებში, რასაც უძრავი მნიშვნელობა ჰქონდა კაცობრიობის განვითარების ისტორიაში.

ერთი ნაკლი, რომელიც აქვს ამ წიგნს ის არის, რომ ავტორმა ერთობ იაუნა ექვნივინა მკითხველისათვის ისიც, თუ როგორ მართავდა იგი თვით საკუთარ სამშობლოს — მაკედონიას მისგან რამდენიმე ათასი კილომეტრის დაცილებით და რა ხდებოდა თვით მაკედონიაში. ავტორი წიგნის მე-4 თავში აცნობს მკითხველს მხოლოდ იმას, რომ „335—334 წლის ზამთარში ალექსანდრემ დაამთავრა მზადება სპარსეთის წინააღმდეგ ომისათვის. ზურგის დასაცავად მაკედონიაში დასტოვა ანტიპატრი 12,000 გვევითი და 1,500 ცხენოსანი და 334 წლის ადრე გაზაფხულზე დანარჩენი არმიით კურსი აიღო ჰელესპონტისკენ“ (გვ. 53). ამის იქით მკითხველი ამაოდ დაიწყებს რაიმე ცნობის ძებნას მაკედონიის შესახებ.

მათე ილექსიშვილის „ალექსანდრე მაკედონელის“ გამოცემით საბლიტვაში კარგი საჩუქარი მისცა ახალგაზრდა მკითხველებს.

3. ზოგოლაძე

ახალი ნიშნები



„სახელგამი“

- კონსტანტინე ლორთქიფანიძე — შწენე ღილი, მოთბობა, 118 გვ. ფასი 4 მ. 50 კ.
დენა შენგელაია — შთაგონება, რომანი, 145 გვ. ფასი 5 მან.
ელ. შაიაკვესი — ვლადიმერ ილიას-ძე ლენინი (თარგ. შ. პატარიძისა), 95 გვ.
ფასი 5 მან.
აკაკი წერეთელი — თხზულებანი, ტ. მე-5 (დრამატული ნაწერები), 580 გვ. ფასი 22 მანეთი.
პ. რატანი — ილია ქვეკევეძე (ფილოსოფიური და სოციალ-პოლიტიკური შეხედულებები).
315 გვ. ფასი 12 მან.
მ. გორკი — ზღაპრები, 187 გვ. ფასი 7 მან.
ფრიდრიხ შილერი — ტრაგედიები (თარგ. ვახტანგ ბეწუთქელი ს ა), 268 გვ. ფასი 14 მან.
გიორგი აბზიანიძე — ქართული კლასიკოსები, 294 გვ. ფასი 12 მან.
კლაპენტი გოგიავა — სამი გმირი, ნარკვევი, 44 გვ. ფასი 2 მან.
ვიქტორ გაბესკირია — გმირთა სოფელში, ნარკვევი, 20 გვ. ფასი 50 კ.
ბ. არსენიევი და შ. კოტევენიკოვი — სისხლის სამართლის საქმეთა განხილვა, სამსჯავრო
სხდომა და განაჩენი, 28 გვ. ფასი 3 მან. 50 კ.
გ. ახვლედიანი და ვ. თოფურია — რუსულ-ქართული ლექსიკონი, 794 გვ. ფასი 10 მან.
ნ. ახვლედიანი — დანაკლისი ვაზების შეესება ვენახში, 36 გვ. უფასო.
გრ. ხაბზინიანი — თივის აღება, 28 გვ. ფასი 1 მან.
გ. ბედენაშვილი — თურქული და მასთან ზღაპრები, 48 გვ. ფასი 2 მან.
ა. ბედიაშვილი — მეფრინველეობის საინჟებატორო სადგური, 32 გვ. ფ. 1 მ.
გ. ბილანიშვილი — კალიების, კუთკალიების და კრივიების წინააღმდეგ ბრძოლის ღონის-
ძიებანი, 68 გვ. უფასო.
ა. ბლატინი — სოფლის ახალგაზრდობის პოლიტიკური განათლება, 103 გვ. ფასი 3 მან.
ი. ბლინოვი — აგიტატორის ენა (ქართული გამოცემისათვის გადაამუშავა შ. ასათიანი მ ა)
59 გვ. ფასი 1 მან. 50 კაპ.
ი. გიორგაძე — მიკროორგანიზმები და ცხოველთა გადამდები სენი და მასთან ბრძოლა, 87 გვ.
ფასი 3 მან. 70 კაპ.
მ. გოგუაძე — ავტორტაქტორების ძრავების საკისარებში ბაბიტის ჩამოსხმის და მუხლანა
ლოლზე საკისარების მორგების ტექნოლოგიური პროცესები, 52 გვ. ფასი 2 მან.
ხ. ვაჩიშვილი — სამშრომთა ორგანიზაცია სატრაქტორო ბრძოლაში, 220 გვ. ფასი 10 მან.

„საბჭოთა მწიბრალი“

- ხალხური პოეზია — (რჩეული) 575 გვ. ფასი 12 მან.
ილია მოხაშვილი — ლექსები, 189 გვ. ფასი 8 მან.
ხალხური ლექსები და ზღაპრები — 196 გვ. ფასი 10 მან.
გიორგი კაპახიძე — ახალი ლექსები, 107 გვ. ფასი 7 მან.
მაცყალა მრეველიშვილი — ქართლის უბეში, ლექსები, 78 გვ. ფასი 5 მ.
იონა ვაკელი — ლექსები 82 გვ. ფასი 3 მანეთი.
იოსებ წინეშვილი — ახალი ლექსები, 88 გვ. ფასი 5 მან.
ბესარიონ ელენტი — თანამედროვე ქართული მწერლობა (რჩეული კრიტიკული წერილები.
წიგნი 1-ლი), 550 გვ. ფასი 25 მან.
ევნატე წინაშვილი — თხზულებანი, ტ. I, 322 გვ. ფასი 16 მან.
ევნატე წინაშვილი — თხზულებანი, ტ. II, 386 გვ. ფასი 16 მან.
ოთარ ჩხეიძე — ხალხთა მშვიდობისათვის ბრძოლის თემა ქართულ საბჭოთა მწერლობაში.
106 გვ. ფასი 3 მან.

ალექსანდრე ყაზბეგი — თბულუბანი, ტ. 4. 512 გვ. ფასი 25 მან.
გაბრიელ სულდუკიანი — პიესები (ი. გრიშაშვილის წინასიტყვაობით, შედგენებით და ლექსკონით, 366 გვ. ფასი 17 მან.

დავით სულთნიანი — მეორე დღე, 221 გვ. ფასი 10 მან.

„საბავშვო“

ბ. მიხალკოვი — წითელი ყაყაჩო (თარგმანი თ. გულიაშვილისა), 57 გვ. ფასი 4 მან;
იაკობ ვაკეშვილი — დევნილი მეგობარი, 9 გვ. ფასი 1 მან. 50 კაპ.

ზაქარია შერაზადიშვილი — ლექსები, 70 გვ. ფასი 5 მან.

მიხეილ ქორელი — ხინლა, 31 გვ. ფასი 3 მან.

ალექსანდრა ჩხენკელი — ძვირფასი სახსოვარი, 67 გვ. ფასი 4 მან.

კ. ვაკაშვილი — საბავშვო პიესები, 95 გვ. ფასი 6 მან.

კ. კარინცივი — ნ. შ. პრეველასკი (თარგ. ვრ. ზარდალიშვილისა), 150 გვ. ფასი 8 მან.
გიორგი შატერაშვილი და რევაზ მარგანი — ხორბალა, თანამედროვე ზღაპარი, 33 გვ.

ფასი 3 მან.

გიორგი ხარაშვილი — ციციწი, 106 გვ. ფასი 6 მან.

ა. ხარაშვილი — გამოცანები, 17 გვ. ფასი 3 მან.

ა. კონან-დოილი — დაქარგული ქვეყანა (თარგ. მ. ფალავანდიშვილისა), 280 გვ. ფასი 13 მან.

ნ. აღნიაშვილი — ბეინა, 43 გვ. ფასი 3 მან.

დ. გაჩეჩილაძე და შ. ლეხანიძე — უშიშროების ანბანი, 85 გვ. ფასი 5 მან.

მ. ალექსიშვილი — ალექსანდრე შაველიანი, 193 გვ. ფასი 10 მან.

ნ. ბირიუკოვი — ჩაიკა (თარგ. თ. სვანიძისა), 228 გვ. ფასი 25 მან.

ი. პერელმანი — ცოცხალი მათემატიკა (თარგ. შ. გუინჩიძისა) 228 გვ. ფასი 10 მან.

ილო შოსაშვილი — სამი მონადირე, 24 გვ. ფასი 4 მან.

ნიკ. ჯაში — გმირი ქალაქები, ნარკვევები, 76 გვ. ფასი 2 მ. 50 კ.

შალვა ფორჩხიძე — საწინდარი, ლექსები, 56 გვ. ფასი 4 მან.

ანა ნიკოლაძე — ა. ბუშკინი (ნარკვევი), 107 გვ. ფასი 7 მან.

ქეთევან კორაშვილი — ზომის მთებში, გვ. 39, ფასი 5 მან.

შალვა ამისულაშვილი — ყამირის უფავილები, ლექსები, 67 გვ. ფასი 5 მან.

„საქ. სსრ მესენიზაციათა აკადემიის გამომცემლობა.“

ი. ბარათაშვილი — ნიადამკოტონობის ტერმინოლოგია, 48 გვ. ფასი 3 მან.

შ. ბებიაშვილი — რადიოგადაცემა და მიღება, 88 გვ. ფასი 5 მან.

ვ. დონდუა — კალმისობა, როგორც უფსოვრებში მოხლეჩა ძველ საქართველოში, 108 გვ. ფასი 5 მანეთი.

გ. ესკაშვილი — საქართველოს მოწინავე მეზღაღეების გამოცდილება, 88 გვ. ფასი 3 მანეთი.

კ. ზაფრევი — ნაგებობათა ანგარიშის ზღვარული მდგომარეობის მეთოდი, 24 გვ. ფასი 1 მან.

„ბინეჩია და შრომა“

ნ. აბდულაევი — ტექნიკური მექანიკა (მასალათა გამძლეობა), 107 გვ. 60 კაპ.

ბ. ბრუტინი და ვ. დემენტიევი — სახარატო საქმე, 202 გვ. ფასი 5 მ. 50 კ.

ვ. ვოთოშია — მექანიზმების თეორია და მანქანათა ნაწილები, სექსპლოატაციო, საშუენებლო და სახილო სპეციალობების მოსწავლეათთვის, 266 გვ. ფასი 8 მან. 20 კაპ.

„საქმეღვაში“

ალ. ალადაშვილი — კლინიკური რეცეპტები, მე-8 გადაშუშავებული გამოცემა, 256 გვ. ფასი 4 მან. 50 კაპ.

ლ. ანჯაფარძე — ბრუელოზი, 23 გვ. ფასი 1 მან.

გ. ბახტაძე — თავის ტკივილი და მისი მკერნალობა, 26 გვ. ფ. 1 მან.

ს. ბუჩიძე — პექსენალის ნარკოზი, 59 გვ. ფასი 2 მან. 80 კაპ.

ვ. გაჩეჩილაძე — რჩევა-ღარიგება ახალგაზრდა დედებს, 24 გვ. ფ. 1 მან.

გ. გურევიჩი-ილინი — ზოგადი საექიმო ტექნიკა, პრაქტიკული სახელმღვანელო სტუდენტათ და ექიმათთვის, 639 გვ. ფასი 17 მან. 40 კაპ.

შინაარსი



სან-მან-ერი—საფეარელი სახელი, ლექსი, თარგმანი ხარატონ ვარდოშვილის მიერ	3
ვახტანგ გორგაზანი—შვიდობა, ლექსი	5
სოლომონ თაყაიძე—ფილადი, რომანი, დასასრული	7
შალვა ფორჩხიძე—სამი ლექსი	55

ახალგაზრდა მწერალთა შემოქმედება:

დავით გობგოშვილი—თეთრი ქუდი, მოთხრობა	58
შალვა შავილაშვილი—ყანასა მკიან ბიჭები, ლექსი	63
მარიამ ბაქრაძე—სიხარული, მოთხრობა	64
—	
მარიამ ბარბაქაძე—ძველი და ახალი ჭიათურა, ნარკვევი	69
შალვა შინგალი—ენგურის ქალაქი, ნარკვევი	77
—	
შვილიამ შიქსანიძე—სონეტები, თარგმანი ინგლისურიდან გივი გაჩეჩილაძისა	84
—	
სერგი შილაია—სანდრო შანშიაშვილი, წერილი	89
აბაკი ხინთიბიძე—სამხრეთ საქართველო ქართულ საბჭოთა პოეზიაში, წერილი	101
პავლე ინგოროსაძე—გიორგი შერაზუღე, წერილი, ვაგრძელება	109
—	
სიმონ არველაძე, ირაკლი არაბული—„ილო მოსაშვილი—„ლექსები“, ბიბლიოგრაფია	152
ი. ნახიძე—„ალიო აღამი—„მესხეთის გაზაფხული“, ბიბლიოგრაფია	155
ნ. ჩხიძე, ნ. გურაშვილი—„ზაქარია შერაზადიშვილი „ლექსები“, ბიბლიოგრაფია	157
პ. ბახტაძე—„პირველი სხივი“, ბიბლიოგრაფია	160
ვ. გობგოშვილი—„ნარკვევი აღექსანდრე შაკელონელზე“ ბიბლიოგრაფია	163
—	
ახალი წიგნები	166



პასუხისმგებელი რედაქტორი

ირაკლი აბაშიძე

სარედაქციო კოლეგია:

სოლომონ თაყაიძე (პასუხისმგებელი მდივანი), ლევან ასათიანი, შალვა აფხაიძე, კონსტანტინე ლორთქიფანიძე, ილო მოსაშვილი, შალვა რადიანი, ლეო პიაჩელი, სიმონ ჩიკოვანი, ოთარ ჩხიძე, სერგი შილაია.

ხელმოწერილია დასაბეჭდად 11/VI111-50 წ. ნაბეჭდ ფორმათა რაოდენობა 10 1/2 ფ. ში 00090. შეკე. № 493. ტირაჟი 5.500.

საქ. სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული პოლიგრაფიული მრეწველობის, გამოცემლობისა და წიგნის ვაჭრობის საქმეთა სამმართველოს ბეჭდვითი სიტყვის კომბინატი, თბილისი, მარჯანიშვილის ქ. № 5.

რედაქციის მისამართი: მარჯანიშვილის ქ. № 5. ტელეფ. 3-23-42.